



ISSN 0132-509 X

გეოგრაფია



5-6

1992

გნათობა



წელიწადი 68-3

№ 5-6

მაისი-ივნისი 1992 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ოცხანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბიზნია, ქვილი აღთქმა, გაგრძელება 3

პროზა, პოეზია

არჩილ სულავეური — თითქმის ცხინი, წიგნი მეორე, რომანი	14
ბიორაბი ბერიშვილი — ლექსები	56
კობარ ხაბიძე — ანიკო	60
ანდრო ბუაჩიძე — ლექსები	65
ოზარ შამათაძე — ლექსები	69
ზოზი ბიბურაძე — სასიკვდილო სპანი	75

მოგონებები, ფაქტები

ლალო სულავეური — ცხადსიგმარინა, გაგრძელება	88
ილიკო ცინკაბერი — დღიური, პუბლიკაცია ლეო ვახვაშვილის	145

კრიტიკა, კულტივისტიკა

ლევან ბილაშვილი — ირთი უცნობი ლექსის ავტორის დადგენისათვის	155
აკოლონ ტანაშა — პოეზიის მერიდიანები.	160
შოთა შალაშვილი — კოლტიკური აზრი საქართველოს ოპოზიციის შესახებ (1921 — 1923 წწ).	166
დავით ხაჩვიაძე — კალმის ღვიწროდან — შემკანონებელი	175

მეცნიერება

ვახტანგ ბერიძე — სანიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში	192
--	-----

წიგნების მიმოხილვა

სოლომონ ხუციშვილი — კარგი წიგნი, თუმცა მრავალი შეცდომით	201
მედი სულავეური — ლიტერატურული თეორიის მიხედვით	204

შთავაჩი რედაქტორი არჩილ ხუციბაბური

ხ ა რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კ ო ლ ე კ ტ ი ა :

ზ. ახუციძე, რ. ავაუსაძლი, მ. ხარაძენიშვილი, ვ. ვეჩუაძე, ალ. გომიანიშვილი, ვ. დოჩენიშვილი, ვ. ქალანდია, მ. ლეხანიძე, ვ. შალვაძე, ლ. შარაძენიშვილი, ვ. ნატარაძენიშვილი, ს. პაიჭიაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. ჟღერტიყანი, მ. შილაძე, ვ. ხარაძენი (პ/მზ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

პიკესა, კვლე ალთა

მზრა

თავი პირველი

1. სპარსეთის მეფის, კიროსის, პირველ წელს, როცა აღსრულდა იერემიას პირით თქმული უფლის სიტყვა, გააღვიძა უფალმა სპარსეთის მეფის, კიროსის, სული და მან გამოაცხადებინა მთელს თავის სამეფოში ზებირ და წერილობითაც, რომ: 2. ასე ამბობს კიროსი, სპარსეთის მეფე: ქვეყნიერების ყველა სამეფო მომცა მე უფალმა, ცათა ღმერთმა, და მანვე მიბრძანა ავუშენო მას სახლი იუდაში, იერუსალიმში რომ არის. 3. ვინ არის თქვენს შორის ამ ხალხიდან, ღმერთი იყოს მასთან! წავიდეს იერუსალიმში, იუდაში, და აუშენოს სახლი უფალს, ისრაელის ღმერთს. ეს არის ღმერთი, რომელიც იერუსალიმშია. 4. დანარჩენებმა ყველამ თავის ადგილიდან, ვინც კი სადმე ცხოვრობს, ხელი გაუმართოს მას ვერცხლით, ოქროთი, ყოველნაირი ქონებით, პირუტყვით — ნებაყოფლობითი ძღვენიტურთ იერუსალიმში მყოფი ღვთის სახლისთვის. 5. გაემზადნენ იუდას და ბენიამინის მამათმთავარნი, მღვდლები და ლევიანები, ყველა, ვისაც კი იერუსალიმში მყოფთ უფლის ტაძრის ასაშენებლად გაუღვიძა სული ღმერთმა. 6. ყველამ, ვინც მათ გარშემო იყო, ხელი გაუმართა მათ ვერცხლის ჭურჭლით და ოქროულობით, ყოველნაირი ქონებით, პირუტყვით, ძვირფასეულობით, გარდა იმ ყველაფრისა, რაც ნებაყოფლობით გაიღეს. 7. მეფე კიროსმა გამოიტანა უფლის ტაძრის ჭურჭელი, რომელიც

ნაბუქოდონოსორს ჰქონდა წამოღებული, და მის ღმერთის ტაძარში ეწყო. 8. გამოიტანა ისინი მეფე კიროსმა, სპარსეთის მეფემ, შითრიდატ მეგანძურის ხელით. მან კი თვლით ჩააბარა შეშბაცარს, იუდაელ მთავარს. 9. აჰა, მათი რაოდენობა: ოქროს ლანგარი — ოცდაათი, ვერცხლის ლანგარი — ათასი, დანა — ოცდაცხრა, 10. ოქროს თასი — ოცდაათი, ვერცხლის ორმაგი თასი — ოთხას ათი, სხვა ჭურჭელი — ათასი. 11. ოქროსი და ვერცხლის ჭურჭელი სულ ხუთი ათას ოთხასი ცალი. ეს ყველაფერი წამოიღო შეშბაცარმა, როცა გადასახლებულნი ბაბილონიდან იერუსალიმში დააბრუნეს.

თავი მეორე

1. აჰა, ერთი მხარის მცხოვრებნი, რომლებიც გადასახლებული იყვნენ ბაბილონში ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ, და დაბრუნდნენ იერუსალიმში და იუდაში, თითოეული თავის ქალაქში, 2. ისინი, რომლებიც მოვიდნენ ზერუბაბელთან, იეშუაყთან, ნეემიასთან, სერაიასთან, რეყელაიასთან, მარდოხაისთან, ბილშანთან, მისფართან, ბიგვაისთან, რეხუმთან, ბაყანასთან ერთად. აჰა, ისრაელის ერის მამაკაცთა რიცხვი: 3. ფარყოშიანები, ორი ათას ასამოცდაათი, 4. შეფატიაანები: სამას სამოცდაათორმეტი, 5. არახიანები: შვიდას სამოცდაათოთმეტი, 6. ფახათ-მოაბიანები: იეშუაყიანთაგან და იოაბიან-

თავან ორი ათას რვაასთორმეტი, 7. ყელამიანები: ათას ორასორმოცდათოთხმეტი, 8. ზათიყიანები: ცხრაას ორმოცდახუთი, 9. ზაქაიანები: შვიდას სამოცი, 10. ბანიანები: ექვსას ორმოცდაორი, 11. ბეზაიანები: ექვსას ოცდასამი, 12. ყაზგალიანები: ათას ორას ოცდაორი, 13. აღონკამიანები: ექვსას სამოცდაექვსი, 14. ბიგვაიანები: ორი ათას ორმოცდათექვსმეტი, 15. ყადინიანები: ოთხას ორმოცდათოთხმეტი, 16. ხიჭკიანთ ატერიანები: ოთხმოცდათვრამეტი, 17. ბეცაიანები: სამას ოცდასამი, 18. იორაიანები: ასთორმეტი, 19. ხაშუმეიანები: ორას ოცდასამი, 20. გიბარიაანები: ოთხმოცდათხუთმეტი, 21. ბეთლემიანები: ას ოცდასამი, 22. ნეტოფას ხალხი: ორმოცდათექვსმეტი, 23. ყანათოთის ხალხი: ას ოცდარვა, 24. ყაზმაკეთის ხალხი: ორმოცდაორი, 25. კირიათ-ყარიმელები, ქეფირელები, ბეეროთელები: შვიდას ორმოცდასამი, 26. რამელები და გაბაყელები: ექვსას ოცდაერთი, 27. მთხმასის ხალხი: ას ოცდაორი, 28. ბეთელისა და ჰაგაის ხალხი: ორას ოცდასამი, 29. ნებოელები: ორმოცდათორმეტი, 30. მაგბიშელები: ას ორმოცდათექვსმეტი, 31. სხვა ყელამის მკვიდრნი: ათას ორას ორმოცდათოთხმეტი, 32. ხარიმიანები: სამას ოცი, 33. ლოდის, ხადიდის და ონოს ხალხი: შვიდას ოცდახუთი, 34. იერიზონელები: სამას ორმოცდათხუთმეტი, 35. სენაელები: სამი ათას ექვსას ოცდათი, 36. მღვდლები — იედაყიანები იეშუაყის სახლიდან: ცხრაას სამოცდაცამეტი, 37. იმერიანები: ათას ორმოცდათორმეტი, 38. ფაშურიაანები: ათას ორას ორმოცდაჩვიდმეტი, 39. ხარიმიანები: ათას ჩვიდმეტი, 40. ლევიანები — იეშუაყიანები და კანმეილიანები ჰოდავიანთაგან: სამოცდათოთხმეტი, 41. მგალობელი — ასაფიანები: ას ოცდარვა, 42. კარისმცველთა მოდგმა — შალემიანები, ატერიანები, ტალმონიანები, ყაკუბიანები, ხატიტიანები, შობაიანები: სულ ოცდაცხრა, 43. შეწირულნი — ციხაიანები, ხაშუმეიანები, ტაბაყო-

თიანები, 44. კეროსიანები, სოყაძიანები, ფადონიანები, 45. ელფინეანები, ხაგაბაიანები, ყაკუბიანები, 46. ხაგაბიანები, შამლიანები, ხანანიანები, 47. გიდელიანები, გახარიაანები, რეაიანები, 48. რეცინიანები, ნეკოდაიანები, გაზამიანები, 49. ასნაიანები, მყუნნიმიანები, ნეფუსიმიანები, 50. ბაქბუკიანები, ხაკუფიანები, ხარზურიანები, 51. ბაცლეთიანები, მებზიდაიანები, ხარშიაიანები, 52. ბარკოსიანები, სისრაიანები, თამახიანები, 53. ნეციახიანები, ხატიფაიანები, 54. სოლომონის ყმათა მოდგმა — სოტაიანები, სოფერეთიანები, ფერუდაიანები, 55. იაყალაიანები, დარკონიანები, გიდელიანები, 56. შეფატიანები, ხატილიანები, ფოხერეთ-ჰაკუბიმიანები, ამიანები, 57. შეწირულნი და სოლომონის ყმათა მოდგმა: სულ სამას ოთხმოცდაორი. 58. აჰა, თელ-მელახიდან, თელ-ხარშიდან, ქერუბ-ადან-იმერიდან გამოსულნი, რომელთაც ვერ შეძლეს ემცნოთ თავიანთ მამისახლებზე და მოდგმაზე, იყვნენ თუ არა ისინი ისრაელიდან: 59. დელიანები, ტოტიანები, ნეკოდაიანები: ექვსას ორმოცდათორმეტი; 60. მღვდელთა მოდგმა — ხაბაიანები, ჰაკოციანები, ბარზილაიანები, რომელთაც გალაადელი ბარზილაის ქალიშვილები მოიყვანეს ცოლად და მათ სახელზე დაეწერნენ. 61. ისინი ეძებდნენ თავიანთ გვარტომობის წიგნს და ვერ იპოვნეს და განეყენნენ მღვდლობიდან. 62. უთხრა მათ თირშათამ, რომ არ ექამათ წმიდათა წმიდადან, ვიდრე არ დადგებოდა მღვდელი ურბითა და თუმიით. 63. მთელი საზოგადოება ერთად შეადგენდა ორმოცდაორი ათას სამას სამოცი კაცს, 64. გარდა მათი ყმებისა და მხევლებისა. ესენი იყვნენ შვიდი ათას სამას ოცდაჩვიდმეტი, მათ შორის მგალობელი კაცები და მგალობელი ქალები: სულ ორასი სული. 65. მათი ცხენები — შვიდას ოცდათექვსმეტი, მათი ჯორები — ორას

ორმოცდათხუთმეტი, 67. მათი აქლე-
მები — ოთხას ოცდათხუთმეტი, ვირე-
ბი — ექვსი ათას შვიდასოცი, 68. მამათმთავრებმა უფლის ტაძართან მის-
ვლისას იერუსალიმში ნებაყოფლობით
გაიღეს შესაწირავი ღვთის ტაძრისათ-
თვის, რომ აღდგენილიყო იგი თავის სა-
ძირკველზე. 69. თავიანთი შეძლები-
სამებრ შეიტანეს სამუშაოთა ხარჯი-
სათვის საგანძურში: სამოცდაერთი
ათასი დრაქმა ოქრო, ხუთასი ათასი მი-
ნა ვერცხლი და ასი ხელი სამღვდლო
შესამოსელი. 70. დასახლდნენ მღვდლე-
ბი, ლევიანები, უბრალო ხალხი, მგოს-
ნები, კარისმკველები და შეწირულნი
თავთავიანთ ქალაქებში. მთელი ისრა-
ელი თავთავის ქალაქში დასახლდა.

თავი მესამე

1. დადგა მეშვიდე თვე და ისრაელი-
ანები უკვე ქალაქებში ესახლნენ, და
შეიკრიბა ერი იერუსალიმში როგორც
ერთი კაცი. 2. აღდგნენ იეშუაყ იოცადა-
კის ძე, მისი ძმები, მღვდლები — ზე-
რუბაბელ შალეთიელის ძე და მისი
ძმები და აუგეს ისრაელის ღმერთს
სამსხვერპლო, რათა აღსავლენი მსხვერ-
პლი შეეწირათ მასზე, როგორც მოსეს,
ღვთის კაცის, რჯულში იყო დაწერი-
ლი. 3. დადგეს სამსხვერპლო თავის
ადგილზე, რადგან უცხო ხალხების
შიში ჰქონდათ, და სწირავდნენ მასზე
აღსავლენ მსხვერპლს უფლისადმი დი-
ლით და საღამოთი. 4. მართავდნენ კა-
რობის დღესასწაულს დაწერილისა-
მებრ და სწირავდნენ დღიურ აღსავლენ
მსხვერპლს განსაზღვრულ რიცხვში,
ყოველდღიური წესის მიხედვით. 5.
ამის შემდეგ სწირავდნენ მუდმივ აღ-
სავლენს ახალმთავრობისას და ყოველ
საუფლო კურთხეულ დღესასწაულზე
და ყველასათვის, ვისაც ნებაყოფლობი-
თი შესაწირავი მიჰქონდა უფლისათვის.
6. მეშვიდე თვის პირველი დღიდანვე
დაიწყეს აღსავლენის შეწირვა უფ-
ლისადმი. უფლის ტაძრის საძირკვე-
ლი ჭერ კიდევ არ იყო ჩაყრილი. 7.
დაურიგეს ვერცხლი ქვისმთლელებს და

ხუროებს, საქმელ-სასმელი, და ზეთი
ციდონელებს და ტვირთს მათსა, რომ
მოეზიდნათ ნაძვის ძელებს ლიბანიდან
ზღვით იაფოში სპარსეთის მეფის, კი-
როსის მიერ მათთვის გაცემული ნე-
ბართვით. 8. ღვთის ტაძართან, იერუ-
სალიმში, მათი მოსვლის მეორე წლის
მეორე თვეს შეუდგნენ საქმეს ზერუ-
ბაბელ შალეთიელის ძე, იეშუაყ იო-
ცადაკის ძე და დანარჩენი მათი ძმე-
ბი, მღვდლები — ლევიანები და ტყვე-
ობიდან იერუსალიმში დაბრუნებულნი
მთელი ხალხი, და დაადგინეს ლევი-
ანები, ოც წელს გადაცილებულნი, უფ-
ლის სახლის სამუშაოების ზედამხედ-
ველებად. 9. დადგნენ იეშუაყი, მისი
შვილები და ძმები, კადმიელი, და მისი
შვილები, იუდას შვილები, როგორც
ერთი კაცი, ღვთის სახლში მომუშავეთა
ზედამხედველებად, აგრეთვე ენადა-
დიანები, მათი შვილები და მათი
ძმები, ლევიანები. 10. როცა მშენებ-
ლები შეუდგნენ უფლის ტაძრის სა-
ძირკველის ჩაყრას, დააყენეს შემოსი-
ლი მღვდლები საყვირებით და ლევი-
ანები, ასაფის ძენი, დაფდაფებით, რა-
თა ედიდებიანთ უფალი ისრაელის მე-
ფის, დავითის, წესის მიხედვით. 11.
უმღერდნენ ქება-დიდებას უფალსა:
„რადგან კეთილია, რადგან ისაუკუნ-
ოა მისი წყალობა ისრაელზე!“ მთელი
ხალხი კი მალალი ხმით ყვირებდა
უფლს ქება-დიდებას უფლის სახ-
ლის დაფუძნების გამო. 12. ბევრი
მღვდელი და ლევიანი, მამათმთავარ-
ნი, მოხუცებულნი, რომელთაც ნანაბი
ქქონდათ პირვანდელი ტაძარი, ხმა-
მალა ტიროდნენ, როცა მათ თვალ-
წინ საძირკველი ეყრებოდა ტაძარს.
ბევრი სიხარულას ყვირნას სცემდნენ.
13. ხალხი ვერ არჩევდა სიხარულის
ყვირნას და ტირილის ხმებს, რადგან
დიდი ხმით ყვირებდა ხალხი და შორს
ისმოდა შაფი ხმა.

თავი მეოთხე

1. გაიგეს იუდას და ბენიაშინის
მტრებმა, რომ ტაძარს უშენებდნენ

ტყვეები უფალს, ისრაელის ღმერთს. 2. მივიდნენ ზერუბაბელთან და მამათავერებთან და უთხრეს: ჩვენც თქვენთან ერთად ავაშენებთ, რადგან ჩვენც თქვენსავით ვეძებთ თქვენს ღმერთს, ჩვენც ვწირავთ მას მსხვერპლს აშურის მეფის, ასარხადონის, დროიდან, რომელმაც აქ წამოგვიყვანა. 3. მიუგეს მათ ზერუბაბელმა და იეშუაყამა, და ისრაელის ღმერთის მამათავერებმა: არ გამოვა ჩვენი ღვთის სახლის შენება თქვენთან ერთად, რადგან მართო ჩვენ უნდა აეუშენათ სახლი უფალს, ისრაელის ღმერთს, როგორც ნაბრძანები აქვს კიროს მეფეს, სპარსთა მეფეს. 4. მაშინ დაიწყო იქაურმა ხალხმა იუდას ხალხს ხელის შესლა და დაბრკოლება ტაძრის შენებაში. 5. დაიწყეს მათ წინააღმდეგ მრჩევლების მოსყიდვა, რომ ჩაეფუშათ მათი განზარტება. ასე იტყუოდნენ სპარსთა მეფის, კიროსის დროს, დარიოსის სპარსთა მეფის მეფობამდე. 6. ხოლო ახაშვეროშის მეფობისას, მისი მეფობის დასაწყისში დაწერეს დაბეზღების წერილი იუდაზე და ბენიამინზე. 7. ართახშაშთას დროს კი ბიშლამმა, მითრედატმა, ტაბეელმა და სხვა თანამდგომებმა მისწერეს ართახშაშთას, სპარსთა მეფეს. უსტარი დაწერილი იყო არამეულად და თარგმნილი იყო არამეულიდან. 8. რეხუმ განმკარგულებელმა და შიმშიი მწერალმა ასეთი წერილი მისწერეს იერუსალიმის წინააღმდეგ ართახშაშთა მეფეს. 9. რეხუმ განმკარგულებელმა, შიმშიი მწერალმა და სხვა თანამდგომებმა — მსაჯულებმა, დესპანებმა, მდივნებმა, გამგებლებმა, ერეხელებმა, ბაბილონელებმა, შუშანელებმა ანუ ელამელებმა, 10. დანარჩენმა ხალხმა, რომლებიც აპყარა დიდმა და სახელოვანმა ასნაფარმა და სამარიის ქალაქში დაასახლა, დანარჩენმა მდინარისგალმელებმა და სხვებმა. 11. აჰა, შინაარსი წერილისა, რომელიც გაუგზავნეს მას: „ართახშაშთა მეფეს შენი მსახურნი მდინარისგალმელნი და სხვები.

12. იცოდეს მეფემ, რომ იუდაელნი, რომელნიც შენგან გამოვიდნენ, ჩვენთან არიან მოსულნი იერუსალიმში, მუცხანყე და საძაგელ ქალაქს აშენებენ, კედლები აპყავთ და ბურჯებს ამაგრებენ. 13. ახლა იცოდეს მეფემ, რომ თუ ეს ქალაქი აშენდა, და კედლები გასრულდა, არც ხარკს, არც გადასახადს, არც ბეგარას არ გადაიხდის, და სამეფო ხაზინას დააზარალებს. 14. და რაკი ჩვენ სასახლის მარლით ვსაზრდოობთ და მეფის ზარალის ყურება არ შეგვფერის, ამიტომაც ვიუწყებით და ვატყობინებთ მეფეს: 15. რომ მოჩხრიკონ შენი მამაპაპის მატთან და ნახავ მატთანში და გაიგებ, რომ ეს ქალაქი მოჯანყე და საძაგელი ქალაქია მეფეთათვის და ქვეყნისთვის, რომ ძველთაგანვე ამბოხებები ზდებოდა იქ, რისთვისაც განადგურებული იქნა ეს ქალაქი. 16. ვატყობინებთ მეფეს, რომ თუ ეს ქალაქი აშენდა და კედლები დასრულდა, არავითარი წილი აღარ გექნება წყალგალმიდან. 17. განკარგულება გაუგზავნა მეფემ რეხუმ განმკარგულებელს და შიმშიი მწერალს და სხვა მოხელეებს, რომლებიც ეხოვრობდნენ სამარიაში და სხვა მდინარის გალმურ ქალაქებში — მოკითხვით და ასე და ასე. 18. წერილი, რომელიც გამოიგზავნეთ, საჯაროდ იქნა წაკითხული ჩემს წინაშე. 19. მეც გავეცი ბრძანება, ეძიეს და აღმოაჩინეს, რომ ეს ქალაქი ძველთაგანვე უჯანყდებოდა მეფეებს, შფოთი და არეულობა იყო იქ. 20. ძლიერი მეფეები განაგებდნენ იერუსალიმს, ეპყრათ მთელი მდინარის გაღმა მხარე, ხარკი, გადასახადი და ბეგარა ეძლეოდათ მათ. 21. ახლა გავეცით ბრძანება, შეწყვიტოს მუშაობა ამ ხალხმა, რომ არ აშენდეს ეს ქალაქი, ვიდრე ჩემგან არ გამოვა ბრძანება. 22. ფრთხილად იყავით, არაფერი გამოგეპაროთ ამ საქმეში. რისთვის უნდა გამრავლდეს ბოროტება მეფეთა საზიანოდ? 23. როგორც კი მეფე ართახშაშთას წერილი წაკითხულ იქნა რეხუმის, შიმშიი მწერლის და მათ

თანამდგომთა წინაშე, დაუყოვნებლივ წაეიდნენ ისინი იერუსალიმში იუდაელებთან და მაგარი ხელით შეაწყვეტინეს მუშაობა. 24. მაშინ შეწყდა ღვთის სახლის შენება იერუსალიმში და შეწყვეტილი იყო სპარსთა მეფის, დარიოსის მეფობის მეორე წლამდე.

თავი მესამე

1. წინასწარმეტყველებდნენ ანგია წინასწარმეტყველი და ზაქარია ყიღოს ძე, წინასწარმეტყველნი, იუდაელებზე, რომელნიც იუდაში და იერუსალიმში ჩუყვნენ, ისრაელის ღვთის სახელით. 2. მაშინ ადგნენ ზერუბაბელ სალათიელის ძე და იეშუყაყ იოცადაკის ძე და შეუდგნენ ღვთის სახლის შენებას იერუსალიმში. მათთან იყვნენ ღვთის წინასწარმეტყველნი და მხარს უჭერდნენ მათ. 3. იმ ხანდევ მივიდა მათთან თათნაი, მდინარისგაღმელი განმგებელი, ბეთარ-ბოზნაი და მათი თანამდგომნი და ასე უთხრეს მათ: ვინ მოგცათ ნება ამ სახლის აშენებისა და კედლების აყვანისა? 4. მაშინ ასე ვუთხარით მათ: რა ჰქვიათ მათ, ვინც ამ შენობას აგებენ? 5. მათი ღვთის თვალი იყო იუდაელ უხუცესებზე და ვერ დაუშალეს ვიდრე დარიოსს არ შეატყობინეს ამბავი და უკანვე არ დააბრუნეს წერილი ამ საქმეზე. 6. ცალი წერილისა, დარიოს მეფისადმი, რომელიც გაგზავნეს თათნაიმ, მდინარისგაღმელმა განმგებელმა, შეთარ-ბოზნაიმ და მათმა თანამდგომებმა, ხელისუფლებმა, მდინარის გაღმა რომ არიან. 7. წერილი გაუგზავნეს მას და, აი, რა ეწერა მასში: დარიოს მეფეს დღეგრძელობა. 8. იცოდეს მეფემ, რომ ჩვენ ვიყავით იუდას მხარეში დიდი ღვთის ტაძართან. დიდრონი ქვებისგან შენდება იგი, კედლებში ძელებს ატანენ. მუშაობა სწრაფად მიდის და წარმატებით სრულდება მათ ხელში. 9. მაშინ შევეკითხეთ იმ უხუცესებს, ასე ვუთხარით: ვინ დაგროთოთ ნება ამ სახლის შენებისა და კედლე-

ბის ამოყვანისა? 10. მათი სახელუბიკ გამოვიკითხეთ, რომ გვეცნობებოდა შენთვის და დაგვეწერა იმანთა სახელები, რომლებიც სათავეში უდგანან მათ. 11. ხოლო მათ ასეთი პასუხი გაგვცეს: ჩვენ ვართ მსახურნი ცისა და მიწის ღმერთისა, ვაშენებთ სახლს, რომელიც მრავალი წლის წინათ აშენდა. ისრაელის დიდი მეფე აშენებდა მას და დაასრულა კიდევ. 12. მას მერე, რაც ჩვენმა მამა-პაპამ განარისხა ცათა ღმერთი, მან ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, ჭლდეველს, ჩაუგდო ისინი ხელში, რომელმაც ეს სახლი დაანგრია და ხალხი ბაბილონში გადაასახლა. 13. მაგრამ ბაბილონის მეფის კიროსის პირველ წელს კიროს მეფემ გასცა განკარგულება ამ ღვთის სახლის ასაშენებლად. 14. ხოლო ღვთის სახლის ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც ნაბუქოდონოსორმა გაზიდა იერუსალიმის ტაძრიდან და მიიტანა ბაბილონის ტაძარში, უკანვე წამოიღო კიროს მეფემ ბაბილონის ტაძრიდან და ჩააბარეს კაცს, სახელად შეშბაცარს, მხარის განმგებლად რომ ჰყავდა დანიშნული. 15. უთხრა: წაიღე ეს ჭურჭელი, წადი და დააწყვე იერუსალიმის ტაძარში და აშენდეს ღვთის სახლი თავის ძველ ადგილზე. 16. მაშინ მოვიდა ის შეშბაცარი და დაუდო საფუძველი ღვთის სახლს იერუსალიმში. მას შემდეგ შენდება იგი და ჯერ არ გასრულებულა. 17. ახლა თუ ინებებს მეფე, მოიძიონ სამეფო წინგთსაცავში, იქ, ბაბილონში, ნამდვილად გასცა თუ არა კიროს მეფემ განკარგულება ამ ღვთის სახლის ასაშენებლად იერუსალიმში, და გამოვიგზავნონ მეფის გადაწყვეტილება ამ საქმის თაობაზე.

თავი მეთხუთსე

1. მაშინ დარიოს მეფემ გასცა განკარგულება და დაიწყეს ძებნა წიგნთსაცავებში, სადაც განძეულობა ინახებოდა იქ, ბაბილონში. 2. იპოვეს ეკბატანაში, მიდიის მხარის ციხე-ქალაქ-

ში, ერთი გრაფნილი, რომელზედაც ეწერა: „სამახსოვრო“. 3. კიროს მეფის პირველ წელს კიროს მეფემ გასცა განკარგულება ღვთის სახლის თაობაზე იერუსალიმში: აშენდეს სახლი, ადგილი, სადაც მსხვერპლს სწირავენ, მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს შენობას. სიმაღლე სამოცი წყრთა იყოს, სიგანეც — სამოცი წყრთა. 4. სამი რიგი დიდრონი ქვებისგან იყოს და ერთი რიგი — ძელებიდან. ხარჯებს მეფის სასახლე გაასწორებს. 5. ღვთის სახლის კურკველიც, ოქროსი, ვერცხლისა, რომლებიც ნაბუქოდონოსორმა გაიტანა იერუსალიმის ტაძრიდან და ბაბილონში წაიღო, უკან დაბრუნდეს თავის ადგილზე იერუსალიმის ტაძარში და ღვთის სახლში დაბინავდეს. 6. ასე რომ, თათნაი, მდინარისგალმელი განმგებელი, შეთარ-ბოზნაი და მათი თანამდგომნი, მდინარის გაღმელი ხელისუფალნი, უნდა დაეხსნან მათ. 7. დაანებონ ამ ღვთის სახლის შენება, ააშენონ იუდას განმგებელმა და იუდას უბუცესებმა ეს ღვთის სახლი თავის ადგილზე. 8. ვიძლევი განკარგულებას იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაუკეთოთ იუდას უბუცესებს ღვთის სახლის ასაშენებლად: სამეფო ხაზინიდან და მდინარის გაღმა მხარის შემოსავლიდან სასწრაფოდ მიეცეს სახარჯოდ იმ ხალხს, რათა არ შეწყდეს მშენებლობა, 9. რაც საჭიროა, ხბოები იქნება. ვერძი თუ ბატყანი, ცათა ღმერთისთვის აღსავლენად, ხორბალი, მარილი, ღვინო, ზეთი, როგორც იერუსალიმელი მღვდლები იტყვიან, მიეცეს მათ ყოველდღიურად, შეუწყვეტლივ, 10. რათა შესწირონ სურნელოვანი მსხვერპლი ცათა ღმერთს და ილოცონ მეფისა და მისი შვილების სიციცხლისათვის. 11. ვიძლევი განკარგულებას, რომ თუ ვინმე გადავა ამ სიტყვას, მისი სახლიდან გამოღებულ ძელზე აიყვანონ და მიაღუტონ, სახლი კი სანაკვედ აქციონ ამის გამო. 12. ღმერთმა, რომლის სახელიც იქ

არის დაგანებული, დაამხოს ყოველ მეფე და ხალხი, რომელიც ჩელებელმართავს, რომ შეცვალოს ეს წარმოცნა ან მიაყენოს ამ ღვთის სახლს იერუსალიმში. მე, დარიოსი, ვიძლევი განკარგულებას: დაუყოვნებლივ შესრულდეს! 13. მაშინ თათნაიმ, მდინარისგალმელმა განმგებელმა, შეთარ-ბოზნაიმ და მათმა თანამდგომებმა დარიოს მეფის ბრძანებისამებრ დაიწყეს დაუყოვნებლივ მოქმედება. 14. იუდას უბუცესები აშენებდნენ და ხელი ემართებოდათ თანახმად ანგია წინასწარმეტყველისა და ზაქარია ყიდოს ძის წინასწარმეტყველებისა, ააშენეს და გაასრულეს ისრაელის ღვთის ნებით, კიროსის, დარიოსის, ართაქშაშთას, სპარსთა მეფის, ნებით. 15. დამთავრდა ეს სახლი ადარის თვის მესამე დღეს, მეფე დარიოსის მეფობის მეექვსე წელს. 16. სიხარულით შეასრულოს ისრაელიანებმა, მღვდლებმა, ლევიანებმა და დანარჩენმა გადანასახლებმა ხალხმა ამ ღვთის სახლის სატფურება, 17. მოიყვანეს ამ ღვთის სახლის სატფურებისთვის ასი ხარი, ორასი ვერძი, ოთხასი ბატყანი და თორმეტი თხა ისრაელის შტოთა რიცხვის მიხედვით მთელი ისრაელის ცოდვის გამოსასყიდად. 18. დააყენეს მღვდლები მათი ხარისხების მიხედვით და ლევიანები მათი რიგის მიხედვით ღვთის სამსახურისთვის იერუსალიმში, როგორც მოსენს წიგნში სწერია. 19. გადაიხადა პასექი გადანასახლებმა ხალხმა პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს. 20. განიწმინდნენ მღვდლები და ლევიანები, როგორც ერთი კაცი ყველანი წმიდები გახდნენ. და დაკლეს პასექი გადანასახლები ხალხისთვის, თავიანთი თვისტომი მღვდლებისთვის და საკუთარი თავისთვის. 21. გამდნენ გადასახლებიდან დაბრუნებული ისრაელიანები და ყველანი, ვინც განუღვა ქვეყნის ხალხის ბიწიერებას და შეუერთდნენ მათ, რათა შეხეწოდნენ უფალს, ისრაელის ღმერთს. 22. ზეიმობდნენ უფუარობის დღესასწაულს შვიდ დღეს სიხარულით.

რადგან გაახარა ისინი უფალმა და გუ-
ლი მოაბრუნებინა მათკენ აშურის მე-
ფეს, რომ ხელი გაემაგრებინა მათთვის
ღვთის სახლის, ისრაელის ღვთის სახ-
ლის შენებისას.

თავი მეთხმდე

1. ამ ამბების შემდეგ სპარსთა მე-
ფის ართახშასთას მეფობაში ეზრა, ძე
სერაიასი, ძისა ყაზარიასი, ძისა ხილკი-
ასი, 2. ძისა შალუმისა, ძისა ცადოკისა,
ძისა ახიტუმისა, 3. ძისა ამარიასი,
ძისა ყაზარიასი, ძისა მერაიოთისა, 4.
ძისა ზერაბიასი, ძისა ყუზისა, ძისა ბუ-
კისა, 5. ძისა აბიშუაყისა, ძისა ფინ-
ხასისა, ძისა ელყაზარისა, ძისა აარო-
ნისა, მღვდელმთავრისა, 6. ეზრა წა-
მოვიდა ბაბილონიდან. იგი იყო მწიგ-
ნობარი, ჩახედული მოსეს რჯულში,
რომელიც მისცა უფალმა, ისრაელის
ღმერთმა. შეუსრულა მას მეფემ ყვე-
ლა სათხოვარი, რადგან უფლის, მი-
სი ღვთის ხელი იყო მასზე. 7. წავიდ-
ნენ ისრაელიანთაგან, მღვდელთაგან,
ლევიათაგან, მგალობელთაგან, კარის-
კაცთაგან და შეწირულთაგან იერუსა-
ლიმში მეფე ართახშასთას მეშვიდე
წელს, 8. და მივიდა იერუსალიმში მე-
ხუთე თვეს, მეფის მეშვიდე წელს,
9. რადგან პირველი თვის პირველი
დღე იყო დასაწყისი ბაბილონიდან წა-
მოსვლისა და მეხუთე თვის პირველ
დღეს მივიდა იერუსალიმში, რადგან
მისი ღვთის სასიკეთო ხელი იყო მასზე.
10. რადგან გულს იდგა ეზრამ უფლის
რჯულის ძიება, მისი შესრულება და
წესისა და სამართლის სწავლება ის-
რაელში. 11. აჰა, პირი წერილისა, რო-
მელიც მისცა მეფე ართახშასთას ეზრას,
მღვდელს, სწავლულს, უფლის მცნე-
ბათა და წესთა მოძღვარს ისრა-
ელში: 12. ართახშასთა, მეფეთა მე-
ფე, ეზრას, მღვდელს, ცათა ღმერთის
რჯულის სრულყოფილ მოძღვარს და
ასე და ასე. 13. ვიდრევი განკარგულე-
ბას, რომ თუ ვინმეს ისრაელის ერი-
დან — მღვდლებს და ლევიალებს, გა-

დაწყვეტილი აქვთ იერუსალიმში წასე-
ლა, შენთან ერთად წავიდეს, 14. რად-
გან შენ იგზავნები მეფისგან და მისი
შვიდი მრჩევლისგან, რათა მოიხილო
იუდა და იერუსალიმი შენი ღვთის
რჯულის მიხედვით, რომელიც შენს
ხელთაა, 15. და წაიღო ვერცხლი და
ოქრო, მეფემ და მისმა მრჩევლებმა
რომ შესწირეს ისრაელის ღმერთს,
რომლის საეანე იერუსალიმშია. 16.
და მთელი ვერცხლი და ოქრო, რასაც
მოიპოვებ მთელს ბაბილონში, იმ
ერისკაცთა და მღვდელთა შემოწი-
რულობასთან ერთად, რომელნიც შეს-
წირეს თავიანთი ღმერთის სახლს იე-
რუსალიმში. 17. ამიტომაც დაუყოვნებ-
ლივ იყიდე ამ ვერცხლით ხარები,
ვერძები და ბატკნები და სამაგათო
საძღვნო შესაწირავი და ზედაშე, და
მიიტანე ისინი თქვენი ღმერთის სამ-
სხვერპლოზე, იერუსალიმში. 18. და
როგორც უკეთესად მოიჩნევთ შენ და
შენი თვისტომნი, თქვენი ღვთის ნე-
ბით, ისე მოიხმარეთ დარჩენილი ოქ-
რო-ვერცხლი. 19. ქურჭელი, რომე-
ლიც მოგეცა შენი ღვთის სახლის სამ-
სახურისთვის, დაუბრუნე იერუსალიმელ
ღმერთს. 20. შენი ღვთის სახლის და-
ნარჩენი სამსახურებელი ნივთი, რისი
მიცემაც მოგესურვება, მიეცი სამეფო
საგანტურიდან. 21. ვიდრევი განკარ-
გულებას მე, ართახშასთა მეფე, მდი-
ნარისგადმემლი ყველა მეგანტურის მი-
მართ, რომ რასაც კი მოგთხოვთ ეზრა,
მღვდელი და ცათა ღმერთის რჯულის
მოძღვარი, დაუყოვნებლივ შესრულ-
დეს. 22. ვერცხლი ას ქანკარამდე, ხორ-
ბალი ას ქორამდე, ღვინო ას ბათამდე,
ზეთი ას ბათამდე, და მარილი დაუწე-
რელად. 23. ყველაფერი, რაც კი ნა-
ბრძანები აქვს ცათა ღმერთს, ბეჭითად
უნდა გაკეთდეს ცათა ღმერთის სახ-
ლისათვის, რათა არ დაატყდეს მისი
რისხვა სამეფოს, მეფეს და უფლისწუ-
ლებს. 24. გაცნობებთ, რომ არც ერთ
მღვდელს და ლევიას, არც ერთ მგა-
ლობელს და შეწირულ კარისკაცს, ამ
ღვთის სახლში მომსახურეს, არ დაე-

კისროს არც ხარკი, არც გადასახადი, და არც ბეგარა. 25. შენ კი, ეზრა, შენი ღმერთის სიბრძნით, რომელიც შენს ხელთაა, დაადგინე მსაჯულები და მოსამართლეები, რომლებიც სამართალს გაუჩენენ მთელს ერს, მდინარესგაღმელს, ყველას, ვინც იცის შენი ღმერთის რჯული, ხოლო ვინც არ იცის, ასწავლეთ. 26. ყველა, ვინც არ შეასრულებს შენი ღმერთის რჯულს და მეფის რჯულს, დაუყოვნებლივ უნდა გასამართლდეს: ან სიკვდილით დაისაჯოს, ან მოიკვეთოს, ან დაჯარიმდეს და დატუსაღდეს. 27. კურთხეულ იყოს უფალი, ჩვენი მამა-პაპის ღმერთი, რომელმაც შთააგონა მეფეს შეემკო უფლის სახლი იერუსალიმში. 28. და წყალობით მოახდდა ჩემსკენ მეფე და მისი მრჩევლები, მეფის ძლიერი მთავრები, მეც გაუმზნევდი, რადგან უფლის, ჩემი ღმერთის ხელი იყო ჩემზე და შეგკრიბე ისრაელიანი მთავრები, რომ ჩემთან ერთად წამოსულიყვნენ.

თავი მეხვ

1. აჰა, მათი მამათმთავარი და მათი გვარტომობა, ვინც ჩემთან ერთად წამოვიდნენ ბაბილონიდან მეფე ართახშასთან შეფობაში. 2. ფინხასიანთაგან გერშომი, ითამარიანთაგან დანიელი, დავითიანთაგან ხატუში. 3. შექანიანთაგან ფარყოსი, ზაქარია და მასთან მითვლილი ასორმოცდაათი მამროვანი. 4. ფახათ-მოაბიანთაგან ელიეპოყენაი, ზაქარიას ძე, და ორასი მამროვანი მასთან ერთად. 5. შექანიანთაგან იახაზიელის ძე და სამასი მამროვანი მასთან ერთად. 6. ყადნიანთაგან ებედ იონათანის ძე და ორმოცდაათი მამროვანი მასთან ერთად. 7. ყელამიანთაგან იეშაია ყათალიას ძე და სამოცდაათი მამროვანი მასთან ერთად. 8. შეფატინთაგან ზებადია მიქაელის ძე და ოთხმოცი მამროვანი მასთან ერთად. 9. იობიანთაგან ყობადია იეზიელის ძე და ორასთერამეტი მამროვანი მასთან ერთად. 10. ბაყა-

ნიანთაგან შელომითი იოსიფიას ძე და სამოცი მამროვანი მასთან ერთად. 11. ბებაიანთაგან ზაქარიას ძე და ოცდარვა მამროვანი მასთან ერთად. 12. ყაზგადიანთაგან იოხანან ჰაქატანის ძე და ასათი მამროვანი მასთან ერთად. 13. აღონიკაიანთაგან — უქანასკენელი და, აჰა, მათი სახელები: ელიფელუტი, იეყიელი, შემაყია და სამოცი მამროვანი მათთან ერთად. 14. ბიგვიანთაგან ყუთაი, ზაბუდი და სამოცდაათი მამროვანი მათთან ერთად. 15. შეგყარე ისინი მდინარესთან. რომელიც აჰავას ერთვის, და ვიდეკით იქ სამდღეს. გამოვიკვლიე ერი და სამღვდლო ხალხი და ლევიანთაგან ვერავინ ვპოვე მათ შორის. 16. დავიბარე ელიეზერი, არიელი, შემაყია, ელნათანი, იარიბი, ელნათანი, ნათანი, ზაქარია, მეშულამი — თავაკანი, იოარიბი და ელნათანი — სწავლულნი, 17. და გავგზავნე იდოსთან, ქასიფიას ადგილის უფროსთან, და შევეუთაღე მათი პირით იდოს და მის თვისტომთ, შეწირულთ, ქასიფიაში მყოფთ, რომ ჩვენი ღმერთის მსახურნი გამოეგზავნათ ჩვენთვის. 18. და მათაც, რადგან ჩვენი ღმერთის სასიკეთო ხელი იყო ჩვენზე, გამოგვიგზავნეს ერთი გონიერი კაცი მახლიანთაგან — ლევიანი, ისრაელიანი, სახელად შერებია, მისი ვაჟები და ძმები — სულ თვრამეტი კაცი, 19. და ხაშაბია და მასთან ერთად იეშაყია მერარიანთაგან, მისი ძმები და ოცი ვაჟი, 20. და შეწირულნი, რომლებიც მსახურებად მისცეს დავითმა და მთავრებმა ლევიანებს. თითოეული მათგანის სახელი ცნობილი იყო. 21. გამოვაცხადე მარხვა იქ, მდინარე აჰავას ნაპირას, რომ ქედმოდრეკილი ვყოფილიყავით ჩვენი ღმერთის წინაშე და ვგვეკითხა მისგან მშვიდობიანი გზა ჩვენთვის, ჩვენი ბავშვებისთვის და მთელი ჩვენი საბადებლისთვის. 22. რადგან მრცხვენოდა მეტხოვა მეფისთვის ჯარი და მხედრობა, რომ გზაში მტრებისაგან დაეცვათ ჩვენი თავი, რადგან ნათქვამი გვექონდა მეფისთვის:

სასიკეთოა ჩვენი ღვთის ხელი ყველა-სთვის, ვინც კი ევედრება მას, ხოლო მისი ძალა და რისხვა თავს ატყდება ყველას, ვინც მას მიატოვებს. 23. ვმარხულობდით და ამას შეგვსთხოვდით ჩვენს ღმერთს და მანაც ისმინა ჩვენი. 24. გამოგყავი მღვდლები ეფროსებიდან თორმეტი კაცი — შერებია, ხაშაბია და მათთან ერთად ათი კაცი მათი ძმებიდან. 25. და წონით ჩაებაარე მათ ოქრო-ვერცხლი და კურქელი, ჩვენი ღვთის სახლისადმი შეწირული, რომელიც მეფემ, მისმა მრჩეველებმა და ყველა იქ მყოფმა ისრაელიანმა შესწირეს ჩვენი ღვთის სახლს. 26. წონით ჩაებაარე ხელში: ექვსას ორმოცდაათი ქანქარი ვერცხლი და ასი ქანქარი ვერცხლის კურქელი, ოქრო ასი ქანქარი, 27. ოცი ათასდრამიანი ოქროს თასი და ბრწყინვალე სპილენძის ორი საუკეთესო კურქელი, რომელთაც ოქროს ფასი აქვთ. 28. ვუთხარი მათ: თქვენ წმიდა ხართ უფლისათვის და კურქელნიც წმიდაა. ვერცხლი და ოქრო ნებაყოფლობითი შეწირულობაა უფლის, თქვენი მამა-პაპის ღმერთისადმი. 29. ფხიზლად იყავით და გაუფრთხილდით, სანამ წონით ააბარებდეთ მღვდლების უფროსებს, ლევიანებს და ისრაელის მამათა უფროსებს იერუსალიმში, უფლის სახლის საგანძურში. 30. ჩაიბარეს მღვდლებმა და ლევიანებმა აწონილი ოქრო-ვერცხლი და კურქელი ჩვენი ღმერთის სახლში წასაღებად იერუსალიმში. 31. დავიძარით მდინარე აპავადან პირველი თვის მეთორმეტე დღეს იერუსალიმში წასასვლელად და ჩვენი ღმერთის ხელი იყო ჩვენზე, გვიცავდა მტრის ხელისგან და გზაში ჩასაფრებელი მზირებისგან. 32. მივედით იერუსალიმში და დავრჩით იქ სამ დღეს. 33. მეოთხე დღეს წონით ჩაბარდა ოქრო-ვერცხლი და კურქელი ჩვენი ღმერთის სახლში მერემოსს, ურიას ძეს, მღვდელს, და ელყაზარს, ფინხასის ძეს, მასთან ერთად და იოზაბადას, იეშუაყის ძეს, ნოყადიას, ბინყის

ძეს, ლევიანებს, მათთან ერთად. 34. ყველაფერი თვლითა და წუნეთნაბარდა. ამ დროსვე იქნა ჩაწერული მღვდელთა წონა. 35. ტყვეობიდან დაბრუნებულმა გადაანასახლებმა ხალხმა შესწირა აღსავლენი ისრაელის ღმერთს — თორმეტი ხზო მთელს ისრაელზე, ოთხმოცდათექვსმეტი ვერძი, სამოცდაჩვიდმეტი ბატკანი, თორმეტი თხა ცოდვის გამოსასყიდად, ყველაფერი აღსავლენ მსხვერპლად შეიწირა უფლისადმი. 36. გადასცეს მეფის განკარგულება მეფის ხელისუფლებს და მდინარის-გალმელ განმგებლებს. მათაც ხელი შეუწყვეს ერსა და ღვთის სახლს.

თავი მესხრა

1. ეს ყველაფერი რომ დასრულდა, მოვიდნენ ჩემთან თავკაცები და მითხრეს: არ განდგომიან ისრაელის ერი, მღვდლები და ლევიანები ამ ქვეყნების ხალხთა — ქანაანელთა, ხეთელთა, ფერიზეველთა, იებუსელთა, ამონელთა, მოაბელთა, ეგვიპტელთა და ამორეველთა სიბილწეებს, 2. რადგან მოიყვანეს მათი ასულები თავიანთთვის და თავიანთი ვაჟიშვილებისათვის, და შეერია წმიდა თესლი ამ ქვეყნების ხალხებს. მთავარი ხელი ამ დანაშაულში თავკაცებსა და ბელადებისაა. 3. ამ ამბის გაგონებისას შემოვივლიჯე სამოსელი და მოსახლამი, თმას და წვერს ვიგლეჯდი და დამწუხრებული ვიქაბი. 4. თავი მოიყარეს ჩემთან ყველამ, ვინცა ეშინოდა ისრაელის ღვთის განაჩენისა გადანასახლები ხალხის დანაშაულის გამო. მე კი დამწუხრებული ვიქაბი მწუხრის მსხვერპლშეწირვამდე. 5. ხოლო მწუხრის მსხვერპლშეწირვისას წამოვდექი ჩემი მარხულობიდან და სამოსელშემოგლეჯილი დავეცი მუხლებზე და ხელი აღვაპყრე უფლის, ჩემი ღმერთის მიმართ, 6. და ვთქვი: ღმერთო ჩემო! მრცხვენია და ვერ ვებედავ საბის აღმართვას, ღმერთო, შენს მიმართ, რადგან ჩვენი უზნეობანი თავზე გადაგვდის და ჩვენი

დანაშაული ცას მისწვდა. 7. ჩვენი მამა-პაპის ღრობიდან დღემდე დიდ დანაშაულში ვართ. ჩვენს უზნეობათა გამო ჩავცვივდით ჩვენ, ჩვენი მეფეები და ჩვენი მღვდლები, უცხო ქვეყნების მეფეთა ხელში, მახვილის ქვეშ და ტყვეობაში, გავხდით სათარეშოდ და სამასხარაოდ. როგორც დღესა ვართ.

8. ახლა მაინც მოგვხედა სიბრალეულით უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, რომ ეხსნა ჩვენი ნარჩოში და დავემაგრებინეთ მისი სიწმიდის ადგილას, რომ გაენათებინა ჩვენი თვალები ჩვენს ღმერთს და ცოტათი მაინც გავეცოცხლებინეთ ჩვენს მონობაში. 9. ჩვენ ხომ მონები ვართ, მაგრამ მონობაშიც არ მივუტოვებვართ ჩვენს ღმერთს: წყალობით მოახედა ჩვენსკენ სპარსთა მეფეები, რომ გავეცოცხლებინეთ, რომ აღგვემართა ჩვენი ღვთის სახლი, აღგვედგინა ნანგრევებიდან და თავშესაფარი მოგვეცემოდა იუდაში და იერუსალიმში. 10. ახლა კი, რა უნდა ვთქვათ, ღმერთო, ამის შემდეგ, როცა დავივიწყეთ შენი მცნებები, 11. შენ მსახურთა, წინასწარმეტყველთა, ხელით რომ გვაძენე, ქვეყანა, რომლის დასამკვიდრებლად მიდიხართ, უწმიდურია იქ მცხოვრებთა უწმიდურობის და სიბილწეთა გამო, კიდით კიდემდე აქვთ ავსებული თავიანთი სიბინძურითო? 12. ამიტომ თქვენი ასულები არ გაატანოთ მათ ვაჟებს და თქვენი ვაჟებისთვისაც არ მოიყვანოთ მათი ასულები. ნუ ეძებთ მათ მშვიდობას და სიკეთეს უკუნისამდე, რომ მტკიცედ იყოთ და ქამოთ ქვეყნის დროებით და უკუნისამდე დაუშკვიდროთ იგი თქვენს შთამომავლობას. 13. და ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავს დაგვატყდა ჩვენი ავი საქმეებისა და დიდი დანაშაულის გამო (თუმცა შენ, ღმერთო ჩვენო, დაგვინდე, მიუხედავად ჩვენი უკეთურებისა, და მოგვივლინე ხსნა), 14. ნუთუ კვლავ გადავალთ შენს მცნებებს და დავუპოყვრდებით ამ ბილწ ხალხებს? ხომ მოგვსპობს შენი რისხვა, ისე რომ ჩვენი ნატამალიც არ დარჩება?

15. უფალო, ღმერთო ისრაელისა! შენ სამართლიანი ხარ, რადგან შენ დაგვინილი ვართ ნარჩოში დღემდე. ამა, შენს წინაშე ვართ ჩვენი ცოდვებითურთ და არ ძალგვიძს შენს წინაშე დგომა ამის გამო.

თავი მათე

1. როცა ლოცულობდა ეზრა, როცა მტირალი და მონანული განრთხმული იყო ღვთის სახლის წინ, თავი მოეყარა მის გარშემო ისრაელიანთა დიდძალ კრებულს, კაცსა და ქალს, დიდსა და პატარას, და ცხარე ცრემლით ტიროდა ხალხი. 2. მიუგო ბექანია იებიელის ძემ, ყელამიანთაგან, და უთხრა ეზრას: დამნაშავენი ვართ ჩვენი ღმერთის წინაშე: უცხოელი ქალები დავისვით ცოლად. ამ ქვეყნის ხალხთა ასულები. ახლა ერთი იმედილა დარჩენია ისრაელს: 3. აღუთქვათ ჩვენს ღმერთს, რომ ყველანი გავუშვებთ ცოლებს და მათ მონაშენს ჩემი ბატონის რჩევით და ჩვენი ღმერთის მცნებათა მოშიში ხალხის რჩევით. რჯულისამებრ იყოს. 4. ადექი, რადგან შენზეა ეს საქმე და ჩვენც შენთანა ვართ. გამხნევდი და იმოქმედე. 5. ადგა ეზრა და დააფიცა მღვდელთა უფროსები, ლევიანები და მთელი ისრაელი, რომ ასე მოიქცეოდნენ. მათაც დაიფიცეს. 6. ადგა ეზრა ღვთის სახლის წინაშედან. წავიდა იოხანან ელიაშბის ძის სადგომისკენ და შევიდა იქ. პური არ უქამია, არც წყალი დაუღევია, რადგან მწუხარებდა გადანასახლები ხალხის დანაშაულის გამო. 7. გამოუხბადეს იუდასა და იერუსალიმში მყოფ ყველა გადანასახლებს, რომ იერუსალიმში მოეყარათ თავი. 8. ვინც სამ დღეში არ მოვიდოდა, ჩამოერთმეოდა მთელი ქონება თავკაცებისა და უხუცესების გადაწყვეტილებით, თავად კი გადანასახლებთა კრებულიდან მოიკვეთებოდა. 9. სამ დღეში თავი მოიყარეს იერუსალიმში იუდას და ბენიამინის ხალხმა. ეს იყო მერვე თვეს, თვის მეოცე დღეს. იქდა მთელი

ერი ღვთის სახლის მოედანზე და კანკალეზდა ამ ამბის გამო და წვიმისაგან. 10. ადგა ეზრა მღვდელი და უთბრა მათ: დანაშაული გაქვთ ჩადენილი; უცხოელი ქალები გყავთ ცოლად, რომ ისრაელის ცოდვა გაამრავლოთ. 11. ახლა აღიარეთ შეცოდება უფლის, თქვენი მამა-პაპის ღმერთის წინაშე, და აღასრულეთ მისი ნება: განუდევით ხმ ქვეყნის ხალხებს და უცხოელ ცოლებს. 12. ხმამალა მიუგო მთელმა კრებულმა: ასე იქნება, შენი ნათქვამისამებრ მოვიქცევით. 13. ოღონდ ბეჭათა ჩაღბი და ავდარიჲ შეუძლებელია გარეთ დგომა, თანაც ეს ერთი და ორი დღის ამბავი არ არის, რადგან ბევრი შეგვიცოდავს ამ საქმეში. 14. დადგნენ ჩვენი თავკაცები მთელი კრებულის ნაცვლად, ხოლო ყველანი, ვისაც ჩვენს ქალაქებში უცხოელი ცოლები ჰყავთ, მოვიდნენ დანიშნულ დროს თავ-თავიანთი ქალაქების უხუცესებთან და მსაჯულებთან ერთად, რომ აგვიცოდეს ჩვენი ღმერთის რისხვა ამ ამბის გამო. 15. განსაკუთრებით იონათან ყასაელის ძე და იახზეია თიგვას ძე იდგნენ ამ აზრზე, ხოლო მეშულამი და ლევიანი შაბთაი მხარს უჭერდნენ მათ. 16. ასე მოიქცა გადანასახლები ხალხი, დაიყვნენ ეზრა მღვდელი და სხვა კაცები — მამათმთავრები თავ-თავანთი მამისსახლების მიხედვით, ყველანი სახელდებით იყვნენ ცნობილნი. დასხდნენ შეათე თვის პირველ დღეს ამ საქმის გასარკვევად. 17. პირველი თვის პირველი დღისთვის მორჩნენ ყველა იმ მამაკაცთა საქმეს, რომელთაც უცხოელი ცოლები ჰყავდათ. 18. სამღვდლო წარმოშობის ხალხში, რომელთაც უცხოელი ცოლები ჰყავდათ, აღმოჩნდნენ: იეშუაყ იოკადაკის ძისა და მისი ძმების შთამომავალთაგან: მაყასეია, ელიეზერი, იარიბი და გედალია. 19.

ხელი მისცეს, რომ გაუშვებდნენ ცოლებს და ცოდვის გამოსასწავლად ევროს შესწირავდნენ მსხვერპლად. 20. იეზრინათაგან: ხანანი და ზებადია. 21. ხარიბიანთაგან: მაყასეია, ელია, შემაყია, იეხიელი და ყუზია. 22. ფაშუერიანთაგან: ელიოყენაი, მაყასეია, იშმაყელი, ნათანიელი, იოზაბადი და ელყასა. 23. ლევიანთაგან: იოზაბადი, შიმყრ და კელბია (იგივე კელიბა), ფეთახია, ხუდამ და ელყეზერი. 24. მგალობელთაგან: ილიაშაბი, კარის მცველთაგან: შაქლემი, ტელემი და ური. 25. ისრაელიდან — ფარყოზიანთაგან: რამია, იზია, შაქლია, მიამინი, ელყაზარი, მალქია და ბენაია. 26. ყელემიანთაგან: მათანია, ზაქარია, იეხიელი, ყაბდი, იერემოთი, და ელია. 27. ზათურიანთაგან: ელიოყენაი, ელიაშიბი, მათანია, იერემოთი, ზაბადი და ყაზია. 28. ბეზაიანთაგან: იეჰოხანანი, ხანანია, ზაბაი, ყათლაი. 29. ბანიანთაგან: მეშულამი, მალუქი, ყადაია, იაშუბი, შეალი და რამოთი. 30. ფახათ-მოაბიანთაგან: ყაღნა, ქელალი, ბენაია, მაყასეია, მათანია, ბეცალელი, ბინუ და მენაშე. 31. ხარიბიანთაგან: ელიეზერი, იშია, მალქია, შემაყია, სიმონი. 32. ბენიამინი, მალუქი და შემარია. 33. ხაშუმიანთაგან: მათანი, მათათა, ზაბადი, ელიფელტი, იერემი, მენაშე და შიმყი. 34. ბანიანთაგან: მაყადბი, ყამრამი, უელი, 35. ბენაია, ბედი, ქელუჰუ. 36. ნეია, მერემოთი, ელიაშაბი. 37. მათანია, მათანი, იაყასაი. 38. ბანი, ბინუი, შიმყი. 39. შელემია, ნათანი, ყადაია, 40. მაქანაბარი, შაშაყ მარაი. 41. ყაზარიელი, შელემიჰუ. შემარია, 42. შალემი, ამარია, იოსები. 43. ნებოიანთაგან: იეყიელი, მათითა, ზაბადი, ზებინა, იადაი, იოელი და ბენაია. 44. ამით ყველას უცხოელი ცოლები ესვათ და ზოგიერთ მათგანს შეიღებინათ.



საქართველოს
წიგნების გამომცემი

არჩილ სულაკაური

თბილისი

წიგნი მეორე

რომანი

1

ჩვენი შუშაბანდის კარი ღია იყო და უცებ შემომესმა, კიბეზე ვიღაც ხმაურით ამოდიოდა, ხის საფეხურებზე თითქოს განგებ ადგამდა მძიმედ ნაბიჯს, რომ მისი მოსვლა ყველას გავეგონა. იმ საღამოს არავის ველოდებოდით, თან შინიდან გასვლასაც ვაპირებდით და ხმაურიანი ნაბიჯებისთვის ყურადღება მამჩინებდით არ მიმიქცევია. თვით მეზობლების წასვლამოსვლას იშვიათად ვგებულობდით და ალბათ ამიტომაც ჭაფიჭურე, რომელიღაც მეზობლის სტუმარია მეთქი, შერმე აივანზე ამოსულმა ხმამალა ბეჭიბა:

— აქ ბოდაველები სად ცხოვრობენ?! შევცდი. სხვისი კი არა, თურმე ჩვენი სტუმარი ყოფილა.

ოთახიდან შუშაბანდში გავედი და ღია კარიდან აივანს გავხედე: კიბის თავში თითქმის საშუალო სიმაღლის მამაკაცი იდგა, ჯარისკაცური ტანსაცმლით გამოწყობილი. ცალი ხელით კიბის სვეტს დალილივით მიყრდნობოდა და პასუხის მოლოდინში დაბნეულად იღიმებოდა. ქუდი არ ეხურა, არც სამხრეები ეკეთა, მხოლოდ გვარდიელის ნიშანი ჰქონდა მკერდზე მიბნეუ-

ლი. საერთოდ ჩია კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა და სხვათა შორის გავფიქრე, აქ სიფრიფანა კაცმა კიბე ასე ხმაურით როგორ ამოიბრა მეთქი.

ეტყობა, მამაჩემს მოაკითხა. შესაძლებელია, ომში ერთადაც იბრძოდნენ. გავეგებე და შინ შემოვიპატიე. ოთახში შემოსულს მაგიდასთან შევთავაზე სკამი. გაუბედავად დაჯდა თითქოს რაღაცის გამო უზებრულობას გრძნობდა და გაშინაურებას ჩემგან მოელოდა.

მოკლედ შეკრებილი ქერა თმა, მაღალი შუბლი და დიდი, ნაცრისფერი, ოდნავ ნალვლიანი თვალები ჰქონდა. ჯარისკაცური ტანსაცმლის მიხედვით რატომღაც რაიონიდან ჩამოსულს მივაშვავსე, რადგან იმ ხანად თბილისში უკვე იშვიათად ვხვდებოდი ამგვარად გამოწყობილ ადამიანებს. ომის დამთავრებიდან რამდენიმე წელი გავიდა და ზოგმა გაიხადა, ზოგს კი ტანზე შემოაცვდა ნაომარი სამხედრო ფორმა. ჩემს სტუმარს კი ეს ფორმა ისე ეცვა, როგორც საგარეო ტანსაცმელი — საგანგებოდ მოვლილი და შენახული.

ავადმყოფურად ფერმკრთალი იყო, თითქოს მზე არასოდეს მიჰკარებია. საკმაოდ დაბვეწილ, სწორნაცვებიან

სახეზე ძლიერსესამჩნევი ტკივილი აღ-
ბეჭდოდა. თბილისში სამკურნალოდ თუ
ჩამოვიდა, ალბათ ძველი კრილობები
აწუხებს მეთქი, ჩემთვის ვემითხოვდი.
ამასთანავე როგორღაც მივხვდი, რომ
წლანდელმა, პირველმა გუშანმა მილა-
ლატა: უკვე ას ხატზე დავიფიცებდი,
ეს კაცი მამაჩემს არ ეძებს მეთქი.

თითქოს დუმილში ვეჭიბრებოდით
ერთმანეთს, არც ის იღებდა ხმას და
არც მე. დუმილი კარგა ხანს გაგრძელ-
და და ვიგრძენი, ეს სიტყვის უთქმე-
ლობა თანდათან მძაბავდა, სულის სი-
ღრმეში დამთრგუნველი გაურკვევლო-
ბით მაფორიაქებდა. გულახდილად რომ
ვთქვა, რატომღაც შიშის კი დამეუფე-
ლა. არ ვიცი, რისი შემეშინდა, თვი-
თონ სტუმარი თითქოს სიმშვიდისა და
კეთილგანწყობილების მთესველს ჰგავ-
და. იქნებ მე ის უფრო მაკრთობდა,
რისთვისაც იყო მოსული, რაც ჩემთ-
ვის უნდა გაემხილა თუ გაემქლავნები-
ნა.

თუ გაძლებათ, გაძლება იყოს მეთქი,
ვცადე ჩემი თავის გახსნევა. მეც
მიუღუჭკვი მაგიდას და სახეში უტიფრად
მივაჩერდი. მეგონა, მხოლოდ ასე და-
ვძლევდი იმ უცნაურ შიშს, რომელიც
გაურკვეველ დუმილთან ერთად შემო-
ვიდა ჩვენს სახლში.

საუბრის დაწყებამდე ათი წუთი მა-
ინც ვავიდა და სტუმარს ამ ხნის მან-
ძილზე ჩემთვის თვალი არ გაუსწორე-
ბია, ერთხელაც არ შემოუხედავს. მა-
გიდასთან მოკრძალებით იჯდა და და-
ფიქრებული იატაკს დასცქეროდა.

— მამატიეთ ასე ჭიჭურ რომ შე-
მოვიჭერი. — ბოლოს და ბოლოს ხმა
ამოიღო, კეთილად გაიღიმა და სულ
ერთი წამით შემომანათა ცისფერი
თვალები. — არ ვიცი, საიდან დავი-
წყო.. აქ მოსვლამდე თითქოს გარკვე-
ული მქონდა, რისთვის მოვდიოდა, რა
მინდოდა. ახლა ცოტა დავიბენი. იქ-
ნებ ტყუილებრალოდ გავისარჩე კო-
დეც. რაც მე მაინტერესებს, შეიძლება,
არც თქვენ იცოდეთ.

— ბრძანეთ. თუკი რამე დახმარება

შემიძლია... — „არ დაგზარდებით“ მრ-
დოდა მეთქვა, მაგრამ ვერ დამეცადა,
სიტყვა გამაწყვეტინა. *შეშლილმან*

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...
მე თქვენი იმედი მაქვს!

საუბრის დაწყებისთანავე თითქოს
დავმშვიდდი. ძალზე სასიამოვნოდ მეტ-
ყველებდა და წლანდელი აფორიაქება
უკვე ცრუ განგაშად მომჩვენდა. მაგრამ
ჩემთვის ახლა უფრო მკაფიოდ გამო-
იკვეთა ის შეუსაბამობა, რაც პირვე-
ლი წუთებიდანვე თვალში მეცა. ჯარის-
კაცური ტანსაცმელი და უცხო სტუმ-
რის გარეგნობა, განსაკუთრებით კი
მეტყველება, ერთმანეთს როგორღაც
ვერ ეგუებოდა, თითქოს ეს სამხედრო
ფორმა სხვისი გარდერობიდან იყო ჩა-
მოღებული.

— არ გაგიკვირდეთ, აქ მე საბას გამო
მოვედი. ალბათ იცით, ვინ არის სა-
ბა? — თვალეში შემომხედა და პა-
სუხს გაღიმებული დაელოდა.

— კი, გამიგონია. — რატომღაც ახ-
ლა მე ავარიდებ თვალი და ვიგრძენი,
არც ისეთი მორცხვი მზერა ჰქონდა
როგორც მეგონა.

სტუმარმა წინასწარ კი გამაფრთხი-
ლა, არ გაგიკვირდესო, მაგრამ საბას
ხსენება მაინც გამიკვირდა. უფრო
მეტყვი, არ მესიამოვნა და უხერხულად
ავიწურე. იქნებ შემამჩნია კიდევ ეს
უცნაო ცვლილება, თუმცა გარეგნუ-
ლად არაფერი დასტყობია, ისევ ილი-
მებოდა, ოღონდ ამჯერად ჩემს მიღმა
იხედებოდა და ღიმილი თითქოს საამო
მოგონებებიდან იყო გამოხმობილი.

მაინც აფორიაქებული ვიყავი, აწრია-
ლებული თუ შინაგანად აშლილი. თა-
ვიდანვე ჯარბი დაყინებით ვცდილობ-
დი, წინასწარვე გამომეცნო ამ კაცის
მოსვლის მიზეზი. რა თქმა უნდა, ვა-
რაუდებმა არ გამიმართლა და ამანაც
გამალიაზიანა. მაგრამ მთავარი მაინც ის
იყო, რომ უჩვეულოდ, არაბუნებრი-
ვად მეკირა თავი და ვცდილობდი,
სტუმარს ისეთად მოგჩვენებოდი, რო-
გორც სინამდვილეში არ ვიყავი.

— მე საბას მეგობარი ვარ... ჩვენ

ომში გავიცანით ერთმანეთი და იქვე დავემგობრდით. ახლა თუ ცოცხალი დავებეტები ამ ცოდვილ მიწაზე, ეს საბას დამსახურებაა, ცეცხლის ხაზიდან მან გამომიყვანა დაპირილი. — სტუმარი ერთი წუთით ჩაფიქრდა. — საველე ლაზარეთიდან შემდეგ ზურგში — პოსპიტალიში გადამიყვანეს. სწორედ იმ დღიდან დაგვარგე საბა. ველარ გავიგე მისი ასავალ-დასავალი. ისიც კი არ ვიცო, ცოცხალია თუ მკვდარი. კარგად მახსოვს, მამიდაჩემმა საბა რომ გამოიტირა, ღრმად იყო დაწმუნებული და მეც დამაჩერა, ომში დაიღუპათ. ასევე მოვახსენე უცხო სტუმარს, რაც მამიდაჩემისგან მქონდა მოსმენილ-გაგონილი.

— ანანო გითხრათ, ომში დაიღუპათ?

— თქვენ რა იცით, მამიდაჩემს რომ ანანო ერქვა?

— აჟი გითხარით, საბა და მე მეგობრები ვიყავით მეთქი.. ანანოც ვიცი, მისი ნაომარი ძმა სანდრო ბოდაველიც და ვიცი სანდრო ბოდაველის ვაჟიც ოზო, რომელსაც ახლა ვესაუბრები... ჩვენ არაფერს ვუმალავდით ერთმანეთს... სტუმარი ისევ დაფიქრდა, გულისხმიდან „პრიმა“ ამოიღო და ცეცხლი მოუკიდა. — ვილაყამ მითხრა, სოფელში საბას დაღუპვის ცნობა მოვიდა და ის ქალაქი ანანოს მიუტანესო.

— ანანოს საბას დაღუპვის ცნობა არ მიუღია! — ვთქვი დაბეჭითებით.

— არა?! — გაუკვირდა საბას მეგობარს.

— ნამდვილად! მე ომის წლები სოფელში გავატარე, ანანოს გვერდით... შემდეგ მამიდაჩემი გარდაიცვალა და..

— ეგ ვიცი! შარშან თქვენს სოფელში ვიყავი და სახლი გამოკეტილი დამხვდა. მეზობლის ქალმა შინ შემობატყა და ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. მანვე მომცა თქვენი მისამართი.

ზიზის დედა იქნებოდა მეთქი, გავიფიქრე.

— აქამდე ვერ მოვედი, ვერ მოვიცალე. — განაგრძო საუბარი საბას მე-

გობარმა, — თითქმის საავადმყოფოებში ვატარებ ცხოვრებას, ველარ განვიკურნე, დღემდე მაწუხებს, ძველი კრილობები.

— მე რითი შემძლია გემსახუროთ? გულით მინდა, რალაც დახმარება აღმოგიჩინოთ.

— თქვენ თუ იცნობდით საბას? ერთხელ მაინც თუ შეხვედრიხართ?

— არა, მე საბა არ მინახავს. თუკა ჩვენზე გესაუბრებოდით, ალბათ გეტყოდით კიდევ.

— რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა... — საბას მეგობარმა მაგიდას მოავლო თვალი, მიხვდადი საფერფლეს ეძებდა.

სწრაფად წამოვდექი, საფერფლე გამოვუტანე და წინ დავუდე. აღარ დავმჯდარავარ, იქვე წიგნების კარადას მივეყუდე და დაველოდე, როდის გააგრძელდება საუბარს.

— საბა სხვა კაცი იყო. საბა რომ არ შემხვედროდა, ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება. სულ მგონია, იგი ადამიანთა სულის ჭაღსაარჩენად მოევილინა ქვეყანას. ამიტომ ვერაფრით ვუპრიგდები ამ კაცის დაღუპვის ცნობას.

— აჟი გითხარით, საბას დაღუპვის ცნობა არ მოსულა მეთქი.

სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა, ეტყობა, ჯანმრთელობა მართლაც შერყეული მქონდა, ხელები უთრთოდა, თითებს ძლივს იმორჩილებდა.

— გინდაც ეგ ცნობა მოსულიყო, მე მაინც არ დავიჭერებდი, რა ვქნა, არ მჯერა, რომ საბა ცოცხალი აღარ არის. — ისევ მცირე ხნით შეყოვნდა და თვალეში მომაშტერდა. — თუ შეიძლება, გამარკვით: როგორც ამბობთ, საბას დაღუპვის ცნობა ანანოს არ მიუღია, მაშ, როგორა გამოიგლოვა? ცოცხალ კაცს ხომ ვერ იტრებდა?

— ეგ რომ გაიგოთ, ანანოს ძალიან კარგად უნდა იცნობდეთ. — მიუგე მშვიდად, თან თვალის გასწორებას ვცდილობდი. — როგორ გითხრათ, ანანო მიხვდა ანდა, უფრო ზუსტად რომ

ვთქვა, ანანომ იგრძნო საბას სიკვდი-
ლო. მაშინ მე ეკვი შემეპარა, ნუ ვიჩ-
ქარებთ, დალუპვის ცნობა ჯერ ხომ
არ მიგვიღია მეთქი, ვამშვიდებდი. სა-
შინლად გამობრაზდა, ჩემს გულსა და
გრძნობას რომელი ქალაქი შეედრე-
ბო, ამასაც გეტყვი, სოფელში ანა-
ნოზე ამბობდნენ, გულთმისანიაო. მეც
ღრმად ვარ დარწმუნებული, ანანო ნა-
მდვილი ნათელმზილველი იყო, წინას-
წარ გრძნობდა და ხედავდა ყველაფერს.
სხვას რომ თავი დაეანებოთ, სწორედ
იმ დღეს, როცა საბას დალუპვა იგრძ-
ნო, თავისი სიკვდილიც იწინასწარ-
მეტყველა. მე ვარ ამის მოწმე.

უცებ ლაპარაკის საღერღელი ამეშა-
ლა. მე კიდევ ვაპირებდი ანანოზე რა-
ღარალაქების თქმას, მაგრამ ვერ მივ-
ხედი, საბას მეგობარს აინტერესებდა
თუ არ ის, რასაც მე ვუყვებოდი. არც
სიტყვი, არც სახის გამომეტყველე-
ბით არაფერი გამოთხატავს. ანანოს შე-
სახებ ისეთი რამ ვუთხარი, ან უნდა
დაეჯერებინა, ან — არა. ან უნდა
უარეყო ჩემი ნათქვამი, ზღაპრად ჩა-
ეთვალა ანდა ჩვეულებრივად დამთა-
ნხმებოდა.

— მაპატიეთ. იქნებ შემთხვევით სა-
ბას სურათი გაქვთ, ასლს გადავიღებდი.
და ორ დღეში უკან დაგიბრუნებდით.
ძალიან მინდა, საბას სურათი მქონ-
დეს, — ისევ დაფიქრდა და სინანულით
გაიღიმა. — რა უცნაურია, რაც დრო
გადის, მისი სახე თანდათან მკრთალ-
დება ჩემს მეხსიერებაში. ეს იმას
ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შე-
იძლება საბას სახე ვეღარ გავხსენო.

— სამწუხაროდ არა მაქვს. რამდენი-
დაც მახსოვს, არც ანანოს ჰქონია
საბას სურათი. უსათუოდ მაჩვენებდა,
რომ ჰქონოდა.

— რას იზამ! ვეცდები, არ დავივი-
წყო.

— ნამდვილად არ ჰქონია!

— მჭერას.. ეკ, დღევანდელმა დღე-
მაც არ გამიმართლა. თუმცა მე მაინც
კმაყოფილი ვარ, რადგან თქვენი სახით
შესანიშნავი სახალგაზრდა გავიცანი,
2. „მნათობი“ 14 5-6.

თქვენ, მგონი, უნივერსიტეტში სწავ-
ლობთ. არა?

— დიახ! — ვუპასუხე. ^{არ იცნულა}
ისიც მინდოდა მეთქვა, რომელ ფაკულ-
ტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ თქმა ვერ
მოვასწარი.

— აი, სულ ეს იყო, რისთვისაც დღეს
აქ მოვედი და შეგაწუხეთ! — თქვა,
მაშინვე წამოდგა და დამემშვიდობა, —
ნახვამდის!

მეც დავაპირე რაღაც ქათინაურის
მსგავსი მეთქვა, მაგრამ ის უკვე შუ-
შაბანდში იყო გასული და საერთო აივ-
ნისკენ მიემართებოდა. როგორც კი გა-
იგო, საბას სურათი არ მქონდა, ჩემ-
დამი ყოველგვარი ინტერესი დაჰქარგა.
სწრაფად გაიარა აივანი და კიბეზეც
სირბილით დაეშვა. რახან ამოსვლისას
ხმაურით ამოვიდა, მეგონა, ასევე ხმა-
ურით წავიდოდა. ვარაუდმა ამჭერადაც
მიმტყუნა, კატის სიფრთხილით ჩაირ-
ბინა საფეხურები და ეზოც გამალე-
ბულმა უხმაუროდ დატოვა. მე ჩვენი
ხის რიკულებიანი აივნიდან დავცქერო-
დი და მომეჩვენა, თითქოს მიიპარებო-
და ანდა იმედგაცრუებული მიიძურწე-
ბოდა.

კაცმა რომ თქვას, უცხო სტუმრის
გამოცხადებაში უცნაური არაფერი ყო-
ფილა: მხოვიდა, მეგობარი მოიკითხა,
სურათი მთხოვა და წავიდა. მეც ასე
მინდოდა მეფიქრა, მაგრამ მარტო დარ-
ჩენილმა უცებ ვიგრძენი, რომ იმთავი-
თვე ჩვენი საუბარი, თუ სიღრმეში კარ-
გად გაჩხრეკდი, არაგულწრფელობისა
და უნდობლობის მარცვლიდან აღმო-
ცენდა და გაურკვეველობით დასრულ-
და. საუბრისას გულღიანობისა თუ გულ-
წრფელობის ერთი წამი დამიდგა და
მან ეს არ მიიღო. ჩემი მცირე აღსარება
ანანოს შესახებ მისი ყურადღების მიღ-
მა დარჩა. შეიძლება, ამით მაგრძნობი-
ნა, რასაც შენ ჰყვები, ჩემთვის ყველა-
ფერი ცნობილიაო, არ ვიცი. ყოველ
შემთხვევაში შინაგანად აფორიაქებუ-
ლი დავრჩი და დაუკმაყოფილებლობის
გაუცნობიერებელი გრძნობა მაწუხებ-
და.

საბარტველოს
ბროშურა

აივნის მოაჯირზე ორივე ხელით და-
ყრდნობილი ეზოს ჩაეცქეროდი. უც-
ხო სტუმარი ეს-ესაა თვალს მიეფარა.
როგორც კი ჩემი მხედველობის არე-
დან გაქრა, უცებ გამახსენდა, გაცნო-
ბისას არც სახელი უთქვამს და არც —
გვარი.

მოულოდნელ სტუმარზე ფიქრით თა-
ვი დიდხანს აღარ შემეწყობებოდა. ჩემი
წასვლის დრო მოახლოებულიყო და
ავჩქარდი.

მაისის მშვენიერი საღამო იდგა
მშვიდი, უღრუბლო. რვა საათისთვის
„ლალიძის წყლებთან“ ჩემი უნივერ-
სიტეტული მეგობარი ატი შელია მგლო-
დებოდა. წინასწარ დაგეგმილი არ გვეკო-
ნდა, შევხვდებოდით და შემდეგ მოვი-
ფიქრებდით, სად და როგორ გავატა-
რებდით საღამოს.

ჩუღურეთიდან რუსთაველამდე, საკ-
მაოდ დიდი მანძილი, ფეხით უნდა
გამეგლო. თანაც, თუ დროზე არ მივი-
დოდი, ატი შელია, ალბათ, იქ აღარ
დამხვდებოდა. იმიტომ კი არა, ზედმი-
წევნით პუნქტუალური იყო და დაგვი-
ანებას არ მამატიებდა, პირიქით, თვი-
თონ გახლდათ ეთოკის ყოველგვარი
ზღვრებისა და ნორმების დამრღვევი.
დაუდევარი, შფოთიანი ხასიათის გამო
ერთ ადგილზე დგომა დიდ ხანს არ
შეეძლო. სულ მოძრაობდა, ბორგავდა,
ვერ ისვენებდა, თითქოს გამოქვაბულში
გზა დაებნა და გასაძვრომს ეძებდა.

ქუჩაში გასული დავეკვდი, მომეჩვენე-
ნა, თითქოს დროის გრძნობა დაგვარ-
გე. აშკარად უფრო გვიან იყო, ვიდრე
მე მეგონა. ისევ საათს დავხედე: რვას
თხუთმეტი წუთი აკლდა. ან საათი
ტყუოდა ან — მე. ორივე შემთხვე-
ვაში უნდა ავჩქარებულყავი, არადა
არ ავჩქარებულვარ, ვყოყმანობდი, წა-
ვიდე თუ არ წავიდე, შეიძლება ატი იქ
სულაც არ დამხვდეს მეთქი. მაინც მივ-
დიოდი.

წილან კი ვთქვი, საბას მეგობარზე
ფიქრით თავი დიდ ხანს არ შემეწყობე-
ბოდა მეთქი. მაგრამ გზაში მისი სტუმ-
რობის მიზეზი ისევ გამახსენდა და ში-

ნგანად რალაცნაირად ავწრიალდი თუ
აგიშალე: ჩემს გარშემო ~~თისკენ~~ წარ-
მოუდგენელი, აბსურდული ~~განცხრობა~~
იქმნებოდა. საბა, რომელიც ერთხელაც
არ შემხვებდრია, რომლისთვის ერთი წა-
მითაც კი არ მომიკრავს თვალი, ჩემს
ცხოვრებაში ჩემს უნებურად შემოჭ-
რილიყო. ვერ ყრმობისას, ხოლო შემ-
დეგ სიკვამლეში მოსვენებას არ მაძ-
ლევდა, მაფთრიაქებდა და მაშფოთებ-
და, როგორც თანდაყოლილი თუ გარ-
დუვალი ბედისწერა.

უცვე ფიქრის თავიც არა მქონდა,
გავბრუდოდი, მუბლი დამიმძიმდა. თუმცა
ეს ფიქრიც არ იყო, უფრო ჩემთვის
აუხსნელი შინაგანი შეშფოთებისაგან
ვედილობდრ თავის დაღწევას და ვერ
ვახერხებდდი.

ვორონცოვის ხიდთან მისულმა შინ
დამბრუნება გადაწყვიტე. ერთი წუთით
შეგჩერდი. საქმე ის იყო, შინ დამბრ-
უნებაც არ მინდოდა. ჩემს თავს მევე
გავუწყალე გული: ვერ გავარკვიე, რა
მსურდა და რა — არა.

ხიდზე მივიდოდი. ამ ხიდს კარგა
ხანია სახელი შეუცვალეს და „მარქ-
სის ხიდი“ დაარქვეს, მაგრამ თბილი-
სელები ძველი ინერციით მაინც „ვო-
რონცოვის ხიდს“ უწოდებდნენ, თუმცა
არც ვორონცოვი ეხატებოდათ გულზე
და არც — მარქსი.

უცებ ხიდზე მომავალი ლუკა დავი-
ნახე, შორიდან მიღიმოდა. მეც გავუ-
ღიმე, სიხარული იმით გამოვხატე, რომ
ნაბიჯს აეუჩქარე. კიდევ კარგი, შეგბ-
ვდი, მითხრა შეხვედრისთანავე. თორემ
სულ ტყუილად მოგიწყევდა რუსთაველ-
ზე ასვლაო. ატიმ ცოტა ხანს გიცადა
„ლალიძის წყლებთან“ და მერმე გოგო-
ები წაიყვანა კინოში. ეს ძალიან ჰგავ-
და ატის საქციელს, მაგრამ მე მაინც
დამაინც გული არ დამწყვეტია: არც
კინოში შესვლის სურვილი მქონდა და
არც იმ გოგოებთან შეხვედრისა. ლუ-
კასთვის ისიც კი არ მიკითხავს, ის
გოგოები ვინ იყვნენ მეთქი. მხოლოდ
ჩემი საათი შევამოწმე: საათი ზუსტად
მუშაობდა.

ლუკას შეხვედრა ნამდვილად გამიხარდა. ჩემს მეგობართა შორის ის იყო ერთადერთი, რომელმაც იცოდა საბას ვინაობაც და მისი ოჯახის ამბავიც. ჩვენ ერთად მოვიარეთ კახეთი და საბას მივიწყებულნი, გაპარტახებული სოფელიც მოვიჩაბულეთ. უცხო სტუმრის დღევანდელი ვიზიტი, აქი ვთქვი, გულის სიღრმეში სულ მაწუხებდა და ჩემ გაურკვეველ შთაბეჭდილებას ვერავის ვუზიარებდი. ძალიანაც რომ მომენდომებინა, უკეთეს მსმენელს ვერ მოვნახავდი, მით უმეტეს, რომ ლუკას, მრავლისგან განსხვავებით, შეეძლო სხვისი ლაპარაკი გულისყურით მოესმინა.

მეც, რა თქმა უნდა, ყოველგვარი შესავლის გარეშე მოვუყვები უცხო სტუმრის „დარბაზობის“ ამბავი.

— პოო! — თითქოს ნიშნისგებით წამოიძახა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. — შენი ნაამბობის მიხედვით, ეგ კაცი საბას მეგობარი არ უნდა იყოს!.. დაწმენებული ვარ! — დასძინა ბოლოს დაბეჭითებით.

გულის სიღრმეში თითქოს მეც მებარებოდა ეჭვი, მაგრამ ასე გადაწყვეტილად მაინც არ გამოვლია გუნებაში, ეგ კაცი საბას მეგობარი არ არის მეტეჟი.

— მაშ, ჭარისკაცურად გამოწყობილი მობრძანდა, არა! რა ძველი მეთოდებით მუშაობენ ეგ ჩემანალები! — მერმე უცებ მე მომიბრუნდა, — ეგენი, ოზო, ყველა ნიშნის მიხედვით, ამჯერად მხოლოდ საბას სურათს ეძებენ.

— ვინ ეგენი?

— შენ მართლა გულუბრყვილო ხარ თუ მე მებრძობები?! — ორჭოფულად გაიღიმა ლუკამ, — რა, ვერ ხედავდი რას გულებნები?!

რა თქმა უნდა, ჩემს თავს გულუბრყვილოდ არ ვთვლიდი და იმ წამსვე მივხვდი, რაც მითხრა ლუკამ, მაგრამ წელანდელი შეკითხვით ჩემი თავის შემოწმება მოვიწოდებ, ხომ არა ვცდები მეტეჟი. მინდოდა, ლუკას უფ-

რო ზუსტად და გარკვევით ეთქვა, რასაც ფიქრობდა.

— რისთვის დასჭირდებოდა მკვდარი კაცის სურათი?

— ან მკვდარია, ან არ არის მკვდარი... რახან სურათს ეძებენ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ არ არის მკვდარი!

— კი, მაგრამ ანანო?! — წამოვიძახე უნებურად. — ანანომ ხომ მითხრა, ომში დაიღუპა.

— იცი, რას გეტყვი, ოზო... — მკვეთრად მომიჭრა ლუკამ და უცებ შეყოვნდა. ეტყობა, ოდნავ შეარბილა სათქმელი, — ანანო შეიძლება შემცდარიყო. როგორც ჩანს, შეეცა კიდევ, საბა ნადრევედ რომ გამოიგლოვა. არ გეწყინოს, ოზო, მათი ურთიერთობა, მე მგონია, შენთვისაც ბნელით არის მოცული და ალბათ ვერასოდეს გაიგებ, იქ რა მოხდა, რატომ დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. შენ მხოლოდ ანანოს ნაამბობი იცი და იმ ამბებსაც მისი თვლით უყურებ და აღიქვამ. ანანო თავისი სიმართლით ცხოვრობდა და ალბათ ვერც გაამტყუნებ. მაგრამ ხომ არსებობს მეორე მხარეც, რომელიც შენთვის სრულიად უცნობია?

დავიძახე, რამდენადაც შემეძლო, ლუკას შინაგანად წინააღმდეგობას ვუწევდი. მას, რაც წლების მანძილზე ჩემთვის ხელუხლებელი იყო, ლუკამ უცებ შეავლო ხელი, თითქოს საუკუნეებით უძრავად მდგარ საგნებს ადგილები შეუნაცვლა, შეატრიალა-შემოატრიალა და სულ სხვა მხრიდან დაუწყვთვლიერება. მე არასოდეს მიცდია, სიყრმეში ერთხელ დანახული სათვის სხვა თვლით შემეხედა, ამის სურვილიც არ გამჩენია. ის ჩემში ხელუხლებლად არსებობდა — მყარი და შეუცვლელი, ისეთივე, როგორც ერთ დროს აღვიქვი, განვიცადე და გავიზარე. არასოდეს მომნდომებია მისი გადამოწმება, ხელახალი გააზრება, ანუ გადააზრება. ჩემთვის იქ თითქოს ყველაფერი ნათელი იყო.

ლუკა ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და ერთი გზა გვექონდა გასავლელი ჩუ-

ღურეთამდე. ორივენი უსიტყვოდ, ნელი ნაბიჯით ვბრუნდებოდით შინ. მისი წელანდელი ნატკვამი თუმცა ზერულე ნაფიქრის შედეგად ჩავთვალე, მაინც ნაწყენი და ოდნავ შეურაცხყოფილიც კი დავჩრდი, აქამდე რომ დუმდა და არაფერს მეუბნებოდა იმაზე, რაც ორივემ თითქოს ერთნაირად ვიცოდით, რაზეც ორივეს თითქოს ერთნაირი აზრი გვქონდა. შე დალოცვილო, თუკი ოდესღაც ჩემი ნაამბობი გაეჭვებდა რატომ დღემდე არაფერი მითხარი მეტი, გავიფიქრე გუნებაში.

შინაგანად, რასაკვირველია, ლუკას არ ვეთანხმებოდი. მე ჩემი მყარი აზრი მქონდა ანაოზეც და საბაზეც, საერთოდ მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე, მაგრამ ამისი ხმაშალა თქმის სურვილი ამჯერად არ გამჩენია. თვითონ არ ვიცოდი, რა მბორკავდა, რა მაკავებდა. მით უმეტეს, რომ ჩემი დუმილი, შესაძლებელი იყო, წინააღმდეგობად კი არა, თანხმობად მიეჩნია.

ჩემ სახლთან რომ მივედი, დღეს ძალიან დავიღალეო, თითქოს მომიბოდიშა ლუკამ და რატომღაც ორპოფულად გაიღიმა. არც მე ჩავცივებოვარ, გინდა თუ არა, ჩემთან ამოდი მეტი. დამშვიდობებამდე ისე, სხვათა შორის თქვა:

— დარწმუნებული ვარ, საბა ცოცხალია. ეგ კი არადა, ისიც მჯერა. ანა რომ იცოდა, საბა რომ ცოცხალი იყო. მე მგონია, ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

— ვინ ისინი?

— ანაო და საბა! ანაომ განგებ შეუქმნა სოფელს შთაბეჭდილება, თითქოს საბა ომში დაიღუპა. ალბათ ასე იყო საჭირო... ასე შეთანხმდნენ

— შენ გგონია, ანაომ მეც მომატყუა?

— ოზო, ეს არ არის ის ტყუილი, შე და შენ რომ ზოგჯერ ვიტყუებით ხოლმე.

ზუსტად არ მახსოვს, მას შემდეგ ალბათ ათი ან თორმეტი დღე გავიდა. რუსთაველის პროსპექტზე თვალი მოეკარი იმ კაცს... აი, იმას — მოულოდნელ სტუმარს ანუ საბას მეგობარს, რომელსაც უკვე ჯარისკაცური ფორმა აღარ ეცვა. ეცვა საგულდაგულოდ დაუთოებული ნაცრისფერი შარვალი და გახამებულ-გაქათათებული თეთრი პერანგი. საქმიანად მიდიოდა, პირდაპირ იყურებოდა, თითქოს ვიღაცას, წინ მიმავალს თვალს არ ამორებდა. ვერ ვიტყვი, დამინახა მეტი, თუმცა, შეიძლება, დამინახა კიდევ და ვერ მიცნო ან თვალი ამარიდა.

„ალაღიძის წყლებთან“ ოთხი ვიდუქით: ატი შელია, მე და კიდევ ორი ჩვენი თანაქრსელი. ახლავე დაგბრუნდები მეტი, ვუთხარი ბიჭებს და ჩემ ნაცნობ პიროვნებას დავედევნე. ჩემი ნაცნობი რუსთაველზე მოსიარულეთა შორის ისე მიიკვლევდა გზას, მიყოლა მიჭირდა. რადიო კომიტეტის შენობასთან (ახლანდელი კავშირგაბმულობის სამინისტრო) წამით შეჩერდა და უკან მოიხედა. ვერც ამჯერად ვიტყვი, დამინახა თუ — არა, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ სწრაფად გაუხვია მარჯვნივ და ლესია უკრაინკას ქუჩას აყვავა.

გაყოლას აზრი აღარ მქონდა. ყველასათვის ცნობილი მიზეზის გამო, ამ ქუჩაზე სიარულით ხალხი მაინც ადამაინც თავს არ იკლავდა და ქუჩა თითქმის ყოველთვის ცარიელი იყო. უცბო სტუმარს უკან რომ გავყოლოდი, უსაბუთოდ შემამჩნევდა. არადა ერთი სუფილი მქონდა, გამეგო, სად, რომელ შენობაში შევიდოდა. ქუჩის კუთხემდე მაინც მივედი. შენობის კიდეს მოფარებული ვყოყმანობდი, გავიხედო, თუ არ გავიხედო მეტი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვყოყმანე, ბოლოს და ბოლოს გაუბედაობა დაგძლიე და ცალი თვალით ქუჩას გავხედე.

ქუჩა ცარიელი იყო.

ვერ დავინახე, სად შევიდა, სად გაქრა, სად აორთქლდა.

გაწილებული უკან დაებრუნდი, ძალიან შინდოდა მენახა ის კარი, რომელსაც „საბას მეგობარი“ შეაღებდა, თუმცა უამისოდაც ჩემთვის ბევრი რამ ნათლად გამოიკვეთა.

„ლადის წყლებთან“ ატი შელია და გოგი ზედელაშვილი დამხვდნენ. თანაკურსელები სადღაც წასულიყვნენ. საღამომით, თუ თავისუფალი დრო გექონდა, აქ ვიყრიდი თავს და ვლანდარობდით. მერმე ვნაწილდებოდით ხოლმე. ვინ სად და ვინ სად, ზოგი — კინოში, ზოგი — თეატრში, ზოგი — დაბადების დღეზე, რა თქმა უნდა, თუ გაგვიმართლებდა... ზოგი — შინ, ყველაზე მოსაწყენ ადგილას.

შორიდანვე შევამჩნიე. გოგი ზედელაშვილი პირწმინდად იყო გაპარსული, როგორღაც დათრგუნულივით იდგა და ატის ისე ელაპარაკებოდა, თითქოს თავს იმართლებდა.

გოგი ზედელაშვილი გაპარსული იყო მეთქი, აღენიშნე და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობაც მივანიჭე. საქმე ის არის, რომ მთელ თბილისში გოგი იყო ერთადერთი სტუდენტი, რომელმაც წვერი მოუშვა და ლექციებზე წვერმოშვებული ცხადდებოდა.

ჭერ ფაქულტეტის კომკავშირის ორგანიზაციაში დაიბარეს და ზრდილობიანად უთხრეს: ცოტა უხერხულია, ლექციებზე ასე გაუპარსავი რომ დადიხარ, კარგი იქნება, თუ ყველა სტუდენტისთვის წვერგაპარსული ივლიო. გოგომ პირდაპირ მიახალა ქიზიყურად: თქვენ ვინ გეკითხებათ ჩემი წვერისას, მინდა მოვეუშვებ, მინდა — არაო.

ორიოდე დღის შემდეგ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტში გამოიძახეს და იქ უფრო კატეგორიულად განუცხადეს: ეგ ოხერი წვერი ახლავე გაიპარსეო. ესეც უთხრეს: ჩვენი საპარაკმაზერო გაფრთხილებულია და უფასოდ გაგპარსავენო. გოგომ მადლობა კი გადაუხადა უფასო მომსახურებისათვის, მაგრამ არც მათი ნათქვამი ჩაუგდია აინუნში და ისევე დადიოდა წვერმოშვებული. მერმე უნივერსიტე-

ტის პარტორგანიზაციის შეტყვევსაც გაუძლო და რექტორის შეგონებულსაც. ახლა კი გაპარსული ვიდეოგაგონებში სევდაჩამდგარი იდგა და ხელების ქნევით ელაპარაკებოდა ატი შელიას. მე რომ მივედი, საწყალობლად გამოიღმე, ყბაზე ხელი მოისვია, ზედაც, რა დამემართაო. ატის ჩემთვის არ უკითხავს, სად წახვედიო, შემომხედა და ხმაშაღლა გაიცინა:

— მაინც უფასოდ გაპარსეს ეს სულელი!

— ვინ გაგპარსა?! — ვკითხე გოგის შეწუხებულმა.

— აუ, მეორედ ნუ მომასმენინებთ, რა! — ატი უკვე ბორგავდა, აშკარად დაეტყო, აქ დგომა არ შეეძლო ან არ უნდოდა.

— მეც გამაგებინეთ, რა მოხდა!
— რა უნდა მომხდარიყო, წაიყვანეს და გაპარსეს!

— სად წაიყვანეს?
— სადაც ჭერ არს! — მოკლედ მიპასუხა ატიმ. — თუ ცუდად მოიქცევი, ხალხის მტრად გამოგაცხადებთო. ვასაგებია?! ახლა აქედან ავუსვათ!.. დავიძრათ, დავიძრათ!

გოგი ზედელაშვილი აბუჩად აგდებული, დამცირებული თუ შეურაცხყოფილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა ან თავს იკავებდა. ვიფიქრე, ერთხელ უკვე ნათქვამის გამოვთრებას ერიდება მეთქი. ატის დუმილიც მოულოდნელი იყო. ორივე ხელი ჯიბეში ეწყო და ერთი ნაბიჯით წინ მიდიოდა. დროდადრო მოგვხედავდა, თითქოს გვაპოწმებდა, უკან თუ მომყვებოდა, შეიძლება იმიტომაც გაგვისწრო, რომ ლაპარაკის საშუალება მოგვცა. ჩვენ კი ხმას არ ვიღებდით.

ისევე მე დავარღვიე დუმილი, რატომღაც ჩურჩულით ვკითხე:

— მართლა გითხრეს, ხალხის მტრად გამოგაცხადებთო?

— მთლად ეგრე არ უთქვამთ... სამშობლოს მოღალატედო. — ჩურჩულითვე მიპასუხა.

— ეგ დიდი შეღავათია. — გამე-
ცინა.

— ერთი მაგათი დედაც ვატირე!

— ქუჩიდან წაგაყვანეს?

— არა, შინ იყვნენ. სამხედრო კო-
მისარიატში უნდა წამოხვიდე, საბუთები
გაქვს მოსაწესრიგებელიო.

გოგი ზედელაშვილის მოშვებულმა
წვერმა მართლაც ააფორიაქა ქალაქის
გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით —
უნივერსიტეტი. თითქოს სასაცილოა,
მაგრამ რას იზამ, ნამდვილად ასე მოხ-
და... თუმცა არც ისე სასაცილო უნდა
იყოს, როგორც ეს ერთი შეხედვით
ჩანს.

ზამთრის არდადეგების შემდეგ უნ-
ივერსიტეტში პირველად რომ გამო-
ჩნდა, თანაკურსელები და ნაცნობი
სტუდენტები თანაგრძნობით განიძ-
ქვალენ, ეგონათ, ვიღაც ძალზე მახ-
ლობელი ადამიანი დაჰყარა და იმას
გლოვობსო, შემდეგ, როცა გაიგეს,
წვერი ყოვლად უმიზეზოდ მოუშვიათ,
კოტა არ იყოს, დაიბნენ, ზოგს ეწყი-
ნა კიდევ, უმიზეზოდ რას ჰქვია, ისე,
არაფრის გამო არაფერი ბედაო. და-
იწყო საეჭვო ჭურჭული, მითქმა-მო-
თქმა, ჭორი, ვინ რას ამბობდა და
ვინ — რას. ბევრი დასცინოდა, მასხ-
რად იგდებდა, ბევრი ბრაზობდა, ღი-
ზიანდებოდა, ასეთი საქციელი რატომ-
ღაც უზნეობად, საზოგადოების უპა-
ტიველმულებად, შეურაცხყოფად მიაჩნ-
და. ზოგს გულწრფელად მოსწონდა კი-
დეც, ყელზე კუბოკრული კაშნე რომ
მოიხვიოს და კოტა გრიმიც გაიკეთოს,
ახალგაზრდა სტალინის ორეული იქ-
ნებო... აქედან პატარა ჭორიც კი აღ-
მოცენდა: კინოსტუდიაში ფილმს იღე-
ბენ და კობას როლის შესასრულე-
ბლად მიიწვიესო.

მთავარი მაინც სხვა იყო. იმ ხანად
თუ ვინმე ჩვეულებრივი მოკვდავი
წვერს მოუშვებდა, მიზეზი უსათუოდ
გარკვეული უნდა ყოფილიყო. ასეთი
მიზეზი გახლდათ გლოვა, მახლობელი
ადამიანის გარდაცვალება. ზოგისთვის
ესეც ითვლებოდა მოძველებულ, მავ-

ნე ტრადიციად, მაგრამ ჩაღბი მაინც
იცავდა ამ წესს, განსაკუთრებით ზან-
დაზმული ადამიანები. ამისთვის კლდე
ნიშნად მოშვებული წვერის გარდა
მკლავზე მოხვეულ შავ ქსოვილსა და
მკერდზე მიბნეულ შავ არშიაშემოვ-
ლებულ, პაწაწინა ფოტოსურათსაც ატ-
არებდნენ, სამგლოვიარო სიმბოლო-
ებს.

ამ დროს კი გამოჩნდა ახალგაზრდა
კაცი, რომელსაც წვერი მოშვებულ
ჰქონდა, ხოლო სამგლოვიარო სიმბო-
ლოები — გამომწვევად უარყოფილი.

ჯერ ზრდილობიანად იკითხეს, ვის
გლოვობსო, როცა გაარკვეეს, არავის
გლოვობდა, ზოგიერთ მათგანს მზავ-
რული კითხვა დაებადა თუ არავინ
მოუყვდა, აბა, რას გლოვობსო!

ჩეკაშიც სწორედ ეს უკითხავთ გო-
გი ზედელაშვილისათვის, თხასავით
რომ მოგიშვია წვერი, რას გლოვობო.

— რა უბასუბე?

— რას ეუბასუბებდი? გახუმრება
ვცადე, წვერი მიხდება და იმიტომ მო-
კუშვი მეთქი. ერთი სიტყვით, გაგიბა-
რსე, რა!

გოგი უცებ ჩაქრა, მოდუნდა, თით-
ქოს ლაპარაკის უნარიც წაერთვა, ეტ-
ყობა, მობებრდა ამდენი ლაპარაკი ან
დაიღალა. მე ისეთი შთაბეჭდილება
დამჩნა, ყველაზე მთავარი არ მითხ-
რა, დამიძალა, რადგან პირველად რომ
დავინახე, ძალზე გამწარებული ჩანდა,
შეურაცხყოფილი და დამცირებული
უნსნიდა რაღაცას ატი შელიას. ახლა
კი უცებ ისეთი იერი მიიღო, თით-
ქოს არაფერი მომხდარა. უთხრეს და
ნათქვამი მასაც ჰქუაში დაუჯდა.

სალამოს ბინდ-ბუნდში რუსთაველის
ძეგლთან წინწასული ატი შელია გვე-
ლოდებოდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობი-
ლი მოუსვენრად დადიოდა, თან ჩვენ-
კენ იხედებოდა. პროსპექტზე მოსია-
რულეთა შორის ჩვენს გამორჩევას
ცდილობდა.

— მოიხეთ გული? — გვეკითხა
მოსვლისთანავე.

— იცი, რა, აღარ შემიძლია, დაევი-
ლაღ!

— ძალიან კარგი, წავიდეთ შინ და
დავისვენოთ! ისე კი, შენი წვერით
მართლა გააწყალე გული! აბა, გაბე-
დე ამ ხალხს, ნახე, რა კობტად არ-
იან გაკრეჭილ-გაპარსულნი! გეგონე-
ბა, მთელ ქალაქში ერთადერთი პარიკ-
მახერია და ყველანი ერთნაირად იმან
გაალამაზა. შენ კი წვერის მოშვება მო-
მინდომე. გინდოდა, ყველასაგან გამო-
რჩეული ყოფილიყავი! მაგას ვინ გა-
პატიებდა?! ატი თითქოს ჯალიზიანე-
ბული ისროდა სიტყვებს, ვერ გაი-
გებდი ხუმრობდა თუ ბრაზობდა.

ამასობაში ხალხს ჩემი ძველი თა-
ნაკურსელი (მე ხომ პოლიტექნიკურ-
შიც ვსწავლობდი) ღურმიშხან წილო-
სანი გამოეყო და გაღიმებული ჩვენ-
კენ წამოვიდა. დიდი ხანია ერთმანეთი
არ გვენახა და მეგონა, ჩემთან მოდი-
ოდა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩვენ
შორის სხვასაც იცნობდა.

რალაცნაირი ქლესური, თანაც დამ-
ცინავი ღიმილით უყურებდა გოგი
ზედელაშვილს. ეტყობა მე ვერ და-
ინახა ან ვერ მიცნო, არ მომსალმე-
ბია. პირდაპირ გოგის მიადგა.

— ბიჭო, გაიპარსე თუ გაჯაბარსეს?!
მა, რა იგეგონა, შე ჩემი!

გოგი მოულოდნელობისაგან გაშტერ-
და, ვერაფერი უპასუხა. დაბოღმობა
ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა.

— ძალით გაპარსულსა ჰგავხარ, აი!

— წადი, შენი! — უცებ იფეთქა
ატიმ.

ვერ დავინახე, ხელი როდის მოუჭ-
ნია. წილოსანი უცებ უკან გადაქანდა,
თავის შეკავება სცადა, დაბარბაცდა და
ტროტუარზე ჩაიკეცა. ატიმ კიდევ ერ-
თხელ გაიწია, მაგრამ მე გადაველობე,
თუ ძმა ხარ, ახლავე წადი მეთქი. სეი-
რის მოყვარული ხალხი უკვე მოგრო-
ვილიყო. საიდანღაც მილიციელის სას-
ტვენის ხმაც გაისმა. ატი მიინც არ
ცხრებოდა, აგინებდა და საცემად მი-
იწევდა. მერმე გოგის ვუთხარი, წაიყ-
ვანე. აქაურობას მოაშორე მეთქი. გო-

გიმ მხარზე მოხვია ხელი და ატი გვერ-
დზე გაიყვანა. მე წილოსანთან ერთად
დი და წამოვყავნე, მგონე გვიდგამდა
მეხმარა, სეირის მოყვარულთაგანი.
წილოსანმა უბაზე მოისვა ხელი და
შემომხედა. მიცნო. შენა ხარ, ოზო, აქ
საიდან გაჩნდიო, მითხრა და ირგვლივ
დაბნეული მხერით მიმოიხედა. ხალ-
ხის ალყაში მოქცეული, როგორც ჩანს,
ატი ქელისა ეძებდა.

ორი მილიციელი მოვიდა. ჩოჩქოლ-
ში ვერაფერი გაარკვიეს და, დაიშა-
ლეთ, დაიშალეთო, ხალხს მოუწოდეს,
თან შესაშინებლად მთელი ძალით ჩაპ-
ბერეს სასტვენს. სასეირო აღარაფერი
იყო და ხალხი მორჩილად დაიშალა.
მე ღურმიშხან წილოსანს წავავლე
მკლავში ხელი, მოედანი გადავჭერით
და ვერის დაღმართზე დავეშვით.

წილოსანმა რამდენჯერმე მოისვა ხე-
ლი ნიკასა და ტურზე, მერმე თითებს
დახედა, სისხლი ხომ არ მომდისო. ვუ-
თხარი, არაფერი გეტყობა მეთქი. მაგ-
რამ არ დამიჭერა. რახან ტყვილი აწ-
უნებდა, ეგონა სისხლიც მოსდიოდა.
გამუდმებით იგინებოდა, იმუქრებოდა
თითქმის ყვიროდა, მოვკლავ, მაგ ნა-
ბიჭვარსო. მე კი ვიცოდი, რა მომკე-
ლედიც ეგ იყო, იმ არე-მარეს სათო-
ფედაც არ გაეკარებოდა, შემთხვევით
არ გადავეყარო და კიდევ ერთხელ არ
მკემოსო. მაინც ვამშვიდებდი და
ვპირდებოდი, ოღონდ ახლა შინ წადი
და ხვალ უსათუოდ შეგახვედრებ მეთ-
ქი.

გზაშივე დავადგინე, გოგი ზედელა-
შვილს შარშან ზამთარს შეხვედრია ბა-
კურიანში და იქ გაუცვინია. ჩემი ვარა-
უდით ისე არ დაახლოვებულან,
რომ დამეგობრებულიყვნენ კი-
დეც, მათი ურთიერთობა ჩვეულებრივი
ნაცნობობით ანუ კეთილი საღმით შე-
მოიფარგლებოდა მხოლოდ.

ჩემი თავი ბოროტ ან ღვარძლიან
კაცად არ მიმაჩნდა, სხვისი ცუდი არა-
სოდეს გამხარებია, ამჯერად კი ოდნავ
კმაყოფილებას ვგრძნობდი. არ ვამ-
ბობ, მიხაროდა მეთქი, მაგრამ არც

მწყურდა, ცუნებაში ვთვლიდი, რომ წილოსანი სამართლიანად დაისჯა.

ვერის ხიდზე კიდევ ერთხელ გაიქაჩა, აყვირდა დაებრუნდეთ, ანგარიში ახლავე უნდა გავუწიროო.

— ტყუილად მიდიხარ, ღურმიშხან, იქ აღარაინ დაგხვდება. — ვუთხარი მშვიდად.

— მე ვიცო, სადაც იქნება ეგ ნაბიჭვარი!.. მაგისი... — ყვიროდა უკაცრიელ ხიდზე მდგარო, უშვერა სიტყვებით იგინებოდა.

ვინმეს გაუმართლებლად რომ არ მოეჩვენოს ჩემი საქციელი, უნდა ვაღიარო: შეგნებულად ვარბილებ ანდა სულაც ყურადღების მიღმა ვტოვებ წილოსანის უწმამურსა და უბაშს გამონათქვამებს. მისმა დაუსრულებელმა გინებამ იმდენად გამაღიზიანა და გამბარაზა, რომ მზად ვიყავი, ისევე მოვქცეულიყავი, როგორც ატი შელია მოიქცა.

— ნუ იგინები, რა, ღურმიშხან! — გავაფრთხილე. — გეუბნები, თუ გინდა ხეალ შეგახვედრებ.

— არა, ახლავე უნდა ვნახო!

— კაცო, თუ ანგარიშის გასწორება შეგეძლო, იქ არ იყავი?!

— მე მეუბნები მჭამ?! ვერა ნახე, ბიჭო, რა მოულოდნელად დამართვა მაგ დედა...

— კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, ნუ იგინები! თუ არ გაჩუმდები, ახლა მე მოგიტყევ მაგ ღრანუს!

— შენც შემუტრები?! შენა?!

— ჰო, მე!

— ვაჰ, ჩემი დედა ვატირე! ხედავ, რა დღეში ვარ!

შუა ხიდზე მივატოვე. მალე რომ გავცლოდი, თითქმის სირბილით გავეშურე შინისაკენ. გზაში ვინანე, ატის და გოგის რატომ არ წავეყვი მეთქი.

მეორე დღეს, თუმცა ლექციები სამი საათიდან მეწყებოდა, მაინც აღრე წავედი უნივერსიტეტში. ვიცოდი, კალათბურთის მოედანზე ატის ვნახავდი. კალათბურთელები უმაღლესი სასწავლებლების პირველობისათვის ემზადებო-

დნენ და ატიც მათთან ერთად ვარჯიშობდა. იგი სიმალლით მენცადმადნე არ გამოირჩეოდა. მაგრამ მაღალანსწრაფი იყო, მოძრავი, მოქნილი, ბურთს მშვენივრად ფლობდა და კარგ განმანაწილებლადაც ითვლებოდა. ამიტომ უნივერსიტეტის ნაკრებშიც მიიწვიეს სათამაშოდ.

მოედანზე ბიჭები ვარჯიშობდნენ. კვითზე და მიპასუხეს, ატი ჯერ არ მოსულაო. ცოტა ხანს დაველოდე. მერმე უნივერსიტეტის წინა ეზოში გავედი, თუ ატი საერთოდ მოსვლას დააპირებდა, უსათუოდ აქეთ გამოივლიდა და წვევდებოდი.

წუხანდელი უძილო ვიყავი და ლამის ზეზეურად მეყვირებოდა. ღურმიშხან წილოსანს რომ დაეშორდი, ძინებლად დაეწეკი. უცნაური რამ დავლამდე თითქმის დავმშვიდდი კიდევ. ჩვეულებრივად დავლეე ჩაი და დასაძინებლად დაეწეკი. უცნაური რამ დამემართა, თვალებს დავხუჭავდი თუ არა, იმ წამსვე კოშმარული სიზმარი მესიზმრებოდა. არადა არ მეძინა, მხოლოდ თვალები მქონდა დახუჭული. ერთხანს თვალუბაძეკეტილი ვიწეკი ლოგინში, იქნებ ამ კოშმარულ ზმანებებს როგორმე თავი დაგაღწიო მეთქი.

შეიძლება, სიზმარი არც იყო კოშმარული, მაგრამ რაც იყო, შიშა და ძრწოლას მეგრიდა. თვალების დახუჭვისთანავე ბნელი სივრციდან უზარმაზარი ხეები დაიძრებოდნენ და საშინელი სისწრაფით მოჰქროდნენ ჩემკენ. მოჰქროდნენ პირდაპირ საწოლისაკენ, რომელზეც ვიწეკი. არც ტყე ჩანდა და არც ის ადგილი, საიდანაც ისინი იწყებდნენ ქროლვას. ვხედავდი მხოლოდ იმას, რომ უზარმაზარი ხეები წარმოუდგენელი ქროლვით მიახლოვდებოდნენ. მომიახლოვდებოდა ერთი, თითქოს უნდა გადავეთელე. მაგრამ საწოლთან მოსული უცებ მოიცილებოდა და გვერდზე გადაწყებოდა. მერმე მეორე ხე გამოქანდებოდა და საწოლთან ისიც გადაწყებოდა. მერმე ზედიზედ: მესამე, მეოთხე, მეხუთე...



ეს ყველაფერი სწრაფად, ჩუმად, უხმა-
უროდ ხდებოდა და ყოველი ხის წაქ-
ცევა მიმე, უსაშველო ტკივილს მა-
ყენებდა. ხის წაქცევას ისე განვიცდი-
დი, როგორც სიკვდილს და ვიტანჯე-
ბოდი. სიკვდილს სულ ახლოს ვგრძნო-
ბდი, თითქოს ვხედავდი კიდევ და რომ
მოქმედობებინა, ხელსაც შევახებდი.
მაგრამ თავბრუ მეხვეოდა და გულიც მე-
რეოდა, რადგან ჩემი საწოლი უკვე
მყარად აღარ იდგა იატაკზე, პაერში
იჩნეოდა, ქანაობდა, წამიც და აყი-
რავებული დაინთქმებოდა უსასრულობა-
ში. მხოლოდ თვალის გახელა მშველო-
და გავახელდი თვალს და სიზმარიც
უშალ კრებოდა.

მერმე ავანთე შუქი და წიგნის წა-
კითხვა ვცადე. მაშინვე ძილმა წა-
მართვა თავი, ქუთუთოები დამიმძიმდა,
თვალეებს ვეღარ ვახელდი. მეშ-
ველა, ახლა კი დამეძინება მეთქი, ვი-
ფიქრე და ჩავაჭრე შუქი. დავწვიქი,
თვალი დავხუჭე და იგივე განმეორდა:
უზარმაზარი ხეები გასაოცარი სისწრა-
ფით დაიძრნენ ჩემკენ... უცებ შივხე-
დი, ეს სარ იყო სიზმარი.

მთელი ღამე თეთრად გავათენე. უძი-
ლობამ თუ იმ წამიერმა ხილვებმა გა-
მომფიტა და დამშრიტა. მოთენთილი
სხეულით ოთახსა და შუშბანდში დავ-
ბორიალობდი. ისევ ვცადე წიგნის წა-
კითხვა, მაგრამ როგორც კი წიგნი
ხელში ავიღე, ამის წამკითხველი არა
ვარ მეთქი, ხელი ჩავიქნე.

მერმე აივანზე გავედი. გარეთ ოდნავ
გრილოდა. აივნიდან უაზროდ გავჟუ-
რებდი მძინარე ქალაქს, აქედან ისე
მოჩანდა, თითქოს ტბილად და მშვი-
დად ეძინა, თუმცა ამ სიმშვიდეს ჩემ-
თვის შვება არ მოუგვრია. სხეულის
შიგნით ღრმა სიცარიელეს ვგრძნობდი
და მეჩვენებოდა, რომ ამ სიცარიელე-
ში უცებ თვითონვე დავინთქმებოდი.
მერმე წყლის ჩხრიალი გავიგრანე და
გამახსენდა, რომ აივნის ბოლოს საერ-
თო ონკანი იყო. წყალი უფრო მო-
ვუშვი და ცივ ნაკადს კეფა შევუშვირე.
ბოლოს და ბოლოს გამაენიის ხანს

დავიძინე. არ ვიცი, რამდენი ხანი მე-
ძინა, მთულოდნელმა ვიგრძინე
გამადვიდა. საწოლზე დამტრიალდა
მოკვჩქი და შუშბანდს გავხედე. შე-
მოდო, კარი ღიაა მეთქი, გაძახე. თით-
ქოს წინასწარ ვიცოდი, მაინცდამა-
ინც არ გავოცებულვარ, როცა ოთახში
დურმიშხან წილოსანი შემოვიდა. აღ-
რევე ვთქვი, მე და დურმიშხან წილო-
სანი ერთ სკოლაში ვსწავლობდით მე-
თქი. თუ მეხსიერება არ მღალატობს,
მგონი, მესამე თუ მეოთხე კლასში
ერთ მერბზეც ვისხედით. მამაჩემი ომის
დაწყებისთანავე სამხედრო სამსახურ-
ში გაიწვიეს, მე კი იძულებული გავხ-
დი, სოფელში, ანანოსთან გადავებარგე-
ბულიყავი საცხოვრებლად, მერმე ბე-
დი ისე წარიმართა, რომ მე და დურმი-
შხანი ინდუსტრიულ ანუ, როგორც
შემდეგ უწოდეს, პოლიტექნიკურ
ინსტიტუტში კვლავ შევხვდით. პირ-
ველსავე კურსზე ინსტიტუტი მივა-
ტოვე და უნივერსიტეტში გადავედი
სასწავლებლად. ინსტიტუტიდან წამოს-
ვლის შემდეგ მხოლოდ წუხელ სალა-
მოს შევხვდი დურმიშხან წილოსანს
პირველად და ამ შეხვედრის გამო
კინაღამ თავბუდი ვიწყევლე.

ახლა რომ ვიხსენებ, დურმიშხანი
სკოლაში ჩემი, უწყინარი, შეუმჩნე-
ველი ბავშვის შთაბეჭდილებას ახდენ-
და. კლასში ყველა ბიჭი შეძლებისდა-
გვარად ცდილობდა თვითღმკვიდრე-
ბას. ზოგი — ჩხუბითა და მუშტი-
კრივით, ზოგი — ნიჭით თუ სწავლის
წყურვილით, ვინ კიდევ — ათასგვარი
ბავშვური ეშმაკობით ანდა უბრალოდ
— ქინკულობით... დურმიშხანს კი
თითქოს უნდოდა ყოველთვის შეუმჩ-
ნეველი ყოფილიყო. თუმცა მუდამ
ჩრდილში დგომა და შეუმჩნეველად
ყოფნა ერთგვარი ხერხია, ცდაა თვით-
ღამკვიდრებისა.

თბილისში დაბრუნებული ინსტი-
ტუტში შევხვდი წილოსანს და საკმაოდ
შეცვლილი, გადასხვაფერებული მო-
მეჩვენა: დამკინავი, ზურგს უკან გამ-
ქირდავი და მოქილიკე მხდალიცა და

თავხედიც ერთდროულად. შემდეგ აღ-
მოვაჩინე ამ შეძენილი ანუ ცხოვრებისა-
გან ნაკარნახევი ზვისებებით თავის
ნამდვილ ბუნებასა თუ ხასიათს ნიღბავ-
და.

საწოლის კიდეზე ჩამოძვარაი საზე-
ში შეეცქეროდი, მინდოდა, უცებ გა-
მეგო, რისთვის მოვიდა, სამტროდ იყო
განწყობილი თუ შესარიგებლად ინე-
ბა მობრძანება.

— ცოტა აღრიანად მომიხდა მოსე-
ლა, მეგონა, შინ არ დამხედებოდი. —
თქვა ოდნავ შორიდებულად.

— ხოთ! — თვალები მოვიფშვნიტე
და გავიზმორე.

— წუხელ მთელი ღამე არ მიძი-
ნია.

— არც მე! — ვუბასუხე და საწო-
ლიდან წამოვდექი.

— ოხო, თუ ძმა ხარ, გამაგებინე...
აი... წუხელ ისეთი რა ვთქვი, რომ
ლაწირაკივით მცემეს?

— ღურმიშხან, შენ არავის უცემი-
ხარ, ის კი მართალია, ერთხელ გაგარ-
ტყეს.

— ზოგჯერ ერთი გარტყმა ცემაზე
უარესია!

— კი, გეთანხმები.

— წუხელვე შეგატყე, შენ იქით
უფრო ხარ. ვიდრე აქეთ.

— საითაც უნდა ვიდგე, მე მაინც
ვცდილობ, სიმართლეს დავეუკირო მხა-
რი.

— კარგი, კარგი... ყველაფერი გა-
საგებია! — ღურმიშხანი ცოტა ხნით
შეყოვნდა, შარვლის ჯიბიდან „პრიმა“
ამოიღო და ცეცხლი მოუკიდა. — მე
უფრო ახლობელი არა ვარ, ბიჭო.
პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობ-
დით! — თითქოს თავისთვის ჩაილაპა-
რაკა.

პასუხი არ გამოცია, რადგან ჩემთ-
ვისაც გასაგები იყო ყველაფერი, ჩემს
გადაბირებას აპირებდა. გავუღიმიე და
მხარზე ხელი მოვუთათუნე, მერმე შუ-
შაბანდში გავედი და ნავთქურაზე
ჩაიდანნი დავდგი.

— ჩაი დავლიოთ, ღურმიშხან! —

შევთავაზე გულწრფელად. ვიფიქრე,
მაგიდას რომ მივესხდებოდი, უნდა
ნეთს უფრო ადამიანურად დამკვილბა-
რაკებით მეტო.

ეტყობა, ღურმიშხანი ჩაის დალე-
ვის გუნებაზე არ იყო. შუშაბანდში
გამომყვა და დაძინებულ შეკითხვებზე
პასუხის გაცემას მთხოვდა.

— დავაშავე რამე?! — ღურმიშ-
ხანი შეყოვნდა, პასუხს დაელოდა. პა-
სუხი რომ ვერ მიიღო, კუთხეში მი-
მიწყვდია, — ვთქვათ, შენი ძმაცეები
არიან! განა ეს თქვენი ძმაცეობა ჩემი
გალახვის უფლებას იძლევა?! რატომ
უნდა გამარტყან, თუნდაც ერთხელ?!

— წელან არ მათქმევინე. ღურმიშ-
ხან, ის რომ ჩემი მეგობარია, ამ შემ-
თხვევაში არაფერს ნიშნავს: ქართა-
ლია, არ უნდა გაერთყა!

— მეც ეგ არა ვთქვი, ბიჭო! — წა-
მოიყვირა ღურმიშხანმა.

— ყური დამიგდე, ღურმიშხან, მე
მგონია, რომ არც შენ გქონდა გოგი
ზედელაშვილის მასხრად აგდების უფ-
ლება. მოდი, ჩვენ შორის ვთქვათ, ისე,
ბიჭურად, რა შენი საქმეა, გოგი ზე-
დელაშვილმა წვერი გაიპარსა თუ გა-
პარსეს?! მასხრად არც შენ უნდა აგ-
ეგდო და არც იმას უნდა გაერთყა, სი-
მართლე თუ გინდა, ეს არის!

— რაა, შეკითხვაც აღარ შეიძლება?!

— ღურმიშხან, ჩვენ ხომ ისიც არ
ვიციოთ, აი, როგორც ადამიანს, როგორც
პიროვნებას რისი უფლება გვაქვს და
რისი არა გვაქვს. ჩვენ ყველანი ხომ
უზნეოები ვართ!

ღურმიშხანს ისეთი რამ ვუთხარი,
რახეც არასოდეს მიფიქრია და ჩემი
ნათქვამით ფრიად კმაყოფილი დავრჩი.
რახან ჩვენი თავი უზნეობაში ვამხილე,
მეგონა, ღურმიშხან წილოსანი საბო-
ლოდ დაყრიდა ფარ-ხმალს. კმაყო-
ფილმა მაგიდაზე ჩაის ორი ფინჯანი
დავდგი, პურიც დავჭერი, თან გულის-
ყური იქით მქონდა. რას მიპასუხებს
მეთქი.

— შენ შეიძლება არ იცოდე, რისი
უფლება გვაქვს და რისი — არა, მე



ჩემი უფლებები ძალიან კარგად ვიცი და დაიმახსოვრე: იმ შენს ძმაცაცებს დედას ვუტირებ!

— ეგ ხომ წუხელაც თქვი!

— წუხელ სხვა იყო! წუხელ სხვა გუნებაზე ვიყავი! დღეს, ხომ ზედავ, შესარიგებლად მოვედი.

— თუ შესარიგებლად მოხვედი, ახლავ შეგარიგები მეც ეგა მინდა წავიღეთ უნივერსიტეტში და შეგახვედრებ.

— მე ვებალო?!

— კარგი, ბატონო, ნუ ეებალები. დავნიშნოთ სადმე პაემანი, თუ გინდა იქვე, ზემელზე.

— არა, ოხო, ეგ ნაბიჭვარი თავისი ფეხით უნდა მოვიდეს ჩემთან და ბოდინი მომიხადოს.

— თუ არ მოვიდა, რას იზამ?

— სამაგიეროს გადახდის ათასი ხერხი არსებობს, ათასი საშუალება...

— მაინც იმუქრები... ხომ იცი, შენი მუქარის არავის ეშინია! — ღურმიშხანმა რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ მე დავასწარი, — კარგი, მითხარი, სად მოვიდეს?

— ან ინსტიტუტში ვიქნები ან — სახლში.

— როდის მოვიდეს, დღეს, ხვალ, ზეგ? როკელ საათზე?

— არ ვიცი... არაფერი უშავს, ცოტა გაისარჯოს და მომძებნოს.

— ეს თუოდ გაირჩება და მოგძებნის. ოკონდ ჭერ შენ გაისარჯე: მიდი გოგი ზედელაშვილთან და ბოდინი მოუხადე.

— მე რა მაქვს ბოდინის მოსახდელი?! ვინ არის ეგ გოგი ზედელაშვილი, არ გადამაყოლა ამ გარეწრებს! თუმცა მე ვიცი, ვინც არის გოგი ზედელაშვილი, ისიც ვიცი, რატომ მოუშვავყერი!

ჩაიდან ადუღდა. საქმე ისე წარიმართა, რომ ყველა ნიშნის მიხედვით საუბრე ჩაგვეშალა.

— ღურმიშხან, ვითხრა, შენ ახლა რას იზამ? აიკრავ გუღა-ნაბადს და აქედან მოუსვამ!

— მაგდებ, არა?!

— ჩემ სახლში არ იყავ, ქსუჭანჯღრად მოგივლიდი... წადი, ზინაშვილთანაა გთხოვ, ახლავე წადი აქედან!

— მე შენი ბავშვობის მეგობარი ვარ და წასვლამდე ერთს გირჩევ ძმურად: ისინი საეკვო ხალხია და სანამ გვიან არ არის, ჩამოშორდი, — ღურმიშხან წილოსანი უცებ გატრიალდა და წავიდა.

3

ატი შელიას თითქმის ერთი საათი ველოდებოდი. ბოლოს და ბოლოს შემოვიდა უნივერსიტეტის ეზოში და ჩქარი ნაბიჯით გაემართა შენობის მთავარი შესასვლელისკენ.

დავუძახე. ატიმ მოიხედა და გახარებული ისეთი ყიყინით გამოქანდა, თითქოს შინიდან ჩემს საძებნელად იყო გამოსული და ძლივს მომაგნო. არადა მე მეძებდა თურმე. სახლშიც მოგაკითხე, კარი დაკეტილი დამხვდა და აქეთ წამოვედიო, მითხრა. უცებ წარმოვიდგინე, რა ამბავი დატრიალდებოდა, ღურმიშხან წილოსანს ჩემთან რომ წაწყდომოდა. თუმცა ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულყოფ... რა თქმა უნდა, ღურმიშხანი გამოვიდოდა ქვეშიდან.

შებვედრისთანავე წუხანდელი ჩხუბი გავიხსენე და გარჩევაც ვცადე. ისიც ვუთხარი, ღურმიშხან წილოსანი დილა აღრიანად თავზე დამადგა მეთქი. ჩემს ნალაპარაკებს ატი შელიაზე შთაბეჭდილება მაინცადამაინც არ მოუხდენია, თითქოს წინასწარვე იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. წავიდეს მაგის ჭკუაც არ იყოს, სადაც შემხვედება, იქ მივასიყვილებო, ერთი ზელოს მოსმით ვადაწყვიტა ღურმიშხან წილოსანთან ურთიერთდამოკიდებულება.

ატი შელიას სხვა რამ აწუხებდა. ეს „სხვა რამ“ იყო ის, რაც გუშინ საღამოს გოგი ზედელაშვილიმა არ მითხრა, არა იმიტომ, რომ დამიშალა, როგორც ჩანს. ველარ შესძლო, ერთხელ ნათქვამის იმავე წუთს გამეორებდა. ატიც

ხომ გაგვექცა, ორი-სამი ნაბიჯით წინ მიდიოდა, ერთხელ გაგონილი მეორედ რომ არ მოესმინა.

ჭერ თავაზიანად უთქვამთ, ზედელაშვილო, ახალგაზრდა კაცი ხარ, ნიჭიერი, წინ დიდი მომავალი გაქვს და რად გინდა ამ იაფფასიანი, გარეგნული ნიშნებით ხალხის ყურადღებას რომ იქცევო. გოგის ესენი მართლა ზრდილობიანი და თავაზიანი ხალხი ჰგონებია. თავდაპირველად უხუმრია, გაუცინია, მერმე ალალ-მართლად ხელები გაუშლია, ვის რას ვუწავებ, ჩემთვის ვივლი ასე წვერმოშვებულიო.

ტკბილი სიტყვით გოგისთან ვერაფერი გააწყეს და თანდათან ზმას აუწიეს, შემდეგ დამუქტრნენ კიდევ. ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, გოგის თავისი ვირიდან ასე იოლად ვერ ჩამოსვამდნენ და ორივე ხელით სკამზე დააბეს. მოიტანეს მაკრატელი, წვერი შეკრიჭ-შემოკრიჭეს. დაჭირლნეს, თანაც აბუჩად იგდებდნენ, დიდო მამულიშვილო, საქართველოს გლოვობ, არაო. მაკრატლით შეკრევილ წვერ-ულვაშს სახეში აყრიდნენ და ზორბოცებდნენ თურმე. მერმე მანქანით ქალაქგარეთ გაუხუცვანიათ და სადღაც ავკალასთან, სოფლის საბარკემახეროს წინ ჩამოუსვამთ, დარჩენილი წვერი აქ გაიბარსე და ქალაქში ისე ჩამოდი, დედიკოს გაუხარდებო. ესეც დაუბარებიათ, დღევანდელი თავგადასავალი თუ ვინმესთან წამოგცდენია რაც მოგივა, ყველაფერი შენს თავს დააბრალოთ.

გოგი ზედელაშვილს, რა თქმა უნდა, ჭიბეში წვერის გასაპარსი ფული არ აღმოაჩნდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ტრანსპორტის ფულიც არ ჰქონდა და ავკალიდან სახლამდე მანძილი ფეხით უნდა გაეზომა. გამოსავალი მაინც მოუნახავს, კითხვა-კითხვით მიუბნია რკინის გზის სადგურისათვის და დიდი ხნის ლოდინისა და წვალების შემდეგ საბარგო მატარებელს გამოჰყოლია.

— რა ვქნათ? — მკითხა ატიმ და მომაჩერდა. — გოგი ცუდ გუნებაზე კი არა, ცუდად არის! ხედავ, რა უქ-

ნეს მაგ დამპლებმა?! მაინც რა მეუბნები აქვთ დამუშავებულნი, მარტო გაათახსირეს ადამიანი! პირში ჩააფურთხეს... აიღეს და თავზე დაა... მაგას არ სჯობია, პირდაპირ ტყვია დაგახალონი?!

თავზარდაცემული ვიდექი, მეგონა, ბოლისაგან გული გამისკდებოდა. ატიმ მხარზე მომხვია ხელი. ახლავე გოგისთან ავიდეთ მეტქო, ვუთხარი. გოგი უნივერსიტეტთან ახლოს ცხოვრობდა და შეგვეძლო, მასთან უცებ მივსულიყავით.

— ასვლით კი ავალთ, მაგრამ ეგ არ შეეღის საქმეს. — ატის, ეტყობა, სხვა რალაც ჰქონდა ჩაფიქრებული და იმის გამელაგენბას აპირებდა, — იცი, დღეს შინიდან ვერ გამოვიყვანე. უნივერსიტეტის გაგონება არ უნდა შეურაცხყოფილი, გაუბედურებული მართო ზის ბიყუშვიით და გულს ასკდება. მე მეგონია, ყველაფერს აჯობებს, ერთი სამი დღით რომ სადმე წავიდეთ, აქაურობას გავერიდოთ.

— სად წავიდეთ?

— ზღვაზე, ბათუმში... თუ გინდა სამეგრელოში, ბიძაჩემთან. ფანტასტიკური იქნება. ბიძაჩემი სიხარულით გადაირევა და შეიძლება, ჩვენც გადაგვრიოს, იცი. რა კაცია!

მე კი საიმოვნებით წავიდოდი ბათუმშიც და ატის ბიძასთანაც, მით უმეტეს, რომ ზღვა ჭერ არ მენახა, მაგრამ მთავარი გოგი იყო, რას იტყოდა, წამოგვევებოდა თუ არა. ატის ნათქვამი სავლსისხმოდ მომეჩვენა, აქაურობას მოშორებულსა და სხვა გარემოში მოხვედრილს, ალბათ შეიძლება, დამთრგუნველი განწყობილებისაგან როგორმე თავი დაეღწია. ატის წინადადებად უცებ ბავშვივით ამიტაცა და სამოგზაუროდ დამუხტულმა წინასწარ განცილილი საიმოვნებით ტკობა რომ დავაპირე, ჩემდა გასაოცებლად, უნივერსიტეტის ეზოში შემოსული გოგი ზედელაშვილი დავინახე. სტუდენტთა შორის მოღუშული და დაფიქრებული მოდიოდა.

— ნახე, ვინ მოდის! — მივახედე ატი, — ხომ არ მეჩვენება?!

— ვახ, ამის დედა ვატირე, ნამდვილად გოგია! — შეფიქრიაანებულად გაიღიმა ატიმ, — სხვას რომ ეთქვა, არ დავიჭერებდი.

გოგი ზედელაშვილმა ათი-თხუთმეტი ნახიჩი გამოიარა და ეზო მიმოათვალიერა. აშკარა იყო, ჩვენ გვეძებდა.

— არ დაუძახო! — გამაფრთხილა ატიმ, — აბა, თუ დავგინახავს.

— დაძახება არ დაგვეჩრვებია, დაბარებულავით პირდაპირ ჩვენთან მოვიდა და დადგა. ჭერ ატის შეხედა, მერმე — მე.

— ბიჭებო, ხომ არ დაგველია? — მოგვემართა ორივეს.

მიუხედავად ასეთი ოპტიმისტური განცხადებისა, დიდ, ოდნავ განზე გაზიდულ თვალებში თითქოს მოუწინელებელი ბოღმა ჩაპტუბებოდა, შელახული და შემკრთალი ჩანდა. მერმე, რამდენიმე დღის შემდეგ, საიდუმლოსავით გამანდო, სულ იმის შიში მქონდა, მოვა ვილაცა და შემეკითხება, ვე წვერი თვითონ გაიპარსე თუ გაგპარსესო.

დალევებზე, რასაკვირველია, უარი არ გვითქვამს, პირიქით, სიხარული ვერ დავმალეთ, ოღონდ ჭერჭერობით არ ვიცოდით, როგორ მოგვეგვარებინა ეს საქმე. ატიმ ვერ მოითმინა და მაინც უსაყვედურა, თუ გარეთ გამოსვლას აპირებდი, ამდენი რად მახვეწნიერო. გოგიმ ყურადღების მიღმა დატოვა ეს საყვედური, თითქოს არ გაუგონია. აღარც ატი მისძალებია, გოგის უსიტყვოდაც ეტყობოდა, შინიდან გამოსვლამდე რა ტკივილსაც მოერიო.

— ჩემთან წავიდეთ, შინ ცოტა შარშანდელი ღვინო გვაქვს. — შემოგვთავაზა გოგი ზედელაშვილმა.

— რა ვსცი, ხომ არ აჯობებს, სადმე დუქანში ან რესტორანში მოვყუჩდეთ, ჰა, მაინც ვიფიქროთ. — ატიმ ჯიბისკენ გააქანა ხელი და ფული ამიღო, — თუ ცოტასაც ვიშოვით, გვეყოფა.

— მეცა მაქვს ფული! — ვთქვი და

მეც წავივლე ჭიბეზე ხელი. სწორედ გუშინწინ გამომიგზავნა მამაჩემი...

— მშვენიერი დასაწყისი! — დასასხარჯად უფრო მოსახერხებელ ადგილას — პერანგის გულისჯიბეში ჩაიდო ფული. — არ მიყვარს ნათესაურ გარემოცვაში ჯდომა და სმა!

დალევანდელი დღის კონტურები თითქოს ნათლად გამოიკვეთა. მე პარმენას დუქანი შევთავაზე, ჩუღურეთში. კარგია. მაგრამ შორს არისო, ორივემ ერთხმად უარყო, დუქნების მეტი რა არის, შორს ნუ წავალთ, აქვე სადმე ჩავსხდეთო, ამას გოგი ამბობდა. ხოლო ატი სულ სხვა აზრისა იყო: რახან ამდენი ფული გვაქვს, რესტორანში წავიდეთო. თავისი აზრი ასე დაასაბუთა: იქ მეტი სივრცე და რაც მთავარია, სუფთა ჭურჭელიაო. ატიმ გაიმარჯვა, რადგან რესტორანის გარემო ყველას ფარულად გვიზიდავდა.

უნივერსიტეტის ეზოდან შეთქმულეზივით გამოვედით. ეზოში სტუდენტობა ირეოდა. ზაფხულის სესიები ახლოვდებოდა, ლექციებმა იკლო და თითქმის ყველა გარეთ, მაისის მზეზე იყო გამოფენილი.

ზემელამდე ტრამვით მივიდოდით, მერმე რუსთაველის პროსპექტს ფეხით გავყვებოდით და რესტორან „თბილისს“ მივადგებოდით. ეს იყო ჩვენი მარშრუტი, ამას შეთანხმება არ უნდოდა, თავისთავად იგულისხმებოდა.

ქუჩა გადავჭერით. ტრამვაის გაჩერებასთანაც სტუდენტები ფუსფუსებდნენ, ზოგი ჩვენსავით ტრამვაის ელოდებოდა, ზოგი უსაქმოდ იდგა და ლაზღანდარობდა. მოულოდნელად ატი დააკარგეთ, გაუფრთხილებლად მიგვატოვა და სადღაც აორთქლდა. გოგი და მე მშვიდად ვსაუბრობდით, დარწმუნებულნი ვიყავით, ასეთ გადამწყვეტ წუთებში არ მიგვატოვებდა. არც მივეუტოვებვიართ. იქაურობა გულდასმით მიმოვათვალიერეთ და აღმოვაჩინეთ ოდნავ მოშორებით, ხეს მოფარებული ვილაც გოგოს ელაპარაკებოდა. სულ მალე სახეგანადრული მოგვეახლა

და პირდაპირ მოგვახალა, ყველაფერი შეიცვალაო. მნიშვნელოვნად დაუცონდა და ცბიერი ღიმილით დასძინა.

— საუკეთესო ვარიანტია, ძმებო!

ოლონდ საღამომდე მოთმინებით უნდა აღეკუთრებოდა. დაახლოებით ოთხი საათის შემდეგ ატისთან მოვიდოდა სამი მშვენიერი არსება, ჩვენ კი მათთვის გაშლილი სუფრა უნდა დაგვეხვედრებინა. ატი ახლად გამოტყდა, შინ მარტო ვარ დარჩენილიო. მშობლები ვილაც ნათესავის გარდაცვალების გამო ჩოხატაურში წასულან. რატომ გვიშალავდა ასე გულდაგულ, რომ მშობლები გურიაში გაუმგზავრებია, არ ვიცი.

— და კიდევ ერთი: ყველას ჭიბეში ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი უნდა გვედოს. — გვითბრა ატიმ, — ყველაფერი რომ დამთავრდება, თავაზიანად, ვითომ ყვევლების ან რა ვიცი, სხვა რაღაცის საყიდლად მივეცემთ ამ ფულს. მთავარია, თავაზიანობის საზღვრები არ გადავლახოთ.

ჩვენ მაინც გავყევით ტრამვაის რუსთაველის პროსპექტამდე, ფეხითაც გავისერიანეთ და მერმე ეგრეთ წოდებულ „ბორიას საბინკლეში“ შევედით. იქ საბოლოოდ მოვითათბირეთ და დავრწმუნდით, რომ უკეთესი ვარიანტი ამ ქვეყნად ნამდვილად არ არსებობდა. გოგონებისათვის მხოლოდ ნამცხვრების ყიდვა დაგვეჭირებოდა. ყოველნაირი საჭმელიცა და სასმელიც ატის შინ ეგულებოდა.

ატი შელია ვერაზე იყო დაბადებული და გაზრდილი. მის მშობლებს ბარნოვის ქუჩაზე პატარა, კარგად მოვლილ ეზოში აგურის სახლი ედგათ. სახლს ორსართულიანი კი ეთქმოდა, მაგრამ სულ სამ ოთახს ითვლიდა. ქვედა სართულზე, რომელიც მიწას ოთხი საფეხურით იყო ამორებული, საკმაოდ მოზრდილი ბუხრიანი სასადილო ოთახი ჰქონდათ. შეიძლება იმიტომაც მეჩვენებოდა ასე დიდად, რომ ოთახში ცოტა ავეჯის გამო სიხალვათე იგრძნობოდა: ოთხ-

კუთხედი მაგიდა თავის სკამებითად, დაბალი, განიერი, ნოხგადფარებული ტახტი და ძველებური კარდახურავები. ტყავის სავარძელი — ესეც ძველებური. აქვე, ქვედა სართულზე იყო განლაგებული სამზარეულოცა და სხვა სათავსოებიც.

სასადილო ოთახიდან ხის კიბე ადიოდა ზედა სართულზე, სადაც ერთი ოთახი ატის ეკუთვნოდა. მეორის კარი მუდამ გამოხურული მხედებოდა და იქ არასოდეს შემხებდავს.

მე თბილისის ერთერთ ძველ უბანში ვცხოვრობდი, საერთო აივანიან სახლში. მეზობლებს ყველაფერი საერთო გვექონდა — ეზოც, ხეებიც, აივანიც, ონკანიცა და საპირფარეშოც. შუა ქალაქში ისეთი მწვანე და მყუდრო კუნძული, როგორც ატის კარმიდამოა, ჩემთვის აღმოჩენა იყო. მე მიყვარდა იმ ეზოში ყოფნა და ხშირადაც დავდიოდი, რადგან ჩემდამი კეთილგანწყობილებას ყოველთვის ვგრძნობდი. ატის დედა, ქალბატონი დოდო, რომელსაც რატომღაც სულ მშვიერი ვეგონე, მზად იყო, დღის ყოველ მონაკვეთში დავენაყრებინე, ოლონდ ატი ჰყოლოდა შინ. ხანდახან მარტო რომ დამიგულებდა სულ ამას მეუბნებოდა, უნივერსიტეტიდან ნურსად წახვალთ, მოდიეთ აქ, ვინც გინდათ, ის მოიყვანეთ, ოლონდ აქ მოდიეთო. ატი უმეტესად გარეთ მიიწვედა, თუმცა ძალიან უყვარდა თავისი სახლი, განსაკუთრებით — თავისი ოთახი მეორე სართულზე. იმ ოთახში მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა მოწყობილი და თავისი წიგნებით ხშირად თავსაც იწონებდა. წიგნებს უტლიდა, ახარისხებდა, ზუსტად იცოდა, რომელ თაროზე რა წიგნი ედო და ბევრისაგან განსხვავებით ისიც იცოდა, შიგ რა ეწერა.

საბინკლეში დიდ ხანს არ დავყოვნებულუვართ. მახლობელ გასტრონომში ნამცხვრები და სიგარეტები შევიძინეთ. ატიმ ორი კოლოფი „რეკორდიც“ იყიდა, იმ დროისათვის საუკეთესო პაპიროსი, თუ გოგონები ეწვევიან, ბარემ

ამას მოვაწყვეინებო. ჩვენი ნავაჭრით ბარნოვის ქუჩისკენ გავეშურეთ. მეგონა, საბლის დალაგება მოგვიწყვედა, მაგრამ ყველაფერი დალაგებული და დაკრძალებული გაგვხვდა.

— ატი ნელნელა სუფრის გაწყობას შეუდგა.

მეჩვენებოდა, ატიცა და გოგიც თითქოს სრულიად დამშვიდებულები ელოდებოდნენ გოგოების მოსვლას, როგორც ჩვეულებრივ ანდა უკვე შეჩვეულ მოვლენას. მე ვდელავდი. რაც უფრო ახლოვდებოდა დათქმული დრო, უფრო მეტად ვიძაბებოდი. მათთვის არ გამომხელია, რომ ამგვარ სიტუაცი-აში პირველად აღმოვჩნდი. მრცხვე-ნოდა იმის გამჟღავნება, ქალთან არა-სოდეს ვწოლილვარ მეტი. ამათთანაც და სხვა ბიჭებთანაც თავი ისე მეჭი-რა, როგორც გამოცდილ მამაკაცს, ქალის ყველა საიდუმლო დიდი ხნის წინ რომ აქვს ამოხსნილი. ატი იმ სა-მი გოგოდან მხოლოდ ერთს იცნობდა. ის ორნი ვინ იყვნენ, არ აინტერესებ-და. მალი-მალ საათზე იხედებოდა, რა ნელა გადის დროო, ეს აწუხებდა მხო-ლოდ. მე ამ მოლოდინში ჩუმად ვნერ-ვიულობდი, მაინტერესებდა მათი გა-რეგნობაც, ხასიათიც და ისიც — მო-ვეწონებოდი რომელიმე მათგანს თუ არა. წინასწარ მტანჯავდა უცნობი გა-რემოება, რომელშიც სულ მალე აღმო-ვჩნდებოდი აქ, ამ ოთახში.

გოგი ზედა სართულზე ავიდა, რა-ღაცას წავეკითხავო, თქვა და კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. ატიმ სუფრას გადახედა, მგონი, ყველაფერი რიგ-ზეაო, ხელები მოიფშენიბა და კმაყო-ფილმა თვალი ჩამიკრა. მერმე რატომ-ღაც ხმამალა გაიციინა, ის ბაიყუში ჩამოსვლას არ აპირებსო.

— მე ვარ ბაიყუში? — იკითხა გო-გიმ, რომელიც უკვე კიბეზე ეშვებო-და.

— ბაიყუში ხარ, მა, რა ხარ! — მერ-მე ბაიყუშისთვის უცხო თვისებაც მი-აწერა, — ყველაფერი მზამზარეული

რომ გიყვარს, ამ სუფრისათვის ერთ-ხელ მაინც გადაგხედა. **ერკინულა** გოგი კიბეზე შეჩერდა და ჩემოდან გადახედა სუფრას.

— გოგოები რომ არ მოვიდნენ, რა ვქნათ? — იკითხა.

— რა უნდა ვქნათ, სულელო. დაგ-სხდეთ და ვიქეიფოთ!

— ბუხარი ხომ არ დაგვენთო?!
მეა ბუხარი...

— ცხელა, ბიჭო, დავიწყებით! სა-ღამოს, თუ აგრილდა, შეიძლება.

— რომელი საათია? — ეს მე ვი-კითხე.

— ათ წუთში წავალ და მოვიყვან.— მიპასუხა ატიმ.

— „ისევ ნერვიულად რეკავს ტელე-ფონი, რომელი საათია, რომელი საა-თია!“ — გოგი ქვევით ჩამოვიდა და ბუხარს მიაღგა. — მაინც სხვა რა-მეა ბუხარი.

ზუსტად ათი წუთის შემდეგ ატიმ თქვა, წავედიო და სწრაფად დატოვა სასადილო ოთახი. ღია კარიდან ვხე-დავდი, კიშკრისკენ რა საქმიანად მიდი-ოდა, როგორ მიარხევდა ბეჭებს.

— ვითომ მოვლენ? — დაეკვებით იკითხა გოგი ზედელაშვილმა და მი-ვხვდი, ისიც ლელავდა.

— ალბათ. — განუგეშე უღარღე-ლად.

— რაღაც არ მჭერა. — ისევ დაეჭ-ვებული ჩანდა გოგი. — ვითომ ეს ყვე-ლაფერი ასე უბრალოდ ხდება? უც-ნობი გოგოები მოვლენ, ჩვენ გაშლილ სუფრას დავახვედრებთ, ცოტას წაეი-ქეიფებთ და მერმე დავმარტოხელდე-ბით... თანაც ოცდაბუთი მანეთი — ყვავილებისთვის! თავაზიანად... ეთიკის ნორმები არ უნდა დარღვეს! სადღაც ასეთი რამ შეიძლება ხდებოდეს კო-დეც, მაგრამ ჩვენში?! საქართველოში?! რაღაც არა მგონია.

რა დასამალია და არც მე მჭეროდა. ეს პროცესი უფრო რთული და ხანგრ-ძლივი მეგონა, სულ სხვა ურთიერთ-ბებსა და დამოკიდებულებაზე აგებუ-ლი. მე მაინც ასე მქონდა გოგოების

ვიზიტი წარმოდგენილი: მოვიდოდნენ, გავიცნობდით, თუ ერთმანეთი მოგვეწყობებოდა და საერთო ენასაც გამოვინახავდით, მხოლოდ შემდეგ შეიძლება იმ სასიყვარულო კონტაქტებზე ლაპრაკი, მთელი სიჭაბუქე რომ მიწვალუბდა და მტანჯავდა. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ვისაც შევხვდებოდი, წელს ქვემოთ ხელის ფათურის უფლებაც კი არ მოუცია.

— მე მგონია, ბუხარი მაინც უნდა დავანთოთ. — თავისას არ იშლიდა გოგი. — ბუხარი სხვა რამეა!

— შენ რაღაც დიდ იმედებს ამყარებ ბუხარზე! — ამ ბუხარს გამოკიდევ მინდოდა მეხუმრა, მაგრამ თავი შევიკაფე, არ გავაღიზიანო მეთქი.

უცებ რკინის კარის კრაილი გავიგონე და ღია კარიდან ეზოს გავხედე. გოგიც გაფაციცებული მიტრიალდა ფანჯრისკენ. კიშკრის მიღმა მართლაც გამოკრთა ფერად-ფერადი კაბები და ატი, ბედნიერად გაღიმებული ატი.

— მოვიდნენ! — თქვა გოგიმ და ისე შემომხედა, თითქოს არ სჯეროდა, რაც ახლა თვალთ იბილა. — ვაა, ეს კი არ მგონია!

ატი ეზოში შემოვიდა და იქვე გვერდულად დადგა, ხელი სახლისკენ გამოიშვირა, ეტყობა, სტუმრები შემოიპატივია. მისი ხმა ჩვენამდე არ აღწევდა. თუმცა არც ისე შორს იყო კიშკარი. გოგოებს თითქოს ერიდებოდათ, დარცხვენილები იცინოდნენ, ერთმა პირზეც კი აიფარა ხელი. ბოლოს და ბოლოს გაუბედაობა დასძლიეს და სათითაოდ ეზოში შემოლაგდნენ. ატიმ კიშკარი მიხურა.

როგორც კი სახლისკენ გამოემართნენ, მე შევეტრიალდი და ბუხარისკენ გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი ვითქმ ჩემი საქმით ვიყავი გართული და მათ მოსვლას არ ვუთვალთვალდებდი. სწორედ ასევე მოიქცა გოგიც. ჩვენ შეთანხმებულები ვმოქმედებდით. მინდოდა ჩემი საქციელი როგორღაც უფრო ბუნებრივი ყოფილიყო, მაგრამ

ატიმ ოთახში შემოსვლისთანავე გველაფერი წყალში ჩამიყვარუნებდა!

— ისე დგახართ, თითქოს ჩქეწნი მოსვლა არც გავიგონიათ! იქნებ არც გველოდებოდით?! — გვითხრა ხმაშალა და ასევე ხმაშალა გაიცილა.

თავს ძალა დაეგებინა, რომ არ გავწითლებულიყავი. როგორ არა, მოუთმენლად გველოდებოდით მეთქი, ამის სათქმელად გოგოებისკენ შემოვბრუნდი და ელდს შეცა, გაშტერებულს ენა დამეხა. ერთერთი მათგანი მაშინვე ვიცანი. ეს იყო ზიზი.

არ ვიცი, ელდა როგორ გამომხატა სახეზე, ატის რომ გადავხედე, ნირწამბდარი იდგა, როგორღაც დადარაჯებული, უფრო ავისმომასწავებელი წინათგარძნობით შეშფოთებული მომჩერებოდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს. გოგოებიც თითქოს დაიბნენ, უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

წამიც და ზიზის ხმა გავიგონე:

— ოზო, შენა ხარ?!

მე გაშეშებული ვიდექი, პასუხი არ გამოიცა.

— ღმერთო ჩემო, ოზო! — ზიზი გამოქანდა და ყელზე ჩამომეკიდა. — ოზო, რა სხვანაირი ხარ!

იმდენად გულწრფელად გამოხატა სიხარული, ისეთი სუფთა და მართალი იყო იმ წუთებში, მეც დაგიბენი და სულ მთლად გამოვშტერდი... ზიზიმ ოროვე ხელი სახეზე ჩამომისვა და გულწრფელად აღტაცებული თვალებში შემომცქეროდა. პირველმა ელდამ, როგორც ჩანს, გამოიარა უხერხულად ავიწურე და გაღიმება ვცადე.

— ესენი ძველი მეგობრები ყოფილან! — გავიგონე ატის იმედინი შეძახილი. — ძალიან კარგი.

ჩემთან შეხვედრით გახარებული ზიზი ახლა მკლავზე ჩამომეკიდა, მომეტმასნა, გაუთავებლად მელაპარკებოდა, თითქოს იმ ოთახში ჩვენს გარდა სხვა არავინ იყო. მეკითხებოდა ათას წვრილმანს, რომელზე პასუხის გაცე-

მაც, მე მგონი, მაინცადამაინც არ აინტერესებდა.

ამასობაში გოგომ სტუმრები გაიცინო, დავინახე, როგორ ჩამოართვა ხელი ერთსაც და მეორესაც, მერმე ზიზისკენ წამოვიდა.

— მოგვაქციეთ, ბატონო, ყურადღება, ასეთი რა მოხდა?! — ატის ჩვეულებრივი იერი დაჟბრუნდა, გამზიარულდა.

ერთი სიტყვით, დავლაგდით, დავწყვილდით და მაგიდას მოვუსხედით. ატის ბედი იმთავითვე გადაწყვეტილი იყო, თავისი ნაცნობი მოისვა გვერდით, ჭერა, პირმრგვალი გოგო, რომელმაც გაცნობისას მითხრა, ნათელა მქვიაო, მას მწვანე საზაფხულო კაბაზე თხელი ქსოვილის კოფთა ეცვა. გოგის არჩევანის საშუალება არ მიეცა, რაბან ზიზი მე მომეტმასნა, ძალაუნებურად მესამეს დაუწყვილდა. თუმცა არც მიცემდი უფლებას, ზიზი აქ ვისმე დაწყვილებოდა.

მესამე ავრორა იყო. სახელი საქვეყნოდ ცნობილი კრეისერისა კი ერქვა, მაგრამ მე ძალზე მოკრძალებულ, მშვიდ და ნახ გოგოდ მომეჩვენა. მასაც ნათელასავით ჭერა, ოღონდ მოკლედ შეკრეკილი თმა ჰქონდა, ტანადი იყო და ლამაზი, მაღალი ყელი ჰქონდა. შესაძლოა, ამიტომაც იკრეკდა თმას ასე მოკლედ. გაურკვეველი ფერის კაბა ეცვა, გაბუნებული ყვავილებით მოჩითული.

ათმ რამდენჯერმე სხვებისგან დაფარულად მანიშნა, ცოტა გონს მოდი, გამზიარულდიო. მე ვცდილობდი, მინდოდა ისე მოვეტეულიყავი, სტუმრებისათვის გუნება არ გამოფუტუბინა. არ გამომივიდა. ვერაფრით მოვიწინე ზიზისთან ამგვარ გათვითქმევედრებას. არ მახსოვს, თავი როგორ შევიკავე, ვიცანი თუ არა, მოვკლავ მეთქი, გამიელვა თავში. ამ დროს იმანაც მიცნო და გახარებული გამოქანდა ჩემკენ, ყელზე ჩამომეკიდა. როგორც კი ხელი შემახო, ჩავეკრი, დავიფუტე.

უკანასკნელად როდის ვნახე? აღბათ

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, მაშინ ჩემი სულ მაფრთხილებდა ის გოგო მივატოვეთ, ყურადღებას არ მქონებოდა დედამისის კი ჩვენი იმედი აქვსო. მაგრამ თბილისში როგორ გინდა უმისამართო ადამიანის მონახვა. აღრე ერთიორჯერ გავიგონე მისი სახელი, გაურკვეველ, საეტეო სიტუაციებში მოხვედრილ ნაცნობებს მოჰქონდათ ამბავი, როგორღაც აგდებულად თუ დაციხვით მუშებნებოდნენ, აქა და აქ შენი ნათესავი გოგონა გავიცანითო. ზიზი, თუ ვინმე ჩემი ნაცნობი შეხვედებოდა, რატომღაც ჩემს ნათესავად ასალებდა თავს.

როგორ უნდა მიმეხედა, სად მეძებნა, სად მომენახა ზიზი? გინდაც მცოდნოდა მისი ადგილ-სამყოფელი და ასავალ-დასავალი, მე რა შემეძლო? ბოლოს და ბოლოს დარაჯად ხომ ვერ დავუდგებოდი? ანდა რა უფლება მქონდა მისი ზედამხედველობისა? ანდა მოვახდენდი კი მასზე რაიმე ზეგავლენას? დაბოღმული ვიჭექე ზიზის გვერდით და ამგვარ სისულელეებს ვფიქრობდი. ეს იყო ფუტე, უმაქნისი ფიქრები უნებურად რომ მომეძალა, როცა ჩემთვის ბუნდოვანი და აბსტრაქტული მოვალეობის წინაშე თავის მართლება ვცაღე. განა მე არ ვიყავი, ჭერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელი ვნება ამ რამოდენიმე წლის წინ ზიზისკენ რომ მიმაქროლებოდა?! რა მინდოდა მაშინ, რატომ წავყვევი შინ ასე მორჩილად? თან მეშინოდა არავის დავენახე, განსაკუთრებით — ანანოს. ახლაც გამახსენდა, რა ჩუმი თრთოლვით ვაპარებდი მშერას ზიზის საწოლისაკენ. ის ქათქათა, თეთრად აშლილი ლოგინი მერეც არაერთხელ დამსიზმრებია. ღვინო რომ არ მომიკიდებოდა კაცმა არ იცის ის დღე როგორ დამთავრდებოდა.

— მე ვიცი, რას ფიქრობ. — ჩამჩურჩულა უცებ ზიზიმ. — ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი კარგად იქნება.

ყველანი ღვინოს ვსვამდით, მხოლოდ ნათელამ ინება კონიაკი. ნათელას უკვირდა, ასეთი კარგი სუფრა ბიჭებმა

როგორ გაშალეთო. არ ვიცი, ნამდვილად მოსწონდა ატის გაწყობილი მაგიდა, თუ გვამზნევებდა. მაშინდელი ცხოვრების დონისათვის შეიძლება სუფრა მართლაც მდიდრული იყო: ყველი, მწვანელი, ჩახოხბილი, კატლეტი და შემწვარი კარტოფილი. ქალბატონ დოდოს ატისთვის საკმელ-სასმელი ბლომად დაუტოვებია, სამი დღე მაინც უნდა ჰყოფნოდა. რაც შეეხება გასტრონომში ნაყიდ ნამცხვარს, ის ბოლოსთვის გვეჭონდა შემონახული.

ზიზის ნაჩურჩულეზე ცოტა მოგვიანებით გვამახვილე ყურადღება. შესაძლებელია, მიხვდა კიდევ მე რას ვფიქრობდი. მაგრამ მეც მინდოდა მივხვედრილიყავი, რას ნიშნავდა მისი ნათქვამი, ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი კარგად იქნებაო. რას მიმანიშნებდა ანდა რას მანუგეშებდა? თუკი ფიქრებს მიმიხვდა, ალბათ ამ სიტყვებით მაგრძობინა, არც ისეა საქმე, შენ რომ გგონიაო. მე უკვე გამაბრუნა დაუსრულებელმა და უშედეგო მკითხაობამ, თითქოს დავილაღე კიდევ და აქაურობაც მომბეზრდა. ყველაფერი მოსაწყენ სისტულელად მეჩვენებოდა. ისიც კი ვიფიქრე, ავღკები და გავიპარები მეთქი. გაპარვას რა უნდოდა, ვითომ მოსაშარდად გავიდოდი და დავიკარგებოდი. ამ ფიქრმა ერთი ძველი ამბავი გამახსენა და გუნებაში გამეცინა.

მახსოვს, ამ მიზეზის გამო ზიზის სახლიდან ერთხელაც გავედი გარეთ და უკან ველარ დაებრუნდი. მეთუ კლასელები ვიყავით, ორმა ვისადილეთ და ღვინოც დავაყოლეთ. ღვინომ ისე დამათრო, რომ მოსაშარდად გასული დავიკარგე, არადა ჩემი დაბინდული გონებით ზიზის თბილსა და ქათქათა ლოჯინისაკენ მივიწვედი. მეორე დღეს ანანომ მრავალმნიშვნელოვნად მითხრა, ჩვენს კართან შუბლით მიყუდებული იდექი და ხომ არ გახსოვს, ვინ მიგაყუდაო.

ამ გახსენებამ როგორღაც გუნება გამომიკეთა. ალბათ ცოტათი ღვინომაც

იმოქმედა, უკვე მეხუთე ჰქვა დაგვლდე. იქნებ მართლა არც ისე იყუ, ~~საქმე~~ როგორც მე მეგონა? იქნებმა ~~მზნე~~ მზნეაა ლოდ, გასართობად. ბიჭების გასაცნობად, საღამოს გასატარებლად მოვიდა, ყოველგვარი ქვენა გრძნობების გარეშე? ამხანაგებს წამოჰყვა სამზიარულოდ და სხვა არაფერი...

— ბევრს ნუ დაღვე, — მომხედა ზიზიმ ეშმაკური ღიმილით, — შენ ცოტაც გყოფნის!

— გახსოვს?! — მეც გავუღიმე.

— მაგას რა დამავიწყებეს! ჟერ ძლივს გიბოვე ეზოში, მერმე წვალებით მიგათორიე სახლამდე და კარს მიგაყუდე, ღმერთო, როგორ მეშინოდა ანანოსი!

— ნუ გეშინია, ახლა აღარ მოგიწევს ჩემი მითრევა!

— მეგობრებო, ამ დიალოგს ლირიკული წიაღსვლა ეწოდება და დიდ ყურადღებას ნუ მიიქცევთ, მაინც ვერაფერს გაიგებთ! — ატი უკვე კარგ გუნებაზე დადგა, რახან გალიმებული დამინახა.

მეჩვენებოდა, რომ სუფრას მშვიდი და სსიამოვნო სულისკვეთება დაეუფლა. გოგოები ჩვენდამი კეთილად იყვნენ განწყობილნი, ბევრს არ ლაპარაკობდნენ და ყოველ, თუნდაც უკბილო ხუმრობაზე გულიანად იციროდნენ. ატი შეიძლება ამანაც გაათამამა, სულ ხუმრობდა და უსიარცხილოდ ასაღებდა შორეული წინაპრების ნაანდერძე ანეგდოტებს. გოგოებსაც მეტი რა უნდოდათ, იციროდნენ და იციროდნენ. ისინი პაპიროსს ანუ „რეკორდს“ ეწეოდნენ, ჩვენ — სიგარეტებს ანუ „პრემას“. მე სულ ახლახანს დავიწყე სიგარეტის წევა. მოვწევდი, როცა მომეგუნებებოდა. ჟერჯერობით იმ ეტაპზე ვიყავი მისული, კაცს რომ ჰგონია, იოლად დავანებებ თავსო.

ატიმ ერთი-ორჯერ თვალით რაღაც მანიშნა და ვერ მივხვდი, რას მანიშნებდა. ღვინო ოდნავ მომეკიდა, წელანდელივით შებოკილი და დამაბუღი აღარ ვიჭექი. შეძლებისდაგვარად

ვხუმრობდი და ერთი ძველი ანეგდო-
ტი მეც გავასაღე.

— მუსიკა ხომ არა გაქვთ? — ში-
ხაურულად იკითხა ნათელამ.

— რადიოლა! — ხალისიანად უპა-
სუხა ატიმ.

— მაგას რა სჯობია! ფირფიტებიც
გაქვებათ?

— კვიანი გოგო ხარ, ჩვენ ახლა
მხოლოდ მუსიკა გვინდა!

ატიმ ბუხარსა და ტახტს შორის პა-
ტარა, ოთხკუთხედ მაგიდას ხავერდის
გადასაფარებელი მოხადა და რადიო-
ლა გამოაჩინა. მაგიდას ქვეშ თაროც
აღმოაჩინდა. თაროზე უწესრიგოდ ეწ-
ყო ფირფიტები. ეტყობოდა, ამ სფე-
როს ატი მაინცადამაინც არ სწყალობდა.

ნათელა წამოდგა, მუსიკის საქმეს შე
მოუგვარებო, თქვა და რადიოლასთან
მივიდა. ზიზიმაც რადიოლას მიაშურა.
ატიმ დრო იხელთა და განზე გამი-
ყვანა. გოგის რალაც მოუუხერხოთ. მი-
თხრა ხმადაბლა, ნახე, რა დღეშია,
მგონი, ტყუილად მოვიგონე ეს ბაზა-
როო.

— ტანგო გინდათ თუ რუმბა? —
კითხულობს ნათელა.

— არგენტინული ტანგო! — საზე-
იმოდ აცხადებს ატი. — თუმცა ჩვენ-
თვის სულერთია, ცეკვა არ ვიცით...
არცერთმა!

— ცეკვას გოგოები გასწავლით! —
გვპირდება ნათელა.

სუფრას მხოლოდ გოგი და აგრორა
უსხდნენ. გოგი ორივე ხელით მაგიდას
დაყრდნობოდა და ბოლშიანი დაფინებით
ჩასცქეროდა ღვინით სავსე ჭიქას. სა-
ხე მორღვეული ჰქონდა, წითელი ლაქე-
ბით აჭრელებული. ეტყობა, ჩვენზე მე-
ტი დალია. მომლოდინედ გაყუჩებული
აგრორა თითქოს ნემსებზე იჯდა, თით-
ქოს ადგომა უნდოდა და ვერ ბედავდა.
აღბათ ატი მართალი იყო, დღეს სხვა
რალაც უნდა მოგვეფიქრებინა თუმცა,
რა, გოგი ჭერჭერობით არაფერს აშა-
ვებდა, თავისთვის იჯდა და სვამდა.
სხვა გარემოებაშიც უთუოდ ასე მო-
იქცეოდა.

— ამ ფირფიტებში არგენტინული
ტანგო არ არის! — ამბობს გაყვირვე-
ბული ნათელა.

— ჩემთვის ყველა ტანგო არგენ-
ტინულია! — იცინის ატი.

აგრორამაც გაიცინა და წამოდგა.
მშვენიერი ყელი ჰქონდა, მხრები და
მკლავები. ბუხარს მიუახლოვდა, მო-
ბრუნდა და გოგის გახედა, მერმე რა-
ტომღაც შე გამიღიმა, აშკარად გამიზ-
ნულად გამიღიმა მომხიბვლელი ღიმი-
ლით. გოგი არ განძრეულა. ახლავა შე-
ვნიშნე, არაფერი უქამია, თეფში ხელ-
უხლებლად ედო წინ.

ფირფიტამ ჯერ საცოდავად გაიზ-
რიალა. შემდეგ თანდათან ამ ხრიალი-
დან ძალზე სასიამოვნო ჯაზური მუსი-
კა ამოიზარდა, თითქოს ქალმა უხეში
ტანსაცმელი ნელნელა გაიხადა და
მშვენიერი სხეული გამოაჩინა.

— ჭერ რომელი გაცეკვოთ?
— რა თქმა უნდა, მე! — ატი გაქან-
და და ორივე ხელი მოხვია ნათელას.
ცოტა ხნის შემდეგ ზიზი მოვიდა
ჩემთან.

— ვიცეკვოთ?
— არა.
— ნუ გერიდება. არც ატიმ იცის
ციკვა, მაგრამ, ხომ ხედავ...

— ჯერ არ მინდა.
— აგრორას ხომ არ ეცეკვებოდით? —
მეჩუჩრჩულება. — კარგი გოგოა, არა?
მოგეწონა?

— აგრორას უთხარი, გოგი აცეკვოს.
რალაც ვერ არის გუნებაზე.

— რა დაემართა?
მე მხრები ავიჩჩეჩე.
— ღვინო მოერია?
— არა მგონია. ჩვენ შორის ყველა-
ზე კარგად ეგ იტანს ღვინოს.
— ღვინომ ზოგჯერ არ იცის გარჩე-
ვა, კარგ მსმელსაც ათრობს.

ატიმ, როგორც იქნა, ნათელას ფეხი
აუწყყო, გაბდღვიალებული ეციკვებოდა,
ჩვენც გვაქებებდა, მიდით, რალას უც-
დითო, თან თვალთ გოგისკენ მოგვა-
ნიშნებდა. მე კიდევ ერთხელ ვუთხარი
ზიზის, იქნებ აგრორამ გოგი აცეკვოს

მეტეი, გოგომ ამასობაში იქცა გამოცალა და ისევ შეავსო.

— მე ვაცეკვებ, — მითხრა ზიზიმ, — ამ პაპიროსს მოვწვევ და ვაცეკვებ.

გოგის მიღმა, ღია ფანჯარაში კატამ შემოიხედა და მაშინვე გაუჩინარდა. გარეთ უკვე ბინდი წვეებოდა და ოთახშიც საკმაოდ ჩამობნულდა, თანაც თამბაქოს ბოლით დაინისლა იქაურობა. სანამ ზიზი პაპიროსს ეწვეა, მივალ და ვეტყვი, მეტს ნულარ დალევ მეტეი. ვიგრძენი, უკვე ცუდად იყო, ღვინოც შესამჩნევად მოჰკიდებოდა. იმედი არ გაგვიმართლდა, ღვინომ გოგის შვება ვერ მოჰკვარა.

გოგი წამოდგა და მარცხენა ხელით მაგიდის კედეს დაეყრდნო. ერთხანს იდგა ასე გაშეშებული, მერმე მარჯვენა ხელი ჩამოისვა სახეზე და ამოიგმინა, ატიმ ცეკვა შეწყვიტა და შეშფოთებულმა შემომხედა.

— არ მინდა, არაფერი არ მინდა! — თავისთვის ლაპარაკობდა გოგი. — ვინ არიან, რა უფლება აქვთ?!

ზიზიმ პაპიროსი სწრაფად შეისროლა მუხარში და გოგისკენ ვადადგანაბიჭი, დაავიანდა, გოგომ ახლა ორივე ხელი აიფარა სახეზე და საშინელი ხმით იყვირა:

— მოვკლავ! ჩათლახები!

გოგი ღია კარისკენ გაიქრა ატი ვადელობა და შეჩერება სცადა. მეც მივეშველე. ორივენი ძლივს ვაკავებდით, გარეთ იწვედა, ყვიროდა, იგინებოდა.

— გოგი, გოგი, დამშვიდდი! გოგი, შემომხედე, სახეში შემომხედე, რალაც უნდა გითხრა!

— გამიშვით, ხელი გამიშვით!

— გოგი!

— არ შემიძლია გული გამისვდება!

— მომისმინე, გოგი!

— გამიშვით, რა! აღარ მინდა აქ ყოფნა! დამანქებთ თავი! — გოგომ ერთხელაც იყვირა და ხმა ჩაუწყდა. მერმე შეციებულებით აცახცახდა, ამავე დროს ოფლად იღვრებოდა. ისევ გარეთ იწვედა, მაგრამ ძალა გამოეღია და ვერაფერს გვიხერხებდა. როცა

მიხვდა, ჩვენგან თავს ვერ დაიხსნოდა, ხმამალა შეიგინა და წაქეზებულა...

— ატიმ მანიშნა, ზეჰქონს შეიწყენითო. აქეთ-იქიდან მხარში ამოვუღუქეთ და რის ვაი-ვაგლახით კობისკენ წავათრიეთ. ძალაგამოცლილს მუხლები მოეკვეთა და ჩვარივით იქცა.

— რა მოგივიდა, ბიჭო, ხომ ხედავ. შენთანა ვართ! — ეუბნებოდა ატი. — დაწყენარდი... დამაცადე, ყველას დედას ვუტირებ! რამსიმძიმე ხარ, შე 'ოხერო! ცოტა წინც მოგვეშველე!' გოგი, როგორც იქნა, ატის ოთახში ავიყვანეთ და საწოლზე დავაწვინეთ. ფეხსაცმელები წავაძრეთ, ქამარიც შევუხსენით. ატიმ მითხრა უხერხულია, შენ გოგობთან ჩადი, ამას მე მივხედავო. ასეც მოვიქეცი. კბეზე ვიგრძენი, გოგობის დანახვა ჭადრ მინდოდა, მაგრამ უკვე კბეზე ჩავდიოდი, იმათაც დამინახეს და განაბულები მელოდებოდნენ, როდის ჩავათავებდი საფეხურებს.

— როგორ არის? — ჩასვლისთანავე დამესიენ გოგობი.

— არა უშავს. დაწვა და ცოტა ხანში ყველაფერი გაუვლის.

— რა უცებ დათვრა?! — გაკვირვებული იყო ავრორა.

— გუშინწინ კული რალაც შეემჯობვა... — დაუფიქრებლად წამომცდა და გოგობამაც — სიტყვის დამთავრება არ მაკალეს, სამივემ ერთად მკითხა:

— რა?

— ისეთი არაფერი... რა ვიცი... — მივახვედრე, რომ ამ კითხვაზე პასუხს არ გავცემდი.

მაგიდიდან სიგარეტი ავიღე. ცეცხლს მე მოგიკიდებო, მითხრა ნათელამ და ბენზინის კვესი აანთო. ცეცხლი რომ გამომიწოდა, გალიმებულმა საფუძვლიანდ ამათვალისწინებდა ჩამათვალისწინებდა, მერმე ზიზის მიუბრუნდა:

— მაშ, ეს არის შენი ოზო?!

— ეს არის!

— ძლივს არ გვალირსე გაცნობა.

— ესეც შემთხვევით მოხდა. არ



ვიცი, თუ აქ დამხედებოდა.

გოგოები შემომხევიდნენ და უდიდესი ცნობისმოყვარეობით მათეაღიერებდნენ თუ მამოწმებდნენ. ალბათ ჩემზე ათასი სისულელე უამბოდა ახლა აინტერესებდათ, ნამდვილად ისეთი ვიყავი თუ არა. როგორსაც ზიზი მხატავდა. მე დაბნეულად ავიწერე და გარკვეული ძალისხმევაც დამპირდა, რომ არ გავეწითებულყავი. გოგოები უთუოდ მატყობდნენ ამ დაბნეულობას და რალაცნაირი თავხედური გულისხმიერებით შემომცქეროდნენ საბეში. ეს ბიჭი ნუ გამოგივითო, უთხრა ზიზიმ მეგობრებს და მკლავი გამიყარა. მაგიდასთან მიმიყვანა, დაჭდა და მეც გვერდით მომისვა.

— ხომ არ წაესულიყავით? — მკითხა მკირე ღუმულის შემდეგ.

— სად?

— შინ. — ზიზი დაფიქრდა. — ჩემი აზრით, აღარა ღირს აქ დარჩენა.

— არა, ჭერ მოვიცადოთ. ვნახოთ, გოგი როგორ იქნება. |

— გოგი დაიძინებს და დამშვიდდება.

ზიზიმ არ იცოდა გოგის სატიკვარი და ეგონა, რომ სწორედ ისე, როგორც ერთხელ მე დამემართა, გოგმაც წინასწარ ვერ მოზომა, ზედმეტი მოუვიდა და დათვრა. მე წელანდელი ნერვიული შოკი მაწუხებდა და აქედან მხოლოდ მაშინ მოვიცვლიდი ფეხს, როცა გოგი დამშვიდდებოდა და ჩვეულებრივი, ძველი იერი დაუბრუნდებოდა.

მუსიკა მომენატრაო, თქვა ნათელამ და მივიდა რადიოლასთან, რომელიც წელანვე თავისთავად გაჩერებულყოფირფიტის გამოცვლა ვერ მოასწრო, რადგან ატი გამოჩნდა. ფი ფრთხილად დაეშვა კიბეზე და ჩვენკენ გამოემართა. რა სიბნელეში სჭედხართო, სინათლე ანთო.

— დაიძინა? ვკითხე.

— არა. მაგრამ ცოტათი დამშვიდ-

და. მითხრა, წადი, მარტო ყოფნა მირჩევნიაო. რა მექნა, წამოვეფიქრე და ველუმიდით და ვაბოლებდით. ღუმულის ღუმულის უფრო გამოჩნდა. ოთახი თამბაკოს ბოლით იყო დაბურული. მაინცადამაინც დაბნეულები არ ვიყავით, მაგრამ არც ის ვიცოდით როგორ მოვქცეულიყავით, გავვეგრძელებინადროსტარება თუ დავვეცადა, საბოლოოდ როდის დამშვიდდებოდა გოგი. ამიტომ ვდუმდით და ვაბოლებდით.

— არ უნდა დაელია. — გაისმა ღუმულის ავრორას ხმა. — რალაცით შეურაცხყოფილი და დათრგუნულია, ვერ ინელებს... არ უნდა დაელია, სმა არ ამშვიდებს ნერვებს, პირიქით...

გამიკვირდა. ავრორა დაფიქრებული იდგა ბუხარს მიყრდნობილი. მხოლოდ ახლა შევნიშნე, დიდი და ლურჯი თვალები ჰქონდა, მუქი-ლურჯი. ვერ ვიტყვი, რატომ, მაგრამ ავრორასაგან ამგვარ მიხვედრილობას არ მოველოდი, თანც მისი ნათქვამი ფარული თანაგრძნობით აღბეჭდილი მომეჩვენა.

— იცით, რა? — ეს ისევ ავრორაა. — მე ავალ გოგისთან, დაველაპარაკები. იქნებ ტკივილი როგორღაც შევეუსუბუქო.

მე უცებ დავიჯერე, რომ ავრორა გულწრფელად განიცდიდა გოგის წელანდელ ნერვიულ შეტევას და ასევე გულწრფელად უნდოდა მისი შველა. დავიჯერე ისიც, რომ თავისი მშვიდი ხმითა და ინტონაციით, სიტყვითა და საუბრით რამდენადმე შეუუსუბუქებდა ტკივილს. მე მგონია, ატიმაც დაუჭერა ავრორას და ისიც ცაოცებული იყო ამ მოულოდნელობით.

ავრორა წამოდგა. ჩვენ უხმოდ ვადევნებდით თვალს მის ყოველ მოძრაობას. რბილად, უხმაუროდ მიდიოდა კიბისაკენ. კიბის საფეხურებსაც უხმაურად აჰყვა. ჭერ თავი მოეფარა ტერს, მერმე — ყელი და მხრები... წელი... ფეხები, გრძელი, დახვეწილი და მსუბუქი ფეხები... შევეხურებდით, ვდუმდით და ვაბოლებდით და მე თამბაკოს ბოლით გაბრუებულს მეჩვენებო-

და, თითქოს დაუსრულებლად აღიოდა ხის კიბეზე ეს ყელმალალი, ლამაზი და ტანადი გოგო. აღიოდა და აღიოდა, სულ მალა, მალა... უსასრულობაში.

4

ჩვენ დიდხანს მივდიოდით დამდურებულებივით, მე და ზიზი. ვიწრო, ოღრო-ჩოღრო კუჩხებით ჩავიარეთ ვერა და რუსთაველის ძეგლის გვერდით, ბილეთლის წყლების განათებულ მაღაზიასთან შევეყოვნდით. ისიც გაჩერდა და მეც, შეუთანხმებლად. აქ უკვე ბლომად ირეოდა ხალხი. წუხანდელი ჩხუბიკ ზუსტად აქ მოხდა და უნებურად დურმიშხან წილოსანი გამახსენდა. უსიამოვნო ფიქრი სწრაფად რომ მომეშორებინა, ზიზის ვკითხე, საით წავიდეთ მეთქი. მან გაურკვეველად აიჩეჩა მხრები.

მე ზიზის ვაცილებდი. გზაში არ უთქვამს, სად ცხოვრობდა და ამიტომ არ ვიცოდი, საით წამყევანა. უსიტყვოდ ვაცილებდი.

ატისთან აღარ გაჩერდა. აერორა მეორე სართულზე ავიდა, ატი და ნათელა ჩახუტებულები ცეკვავდნენ ტანგოს, მხოლოდ ჩვენ ვუსხედით მოწყენილები მაგიდას, არც სმა გვინდოდა და არც — ჭამა, აღარც — ლაპარაკი. ზიზი ადგა და განაცხადა, მივდივარო. მის ნათქვამს შთაბეჭდილება არ მოუხდენია, არავითარი. არც ჩემსას, როცა ვთქვი, გავაცილებ მეთქი. ეგრევე დაეტოვეთ მოცეკვავენი და გამოვედით გარეთ, სადაც უკვე საკმაოდ ბნელოდა.

აქამდე სიტყვის უთქმელად მოვედით. მე იმიტომ კი არ ვდუმდი, თითქოს სათქმელს ვერ ვპოულობდი, პირიქით, ბევრი სათქმელი დამეფროვდა, ათასი მწარე შეკითხვა მაწუხებდა, მაგრამ ვერიდებოდი, ბოლომდე არ ვიცოდი, ამგვარი შეკითხვების უფლება მქონდა თუ არ მქონდა. არც ზიზის სიწრფელისა მეჯეროდა მაინცადამაინც.

დღევანდელი საღამოთი უკმაყოფი-

ლება არაფრით გამოუხატავს, ვუმცა, წესით, კმაყოფილი ვიქნებოდი. ახლა იმანვე უნდა ვთქვა ვიფიქრე, ზიზის ჩემი დანახვა ასეთ გარემოში არ უნდა გახარებოდა მეთქი. ხომ მაშინვე მიხვდა, რომ მე ვიცოდი, სად და რისთვის მოვიდა. როცა დამინახა, ხომ უნდა შემერთალიყო? იქნებ ჩემთან შეხვედრის სიხარულმა გადაფარა ჩემი მოულოდნელი დანახვით გამოწვეული შემფოთება. უთუოდ გაითამაშა წრფელი აღტაცება. ჩემი ნახვა თუ ისე სწყუროდა, რომ გიყვივით გამოქანდა და ყელზე ჩამომეკიდა, ამ სამი წლის განმავლობაში შეეძლო, ერთხელ მაინც მოგენახულებინე. ხომ იცოდა ჩემი ასავალ-დასავალი?

მე ისიც მიკვირდა, მთელი საღამო როგორ გაუძლო ანდა როგორ გადაიტანა ის, ყურადღების მიღმა რომ ღარჩა. ამას თითქოს თვითონვე შეუწყო ხელი. რალანაირად განზე გადაგა და გაყურდა სწორედ ეს არის უცნაური. რამდენადაც მისი ხასიათი ვიცი, ზიზი ყოველთვის ცდილობდა ყურადღების შუა გულში მოქცევას, არ იშურებდა ნიჟსა და ძალას, თანდაყოლილ ქალურ ეშმაკობას. ამ საღამოს კი განზე გადაგა და გაყურდა.

— საით წავიდეთ? — ისევ ვკითხე, კირხეს (ახლანდელი მარჯანიშვილის) მოედანზე რომ გავედით.

— ჩემთვის სულერთია. — მიპასუხა უზრუნველად. — საითაც გინდა, გინდა — მარჯვნივ, გინდა — მარცხნივ.

— როგორ არის სულერთი, შინ ხომ უნდა მიგიყვანო?!

— ჩემს დიასახლისს ვუთხარი, დაბადების დღეზე მივდივარ და ამაღამ არ მოვალ-მეთქი. — მერმე მე მომიბრუნდა, — აქამდე მეგონა, შენთან მივდიოდით.

— ჩემთან?

— რა ვიცი, შენი სახლისკენ არ მივდივართ?!

ჩვენ მართლა იქით მივეშურებო-

დით, ჩემი სახლისკენ. არადა წამითაც არ გამოვიღია გუნებაში, ამ გოგოს შინ წაივყვან მეთქი. გაუაზრებლად მივდიოდით. ალბათ მეგონა, რომ ზიზი მტკვარგალმა, სადღაც ჩემი უბნის მახლობლად ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, ზიზის პირდაპირმა ნათქვამმა გულის სიღრმეში გამეცნწლა, ისე უხერხულად ვიგრძენი თავი, თითქოს ფარულ ზრახვას წინასწარ მიმიხვდნენ და სააშკაროზე გამომიყვანეს. ზმა ვერ ამოვიღე, სიცრუეში მხილებულივით გავჩუმდი. მაგრამ ახლა უკვე ვიცი, საით მივდიოდით; მარჯვნივ გავუხვიეთ და გავყევით სანახევროდ ჩაბნელებულ პროსპექტს. სიბნელეში ზიზის სახეს ვერ ვხედავდი, თუმცა უხილველადაც კარგად ვგრძნობდი, ჩემთვის ისეთი რამის თქმა, რაც არ შესაძლებელია ანდა უხერხულ მდგომარეობაში ჩამადგებდა, მას პატარა სიხარულივით სიამოვნებას გვრიდა.

— შენი ძმა თუ ნახე? — ისე სხვათა შორის მკითხა.

— ძმა? რომელი ძმა?

— განა რამდენი გყავს? — გაიცივნა. არ იცოდინო? გეტყობა, სოფელში დიდი ხანია არ ჩასულხარ.

— ხო... არა... რაც მამაჩემი იქ გადასახლდა, არა.

— კარიბელის ქალი ცოლად რომ მოიყვანა, გეცოდინება.

— ჯ, ეგ ვიცი.

— მაშინ, ისიც უნდა იცოდეს, ქალი თუ ბერწი არ არის, გათხოვების შემდეგ შეიღობო უჩნდება ხოლმე. ალბათ ერთი წლისა იქნება, შეიძლება მეტისაც იყოს. ამბობენ, კარგი ბიჭიაო.

— ცული რატომ იქნება. — ვთქვი იმის გამო, რომ რაღაც უნდა მეპასუხა.

— გაგიხარდა?

კი მეთქი, თავი დავუქნიე. ერთის მხრივ ძმის დაბადება ნამდვილად გამიხარდა. ან რატომ უნდა მწყენოდა? მაგრამ ვერ მივხვდი, მამაჩემი რატომ მიმალავდა და არ მატყობინებდა ამ ამბავს. ვაგებრაზდი. ბოლო (ხანებში

ხუთი თუ ექვსი წერილი მაინც გამომიგზავნა, ხან რას მწერდა, რა დაუძრავს. ეგონა, მეწყინებოდა, თუ რა? მამაჩემზე კი ნაწყენი დავიჩი, მაგრამ თანდათან ვიგრძენი, ამ ცნობამ უფრო დიდი სიხარული მომანიჭა, ვიდრე თავდაპირველად მეგონა, ლამის ავღელდი კიდევ.

— დარწმუნებული ვიყავი, გაგიხარდებოდა. თუმცა ხომ შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ორივეს ერთნაირად გაგვხარებოდა.

— ეგ როგორ?! — ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა.

— თბილისელი კაცი თუ სოფელში აპირებდა დასახლებას, ბარემ დედაჩემი მოეყვანა ცოლად. კარიბელის ქალი თხუთმეტი წლით ახალგაზრდაა, მალე მოინელებს... ესენი კი ტოლები არიან. გაგონილი მაქვს სტუდენტობისას ერთმანეთი მოსწონდათო, შეიძლება უყვარდათ კიდევ. სხვა რამესაც ამბობენ.. შენც სცეცოლინება, ანაო გეტყოდა... ანაოს რას გამოაპირებდი, ისიც იცოდა, ქვის ქვეშ რა იყო.

მაშინვე მივხდი, რას მიმანიშნებდა. შემდეგაც ხშირად გამხსენებია და ახლაც სწორედ ის ლამე გამახსენდა, ომიდან დაბრუნებული მამაჩემი პირველსავე ღამეს მარო მასწავლებელთან ანუ ზიზის დედასთან რომ შეიპარა. აუ, რა ამბავი დატრიალდა, ქალებმა ორლობეში ისეთი წივილ-კივილი ატეხეს, ვიფიქრე, ქვეყანა დაიქცა მეთქი. მერმე ანაო გამოვითო ქალებს, ერთ წამში ჩაიჭუმა და გარეკა. მეორე ღამესაც გაიპარა მამაჩემი, მაგრამ ამჯერად ზეპური არ ამტყდარა.. ეს ყველაფერი ზიზისაც სცოდნია, ალბათ უფრო მეტიც ეცოდინება.

— იცხოვრებდნენ ბედნიერად, სიბერეში ერთმანეთს მოუვლიდნენ... რას იზამ, მამაკაცი მაინც მამაკაცია. ფერ-ბორცს დახარბდა. გაივლის დრო, ფერი გაქრება, ხორცი ლეშად იქცევა.

გინახავს ალბათ ჭრიაულის ქალები, რძის ქაფივით აფუებულები.

— ნახვით კი მინახავს, მაგრამ არ ვიცი, რომელი მოიყვანა.

— ეგ არც მე ვიცი. ისინი; ისე ჰგვანან ჭრთმანეთს, შეიძლება მამა-შენმაც არ იცოდეს, რომელი მოიყვანა. — გაიცინა, ხელი მოშვეია და თავი მხარზე დამადო, ვითომ ვხუმრობ არ გეწყინოსო.

მეც გამეცინა და უცებ გამახსენდა, მთელი ოჯახი ოთქუხედ მაგიდას რომ უჭდა. შუაში მოხარშული. დიდი ოხ-შივარადენილი ღორის თავი ედოთ. ღორს დინგი ორღულიანი თაფივით მიეშვირა ჭერისთვის.

— მარტო კარიაულის ჭვრივი რად ღირს, მზითვად რომ მოჰყვას როგორ გინდა გაუძლო?! ეგვეც ვითომ ჭვრივია! ვერ გავიგე, ეს ხალხი ბრმაა თუ განკებ იბრმავეებს თვალებს! გაგონილა ასეთი რამე, გინდა თუ არა, შინმო-უსვლელის ჭვრივი ვარო! რა ჭვრივი, რის ჭვრივი, ყველაფერი თვითონ მოიგონა ის საცოდავი კარიაულის ბიჭი ახლოსაც არ გამკარებიაა ზედაც არ შეუხედავს. ან როგორ შეხედავდა მაგ კილყავს, როცა თვითონ ბავშვი იყო, ეს კი უკვე — ჩამოყალიბებული შინაბერა. სოფელში რომ გამოჩნდა, ინსტიტუტი კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდა, მიზო კი ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდა. არადა ქვეყანა დააჭრა, კარიაულის ჭვრივი ვარო. ახლა სკოლის დირექტორად დაამბრძანეს — შინმოუსვლელის ჭვრივივარო. აი, ეგ კილყავი უზის შინ მამაშენს და შენს პატარა ძმას ხელში ათამაშებს. მიდი და გაუძელი, თუ კაცი ხარ! კიდევ კარგი, იქიდან წამოვედი, იქაურობა მივატოვე!

ზიზი გაღიზიანებული ლაპარაკობდა და მეც გამაღიზიანა. კარიაულის ჭვრივის ამბავი მეც ვიცოდი, არ გადაუჭარბებია, ზუსტად ეგრე იყო, როგორც თქვა, მაგრამ მე ჩემდა უნებურად მაინც გავღიზიანდი, შეიძლება იმიტომაც, რომ ამ უსიამოვნო ამ-

ბავში მამაჩემიც გაახვია, ბოლოს სოფლიდან წამოსვლა ახსენა და გავიფიქრე, ჩემი ჭერი დადგა და ასეა შევეკითხები მეტი.

— თეატრალურზე წელსაც აპირებ ჩაბარებას, თუ გადაიფიქრე?

— არ ვაპირებ. — მოკლედ და გასაგებად მიპასუხა.

— მაშ, აქ რომ ხარ, რას აკეთებ? — მცირე დუმისის შემდეგ ისევ ვკითხე.

— რა უნდა გავაკეთო, ვცხოვრობ!

— ცხოვრებით კი ცხოვრობ, მაგრამ... — გაგრუმლი.

— მაინც რა გინდა, გავაკეთო?

— მე რა მინდა? არაფერი! მაინტერესებს და გეკითხები.

— თუ მაინტერესებს, გეტყვი. კინოსტუდიაში ვმუშაობ რეკვიზიტორად. ხანდახან მასობრივ გადაღებებშიც ვმონაწილეობ. მსახიობობის ყინს ვაქრობის მუშაობა კლუბის სცენაზე ვიკლავ. ოღონდ აქ სტატიისტი კი არა ვარ, მთავარ როლებს ვასრულებ. მშვენიერი დასია, თანაც კარგი რეჟისორი გვეყავს — მარჩანიშვილის თეატრის მსახიობი. ერთხელ დაგპატიყებ და თვითონვე ნახავ... ერთი სიტყვით, ოხო, ვცხოვრობ. აქ ზედმეტად არ ვგრძნობ თავს და დარწმუნებული ვარ, თბილისის მეც ვკვირდები, როგორც შენ, როგორც სხვა.

ცოტათი გავოცდი და ვერაფერი ვუთხარი. უცნაური კლოგია აქვს. არასოდეს მიფიქრია, თბილისის ვკვირდები თუ არ ვკვირდები მეტი. თბილისში ვცხოვრობდი იმიტომ, რომ აქ დავიბადე, აქ ვსწავლობდი, აქ იყო ჩემი სახლი. დედაჩემის საფლავი. მე ის კი არ მიკითხავს, თბილისში რატომ ხარ მეტი... როგორც ჩანს, არასწორად დავუსვი შეკითხვა.

— თუ კი ნამდვილად გრძნობ, რომ შენი აქ ყოფნა საჭიროა, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. სადაც მოგესურვება, იქ შეგიძლია იცხოვრო, ეგ შენი ნებაა, შენი უფლებაა. მე სულ სხვა რამ მაწუხებს...

— ვიცი, რაც მაწუხებს და სწორედ

ამიტომაც მიყვარბარ. ნუ გეშინია, ოხო, მე არ დავიკარგები და არ დავეცემი. დაცემა ყველგან შეიძლება, ქალაქშიც და სოფელშიც. მით უმეტეს ახლა, ყველგან ერთნაირად თახსირი ცხოვრება რომ წავიდა. ვერ იტყვი, სად შეტი პატროსნებაა, სად უფრო წესიერად ცხოვრობენ. მე მინდა ვიცხოვრო და ვცხოვრობ. სად და როგორ — ეს ჩემი ნებაა, აქი შენც მითხარი.

— რა თქმა უნდა.

— შენ ისეთივე ბავშვი ხარ, როგორიც იქ იყავი, სკოლაში. რა სათქმელიცა გაქვს, პირდაპირ მითხარი, იცოდე, მე ჩემი ყველა საქციელის პასუხისმგებელი ვარ. თუ გინდა, მე გეტყვი, რა გაწუხებს. გითხრა:

— რა ვიცი.

და ზიზიმ პირდაპირ, მოურიდებლად მითხრა, რაც მაწუხებდა, რატომ დამეცა თავხარი, როცა ატი შელიას სახლში იმ გოგოებთან ერთად დავინახე. თავის მართლება არ დაუწყია, მაგრამ არც ის უთქვამს, ამგვარი საღამოები ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილიაო. ისე კი, თუ ნაცნობ-მეგობრების წრეში დაპატიებენ, სიამოვნებით მიდის ხოლმე, დროს ატარებს, ერთობა. თუ იქ ვინმე მოეწონა, შეიძლება დაუახლოვდეს კიდევ... ამას რომ მეუბნებოდა, გამახსენდა, ატიმ როგორ გადაგვადებინა ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი გოგოებისთვის, ვითომ ყვავილების საყიდლად, და კინალამ ვკითხე: ეს დაახლოვება რა ღირს მეთქი. ვერ გავბედე. ყველაზე მეტად ეს მიღრღნიდა გულს და მტანჯავდა, ვერ ვეგუებოდი, არ მინდოდა დამეჭვრებინა, რომ ზიზი ფულს იღებდა... უკვე გრძლად და მოსაწყენად ლაპარაკობდა, შიგადაშიგ უურსაც აღარ ვუგდებდი. დაქალები გაქვენწლა, გორსალები არიანო. განსაკუთრებით ნათელას მისდგა, ხარბია. ფული უყვარსო. შეიძლება ამით რაღაც მიმანიშნა, რაც გულის სიღრმეში მაწვალებდა. იმის განელება სცადა. ავრორა უფრო და-

ინდო, რამდენადაც უწყინარი და მშვიდი ჩანს, იმდენად ქვეშევრდები არისო. აქვე გაფარკვით, სამივენი ერთი დანის წევრები ყოფილან, ერთ სცენაზე გამოდიან თურმე. მართალია, ღმერთს მსახიობობის ნიჭი არც ერთისთვის მიუცია და არც მეორისათვის, მოყვარულთა სცენა ორივეს შიანც იტანსო.

ასე მივედით ვორონცოვის მოედანზე, ჩემს სახლამდე ერთი ზელის გაწვდენალა იყო დარჩენილი. ღამის პირველი საათი დაიწყო და ქუჩებში ხალხი შეთხელდა. ახლა იმას ვფიქრობდი, ამ შუა ღამით ვილაც გოგოსთან ერთად მისულს რომ დამინახავენ, რას იტყვიან მეთქი მეზობლები. თბილოდა და ასეთი მშვენიერი ღამით ისინი გვიანობამდე სხედან ხოლმე აივნებზე ანდა ეზოში, ცაცხვის ქვეშ. ფეხს ვითრევდი. მინდოდა დრო გასულიყო, იქნებ ძილმა მეზობლები ოთახებში შეიტყუოს მეთქი.

ზიზი ამ უბანს კარგად იცნობდა, ოდესღაც აქ დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა, ვიწრო და პატარა ქუჩაზე, მოედანს ქვემოდან რომ უერთდებოდა. დროის გასაქიანურებლად ზოგ რამეს შევასხენებ მეთქი, გადავწყვიტე.

— ეს უბანი ხომ არ გეცნობა?

ზიზიმ ამომხედა და გაიღიმა. არაფერი მიპასუხა.

— ქალბატონი მარიაში თუ გახსოვს? — ზიზი მასთან მდგმურად ცხოვრობდა.

— მისი უგანათლებულებობა? რა დამავიწყებს!

— დაილუბა.

— დაილუბა?!

— კი, კარგა ხანია. ეტლმა გაიტანა.

— მეწყინა, ხომ იცი!

— გვამი ქერ გაციებულები არ იყო, მეზობლებმა კარი რომ შეუმტვრიეს. მარიაშის ბიბლიოთეკა ხომ ვახსოვს? სულ დაარბიეს და გააცამტვერეს!

— აქი უნივერსიტეტს უნდა ვუანდერძო?

— ვერ მოასწრო, ალბათ უანდერძე-

ბდა, ეტლი რომ არ დასჯახებოდა.

დროის გასაჭიანურებლად კი წამოვიწყე ეს საუბარი, მაგრამ მე თვითონ წამოვეგე ჩემს მიერ გადაგდებულ ანკესზე, ახლაც მძაფრად და მტკივნეულად გავიცაადე ის დღე. ისევ ნერვები დამეწეწა, როცა გავიხსენე, თუ როგორ თარეშობდა ხალხი სხვის ნაღაწარსა და ნაჯაფარზე. რა ბარბაროსულად ანგრევდნენ ბიბლიოთეკას, გაქპონდათ და გამოჰქონდათ. ხევდნენ და ანადგურებდნენ სულ თითო-თითოდ შეძენილ ნალოლიავებ წიგნებს...

— რა უბედურებაა ეს ეტლი, მანქანა მანც ყოფილიყო! — უცებ გამომაფიხლა და გონს მომიყვანა ზიზის აბსტრდულმა ნათქვამმა.

მე არ გამირკვევია, რა უპირატესობას ანიჭებდა ზიზი მანქანას. ამის დრო აღარ იყო. რადგან უკვე ჩემ სახლთან მივედი და ძალზე მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი წუთი დამიდგა: შინ ისე უნდა შევბარულიყავით, რომ ღამის სტუმარი მეზობელთაგან არავის შეემჩნია. ისიც მინდოდა, ზიზის უხერხულად არ ეგრძნო თავი. არადა, როგორი სათქმელია. ჯერ მე შევალ, კარს გავაღებ და მერმე შენ ისე შემოიპარე, არავინ დაგინახოსო. ამ თითქმის უიმედო მდგომარეობიდან ზიზიმ მიხსნა.

— ცალ-ცალკე შევიდეთ, თუ ერთად? — მკითხა ჩვეულებრივად, თითქოს ასე შევდიოდით ჩემ სახლში ყოველ ღამე.

ვაა, რა მგაზრია, გამიელვა გონებაში და მაშინვე ვუბასუხე, რა თქმა უნდა, ერთად შეთქი, ალბათ წელანდელი ყოყმანი და გაუბედობა რომ დამეფარა. გამიმართლა. გავიარეთ ეზო და მეროვ სართულზეც ისე ავედით, არავის დავუენახავართ.

შუშბანდში შესვლისთანავე შუქი ავანთე და შვებით ამოვისუნთქე. ოთახიც გავაჩირალდნე. ზიზი უმაღვე დაჯდა და მაგიდაზე ხელები მოწყვეტილ დაყარა, დავიღალეო, თქვა და მართალიც იყო, მეც დავიღალე, ძალიან დი-

დი გზა გამოვიარე ფეხით. ჩა-შევთავაზე. სიამოვნებით დავლეგო მითხრა. ვიდრე ნავთქურაზე წინდნენ დავდგი, ეტყობა, ოთახს შევსულიყრებდა, აი, თურმე როგორ ცხოვრობო, გავიგონე შუშბანდში.

— კარგად თუ ცუდად? — გამოვძახე შუშბანდიდან.

— არც კარგად და არც ცუდად! მთავარია, ჭერი გაქვს. ეს დიდი ბედნიერებაა. ისე კი უცნაურია, აქამდე რომ არ ვყოფილვარ ამ სახლში. აქ ჩამოსვლამდე ჩვენი ქრთიერობა სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი. მეგონა, უფრო ხშირად შევხვდებოდით ერთმანეთს.

ესხედვართ და ჩაის შევექცევი. მე ზიზის მიჩქერებივარ სახეში, ვაკვირდები. ისეთივეა, როგორიც ამ სამი-ოდე წლის წინათ ვნახე, არ შეცვლილა, ოღონდ წარბები აღარა აქვს ძაფივით წერილი და სასაცილოდ მორკალული, ეტყობა აღარ ამოუქნია. პირი ოღნავ დამრგვალებია. ვერ გავიხსენებომადა მაშინაც ჰქონდა ტუჩებზე წასმული თუ არა. მაინტერესებს, ისევ თუ ასდის ძველი სურნელი, მგონი, შინ დამზადებული ნელსაცხებლისა. ასეთი სუნე ასდიოდა დედამისსაც — მარო მასწავლებელს. სხვების არ ვიცი. მე კი ის ნელსაცხებელი ცუდად მაერიალეება და გულს მირევდა. თუმცა დღეს ნაცნობ სუნს არ გავუღიზიანებია ვარ, არც იქ, ატისთან, კისერზე რომ ჩამომეკიდა და არც გზაში, როცა მომეტმასნა და თავი მხარზე მომადო.

— კარგია, ცოტა რომ დალიე.

— რაღაცნაირად არ წავიდა. ალბათ გუნებაზე არ ვიყავი.

— გაგიტყდა, მე რომ დამინახე?

— არ გინდა მაგაზე ლაპარაკი.

— არ გინდა და ნუ გინდა! არც მე მინდა. მოდი, უფრო სასიამოვნო რამეზე ვილაპარაკოთ.

ვზივარ და შტერივით მიჩქერებივარ ზიზის. თუმცა არც ისეთი შტერი ვარ, რომ არ ვიცოდე, აქ რისთვის ესხედვართ ორნი, სრულიად მარტონი.



რა თქმა უნდა, ვიცი! მე არ მჭერა, თითქოს დიასახლისი რომ გააფრთხილა, ამაღამ ნუ დამელოდებოდა, იმიტომ აღარ დაბრუნდა შინ. ორივემ ძალიან კარგად ვიცით, ატი შელიას სახლიდან რატომ წამოვედით და ჩემთან რისთვის მოვედით. და მაინც რალაც მბორკავს, ვერ გადავებოჯე იმ ზღვარს, რომლის იქითაც იწყება მამაკაცი და იწყება ქალი. თან ვგრძნობ, გაუბედობა არ მამბრკოლებს. არც გამოუცდულობის შიში თუ სიმორცხვე. შტერივით — არა, უფრო შემკრთალი მიეჩრებოვარ, შემკრთალი იმის გამო, რომ ეს მიაბიტად გატარებული გოგოსულ არ მალეღეებს და არ მიზიდავს. შემკრთალი იმის გამო, რომ ახლაც, ვათუ, იგივე დამემართა, რაც ადრე მემართებოდა. ზიზი მხოლოდ მაშინ მიყვარდა და მინდოდა მისი სიახლოვე, როცა ვერ ვხედავდი, როცა ჩემს გვერდით არ იყო... ვწვალობდი, ვიტანჯებოდი, განსაკუთრებით ღამით, საწოლში მარტო რომ აღმოვჩნდებოდი და ირგვლივ სიბნელე ჩამოწვეებოდა. ფიქრით გაშიშვლებულს ლოგინში ვიწვენდი, ვეხვეოდი, ვკოცნიდი, ვეფერებოდი, გონებით წარმოსახულ სხეულის ნაკეთებს. როგორც ნამდვილს ისე ვგრძნობდი და ნეტარების გამაბრუნებელ მორევში ვინთქმებოდი. მეორე დღეს კი, სკოლაში მიმავალი დილაადრიან რომ გამომივილიდა, ისე ცივად და გულგრილად მივყვებოდი, თითქოს ღამე მასთან ყოფნის ან მისი სხეულის დაუფლებების სურვილით არ გამეტარებინოს.

— იგრძენი, გოგოებს რომ მოეწონა?

— რა ვიცი, არ მიმიტყვევია ყურადღება.

— კი, ნამდვილად მოეწონე. საერთოდ კარგი ბიჭები ხართ, სამივენი... რალაცნაირები.

— რალაცნაირები რას ჰქვია?

— რალაცნაირი სუფთები ხართ. სამივეს ერთად რომ გიყურებდით, სისუფთავის სუნი მეცა. თქვენი ტოლი

ვინც შემხედრია, ყველა აბვარი, აუტანელი ნაბიჭვარი.

— მე არ ვიცი, ვის ჰყვარებთ?

— ვის უნდა ვგულისხმობდე?! ისინიც თქვენსავით სტუდენტები არიან... ათ წუთსაც ვერ გაუძლებ, იმ წამსვე გაქცევა მოგინდება. არც ლაპარაკი იციან არც მოქცევა. — ზიზი წამოდგა. ფინჯანში ჩარჩენილი ჩაი მოწურა.

— რა თქმა უნდა, არიან ეგვთებიც.

— არიან?! ნაბიჯს ვერ გადადგამ, ეგენი რომ არ შეგეფეთონ. იჭიმიბიან, ძველებიკობენ... დამპლები! იმიტომ გითხარი, რალაცნაირები ხართ მეთქი. ისინი თქვენ არიფებს გეძახიან... უტვინოები! — ზიზი თითქმის თავზე დამადგა და ეშმაკურად გაიღიმა, — ატი ცოტას კი ფაფხურობდა, მბრებს ათამაშებდა, მაგრამ ისიც, იმათი სიტყვით რომ ვთქვა, თქვენნაირი არიფია. თქვენ სამივენი ერთნაირები ხართ!

— ეგ არის, სასიამოვნო რამეზე ვილაპარაკოთ?! — გავუღიმე მეც.

— ჩემთვის სასიამოვნოა კარგა იყო დღევანდელი დღე, ალბათ სამუდამოდ დამამახსოვრდება — ზიზი გადაიხარა და ფინჯანი მაგიდაზე დადგა. — რამდენს ვფიქრობდი და ვოცნებობდი, როგორ მოვიწყვედი შენკენ. მეგონა, შენც გიყვარდი... თუ არ გიყვარდი, მოგწონდი მაინც. ხომ მოგწონდი? პასუხს არ დალოდებია, ისე განაგრძო, — რა სხვანაირად წავიდა ცხოვრება! ნეტავი რა ძალა ამოძრავებს? ზოგჯერ მგონია, აი, იმ დღეს ღვინო არ უნდა გამომეტანა. ატისთან შენც გაგახსენდა ის დღე.

— კი, გამახსენდა.

— ხომ ხედავ?! ეტყობა, მნიშვნელოვანი დღე იყო, რახან არ გვავიწყდება. მე კი რა ვიცოდი, ვიფიქრე, ერთ-ორ ჰქიან დაღვეს, გამხნვევდება, გამბედაობა მოემატება მეთქი. ამ დროს თვალსა და ხელს შუა ისე შემომათვევრი, ეზოში გასული დაიკარგე და ჩვენი სახლის კარს ველარ მოაგენი. არადა ლოგინი გაშლილი იყო. განგებ გავალე კარი, გაშლილი ლოგინი რომ

დაგენაბა. ის დღე ჩვენი დღე მეგონა, შენი და ჩემი, ორივესი. მეგონა, ისე წარვმართავდი ცხოვრებას, როგორც მე მინდოდა. შენ კი ის გაშლილი ლოგინი ვერ დაინახე.

რატომღაც არ ვუთხარი, რომ ის გაშლილი ლოგინი დაინახე და დღემდე არ დამეფიწყებია მეთქი. ზიზიმ ხელები მხრებზე დამაწყო. მე წამოვდექი. ზიზის მარცხენა ხელი მხარზე დარჩა, მარჯვენათი პერანგის ღილები შემხსნა და მკერდზე სველი ტუჩების შეხება ვიგრძენი. მოვეხვიე, ყელზე და სახეზე დაუწყვე კოცნა, თან ვეუბნებოდი, იქნებ ეს დღეც ჩვენი დღეა მეთქი.

— დაწვეთ. — მითხრა ალერსით დამუხტული იდუმალი ხმით.

ეს იყო შავიური, ჯადოსნური ძალით აღჭურვილი სიტყვა, რომელმაც ერთ წამში დაღეწა და დაამსხვრია, ნაყარტუბად აქცია ყველა ის აზრი, ფიქრი, ეპვი, გახსენება, განცდა თუ გრძნობა, ზიზისთან მოულოდნელი შეხვედრის შემდეგ რომ აღმეძრა და დამებადა. თითქოს ამ სიტყვას გაჩენის დღიდან ველოდებოდი და, აჰა, დარეკა, როგორც ზარმა: „დაწვეთ!“ ამ ქვეყნად აღარაფერი მქნდოდა. მინდოდა მხოლოდ ეს ცხელი, მოქნილი და სურნელოვანი სხეული, რომლისკენაც თურმე მთელი სიცოცხლე მივისწრაფოდი.

მაშინვე გავედით მეორე ოთახში, სადაც საწოლი მედგა.

— გაიხადე და შეწექი, მე ახლავე მოვალ. — ზიზი უკანვე გაბრუნდა.

მშვიდად, ოდნავ მბრძანებლური კილოთი მითხრა და მეც მორჩილად დავიწყე ტანსაცმლის გახდა. უკვე ვცდილობდი, აღვლებო არ დამტყობოდა, თავი ისე დამეჭირა, თითქოს ეს ყველაფერი ადრევე მქონდა ნაგრძნობი და განცდილი. ტანსაცმლის გახდისას მაინც ვჩქარობდი და ხელებიც ოდნავ მიცახცახებდა. ლოგინის გაშლა არ დამჭირვებია, პლედი გადავწიე და დაწვექი. ღია კარიდან შემოსული მუ-

ქით იქაურობა საკმაოდ იყო განათებული.

ვიწექი და ზიზის გამზრუნველობა დებოდი. წინა ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ლოდინი მოსალოდნელზე მეტ ხანს გაგრძელდა და უცებ იპენიულად დავიძახე. წინასწარ ნამდვილად ძნელი იყო იმის წარმოდგენა, ზიზი რას მოიმოქმედებდა. მე მაინც მოთმინებით აღვიტურვე. ამ მოთმინებით აღჭურვისას მზაკერულმა ფიქრმა გამოიღვა: „ნუთუ წავიდა?! ნუთუ დროის მოსაგებად გამაშინებლა?“ ვიდრე მე ავდგები და ჩავიკვამ, ის უკვე „სამშვიდობოს“ იქნება გასული. გავუჩიდი. მივაყურე.

ის იყო, წამოდგომა დაეპირე, მაგრამ მსუბუქი ნაბიჯების ხმა გავიგონე და ისევ მივწექი. იქ არის, არ წასულა. მუშაბანდიდან წინა ოთახში შემოვიდა.

— ზიზი! — დავეუძახე.

— რა გავვირებ? ახლავე მოვალ. — მიპასუხა.

— არაფერი... არაფერი... ისე...

ღია კარებში, სინათლის ფონზე დავინახე ზიზის სილუეტი. კაბა დაუდევრად მოისროლა და ჩემკენ წამოვიდა.

5

მაინცადამაინც კარგ გუნებაზე არ გამღვიძებია. თუმცა ზედნიერი ღამე გავატარე. ყოველ შემთხვევაში, იმ ნეტარების ყოველი წამი უზედნიერეს კაცად მხდიდა და ქვეყანაზე სხვა არაფერი მინდოდა ამგვარი თრთოლვისა და ერუანტელის გარდა.

ზიზის წასვლა არ გამოვიგა. გაღვიძებულმა ოთახში მივიხედ-მოვიხედე და უშაღვე მივხვდი, უჩემოდ გაპარულიყო. მაინც დავეუძახე, ზიზი მეთქი. არავინ გამომეპასუხა და საბოლოოდ დავრწმუნდი, ამ ოთახებში მარტო ვიყავი. ისე წავიდა, არ გაულვიძებია და აღარც ჩემი გაღვიძებისთვის დაუცდია.

ავდექი. ჩიდანნი ნავთქურაზე დაედგი და პირის დასაბანად გარეთ, აი-



ვანზე გავედი. ონკანი რატომღაც მო-
შვებულნი დამხვდა და სისიამოვნო ცი-
ვი წყლით დავიბანე ხელ-პირი. კბი-
ლების გამოხეხვა ყოველთვის კარგ
გუნებაზე მიაყენებდა და ახლაც გა-
მომაცოცხლა, ოდნავ გახალისებული
დავბრუნდი შუშაბანდში.

ზიზის ჩემად გაპარვა არც მწყენია,
არც გამხარებია, ისე აღვიქვი, თითქოს
ერთმანეთს წუხელეკე შევეუთანხმდით:
წასვლის წინ არ გამაღვიძებდა. არც ის
ჩამიგდია რამედ, მისამართი რომ არ და-
მიტოვა. ვიფიქრე, რახან ერთხელ შევხ-
ვდით, აღარ დავეკარგებით მეთქი. მე
ახლა ატისა და გოგის ამბავი უფრო მა-
ინტერესებდა. ამასაც მალე დავაზუსტე-
ბდი, უნივერსიტეტში წავალ და გავი-
კებ. მოვლენები წუხელ როგორ განვი-
თარდა მეთქი.

ჩაის სმის დროს ვიგრძენი, მიუხე-
დავად ბედნიერად გატარებული დამი-
სა, უსიამოვნო ნალექი ჩამრჩენოდა
გულში. რაღაც-რაღაცეები გავიხსენე და
აღმოვაჩინე, რომ ძირითადად მაინც
ჩემი საქციელით ვიყავი უკმაყოფი-
ლო. მართალია, ბევრი არ დამილეგია,
მაგრამ სულმთლად ფაქობელი რომ
შევხვედროდი ზიზის, ალბათ სხვანა-
ირად მოვიქცეოდი. ალბათ მეთქი,
თუმცა ატულზე რომ ხელი დავიდო,
ესაც შეეკვება.

თავიდანვე ვცდილობდი ზიზის მოტ-
ყუებას, მინდობა მომეჩვენებინა, ვი-
თომ ამ საქმეში საკმაოდ გამოცდილი
ვიყავი. ლოგინში შემომიწვა თუ არა,
ამოსუნთქვა არ ვცაღდე, გიჟივით ვე-
ცი და მაშინვე მოვინდომე მისი დაუფ-
ლება. ზიზი არ გამძალიანებია. ოღ-
ონდ მეუბნებოდა, ნუ ჩქარობ... ნუ
ჩქარობ, რა მოგივიდაო... ზიზის ჩურ-
ჩული ვერ მოკვებდა, მივიწვევდი, მი-
ვისწრაფოდი, რათა უნეტარეს სიმხურ-
ვალეში მთლიანდ ჩავნთქმულიყავი,
ჩავცლილიყავი, ჩავწრეტილიყავი.

ალბათ ზიზის ეგონა, ეს შეშლილი,
როგორც იქნა, დავაგრილეო. გადმო-
ბრუნდა და რაღაცის თქმა დააპირა,
ხმა არ ამოვალეებინე: ახლა მეორედ ვე-

ბდლენი გიჟივით და ისეე გავიფო-
ნე ზიზის ჩურჩული: *ერაქნესული*
— რატომ ჩქარობ, *გამაღვიძებდა*
გავრბივარ!

უნახავმა რა ნახაო... ზუსტად ასე
მოვიქცეო. მაგრამ ჩემს საქციელს
თითქოს წარმართავდა სხვა ძალა, რო-
მელიც მე არ მემორჩილებოდა. უფრო
პირიქით იყო: ის ძალა მე მიმორჩილებ-
და და თავის ნებაზე მიმაქანებდა თუ
მიმაქროლებდა. მერმე ჩაცხრებოდა,
გაივლიდა დრო და ისევ მომეძალე-
ბოდა.

— კარგი, ხო, ახლა ცოტა დაისვენ-
ე! — მაწყნარებდა ზიზი, თან ეცინე-
ბოდა, — დღეს რომ არ მოვსული-
ყავი, რა გეშველებოდა, შე საწყალო!

მე ოდნავ გონს მოვედი, ასე თუ
ისე დავცხრი. გულაღმა დავეგდე ლო-
გინზე და ერთხანს გაუნძრევლად ვი-
წექი. მერმე სიგარეტის მოწევა მო-
მინდა, ავდექი და წინა ოთახში გა-
ვედი. სიგარეტს ცეცხლი მოვეუკიდე,
გავაბოლე. მეც წამომიდეო, გამომ-
ძახა ზიზიმ. სიგარეტით, ასანთითა
და საფერფლით დატვირთული დავბ-
რუნდი უკან. ვიწვექით და სიგარეტს
ვაბოლებდით. საფერფლე იატაკზე გვე-
დო. ზიზი კედლისკენ იწვა და როცა
ჩაფერფლება მოუნდებოდა, საფერფ-
ლეს მე ვაწოდებდი. თანდათან თვლებმა
მომერია. თავს ძალას ვატანდი, არ და-
მეძინოს მეთქი. თვლებმა-თვლებმაში ზი-
ზის ლაპარაკი მესმოდა.

— ბოლოს და ბოლოს მაინც შენს
გვერდით აღმოვჩნდი... ისე კი დიდი
ხანი მოვდიოდი. — ზიზი ოდნავ ჩემ-
კენ გაღმობიარა, საფერფლე მომაწო-
დეო, მანიშნა. საფერფლეში „პრიმა“
ჩაქმუქნა და ისევ გასწორდა. — წელან
რაღაც გამახსენდა და უსათუოდ უნდა
გიაშბო... კარგად აღარ მახსოვს რა
დღე იყო, მგონი მეცხრე კლასი დავამ-
თავრეთ, იმ დღეს ჩავაბარეთ ბოლო
გამოცდა. დედაჩემმა გამაფრთხილა, პე-
დსაბჭო გეაქვს და გვიან დავბრუნდე-
ბიო. ამ დროს შენც გამოჩნდი და ჩუ-
მად განიშნე ერთად წავიდეთ მეთქი.

შენ თვალსა და ხელს შუა დამეკარგე და მარტო გავუყვეი შარას. ჯერ მეგონა, გზაში დამეწყოლი, მერმე შინ დამიწყე ლოდინი, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, მოხვიდოდი. ალბათ ძალიან მინდოდა შენი მოსვლა და იმიტომ. გახსოვს ჩვენი სარკიანი გარდერობი? ის დიდი სარკე მიყვარდა. იმ სარკეში რომ ვიხედებოდი, ნამდვილად მომწონდა ჩემი თავი. ზოგჯერ გავშიშვლდებოდი და სარკის წინ ვტრიალებდი, ჩემი სხეულის ცქერით ვნებივრობდი. მე აღრევე მივხვდი... თუმცა ამას რა მიხვედრა უნდოდა, სარკეში ვხედავდი. რა ლამაზი ტანი მქონდა. ვხედავდი და ვგრძნობდი ამ სილამაზეს, რომელსაც ძველი, საშინელი ძონძები მიფარავდა: დედაჩემის ნაქონი, გაცვეთილი, გადაკეთებული, მიკერილ-მოკერილი კაბები, დედაჩემმა რომ მითხრა, გვიან დავბრუნდებით, შენი წაყვანა მოვიწოდებ. იცი, რა მინდოდა? წინასწარ არ ვიცოდი, ამას როგორ მოვახერხებდი. მაგრამ ძალიან მინდოდა შენც გენახა, რა ლამაზი ვიყავი, რა ლამაზი ტანი მქონდა. ღმერთმანი, სხვა არაფერი მინდოდა. შენ კი არ მოხვედი. მე გულისფანტვით გზისკენ ვიხედებოდი, თვალები ცქერით დამევსო, საცაა, გამოჩნდება შენ... შენ კი მაინც არ მოხვედი. ეს ამბავი რატომ გამახსენდა. იცი, ახლაც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გელოდებოდი და შენ მოსვლა არ ინებე, თითქოს ახლაც იგივე განმეორდა.

— რას ჰქვია, არ ვინებე! — უცებ გამოვფხიზლდა. — აქ არა ვარ?!

— არა, ოხო, მე სხვა რამეს გეუბნებო.

რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, რასაც მეუბნებოდა. რას მსაყვედურობდა და სწოლზე უნებურად წამოვჩეჭი. ზიზი ალბათ ჩემგან, უპირველესად ყოვლისა, თავისი სილამაზის აღიარებას თუ დადასტურებას მოელოდა. არა მარტო აღიარებას, ამ სილამაზით აღტაცებასა და ტბობას.

— გახსოვს ედიშერაშვილი?

— რომელი ედიშერაშვილი?

— მასწავლებელი რომელიმე სკოლაში. დაბალ კლასებს ასწავლიდა მათემატიკას. ვერ გაიხსენე და ასევე ვუთხარი, ვერ გაიხსენე შენც.

— ვერც გაიხსენებ... დიდ ხანს არ დარჩენილა სოფელში, მალე წაეთრა. ჩუმი კაცი იყო, მყუდრო, თავისთვის დაჩლახუნებდა, იფიქრებდი, ბუზს ხელს არ აუქნევსო. მაგ მყუდრო ედიშერაშვილთან რამდენიმე გოგო დავდიოდით, დედაჩემმა სთხოვა და მეათეკლასელებს ალგებრაში გვაძეგადინებდა.

— ვა, როგორ შეიძლება არ მახსოვდეს?!

— პირველად მაგან შემამჩნია... მეცადინეობას რომ მოვრჩებოდი, მე დამტოვებდა ხოლმე, სუსტი ხარ, კიდევ უნდა გამეცადინოო. მეორედ რომ დამტოვა გუმანი თვალი, რისთვისაც მტოვებდა. მაგრამ მე ისე მექირა თავი, ვითომ ვერაფერს ვხვდებოდი. ღიმილით, ალერსიანი სიტყვებით, ჭათინაურებით გამიშინაურა. მე ვესმენდი და მსიამოვნებდა, რასაც მეუბნებოდა. ჯერ თავზე გადამიხვა ხელი, მერმე თვითონაც არ ვიცი, როგორ გაეტირვოდი. ღმერთო, ეს რა მშვენიერება დამანახვეო, წამოიძახა და ჩემ წინ მუხლებზე დაეცა. თვალებანთებული მომიჩერებოდა და მადლობას მიხდოდა რომ ღირსი გავხადე ასეთი სილამაზის ხილვისა. მერმე გამოხოხდა, ფეხის თითებიდან დამიწყო კოცნა და მუხლებთან რომ ამოვიდა, უცებ გონს მოვეგე. სწრაფად ჩავიციე, მაგიდაზე დაგდებულ რვეულს ხელი დავავლე და გარეთ გამოვარდი... მეორე დღეს იმ გოგოებთან ერთად ისევ მოვედი სამეცადინოდ...

შუქი ავანთე და ლოგინზე დაუდევრად გაწოლილ ზიზის დახედვით თითქმის გულაღმა ჩწვა კედლისკენ ოღნავ ზურგშექცეული და ნაღვლიანად მომჩერებოდა. შევცბი. თვალებს არ დავუჯერე. ზიზი, რომელიც მხრებამ-



დე ძლივს მწვდებოდა და მუდამ ტან-დაბალ გოგოდ ვთვლიდი, ჩემ წინ ვენერას სრულყოფილი სხეულით გაშოტილიყო. მოჩინილი თქოები, გლუვი მუცელი და ერთმანეთისაგან გაქცეული, სავსე ჭბუბები სინათლის შუქზე ვარდისფრად აელვარდა. ნუთუ სიბნელის ბრალი იყო, ეს სილამაზე რომ ვერ დავინახე და ვერ ვიგრძენი?! ვიდრე მე გაოცებული დავცქეროდი, ზიზი მშვიდად მიყვებოდა თავის შემზარავ ამბავს, რომელიც მესმოდა და არც მესმოდა.

— ისევ შიშველი ვიდექო მასწავლებელი მიკოცნიდა ფეხებს, თქოებს, ბოქვენს, მუცელს... ნელნელა ზევით მოიწვედა. მერმე წამრდგა, მომხვებია და პირზე დამიწყო კოცნა. უცებ საზარელი, გულის ამრევი სუნი მეცა არყისა და ნივრის სუნი, რაღაც სიღამპლის სუნთან გაზავებული. ხელიდან დავუხსლტი, სკამის საზურგედან კაბა ავიტაცე და სახეზე ავიფარე, ის საშინელი ოზშივარი ისევ რომ არ შემოფტრქვია. არ მომეკაროთ, თორემ დედას ვატყვი შეთქი, გუყვირე...

ზიზის სიტყვები უკვე აღარ მესმოდა. სახე ჩავფალი მის თბილ სხეულში და ვკოცნიდი. ერთხანს კიდევ ლაპარაკობდა. მერმე გაყურდა, გაირინდა, ორივე ხელი თავზე წამავლო და ძლივს შესამჩნევი მოძრაობით თვითონვე მიმანიშნებდა, სად უნდა მეკოცნა, სხეულის უმშვენიერეს ნაკეთებს მთავაზობდა...

— ოზო! — გავიგონე წუხანდელი ღამის ვახსენებით გართულმა ნაცნობი ხმა. შუშაბანდის ღია კარიდან კიბესთან მდგარი ლუკა დავინახე.

- შემოდი, ლუკა.
- შემოვიდა. მარჯვენა ხელში დახვეული გაზეთი მიღოვით ეჭირა.
- მეგონა, შინ არ დამხედებოდი.
- განა რომელი საათია?
- ორი დაიწყო.
- ეა, რა დრო გასულა.

— შენ რა, ახლა ჯაილიძე? რასმ ჰგავხარ, ბიჭო, კაცის ფერი აღარ გადევს.

— რა ვიცი... მთელი ღამე არ მოძინია.

— ცუდად იყავი, გიზღოროთქა

— არა.

— ისეთი გაცრეცილი ხარ, რომ ყველაფერი დღესავით ნათელია.

— რა ჰქნა? გუშინდელი ცხოვრება ასე აეწყო.

— რა უნდა ჰქნა არაფერი! — ლუკამ გაზეთი დააგლო მაგიდაზე. — დღევანდელი „კომუნისტი“ მოგიტანე, შიგ ისეთი რამე წერია, მე მგონია, დაგაინტერესებს.

— მაინც?

ლუკას გაზეთის კითხვის საოცარი ნიჭი ჰქონდა, შენ რომ გეგონა, გაზეთი თავიდან ბოლომდე ჩავაბუღებულეო, იქვე ისეთ ცნობას თუ ინფორმაციას აღმოაჩენდა, საკუთარ კვალებს არ დაუჭერებდი. ახლაც საინტერესო რაღაცას მიაგნო, თორემ ისე, ტყუილებრალოდ არ მოვიდოდა. მე კი წუხანდელი ღამის გახსენებამ უგუნებობა უფრო გამიმძაფრდა, ზიზი ათასი ეჭვი აღმიძრა, თან იმდენი საფიქრალი გამიჩინა, რომ თავგზა დამებნა. ამიტომ სულ არ მაინტერესებდა, რა ეწერა იმ ოხერ გაზეთში.

ლუკამ გაზეთი მაგიდაზე გაშალა და მესამე გვერდზე მსხვილი შრიფტით დაბეჭდილ სათაურს მკვეთრი მოძრაობით დაადო თითი, აი ეს წაიკითხეო. წერილი მთელ სარდაფს მოიცავდა და ასე ეწოდებოდა: „კოლექტივიზაციისათვის მებრძოლი რაინდი“. აუ, ამას რა წამაკითხებს შეთქა, ამოვიხვნეშე, მაგრამ ლუკამ ადგილიდან ფეხი არ მოიცივალა. დაჯინებით გამიმეორა, წაიკითხე, წაიკითხეო. სხვა რა გზა მქონდა, გაზეთს ჩაუუჯექი.

— ეს წერილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენი წუხანდელი ღამე, — ლუკამ ჩიბიდან „პრიმა“ ამოიღო და ცეცხლი მოუქიდა. — ხბლი გაიგებ, რისთვის მოვიდა შენთან საბას „ფრონტელი მეგობარი“.

წაიკითხე.

კოლექტივიზაციისათვის მებრძოლი რაინდი, რომელიც თურმე ხალხის

მტრისა და სამშობლოს მოლაღატის, იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტის ხელით იქნა მოკლული, აღმოჩნდა ბარნაბიშვილი. მუხანათურად რომ არ მოეკლათ, ახლა სამოცი წელი შეუსრულდებოდაო, — წერდა სტატიის ავტორი და ხოტბა-დიდებას ასხამდა კახეთის სოფლებში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისათვის მებრძოლ იუბილარს. გვარი წავეკითხე და მაშინვე მივხვდი, ეს სწორედ ის ბარნაბიშვილია, რომელმაც საბას მამა იოთამი გააქულა და სოფლიდან გააძევა. იოთამის ცხვრის ფარა, რამდენიმე ათას სულს რომ ითვლიდა, მოსპო, გააქრო: დიდი ნაწილი გაყიდა და ფული თვითონ ჩაიჭიბა, ნაწილი კოლექტივში შერქვა. კოლექტივში იმ ცხვარს რაც დაემართა, ძნელი მისახვედრი არ არის. ბარნაბიშვილი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილებულა: იშვიათი, გადაშენების გზაზე დამდგარი ქართული ჭიშის თეთრი ცხენი, იოთამმა მთელ საქართველოში რომ თითო-თითოდ შეიძინა და მოაშენა. აზერბაიჯანის საზღვარზე მთელი რემა ირანელ კონტრაბანდისტებს ოქროს ფულზე მიჰყიდა და ესეც თვითონ მიითვისა. სტატიაში ამის შესახებ კრიტიკ არ იყო დაძრული, არც ის ეწერა, ბარნაბიშვილი ამ მაქინაციებისთვის მთავრობამ დააპატიმრა და მერმე მალე გაათავისუფლაო. მხოლოდ ქებით იხსენიებდნენ და დეტალურად აღწერდნენ მის უანგარო, თავდადებულ საქმიანობასა თუ მოღვაწეობას. ბარნაბიშვილის მკვლელობას აბრალებდნენ საბას — სამამულო ომის დეზერტირს, იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტს, ხალხის მტერსა და სამშობლოს მოლაღატეს. წერილის ავტორის აზრით საბა ცოცხალი იყო და კახეთის ტყეებს აფარებდა თავს. ავტორი ხალხს მოუწოდებდა: არ დაინდოთ სამშობლოს მოლაღატე, თუ მიაგნებთ მის ადგილსამყოფელს, მაშინვე სახელმწიფო ორგანოებს შეატყობინეთ.

— გასაგებია? — მკითხა ლუკამ.

როცა სტატიის კითხვა დავემთავრე და გაზეთი გვერდზე მოვესრულე.

— ამათი დედა ვატყობ! — მკვიპვიცი, რომ ბარნაბიშვილი საბას არ მოუკლავს!

— შენ რაც იცი, იმას მნაშენელობა არა აქვს! მოწმედ ხომ ვერ დაუდგები? გინდაც დაუდგე, რა უნდა თქვა? ანანომ ასე და ასე მითხრაო? აბსურდია!

— არა, ეგ ისე ვთქვი, სხვათა შორის. მე მგონია, მანდ სხვა თამაში მიდის. მაგათ ბარნაბიშვილიც ფეხებზე ჰკიდიათ, მისი ღვაწლიცა და იუბილევც. ეგენი ხალხს ატყუებენ და აქებებენ. ეს კაცი მკვლელია, მოლაღატეა, გამყიდველია და მოგვეხმარეთ, იქნებ როგორმე დავიჭიროთ. მართლმსაჯულებამ რომ იზეიმოსო.

— კი, ეგრეა!

— ვაბ, ნუთუ ეს კაცი ცოცხალია?! — ვთქვი და თქმისთანავე ის გამახსენდა, მე და ლუკა, ნისლაურიდან მომავალნი, სსაფლაოზე რომ დავეშვიით. შორიდან დავინახეთ, ანანოს საფლაოზე ვილაც კაცი იდგა. როგორც კი ივრძნო, უცნობები მიახლოვდებიანო, მოჩვენებასავით გაქრა.

— გახსოვს, ოზო, ანანოს საფლაოთან რომ კაცი ვნახეთ...

— ბიჭო, რა უცნაურია, მეც ზუსტად ეგ მომგონდა! — შევაწყვეტინე სიტყვა ლუკას, — დავიჭერო, ის კაცი საბა იყო?

— ხომ ზედავ, ერთი და იგივე აბაგი ორივეს ერთდროულად გაგვახსენდა. ასეთი რამ უბრალოდ არ ხდება. — ვითომ შეცდა ანანო, კაცი ცოცხალი იყო და მკვდარი ეგონა?

— ან შეცდა ან — არა! განა არ შეიძლებოდა, შენთვის სიმართლე არ ეთქვა, რალაც მიზეზის გამო დაემალა, გაფრთხილებოდა ანდა... რა ვიცი... ეტყობა, ანანო უფრო კვიციანი ქალი იყო ვიდრე ჩვენ გვეგონია.

— ღრმად ვარ მეც დარწმუნებული, ანანომ ყველაფერი იცოდა, ოღონდ შენ არ გეუბნებოდა ყველაფერს.

— მატყუებდა?

— შენ როგორც გინდა, ისე იფიქრე. მე კი მგონია, გიფრთხილდებოდა. მე მეკმობა, ბავშვი არ ვიყავი. ანაწონომ გარკვეული მოსაზრების გამო ბევრი სიმართლე დამიმალა. საბასთან მისი ურთიერთობის ზოგი მნიშვნელოვანი დეტალი შეგნებულად არ მითხრა, ზოგი რამ შენიღბა ან შეალამაზა და გადაასხვადგინა. მე სწორედ ეს მაწუხებდა: რატომ? რატომ გამიფრთხილდა? რატომ დამინდო? იქნებ სულაც არ მენდო, ჯერ კიდევ ბავშვიად, იფიქრა. რა იყო დაფარული ამ გაფრთხილების, დანდობისა და თუნდაც უნდობლობის წიაღში?

რამან აღრე მეგონა, საბას შესახებ ანანოს ჩემთვის ყველაფერი ჰქონდა ნამაზობი, სოფელში არავისთვის მიკითხავს, ეს საბა ვინ არის და რა კაცია მეთქი. რალაც ეცოდინებოდათ, მეტყუოდნენ. მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც იქ ცხოვრობდა. შრომობდა, იმ ხალხში ტრიალებდა. ასე თუ ისე იცნობდნენ. ალბათ ერთ სუფრაზეც მსხდარან, ერთად უქამიათ და უსვამთ. ეგ კი არადა, ზიზისთვისაც უნდა მეკითხა, ზიზის ბევრი რამ ეცოდინებოდა... ახლა ვუფიქრდები და ვაკვირდები, ყველანი შეთქმულებივით ერიდებოდნენ საბას შესახებ ლაპარაკს.

— კარგად არ მახსოვს, მაგ დამპალმა ბარნაბიშვილმა მგონი თვითონ დაიღრჩო თავი. თვითონ არ გადასტაწყალში?

— კი, ეგრე თქვა ანანომ.

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბარნაბიშვილი მიწაში ჩაფლულ ოქროს ეძებდა და ვერ მიაგნო.

— არა, ბოლოს მიაგნო იმ ადგილს, სადაც ჩაფლა, ოღონდ იქ ოქრო აღარ დახვედრია. მანდ რა მოხდა, იცი? ბარნაბიშვილმა თეთრი ცხენების რემაში აღებული დიდძალი ოქრო კი გადაშალა, მიწაში დამარხა, მაგრამ ეს ამბავი მაინც გასკდა, გახმაურდა და, ეტყობა, ბარნაბიშვილი ამის გამო დაიჭირეს. ალბათ იმდენი ურტყეს, რომ ყველაფერი დააფიქვეინეს და ჰქუაჯ

დააკარგვინეს. როდესაც ბარნაბიშვილი ანანოსა და საბას ალაზნის ბირას შეხვდა, უკვე გიჟი იყო. ცრინილად გამოპანდურებული კლინიკური გიჟი. აღარაფერი ახსოვდა. როგორც ჩანს, ორგანოს მუშაეებმა ოქრო მ შენვე წაიღეს. შეშლილი ბარნაბიშვილი კი მაინც ეძებდა, ისიც დავიწყებული ჰქონდა, განძი სად დაფლა, სად დამარხა.

— ჰოო. — თქვა ლუკამ და წამით ჩემთვის მოულოდნელი ნაპერწყალი გაუკრთა თვალებში.

მაშინვე მივხვდი, რაც გაიფიქრა ანდა შეიძლება ითქვას, წამით დამასწრო გაფიქრება. იქნებ ის განძი სულაც საბას წაღებულია, მამამისის ცხენებში აღებული ოქრო მისთვის უფრო უპროიანი იქნებოდა. ლუკას არაფერი უთქვამს, არც — მე. ის, რაც ორივემ ერთდროულად გაფიქრეთ, ერთმანეთისთვის არ გაგვიმეღავნებია. შესაძლოა, ამის გაფიქრებაც კი მკრეხელობად ჩავთვალეთ.

— მარტო ხომ ვერ იარსებებს? ვილაკებთან ექნება კავშირი დამყარებული. — დაფიქრებული ლაპარაკობდა ლუკა. — ამას შეიძლება დაქერები მოჰყვეს.

— მართლა, დაქერაზე გამახსენდა: საბას „ფრონტელი მეგობარი“ შემხვდა ქუჩაში.

— გიცნო?

— მგონი მიცნო და თვალი ამარიდა. სამხედრო ფორმა აღარ ეცვა და სულ სხვა კაცი მიდიოდა — დახვეწილი, ელეგანტური.

— ისე მაგას... — შეაგინა და ბოლოს ესეც მიაყოლა, — გაერწარი!

— ავედღენე. შინსახკომისკენ აუხვია და გაქრა.

— უკვე არაფრისა რცხენიათ, თუმცა როდის აწუხებდათ სირცხვილის გრძობა? მოვიდა მამის ტოლი კაცი, უტიფრად მოგატყუა და წავიდა. — ლუკა გაღიზიანებული ლაპარაკობდა. — თბილისის ის ქალაქი ხომ არ არის, კაცს სიცოცხლეში ერთხელ შეხვდენ? მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც მხო-

ლოდ იმიტომ ესალმებიან, რომ თითქმის ყოველდღე ხვდებიან ქუჩაში ერთმანეთს. ესენი კი არაფრად გთვლიან, არაარობად, ვიგინდარებად.

მე და ლუკა ერთად გამოვედით აივანზე. ვიღრე კიბეზე დავეშვებოდი, საფოსტო ყუთი გავაღე, ყუთში გაზეთები და მამაჩემის წერილი დამხვდა. გაზეთები დავტოვე. წერილი ჩავიდე შარვლის უკანა ჯიბეში, სადაც მატრიკული მედო და ლუკას ეზოში დავეწიე.

ჩვენი ეზო სანაპიროს მარცხენა ჭიბირის მშენებლობამ საშინლად დაადაბლა და დააბნელა. სანაპიროს მშენებლობა რომ დამთავრდებოდა, ქუჩის ასფალტს ალბათ პირველი სართულის დონეზე დააგებდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იმაზე მწყდებოდა გული, რომ ბეტონის მაღალმა კედელმა მტკვარს მომწყვიტა, მდინარესთან ყოველდღიური კავშირი თუ ურთიერთობა დამაკარგვინა.

ეზოდან გასვლისას ლუკამ მითხრა:

— იცი, რა მოვიფიქრე? მოდი, ამ ზაფხულსაც წავიდეთ ნისლაურში, ბატონი გედეონ ომანაშვილი მოვინახულოთ.

— სიამოვნებით. თუ გინდა, გამოცდების დამთავრებისთანავე გავემგზავროთ. ვა, რა კარგი იქნება!

— ნეტავი ცოცხალია ბატონი გედეონი?

— ასე უცებ რა მოკლავდა, ჯანმრთელი ბეროკაცის განსახიერება იყო. კოლმეურნეობის მოედნამდე ფეხით მივედით. იქ დიდ ზანს ლოდინი არ დაგვიჩვენებია, მწვანედ შედებულ ხუთნომერ ტრამვაიში ჩავსხედით და, როგორც იქნა, უნივერსიტეტში მივბრუნდით. ლუკას მეორე კორპუსში ჰქონდა ლექცია, მე — პირველში, რაღაც საშინელი ამბები ხდება ჩვენს გარშემო, ჩვენ კი ქუჩაში ვსხედვართო, ლუკამ თავი დამიქნია და წავიდა. მე უნივერსიტეტის ეზოში შევედი. დღეს ერთი საგანი უნდა ჩამეთვალა. ჩათვლის შემდეგ ლექცია იწყებოდა. ამით გასრულდებოდა ძველი ქართული

ლიტერატურის ისტორიის კურსი. კოტაოდები დრო კიდევ მარტობოდა, მაგრამ ეზოში სანაპიროს მარცხენა და შენობაში შევედი. ვესტიბული გავიარე, კიბის წინ მდგარ ძაბოსეს სტუდენტული ვუჩვენე, გამატარა.

მეორე სართულზე, იმ აუდიტორიის წინ, სადაც ჩათვლა გვექონდა, ჩემი თანაურსელები ირეოდნენ. მათ შორის ატი შელია დავინახე, იმანაც დამინახა, ვა, მოხვედითო, წამოიძახა ყველას გასაგონად და ჩემკენ გამოქანდა.

მეგონა, ატი ჩვეულებრივად გახარებული მოვარდებოდა, ჭერ მე გამომკითხავდა წუხანდელ ამბავს, მერმე კი თავისას მიამბობდა. სამოდვე ნაბიჯზე მოახლოებულს შევხედე და ძალზე შემფოთებული მომჩვენა. ოდნავ გაფითრებულიც კი იყო.

— გაიგე, რა მოხდა?! — პირდაპირ მომახალა. მკლავში ხელი მომკიდა და ფანჯარასთან მიმიყენა.

— არა, არაფერი გამიგია.

— ნანი ინაშვილს ხომ იცნობდი, ინგლისურზე რომ სწავლობდა?

— რა მოუვიდა?!

— დღეს დილით გადაასახლეს. მთელი ოჯახი — დედაბუდიანად!

— გადაასახლეს?!

— დილის ხუთ საათზე მოულოდნელად მისულან თურმე, აბა, აიკარით გულა-ნაბადიო. ბარგის ჩალაგება ვერ მოუხწრიათ, ეგრევე ციმ-ციმ წაუყვანიათ, მაგათი...

— ასეთი რა დააშავეს?

— დააშავეს კი არა, ის არ გინდა! საფრანგეთში ჰყოლიათ ემიგრანტი თესიანები.

— რა სისულელეა!

— აუ, ეგეთი გოგო არც მინახავს!

ნანი ცნობილი ოკულისტის, პროფესორ დიმიტრი ინაშვილის უფროსი ქალიშვილი იყო, თბილისში სილამაზითა და ტანადობით გამორჩეული, თავაზიანი. კეთილღიმილიანი, სადაც გამოჩნდებოდა, ყველგან რომ ჰაეროვან ხიბლს აფრქვევდა.

— დაახლოებით სამოცდაათი ოჯახი გაუშვეს შორეულ აღმოსავლეთში.

— ბიჭო ტყუილი იქნება! სამოცდაათი ოჯახი ხუმრობაა?!

— ვინ ვითხრა, ხუმრობააო?! ნათლულის სადგურზე დღეს დილით ქრისტეს ტირილი ყოფილა. საბარგო მატარებლებში საქონელივით შეტურეიათ.

— რა ვიცი, ამ ხალხს არაფერი ეტყობა.

— არ დაეტყობა! აი, ნახავ, მიტინგს გამართავენ. ძირს მოლატავენბიო.

— ამის დედა ვატირე, მართლა ჭურში ვსხედვართ!

ჩათვლაზე გვიმეს და ყველანი აულტორიებში შევედით. ლექტორი კართან გველოდებოდა და ბოლოს შემოგვეყვა. ჩვენ სწრაფად მოვეკალათდით მერხებზე, ისიც მიუჭდა თავის მაგიდას და დაბალი, ძლივსგასაგონი ხმით გვითხრა, უფრო ხელით გვანიშნა, მატრიკულები მაგიდაზე დამიწყეთო. ახალგაზრდა ყაცი იყო, შავგრემანი, საქონრე გამელოტებული ჰქონდა და უპრიალებდა. მოწყენილი და დაფიჭრებული იჭდა. მე მომწონდა მისი სემინარები, ახლა კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ერთი სული აქვს, როდის მოგვიშორებს თავიდან. სტუდენტები თითო-თითოდ მივდიოდით და მაგიდაზე მატრიკულებს ვუწყობდით. მე რომ მივედი და შარვლის უკანა ჯიბიდან მატრიკული ამოვიღე, ვილაყამ მერხიდან დამიძახა, ოზო, სატრფოს ბარათი დაგვიარდაო, რაზეც ორმა თუ სამმა სტუდენტმა გაუბედავად ჩაიფხუენა. დავინახე იატაკზე ორად მოკეცილი კონვერტი ეგდო. ავიღე და ისევ ჩიბეში ჩავაცურე.

ლექტორმა ყველას უსიტყვოდ ჩავეითვალა. არადა ადრე გვემუჭრებოდა, ვინც სემინარებს აცდენს, იცოდეთო არ ჩაგითვლითო. ასევე უსიტყვოდ ადგა და აუდიტორია დატოვა. ჩვენც, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ მივხვდით ყველაფერს და ავიშალეთ. უცებ წინ გამოვარდა ერთი ჩია სტუდენტი, ჩვენზე უფროსი; ნაფრონტალი, უც-

ნაური თავი ჰქონდა — შეზნეკლეფიანი, სამაგიეროდ სახე გვარიანად გამოზნეკოდა — ცხვირით იღვრას მოიფხანდა. გამოვარდა და ერთი ამბავი ატეხა, რას ჰგავს ეს, ეს ხომ ჩუმი პროტესტიაო, ყვიროდა. ჭერ გავმტერდით, მერმე ვილაყამ ჰკითხა, კი-კი, რისი პროტესტიაო, რისი და მთავრობის ლონისძიებისო, ყვიროდა აღელვებული.

ჰკითხევენ დაიძრა ერთი მოდღლეზილი ტიპი, რომელიც მანამდე არ მენახა. ეტყობა, ამ ჩათვლაზე მოვიდა პირველად. ვინაა ეს ჩემანალო, თქვა და ჰკივის წაავლო ხელი.

! — ამხანაგო, ცოტა ზრდილობიანად მოიქეციო! — გააფრთხილა ჰკივი.

— ზედავ, რა ტრავია! — მითხრა ატიმ და ისიც ჰკითხევენ წავიდა.

მოდღლეზილმა ტიპმა ყველას გაბადრული ღიმილით გადმოგვხედა და ისევ თავის მსხვერპლს მიუბრუნდა.

— ახლა გამასწარი აქედან, თორემ იმდენს გირტყამ, გაგასიებ ცემით! — ხელი ჰკრა და ჰკივი კისრისტეხით გავარდა ღია კარიდან გარეთ.

ტიპმა ახლაც გაგვიღიმა, ოღონდ ამჯერად ღიმილი უფრო მობოდიშებისა იყო. რატომღაც შარვალი გაისწორა და, სტვენა-სტვენით მიმავალი რომ გინახავს, ისე გაემართა ღია კარისკენ.

მე და ატი კიბესთან, თამბაქოს მოწევისთვის განკუთვნილ ადგილზე დავედექით და „პრიმა“ გავებოლეთ. ეს ადგილი იმითაც იყო პოპულარული, რომ ზემოდან გადაპყურებდა ფართო ჰკვის კიბეს, რომელზეც დაუსრულებლად ადი-ჩამოდიოდნენ ლექტორები და სტუდენტები. თუ ვინმეს ეძებდი ან ელოდებოდი, აქედან ადვილად შეგეძლო მისი დანახვა და მოძებნა.

ჰკივიზე მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ ატიმ დამასწრა:

— წელან რა კონვერტი ამოგივარდა ჩიბიდან? — მკითხა.

— ისეთი არაფერი, მამაჩემის წერილი მივიღე.

— წუხელ რა ჰქენი?

— შინ წავეყვანე. დილამდე დარჩა. დილას ისე გაიპარა, ვერც გავიგე.

— ჩემიც დილამდე დარჩა.

— გოგი?

— გოგომ არ მოიკადა. ბიჭო, იმ გოგომ გამაგოცა. რა ერქვა? ჰო, აგრო-რა. რა სახელების დარქმევა ვიცით ქართველებმა, კაცმა არ იცის, საიდან რას გამოგჩიჩქნით! მინცაღამინც — ავრარჩორა! ბიჭო, სახელების მეტი რა გვაქვს! — ლამის გადააფურთხა. — ან ზიზი რა სახელია?!

— ზიზის შინაურები ეძახიან... ნამდვილი სახელი ზინაბია.

— ეს არის ნიმუში იმისა, აღმოსავლური სახელი, ქართული დებილიზმის გავლით, როგორ შეიძლება გარდაიქმნას ევროპულ სახელად. — გაიცინა.

— შავას არაფერი ეშველება, — ეუთხარი შემრიგებლურად. — წელან რალაცას ამბობდი, დაიწყე და აღარ დაასრულე.

— რას ვამბობდი? ხო, იმ გოგომ გამაგოცა მეთქი... გოგი წუხელ მართლა ცუდად გახდა. ეტყობა, ორი დღე გაუძლო ამ დამცირების, შეურაცხყოფის ტკივილს, ქუჩაშიც გამოვიდა, ხალხში გაერია. მერმე უმტყუნა ნერვებმა, მით უმეტეს, ღვინო რომ დალია. ჩემს ოთახში რომ ავიყვანე, უკვე ჰკეზაზე აღარ იყო. ვერ დავამშვიდე, სულ ცახცახებდა, დორბლი მოსდიოდა... მეჩხუბა, გამარტყა, გამომაგლო, მარტო მინდა დარჩენა, ყველანი მეჭავრები-თო... მე ჩამოვედი და ის გოგო ავიღე. ხომ გაიგონე, რომ თქვა, ავალ, იქნებ ტკივილი შევეუმსუბუქოთო და ავიდა. ამასობაში გოგი უარესად გამხდარა, გული არევი. ავრორას მოუსუფთავებია, მოუკრივებია იქაურობა. მერმე გოგი ჩამოვიყვანა ქვევით, ცივი წყლით დაბანა პირი, პერანგი გაუწმინდა მოასულიერა, წაიყვანა და სახლამდე მიაცილა. შენ უნდა გენახა, როგორ უვლიდა ან მოგესმინა, რა სიტყვებით ეფერებოდა. ეგეთი რამე არ მინახავს.

— მეც მომეწონა, შეეხედე... იყო არა, მიეხვდი რომ კარგი გოგონა იყო.

— დღეს დილით მრეკითხე ზედლაშვილებს, გოგი ცოტათი გუნებაზე მოსულა, თუ ასეთი თბილი, კეთილი და აღურსიანი გოგოები არსებობდნენ, არ მეგონათ, მოთხრა.

— ხომ არ შეუყვარდა?

— ეგ არ ვიცი. — გაიღიმა ატიმ. — თუმცა რატომ არ შეიძლება ეგეთი გოგო შეგიყვარდეს?!

— რატომაც არა!

მე ურანასთან მივედი სიგარეტის ნამწვავი ჩაეაგდე. ატიმ შორიდან ესროლა ურანას და „ზუსტად მოახვედრა“, გეტყობა, კალათბურთელი რომ ხარ მეთქი, შევაქე. აშკარად კმაყოფილმა ჩამიკრა თვალი, იცის ბიჭშაო, ორივენი ქვის მოაჩირთან ვიდექით და კიბეს გადავცქეროდით. კიბეზე საქმიანად ამოირბინა ჰიკიმ, ატი გადაიხარა და ჰკითხა: ბოდიში, ბატონო, რა გვარი ბრძანდებითო. ჰიკიმ დაუფიქრებლად უპასუხა, დავითაიაო. ოხ! რა გვარს აფუჭებს ეს ჩათლახიო, დასკეჩა და ჰიხინინით სიცილიც დააყოლა. ჰიკი გამოლენდა, მერმე ორივე გვიცნო, ხელი აგვიქნია, რალაცა ჩაიბუზღუნა და სტუდენტებს შეერია. ატიმ ჰიხინი უცებ შეწყვიტა და თავისთვის ჩაილაპარაკა, დამასწრო იმ ოხერმა, აუდიტორიიდან მე უნდა გამეგლო.

— ვინ იყო ის მოდღღეზილი?

— არ ვიცი, პირველად ვნახე. შეიძლება, სხვა ინსტიტუტიდან გადმოვიდა.

— რა ვქნათ? — კედლის საათს გავხედე. ზუსტად თხუთმეტ წუთში ლექცია გვეწყება.

— ზუსტად თხუთმეტ წუთში ერთ კაცს უნდა შეეხვდე.

— ვინ არის ეგ ერთი კაცი?

— არის რა! — თითქოს აგდებულად მითხრა. — დღეს არ შემოძლია, სხვა დროს უსათუოდ გაგაცნობ... მაგვიანდება წავედი! — ატიმ მოაჩირს მოუარა და კიბეზე დაეშვა, კიბიდან

ამომძაბა, — ლექციის შემდეგ ამოდი, წუხანდელი სუფრა ხელუხლებელია.

ატი ზოგ რამეს მიმალავდა. უკვე მეოთხედ მითხრა, ამ კაცს გაგაცნობო და ყოველთვის იმას ახერხებდა, რომ არ გაეცნო. გულწრფელად ვამბობ, მაინცდამაინც არ მივისწრაფოდი მის გასაცნობად: გამაქნობდა, ხომ კარგი, თუ არა, დიდად არ ვინაღვლებდი. მე მგონია, თვითონ ატიმ აქცია ის კაცი ძნელად მისაღწევ, იდუმალებით მოსილ პიროვნებად.

აუდიტორიაში შესვლა მეზარებოდა, მაგრამ რა მექნა, წასასვლელი არსად მქონდა და ისევ ლექციაზე დარჩენა ვამჯობინე, მამაჩემის წერილს შიანც წავიკითხავ მეტკი.

მარტოდ დარჩენილმა ლექციის დაწყებამდე კიდევ ორი სიგარეტის მოწევა მოვასწარი. ჩემთვის ვიდექი და ვაბოლებდი. ღრმა ნათხზით ვბრუნვებოდი და ეს გაბრუნება ერთდროულად მსიამოვნებდა და გულსაც მიირევდა. ამ სამიოდე დღეში იმდენი რამ გადამხდა და იმდენი უსიამოვნო ამბავი შევიტყვე, რომ მოვლენების გარკვევა გამიჭირდა, გამიჭირდა კი არა, უბრალოდ ვერ შევძელი. უფრო ის მბანევდა, რომ შედეგს ვხედავდი, ხელთ მქონდა, შედეგი აქ იყო: ჩემს წინ, ჩემს გვერდით, სულ ახლოს.. მიზეზი კი არ ჩანდა, თითქოს საგანგებოდ გადამაღეს თუ მიჩქმალეს. მაგრამ ყველაზე მეტად ის მაშფოთებდა, რომ მიზეზი თითქოს არავის აინტერესებდა, მიზეზს არავინ ეძებდა, არავინ კითხულობდა: რატომ? რისთვის, რის გამო? მე გუშანით მივხვდი, რომ ეს დიდი უბედურება იყო. შედეგი არ შეიძლება აღიარო, თუ მიზეზს ბოლომდე არ გარკვევ და არ დაადგენ. ხალხს შედეგი თითქოს აკმაყოფილებდა, ყოველ შემთხვევაში საწინააღმდეგო აზრი ხმამაღლა არავის გამოუთქვამს, თუნდაც დღეს: ოჯახები აყარეს და გაასახლეს, დედაბუღიანად ამოძირკვეს. არავის

უკითხავს მიზეზი: რატომ? რისთვის? რის გამო? საზღვარგარეშე ექვემდებარები ნათესავები ჰყავთო... ვერძღუნი რამაა ეს დანაშაულია? არა მგონია, ვინმე ჰკვათამყოფელმა ასეთი ყალბი, მოგონილი ბრალდება, ასეთი გარეწრული, მტკნარი სიცრუე დაიჭეროს. ნამდვილი მიზეზი ბნელით არის მოცული და ჰეშმარიტების გარკვევის თუ დადგენის სურვილი არავის უჩნდება. საშინელი, წარმოუდგენელი რამ ხდება: ხალხი შედეგს უდრტვინველად ეგუება, მიზეზის მიმართ აბსოლუტურად გულგრილია, ალბათ ეს არის ერის სულიერი კრახი, ჩვენი ზნეობრივი დაცემის ერთერთი ნიშანი.

რატომ?

რისთვის?

რის გამო?

ეს უპასუხო კითხვები პატარა ზანზალაკებით გამუდმებით რეკავდნენ ჩემს ტვინში და მოსვენებას მიკარგავდნენ. სწორედ იმის გამო, რომ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემეძლო, სულიერი აფორიაქება, შინაგანი დაძაბულობა ჩემი ხასიათის ერთერთ გამოვლინებად, თანდაყოლილ თვისებად მეჩვენებოდა.

ზარი რომ დაირეკა, მე უკვე ბოლო მერხზე ჩემთვის ვიჯექი, მარტო. აუდიტორია სანახევროდ ცარიელი იყო. რამდენიმე სტუდენტი კიდევ შემოიზღაზნა. ისინი იქვე, წინა მერხზე დასხდნენ და პროფესორის მოლოდინში საუბარი გააჩაღეს. პროფესორი იგვიანებდა. ცოტა ხნის შემდეგ დეკანის მოადგილე შემოვიდა და გვითხრა: აკადემიკოს კეკელიძის ავადმყოფობის გამო ლექცია გიცდებათო. სამაგიეროდ მიტიმგზე | დასწრება შემოგვთავაზა, სააქტო დარბაზში ძალზე მნიშვნელოვანი სახელდახელო კრება დაიწყო და ყველანი იქ წადითო.

მერხიდან არ ავმდგარვარ. ბოლო სტუდენტი მზერით გავაცილე და ჯიბიდან წერილი ამოვიღე. კონვერ-

ტი გავხსენი. ამ ერთი კვირის წინათაც მივიღე წერილი და, მართალი რომ ვთქვა, მეორეს აღარ ველოდი. მამაჩემი წერილებს წერით მაინცადამაინც თავს არ იწუხებდა და არც მე მანებებურება.

პირველმავე სტრუქონმა გამაკვირვა: „შვილო ოზო, მამატიე, წერილის მოწერა რომ დაგიგვიანო“. რისი დავიანება მეთქი, როცა სულ ახლა ხანს მივიღე მისი წერილი. მაშინვე თარიღს დაეხედე — ოცდამეორე აპრილს იყო გამოგზავნილი, აღდგომის მესამე დღეს. ჩვენი ფოსტა რა კარგად მუშაობს მეთქი, გუნებაში გამეცინა და კითხვა განვაგრძე. რვეულის ერთი გვერდი ჩავთავე, ისეთი არაფერი იწერებოდა კარგად ვართო, ბევრს ვმუშაობ და თავისუფალი დრო სულ არ მჩვენებაო. მეორე გვერდზე მატყობინებდა, მამა კარიაულმა დეკეული რომ გვაჩუქა, სააღდგომოდ მშვენიერი ხბო მოიგოო. შე დალოცვილო, გავიფიქრე, ვაეიშვილი შეგეძინა და ის არ შეგიტყობინებია, ეგ ხბო რაში მეპიტნავენა მეთქი.

შემდეგ გვერდებზე რაც წავიკითხე, ის უკვე ძალიან საინტერესო და ამავე დროს დამაფიქრებელი იყო. აღდგომა დღე ჩემს სიმამართან, კარიაულებთან გავატარეო, მწერდა. წერილად ჰქონდა მოყოლილი, სუფრაზე რა ეწყო და რა ლეინო სვა, ლუქმა ყელში არ გადამდიოდა, სულ შენა განტრობდიო... კარიაულებისაგან საღამოს წამოსტულა შეზარხოშებული. ეკლესიას რომ მიახლოვებია, უფიქრია მოდი, ანანოს საფლავთან მივალ, ხვალ მაინც მიცვალებულის დღეა, სასაფლაოს ბევრი ხალხი მოაწყდება და იქნებ ვერ ამოვიდეთო. ბინდ-ბუნდში ანანოს საფლავთან ვილაც კაცი შეუნიშნავს, თავდახრილი და ხელებჩამოყრილი იდგაო. ცოტა ახლოს რომ მისულა, ცხენის ჭიხვინი გაუგონია, ჩამონგრეული გავლავნის იქით დაუჭიხვინია ცხენს. კაცი შემკრთალა და მამაჩემისთვის მო-

უხედავს, რომელი ხარო, კბილებში გამოუტრავს. მე კი სანდროს მონდაველი, მაგრამ შენ ვინა ხარ და რატომ დგახარო, უკითხავს მამაჩემს. იმას ხმა არ ამოუღია და მამაჩემი ზედ მისდგომია, გათამამებულია, თვალი თვალში გაუყრია. ვერ უცვნია, უკვე საკმაოდ ჩამობნელებული იყო და სახე ვერ გაეარჩიეო...

„მამ, შენა ხარ სანდრო ბოდაველიო?“

„ჰო, მე ვარო!“

„ძალიან კარგო.“

„შენ რატომ არ მეუბნები ვინა ხარ ან სადაური ხარო?!“

„თქმას რა აზრი აქვს, შენ მაინც ვერ მიცნობო“.

გამოუმშვიდობებლად გალავნის იქით სიბნელეში გაუჩინარებულია. მერმე ერთი წამით ისევ გამოჩენილა თეთრ ცხენზე მჯდარი ბოდაველო. კარგად იყავი, შეიძლება ღმერთმა ერთმანეთს კიდევ შეგვავხედროსო. ეს უთქვამს და საბოლოოდ გამჭრალა.

საგონებელში ჩავარდნილი მამა მწერდა, თუ ალლო და გუმანი არ მლაატობს, ეს კაცი საბა უნდა იყოსო. გაოგნებული ვარ, კაცი ომში დაღუპული მგონია და ანანოს საფლავთან როგორღა გაჩნდაო. ჭიუტად მიმტკიცებდა, ნამდვილად საბა იყო, სხვა ვინმე გამორიცხულიაო.

ახლა უკვე ვასაგები გახდა, რატომაც დაიგვიანა წერილმა: ცენზურამ წაიკითხა და გადასცა იმას, ვინც საბას პიროვნებით იყო დაინტერესებული. ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ გააზრებული, ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი და აწონილ-დაწონილი. წერილზე ადრე საბას „ფრონტელი მეგობარი“ მოვიდა, ამ შტერს იქნებ როგორმე სურათი დაეტყუოთო. ეტყობა, საბას ეძებენ, მაგრამ არ იციან. გარეგნულად როგორ გამოიყურება. ამიტომ გაუჭირდათ მისი დაჭერა. სურათი რომ მქონოდა. მე როგორც გამოუსწორებელი შტერი, ამ სურათს და-

უფიქრებლად მივართმევდი. კიდეც კარგი, არ აღმომაჩნდა!

მამა ნამდვილად შეცდა, საბას ამბავი რომ მომწერა. გამოცდილი კაცი მეგონა, ცხოვრების ყველა ჭურღმულის მცოდნე, ის კი თურმე მიაშიტი და გულუბრყვილო ყოფილა. მისი გამოგზავნილი კონვერტი გულდასმით დავათვალიერე, დაკვირვებული თვალი უსათუოდ შეამჩნევდა, ვიდრე მე გავხსნიდი, იგი მანამდეც იყო ფრთხილად გახსნილი და დაწებებული.

აუღიტიორიიდან გამოვედი და კიბისკენ გავეშურე. უნივერსიტეტში დღეს უკვე აღარაფერი მესაქმებოდა და ვიფიქრე, შინ წავალ, ერთხელ მიინც

კარგად გამოვიძინებ მეტეჟი, სააქტო დარბაზთან სტუდენტები, რჩეულები და გამახსენდა, საბელდახელო კრება ანუ მიტინგი რომ ტარდებოდა. მივედი, დარბაზის მძიმე კარი გამოვალე და შევიხედე: სცენაზე ჰიჰი დავითაია იდგა და, რატომღაც გააფთრებული, გაკეოდა, თან მთელი ძალით იქნევდა მუშტებს. კარი ისევ მივხურე და იქვე ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილ სტუდენტს ვკითხე, რა ხდება მეტეჟი.

— მთავრობის ღონისძიებას მხარს უჭერენ.

- რა ღონისძიებას?
- აი... ხალხი რომ გაასახლეს.

□ ხახამიძის იმეხი □

[Faint, mostly illegible text in the left column, likely bleed-through from the reverse side of the page.]

[Faint, mostly illegible text in the right column, likely bleed-through from the reverse side of the page.]

პირობი პიზაშილი

* * *

სასაფლაოდან რომ დაბრუნდებით
ჩემზე ლაპარაკს დაიწყებს ქალი:
„შეცდომა იყო მისი ცხოვრება და .შ.
და ა.შ.“
გულსატკენია იქ არ ვიქნები
და არც შენ ეტყვი: „არ ხართ
მართალი.“

* * *

ერის ჩემი წვიმა
აპრილის წვიმა
გასაოცარი თავის სიმშვიდით...
წვეთებით ხატავს იეროგლიფებს
სამყაროს ძველ და იღუმალ ამბავს...
და კაეშანი — რუხი ობობა
კუთხეში ზანტად ქსოვს აბლაბუდას...

* * *

ახლა მოდაშია თეთრი ტელეფონი
მაღალი ყელით და ოქროსფერი ორთივებით
რომელზედაც ლაპარაკს რომ მორჩები
მორჩილად ჩამოსდებ ყურმილს...
სადღაც სიღრმეში თავისთავადობაში
ტელეფონი აქვავებს სიტყვებს
და დიდხანს დიდხანს ინახავს
როგორც ძუნწი თავის სიმდიდრეს.

დემოკრიტოს შებრუნება



თვალეები უნდა დაითხარო
და იხილავ უხილავს

ხედავდი ჩიტს
იხილავ უძრაობას

ხედავდი უდაბნოს
იხილავ სიცივეს

ხედავდი ტაძარს
იხილავ ეშმას

ხედავდი ქალწულს
იხილავ სიძევას

ხედავდი გმირს
იხილავ არარაობას

ნუ იჩქარებ თვალეების დათხრას,
ოიდიბოს!

ბამარჯოვა კინანა

მერე ჩაიკვამს წინაპრის აბჯარს
მტვერით დაფერილს და მოქლარუნეს
თითებს აუსვამს ჟანგვიან დაშნას
კედლიდან ოხვრით მოხსნის უნაგირს
ყველის ნარჩენებს კუთხეში მიყრის
სანთელს ჩააქრობს რკინის თათმანით
ხელის ფათურით გააღებს კარებს და
უკვდავების გზას გაუყვება
კაცობრიობის დიდი დესპანი...

• • •

ყური დამიგდეთ უნდა გიამბოთ
ერთი ძველი და გრძელი ამბავი
ამერიკაში ჭუნგლების ტვერში
ხარობს ყვაილი —
ამარილო ფლორა რამირეს...
თქვენ გეცინებათ? ჩემი არ გჭერათ?
თქვენ აღარა გწამთ სასწაულები?...
მაშ თუ ასეა მეც გავჩუმდები
იქნებ თქვენ იტყვიან ახალს რაიმეს?

ბათუმი, 19...



საქართველოს
წიგნების
ბიჭების

„ბესამე მუჩო“ ბათუმის ბულვარზე
გადაიარა ზაფხულის წვიმამ
და შემორჩენილ შავ გუბებში
ეშმაკურად თვალს კუტავენ
ლამეფულ ციდან მომზირალი

ვარსკვლავები...

„ბესამე მუჩო“, ყავახანაში სათენიკას

მძიმე ზენეშა და ჩამოსხმული
ხორხოცი...
ეს იმ დროს იყო როს ყოველივეს
ყმაწვილური ელფერი ედო
და სიცოცხლეც იყო ზღვისავეთ გიეი...

„ბესამე მუჩო“, „ბესამე მუჩო“
ზღვასაც აქვს ზღვარი...

ბათუმის პლაჟი
ბერძნული პროფილი
უცნაური სახელი — ინგა
წვიმის წვეთები მძიმე და თბილი
წითელ ფოთოლთა ზარმაცი ტანგო
და სიხარული ამ ზღვის ოდენა

და ნეტარება...
იმიტომ რომ
იყო ბულვარი,
იყო პროფილი
და
უცნაური სახელი — ინგა.

გოგებძის ვივის

სოფელში
ჩვენი სახლის ღობეს პატარა კარი
აქვს დატანებული
კარს ზელს ჰკრავ და სახლში ხარ...
ასეა ძმაო
ერთი პატარა კარი მეც მაქვს
ზელი ჰკარ იმ კარს და შემოხვალ

რამეს მკითხავ და ვერ გიპასუხებ
რამეს მკითხავ და გავჩუმდები
რამეს მკითხავ და შემოგხედავ
უნდა იქმარო
მაგრამ ჭერ სიბნელეში იმ კარს უნდა
შიავნო ძმაო...

როდესაც ღამე ჩამოწვება ზღვის
ნაპირზე
და მთვარე ვერცხლისფრად
აელვარებს
დიდი თევზების ზურგებს

სანაპიროზე გამოდიან ბოროტი ძიები
და პროექტორების შუქზე
ტყვიას ახლიან პატარა ანგელოზებს
რომლებიც ციდან ეშვებიან რათა
გაალამაზონ ჩვენი ბავშვების
სიზმრები...

რეჟიში ირაკლი ნანეიშვილისათვის



ყოველივე ისე იყო როგორც გუშინ
 როგორც გუშინწინ და
 სწორედ ისე როგორც კიდევ იმის
 წინ...

პატარა ოთახი
 ბინკლის ბული და
 ლუდის ჭაფი...
 ის კი ფიქრიანი მილულული თვალით
 მიყურებს და მეკითხება:
 „ბირმაში თურმე ასე ითვლიან:
 ათი ცხრა რვა შვიდი ექვსი...
 რატომ თუ იცი?“
 ახლა არც ის ოთახია ისეთი
 არც ბინკალი და
 ლუდია ისეთი...
 არც ისაა...
 მე კი თუ დამჭირდა ვითვლი:
 „ერთი ორი სამი ოთხი...“
 და დღესაც არ ვიცი პასუხი
 კითხვაზე რატომ ითვლიან ბირმაში
 სხვანაირად...



ანტიპოეზი

ისაგ ჩემი სოფლის ებიუფებიდან

ანიკო ჩამოვარდა ვაშლიდანაო.
ძალიან ცუდად არისო.
ეგება რო ველარც გადარჩესო.
ვერ გადარჩებაო.
ვერაო.

არცთუ დიდად შეწუხებულა სოფელი. არა და უნდა შეწუხებულყო, არც რო არაფერი არ იქნებოდა უიმისოდა, ავსა თუ კარგსა თუ რაც რო იყო, რო გაიზიარებდა ყველასი, რო მოისაკლისებდნენ, დროზე თუ არ გამოჩნდებოდა და ისიც გამოჩნდებოდა ყოველთვის დროზედა, იყო იქ, სადაც უნდა ყოფილიყო, სადაც უიმისობა არ იქნებოდა. მიატოვებდა თავის საქმესა, სხვისას არაო. ნუგეშიც გახლდა, ბარაქიანი ხელიცა ჰქონდა. ბარაქიანი. ბარაქიანი. ახლა ხალისი?.. ახლა სიტყვა-პასუხი?.. ლაზათი?.. ლაზათი!.. არა, არა, — უნდა შეწუხებულყო, ძალიან, ძალიან, ძალიან უნდა შეწუხებულყო სოფელი. ეგება შენც გახსოვდეს: ორლობეში შემოგვებდა. ატამი მოგაწოდა თიბათვის ატამი. ის იყო ავარდისფერებულყო ის პირველი ატამი. ერთი იყო და სუნით აევსო ვიწრო ორლობეი, საამო სუნითა. ერთი იყო, ფერი გადაედო ორლობისათვისაცა, მიმზიდველი ფერი. მოდიოდა. ეფერებოდა. შენ გიბოძა. გაიხარა, რო გიბოძა. შენც გაიხარე. ნიკაპზე მიიღებდი. ლოყაზე იცურებდი, იხუტებდი გულზედა. არ გაგიკბეჩია. ჩემს მაგიდაზე დასტოვე. მეც არ მიხ-

ლია ხელი. აშუქებდა ჩემს მაგიდასა. მერე აღარ მახსოვს. ალბათ რო დაჰკნა, რო ჰკნება ყველაფერი. რამდენი ხანი გასულა!.. პო: უნდა შეწუხებულყო სოფელი. მაგრამ რას იზამ, სოფელი სოფელია, რაც არის ის არის, და რაც არის, იმაზე მეტსაც ვერ მოსთხოვ. ვერა, თვით ულამაზეს ქალსაც ვერ მოსთხოვ მეტსაო, — ეს უკვე შექსპირია, ის დალოცვილი. ხან რო ბრძენი, ხანაც მახარა, ხან რო გულთბილი, გულცივი ხანაცა, ისიც ისევე, სოფელივითა. ეგება რო ველარც გადარჩესო, თუ ვინმე იტყოდა, — ვერ გადარჩებაო, სხვა მოუჭრიდა დაბეჯითებითა. ვერ გადარჩებაო.

ველარც გადარჩა.
მღუმარედაც მიაცილეს სამარემდისა. თუმცა ამოითუთქა გული ძმისწულმა იმისმა: ერთი — რო ჩამობრძანდა, მეორე — მიწა რო მიაყარეს, ეს იყო და და ესა და სწორედაც ეს ითქმის მღუმარებადა სოფლის კვალობაზედა.

ქელეხმაც მღუმარედ ჩაიარა.
არა: თამადამ მოიჭარგა ენაი, მოიჭარგა, ოღონდ ესაა, სხვები მაინც არ გალექსილან, არ აპყოლიან ესეიგიო. ან უფრო სწორედ: ბევრი არავის არ ულაპარაკნია, და მღუმარებადაც ეს ითქმის ცხადია, ისევ სოფლის კვალობაზედა. თამადასაც ესე ერჩიენა. და იგდო ბურთი და მოედანო. რაღა არა თქვა არაღა არ მოიგონა, გადაძახნა ნელ-ნელა იაცეცილი ცხვირსახოციცა. თვა-

ლებშიც ამოისვა, ვერ აუჩუყა გული სოფელსა, მაინც ვერ აუჩუყა, არც თვითონ რო არ ასჩუყებია გული, ისევე მშვიდად რო დაჰკეცა ცხვირსახოცი, ისევე ფრთხილად რომ ჩააცურა ჯიბეშია.

დადუმდა სახლკარი ანიკოსი. დადუმდა. ძმისწულმა კლიტე დაადო ჳიშკარსა და წავიდა როდის მობრუნდებოდა, ვინ იცის. ანთუ მოვიდოდა ოდესმე, ვინ უწყის, — ეგება რო სულაც გატიალებულიყო იქაობაი, ეგება რო, ეს უფრო სავარაუდო ვახლდა.

ჭერ დადუმდა.

დადუმდა.

გადაეგო უშვილძიროდა და ასე იქნებოდა რალა თქმა უნდა, ასე იქნებოდა, შვილძირიანთა სახლკარიც რო პარტაქლებოდა.

ასე არ უნდა გადაგებულიყო. გამორჩეული იერი ადგა, მოჰყოლოდა მადლი თავისებური, უცებ რო მოგტაცებდა თვალსა, რო ველარ მოსწყვეტიდ ისე აღვილდა. შენც გააყოლე თვალი. მახსოვს. ისიც შემობრუნდა. გაგიცინა. გაუციწინე. იცოდა, რო მიადევნებდნენ თვალსა. უცხონი ცხადია. სოფელი ჰო მისჩვეოდა. ველარას ატყობდა. რაც უნდა იყოს: სოფელში ამას არავინ დასტოვებდა, ქალაქი კიდევ მაინც ქალაქია, იქ ბევრი რჩება გაუთხოვარი, სოფელში არა, ანიკომდე სხვა არც იცოდა, შინ რო ჩარჩენილიყო. გასაკვირი იყო. მერე და რაო, — არ უკვირდა სოფელსა: ამისი არაფერი არ უკვირდა, არავინ არაფერი არ აწუხებდა ამისი, თვითონ რო არ ეტყობოდა თუ სწუხდა რაიმესა, თავისასა, თავისასა, თორემ ისე: სწუხდა და ძალიანაცა სწუხდა სხვათათვისა, უხაროდა და ძალიანაც უხაროდა სიხარული სხვათა. თითქოს ასე ვაჩენილიყო, ანთუ ასე დაჰბედებოდა: თან გადაჰყოლოდა სოფელსა. ის ყველასთვის იყო. იმისთვის არავინ არ იყო. არ ეუცნაურებოდა ეს რო თვითონა, სოფელსაც არა, არ ეუცნაურებოდა. ჰო: გამორჩეული ნათელი ადგა, ერთბაშად თვალს იტაცებდამეთქი. და

ერთხელ ისტორიულ ფილმშიც მიიწვიეს, დიდებულთა სახეებიც დასწრეს ბოდათ, რო გაეუღიტათ დამტყუარებულთა თუ ისე დაეჩივებინათ, წინაპრებს რო ველარ მოგვაგონებდნენ. ეს ვახლდა იმათგვარი, გარდასულთა მგვანი. რამდენიმე კადრში გამოჩნდა. დედოფალს ახლდა. ჩრდილავდაო. ამას უჩვენებდნენ მსხვილ პლანშია, როგორც იტყვიან კონომოლვაწენი. ვგონებ, დედოფლად ეს უნდა აეყვანათ, მაგრამ გაიხლართა ისეთ ინტრიგებში, თვითონ რო ვერც გაიგო ვერაფერი, რო მაინც ეგონა: ასრულებდა დედოფლის როლსა, ეგონა, ვიდრე ფილმი სოფელშიც არ ჩამოიტანეს, მოატარეს რო მთელი ქვეყანა, მერეღა ჩამოიტანეს რალა თქმა უნდა. ფირი უკვე გაცვეთილიყო თუ დაგლეჯილიყო, ეს ერთგანღა შერჩენილიყო: მისჩვენებოდა რალაც შორეულსა, თითქოს აღარცაა ამ ქვეყნისაო. არა და იყო ამ ქვეყნისაი, სულითხორციით ამქვეყნისაი, მაინც დარჩა და რას იზხმ, დარჩა. დარჩა.

არ ითქმის მთხოვნელი არ გამოუჩნდაო.

დროზედაც გამოუჩნდა, — შელერდა თუ არა, გადაიფურჩქნა თუ არა. ბიჭიც ისეთი ვახლდა, სწორედ ისეთი, ამისი არ იყოს. დიდებულთა სახეებს რო მოგვაგონებდა. ფერი ფერსაო. გამოუჩნდა ერთისიტყვითა: თუ წამოწყვება, ჭვარსდავიწერო. ქალმა ჩაპლუნა მხოლოდღა თავი, ნიშნად თანხმობისა, შეთრთოლდა ერთი და ჩაპლუნა თავი. შეიცხადა სოფელშია. სოფელი ესაა, — ყველგან რო ჩაჰყოფს ცხვირსა. შეიცხადა. შეიცხადა. ნათელმირონები ყოფილიყვნენ, მეშვიდე მუხლის ნათელმირონები. გამოითვალეს და ასე გამოდიოდა. ყველა ითვლიდა, დიდი თუ პატარა, მახვილგონიერი თუ გამოჩერჩეტებული, ყველა ითვლიდა. სოფელი ესაა, — თითქოს საქმე გამოლეოდესო. სისხლით ნათესაობა მეშვიდე მუხლამდის გასდევსო, ნათელმირონობა მეცბერმდისაო, — არ შეიძლებაო. არაო. არაო. ქვეყანა დაიქცევაო. და წა-

მოიქონრა სოფელი, ემანდ ქვეყანა არ დაიქცესო. არ შეიძლება და ნუ შეიძლებაო. ნუ შეიძლებაო: ვაჟმა სხვა შეირთო, ქალს დაედერა მთხოვნელი ბევრი, იცოცხლე, ბევრი, ბევრზე ბევრიო. უარის მეტი ვერაფერი ვერ გაიფონეს მისთა ბავთაგანა. იცინოდა და უარობდა. არაო და არაო, მეტი არაფერიო. არაო და არაო. ის მაინც, პირველი, ერთ მშვენიერ დღეს მკვლარი მოასვენეს. დღე იყო მართლაც მშვენიერი, ეს ისე. გორის გზაზე მოეკლათ. აკვინისთვის წასულიყო. მოეკლათ. თავადიშვილი ის არ იყო, სასულიერო პირი ის არ იყო, განათლება არსად მიეღო, — სადმე უცხოეთში, — არც თუ მდიდარი გლეხი გახლდა, მერე კულაკები რო დაარქვეს, არა არაფერი ამის მსგავსიო, მხოლოდ ესაა ლამაზი იყო, სიმამინჯე აღზევებულიყო და ველარ ითმენდა სილამაზესა, — მოეკლათ, აკვანიც ზედვე დაემტვრიათ. მოეკლათ. ჩვენ არაო, ამბობდა სოფელი, სხვა სოფელზე მიუთითებდა, ვითომ ის სხვაც რო ეს არა ყოფილიყოს, სხვაცა და სხვაცა, — ყველა რო ერთია, მთელი ქვეყანა რო ერთი სოფელია, ერთი ქირი სჭირს. ეს ისევეთქი: მთხოვნელნი მანამდისაც შემოიფანტა ანიკომა. ამის მერეცა, ერთნაირადა, ერთნაირი უარითა, არც რო ცივი ეთქმოდა, არც რო თბილი რაღა თქმა უნდა, ვერც რო აუხსნათ, არაო და არაო, — ჰო, თუ რატომო, რა მიუგებდა, არც რო ხალისი არ მოუქლია; საქმის მეტი არც რა ახსოვდა თითქოსაო. მამიდა გახლდა და თითქოს მხოლოდ მამიდად გაჩენილიყო: მამიდაც იყო და სოფლის მამიდაცა. ქირი სად იყო, ისიც იქ იყო, ლხინი სად იყო, ისიც იქ იყო. ყველას თავისი თადარიგი უნდოდა, ყველას თავისი ლაზათი უნდოდა, ანიკომ იცოდა ყველაზე უკეთა. გაუჭირდებოდა და იქით მიაპყრობდნენ თვალთა, დაუღზინდებოდათ და — იქითა.

შენ რო არა გვეყვდეთო...

შენ რო გაფხოვილიყვართო...

წყალი არ წაგვიღებდა უმერდაო... შენაო... შენაო... შენაო... არა ტყუოდნენ, ანუ... ენობოდა, ჩაიღიმებდა ისეთნაირადა. პასუხიც იყო, მშვენიოდა კიდევაცა, მშვენიოდა, მშვენიოდა, ასე სიბერემდისა, სიბერის მშვენიება მაინც სხვაგვარია, ხოლო ის სხვა იყო, კინოფილმში რო გადაიღეს: რო ეგონა, რო დედოფლადა მსახავენო, მეფედ რო ის უნდოდა, შესაფერისიც ის უფრო არისო, ვიდრე ესაო, ჩემთვისაცა და ფილმისთვისაცაო. მაშინაც თუ ამასა ფიქრობდა, ის ერთადერთი კადრი რო გადარჩენილიყო, რო მისჩერებოდა შორეულსა თუ გარდასულსა, ანთუ ორივესა, ანთუ დაკარგულსა, ანთუ სანაწურსა, მხოლოდ ობიექტივს რო დაეჭირა, ხოლო ჩვეულებრივ არასოდეს რო არ შესტყობია არ მოშვებულიყო, არ დამძიმებულიყო, თითქოს მიწასაც ფეხს არ აკარებსო, ისე მსუბუქად შეეხებოდა, მისცურავს თითქოსაო, მიფრიალებს თითქოსაო. ზეზედაც ისე, ზეზედაც ისე აფრინდებოდა, ჩიტია თითქოსაო; განივ ტოტებსაც ისე შემოაქრეფდა, კიბე არც უნდოდა, — ვაშლზე ვამბობ რაღა თქმა უნდა, თუნდაც მსხალი იყოს, თუნდაც მბალიო, რაც რო თუნდაცაო, ოღონდ ესაა, ვაშლიდან ჩამოვარდა და ვაშლზე მიხდება ლაპარაკი.

ერთ ვაშლს როგორ უნდა გადააყვეთანაო.

ჰო, ჰოუ, წვრილშვილი უტიროდა მაგასაცაო.

კაცო რო გახარბდებო...
ქალიო.

კაცზე უარესიაო.

თვითონ სიხარბე რო არავის არ აკლდა, ჰკილაგდნენ ერთმანეთსა და ახლა ყველა ანიკოსა ჰკილაგდა, სხვა დავიწყებოდათ თითქოს ყველაფერი, ყველა სიკეთე დავიწყებოდათ, თითქოსაო თუ მართლაცაო, თუ ითქმოდა რაღაც ისეთი, რო აჰყვებოდა ყველა ერთბაშად, დაფიქრება რო აღარ უნდოდა აღარავისა, მძიმე როა ფიქრი.

სიტყვა რო ადვილია, ადვილად გადადის პირიდან პირზედა, ენიდან ენაზედა, ადვილად, მსუბუქად, მჩატედა, მძიმე როა ფიქრი; და თანაც ისიცაა გასათვალისწინებელი, სძირახის რო ასდევს ადამიანი, უმაღლე ასდევს, რო აღარ დაგდევს აღარაფერსა, ღმერთიც რო იყვე, თუნდაცა, თუნდაცა, ან რაღა თუნდაცა, — ღმერთიც ჰო ადვილად გაუწიროათ!.. კიდევ კარგი, მეტს არას ამბობდნენ: წყრილშვილი უტიროდა ვითომ მაგასაცაო.

„შენ მაგათ არაფერი არ დაუჭერო“, მითხრა ანიკომა. იწვა. დროდადრო მოკრუნჩხებოდა. თვლებში სიმწარე ეხატა, ტუჩებზე ღიმილი, განუყრელი ღიმილი.

არ დავეუჯრებმეთქი.

„მაგათ ბევრი არაფერი არ იციან: ჰამონ და გამრავლდნენ. ეს იციან, მეტი არაფერი. მაგათი შვილებიცა, პროფესორებად რო დაიზარდნენ, მეტს ვერ გაიგებენ; ჰამონ და გამრავლდნენ, ჰამონ და გამრავლდნენ... ზოგი გამრავლებსაც დაეხსნება და ჰამალა შეჩება... ვერ გაიგებენ.. განა რო ვძრახავ, განგებამ დაუწესა ამგვარადა, დასდგომიან განგების გზასა... მეც აი... ჰეეე!.. მე არ შემიძლო წაყვოლოდი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, არა!.. მე უნდა მკოდნოდა თუ ვინ გამემრავლებინა. მე მხოლოდ ერთი მომეწონა ჩემს ცხოვრებაში და მხოლოდ იმისგან გავიჩენდი შვილსა, მხოლოდ იმისგანა. სხვისაგან შვილი არ მისურვებია და ისე ვერავის ვერ გავყვებოდი. ეგენი ამას ვერ გაიგებდნენ...“

ვერაამეთქი.

„ვერც გაიგებენ...“ თვალები მოეკუტა ანიკოსა, ტუჩები მეტად დაუვიწროვდა, მოემუწა, მოემუწა, უამრავ ნაოქვად მოემუწა და თრთოდა ნაოქვები, თრთოდა თუ ბტოდა თუ ამოვარდნას იყო, — ტკივილს ებრძოდა რაღა თქმა უნდა. გადაივლიდა რო ეს ტკივილი გაიშლებოდა ტუჩები ისევ, ისევ ღიმილი დაეფინებოდა, გადასწვდებოდა

მერე შუბლსაცა, თვალებში მანაც ვერ ჩაატანდა. ვერა, ვერა, ვერამეთქი, ვერამეთქი, თითქოს რო ვშველოდი, გავუქარწყლებდი თითქოს რო ტკივილსა.

„ის ისეთი ლამაზი იყო...“ აღმოთქვა უცება და წაეშალა ნაოქვებიცა ტუჩებზედა. „ისეთი ლამაზი... ვაშლი... ვეცადე და ვერ მივწვდი.. ვერ მივწვდი და დავეხსენი. ვერც დავეხსენი, ისეთი, ისეთი ლამაზი იყო... ლამაზი შორსაა. ეწევი და ვერ ეწევი, გაგირბის, გისხლტება. ება და გამირბოდა, ეკოდა, მივიწვდი და მოწყდებოდა თუ არ ვიფრთხილებდი... დაიბეჭებოდა, დაიჩქვლითებოდა, ტოტი ვერ მიძლებდა, კიბით ვერ მივუღებდი. კავით მივწვდებოდი... ჩამომივარდებოდა. დღე ჰო დღე იყო, ღამეც მეწეოდა, არ მასვენებდა, ღამითაც არა... ბედისწერა იყო. ლამაზი იყო და ბედისწერად იქცა. სხვა დროსაც გამოერეოდა ეგრეთი, სხვა დროსაც მაწვალებდა. მე ჩემი, ის — თავისიო, — ჩემსას გავიტანდი ხოლმე. ჩამოვევარდნილვარ სხვა დროსაცა. გადამიტანია. არც გაუგიათ. ტკივილი არც უნდა აგრძობინო არავისა. ახლა რაღაო... ველარ წამოვდგარვარ, ვერც ვერას გავაწყობ სიჭიუტითა...“ იუუჩა სახე აეშალა თითქოსაო. ნათელი წაუვიდა, წაუვიდა და ისევ მოუვიდა. „ჩამოვარდებოდა!..“

არამეთქი.

„უნდა იყოს... ეგრე უნდა იყოს.. სილამაზე ისაა, რაც გაკიდულა... იყოს...“

უკანასკნელი სიტყვებიც ეს იყო ანიკოსი.

ჩაუწერიათ უკანასკნელი სიტყვები ზოგი დიდი ადამიანისა; სინათლე, მეტი სინათლე, — გოეთემა ბრძანაო; მე მოვდივარ, შენ რაღას მიხმობ, ზენონი გააწყრაო; რას სჩადიხართ, მე ილია ვარო, — ვაიოცა ილიამაო; რა მშვენიერია ბუნებაო, — რუსოს აღმოჰბნაო; რაცა ვარ, ესა ვარო, — დაიმშვიდა თავი სეფტმაო; და ასე, სხვაც ბევრი გადმოუციათ. მისდარაჯებოდნენ, ჩაუწერი-

ათ და გადმოუციათ. ოღონდ ილიასი მაინც საკითხავია: თვითონ აღესრულა რაღა თქმა უნდა, ოღლა უფონოდ მისვენებულიყო, ავაზაკებმა შემოგვინახეს?.. პო: ილია ხარ და ეგვეც შენაო, თავიც რო გაუჩეხეს, არა?... ახ, ეს სოფელი!.. მაინც ის უფრო კარგადაა ნათქვამი: ვახ, სოფელი რაშიგან ხარო... ანიკოს ნათქვამს არც გაიხსენებდნენ, არც რო ის იტყოდა არაფერსა, მე რო არ შევსწრებოდი. მეც ეგებ ისე ვერ ვიმეორებ, სიტყვებს რო კარგად არ ვაკვირდებოდი, უფრო იმან რო ამიყოლია თუ როგორა ჰქრებოდა ღიმილი სახიდანა: ტანჯვაცა ჰქრებოდა და ღიმილიცა, ერთადა, ერთადა, ერთდროულადა, — ადამიანი ჰქრებოდა.

...ვაშლი ეკიდა ერთხანს ისევე, ვერც რო ვერაინ მისწვდა, თავისდაც რო არ ჩამოვარდნილა. მერე უვაგმა! შიგნო. ან ეგება რო ისიც უთვალთვალეზდა, ანთუ რაც, იყო ბოლოს ყვავი გადაეფოფრა. დასჩხავლა და დააცხრა, გაძიძგნა, გათქვლიშა.

ტოტი ქანაობდა. ყვაესაც ვერ უძლეზდა. ყვავი ფართხალებდა. ფართხალებდა. ყრანტალებდა და წურავდა კლანჭებსა. ძიძგნიდა, ძიძგნიდა, რო ვერ გაძიძგნა ბოლომდის მაინცა, ანთუ მიანება თავი, ანთუ ველარ შეიმგრა თავი. ნაჭურჩალი შერჩა. შერჩა. ზამთარი გავიდა. გაზაფხულმა დაიყვავილა. ის ისევ ეზა. როდის ჩამოწვდა, აღარავის შეუმჩნევი.

მამლი

განათებული ქალაქის მიღმა,
კორომებს იქით გადახვეწილი,
დაღლილი მგელი დაეძებს იღბალს
და ტანზე სხივი ადგას ბეწვივით.
დაღლილი მგელი დაეძებს ლუქმას,
აგარაკებსა და ნაძვებს მიღმა,
რესტორნებს იქით, ქარაფებს უკან,
დაღლილი მგელი ხორცის სუნს იკრავს.
მერე ყმუილით ბნელ დუმბულს არღვევს
და ებჯინება წყვდიადს ყმუილი,
ყმუილის ეჭო ედება ქარხნებს
და ტყეში ჯდება მგელი ყუმბივით.
ტყეში ღამეა, ხე და წყვდიადი
და თავის ქალას მიაბჯენს წყვდიადს,
დამშეულ ფერდს კი ჩირგვეს მიადებს,
სადაც გახრწნილი ფოთლები ყრია
ხევს გადაივლის, გახედავს წყალზე
როგორ გაშეშდა სასოწარკვეთა,
მერე გადაჭრის სხივების ნასერს,
წკვარამში ჩაფლულ ტყეს გადაკვეთავს.
გახედავს ქალაქს, ცარიელ სკვერებს

და სიბნელეში გადახრილ სახლებს,
სადაც ვიღაცა ასკდება ნერვებს
და ღამეს ველურ ყვირილით არღვევს.
სადაც ვიღაცა დაეძებს ნუგეშს,
ებლაუტება და ხელს არ უშვებს,
და ღამის შუქზე გადახსნილ გუგებს
აბჯენს ქარისგან დაბზარულ შუშებს.
სადაც თვრებიან ღამეში ხორციით
და მერე ჰფენენ დღის შუქზე
სირცხელის
სადაც ვიღაცა ბნელ ხატებს კონცის
და საფეთქლები ეწვება სიცხით.
სადაც ღამეა, ვეება ღამე
განათებული ჩამკვდარი შუქით,
სადაც ნამუსრევს კბილებით ხრავეს
და მოწოლილი სიბნელე უკვირთ.
გამობრუნდება, ზურგს აქცევს ქალაქს,
ყმუილით შეძრავს მუცლიდან გვრემს,
მიწაზე დადებს დამშეულ ქალას
და ელის თეთრი ცხენების რემას.

„გიშველი“

მოსახვევებში ერთმანეთით განათებული ადამიანები
დადიან,
ისინი ანათებენ ერთმანეთის ზურგებს,
ერთმანეთის ხელებს, ერთმანეთის სახეებს...
ღამეა და რა უნდათ ამ ქალაქში
(ან კიდევ სხვაგან),
თვითონაც არ იციან,
ვერც კი ამჩნევენ ზამთრის ბაღებში ძელსკამებს,
ისე უკლიან გვერდს და ისე მიდიან,



მაგრამ შუალამისამ ესმით ძახილი:

„მიშველეთ!“

და დგებიან საფლავებივით მოღიავებული

საწოლებიდან და ხედავენ

უწნო ცხოველებს — სახლებზე ცხვირმიბჭენილ
ელნათურებს...

„მიშველეთ!“

ღვინო... სიყვარული... სისულელე

ყველასთვის ნაცნობია,

მაგრამ უბედურების სუნი ტრიალებს...

„მიშველეთ!“

ხმაში ეპარება ხრინწი და არაქათი

და ელნათურები კი ბზუიან,

რადგან წარსული სისულელეა, რომელიც

უკვე აღარ არსებობს,

და სარკეებიან და საათებიან ბინებში

ინთება სინათლე

და ეს სინათლე პირდება: „გიშველი“.

უდაბნოს აქლემს

მე შენ შეგატყე, რომ ცხოვრებას არაფრად აქნევ,

ქვეყნიერება დაამშვენე შენი კუზებით,

შენ რანაირად დაიბადე ლამაზი აგრე,

დაუდევარი და ხანდახან ძალზე უზრდელი.

არა! სიცოცხლე შენში ყვირის, ყველაფერს ანგრევს,

რა სასწაულად გეხვევებიან ზორბა ბუზები,

მზე გიყვარს, ვიცი, და არ გინდა სხივი რომ ჩაქრეს,

თვალი შეგასწარ, უდაბნოში მზეს რომ უმზერდი.

ტლინკი აყარე აბსურდს მიდი! ცხოვრება დაგმე.

სიკვდილის კართან ყუმივით ნუ აიტუზები.

გაასავსავე ფურთხით სავსე ვეება ბაგე

და ერთხელ კიდევ აიწიე მზისკენ ქუსლებით:

შენ პოეტი ხარ! ვიცი, შეთხზავ სევდიან საგებს,

როცა ოაზისს გასტოპავენ ზანტი მუზები.

. . .

სადღაც, ბუნკერში ატირდა კატა
და როგორც უცხო სულის ყვაილი —
შემოდის ღამე. მკვეთრად და სხარტად
შიშველ კედლებზე ამოყვანილი.
ყნოსავს ნაბიჯებს, დაემბს თრიქს,
და შთელი ქვეყნის ფართობს იკავებს,

და მრუშის ეჭო მკვლევლებთან მიაჭვს,
სათუთად სინჯავს მოთხრილ ბირკავებს.
მე კი ვწვევარ და ვნატრობ შენ სხეულს
და სულს თევზივით ამობრუნებულს,
ასჯერ გათრეულს, ათასჯერის ზღვეულს
და მისი ხილვა მაკრთობს უნებურ.

შენს სულს წყნარ მიჯნებს თავადვე
 ურბევ,
 ლოცვებით კაზმავ, გიჭირს შელევია.

მიდი, შეურთე ეგ სული ღრუბლებს,
 გაყვევი ღამის საშინელ ღრუბლებს,
 ზიზღილი მოსიქისა

მთვარემ წყვილიდებს ესროლა სალტე,
 გაურკვეველი ზრახვების მზიდველს,—
 ვილაცა ტირის და კარებს ამტვრევს,
 რომ შეუნგრის საწუთროს ძვიდევ.
 მერე წუხილით გაიწვდენს მკლავებს
 და ფარდასავით გადასწევს ჰაერს
 რადგანაც მთელი ცხოვრება კლავენ
 და ასე ებრძვის კაენი კაენს.

რადგანაც გვერდით ვილაცას სძინავს
 და ისიც უმტვრევს საწუთროს ძვიდევს,
 და სიზმარს, როგორც გატკვერილ
 რკინას,
 მიაელარუნებს და უკან მისდევს.
 მაგრამ საწუთრო წარბს არ იტოკებს,
 ზოგჯერ გაფხავნის ღამეს ხველებით,
 ქუჩა კი მთვარის დუმილს იტოკებს
 და ვიწვებივით დგანან ხეები.

დასულილი კაბი

(XX საუკუნე)

ის დაიშალა. დაინგრა. დანაწილდა.
 ხერხემლის მყიფე კარკასი გატყდა
 ხეშივით.
 მყესებს მოწყდა. უკუდგა.
 მრავალგანზომილებიანი ტერფები
 იქცა სწორკუთხედებად.
 მკერდის ნაბრალი ამოიქოლა.
 და იქცა შეუვალ სიბრტყედ.
 ხმის იოგები უკანასკნელად შეირხა,
 შენივთდა და ყივილით ამოვარდა
 მაგისტრალური გზებით.
 არ ელოდნენ: მტევნებში გაიბრძოლეს,
 მყესი გაწყდომამდე დაიჭიმა და გაწყდა.
 მოძვრა მაჭებრ მკლავებს.
 მკლავები ყმულით მოწყდა ტანს.
 ყურები შეჩქვიფდა. შეისრუტა
 ნიჟარაში.
 ჩარჩენილი ბგერის ნამსხვრევები.
 გაივსო წულით და გაქვავდა.
 კატამ იყნოსა ყრუ ნგრევის სუნი
 და არჩნილი თვალები შიამტვრა
 კედელს.
 კიდურები თავისთავად მოიდრიკა,
 მაგრამ ძველებს არ გაუღიით ჭახანი.

თვალებს მოძვრა მზერა
 და ჩაიძირა თვალის გუგებში.
 შეინძრა ფეხის გრძელი ცერი
 იმის ნიშნად, რომ ჭერ კიდევ
 არსებობს გვამის ჭურღმულეებში
 შეთქმულთა საიდუმლო კავშირი.
 ოლონდ მათ აღარაფერი ეშველებათ.
 პოლიცია მიადგა აორტას,
 მაგრამ უეცრად ფარგვინა ქვედაყვამ,
 გრიალით გადაიხსნა და ამოვარდა
 პროტეზი.
 ანესტეზიოლოგებში წაიღეს ბიოგრაფია.
 ამიტომ გვამი დარჩა უბიოგრაფიოდ.
 ბიოგრაფია გაქრა უკვალოდ.
 გამომეტყველება დაილექა სახის
 ღარებში და შრამებში.
 სვირინგში „ა. ტ.“ დაქაარგა
 მნიშვნელობა.
 ჩაქრა მოსვირინგებული მზე გვამის
 ბეჭეზე.
 და აქეთ იქით გაფანტული სხივებიც
 ჩაქრა.
 გვამმა დაქაარგა ყოველგვარი აზრი და
 ნიშანი.

რასაც თავადვე არ მოელოდა გვამის
პატრონი.

უკვე დიდი ხნის ნახმარი ნივთებით

გაცვეთილი შტეფენები

აღარაფრისთვის იყო საჭირო

და ტყუილბერალოდ ეწყო.

არსად ჩანდა სული, რომელმაც ალბათ

გაქცევით უშველა თავს.

ისე კი, ყველაფერი იმეორეულად
მეტყველებდა,

რომ ოდესღაც ის აქ ნამდვილად იყო.

იატაკზე ფეხსაცმელები —

სულის მყოფობის უტყუარი საბუთი.

ეგზოტიკური ქალიშვილი

აი, ის ქალიშვილიც

ეგზოტიკური სახით

და საშინელი, სველი თვალებით,

მე მივმართავ:

„ვხედავ შენს თვალებში

მწუხარე ვნებას,

ტყუარი ცხოველივით ნაღვლიან

სახეს...

ეს სახე კი არ არის,

მწუხარებაა სხეულის გამო...

საწყალო, შენი ვნებები

ფოთლებით დაგცვენია

შენსავე გრძელ, მცივან ტერფებთან.

ამნაირი შეგქმნა განგებამ.

გულთამბილველი

ვინც მარტოოდენ თვალებით ხედავს,
ხედავს ბელურებს, თოვლს და
კაკანათს...
და ცოტა რამის არის მხილველი.

ვინც თვალებით და გულითაც ხედავს,
ხედავს ბელურებს, თოვლს და კაკანათს,
მომაკვდავ ჩიტსაც, ხელში რომ
ფეთქავს,
და გულიც ტკივა მისი ტკივილით...
მანც არ არის ყოვლისმხილველი.

ის, ვინც თვალებით, გულით და გონით
ხედავს, ნამდვილად ყველაფერს ხედავს.

ხედავს ბელურებს, თოვლს და კაკანათს,
მომაკვდავ ჩიტსაც ხელში რომ ფეთქავს,
და გულიც ტკივა მისი ტკივილით...
და ხედავს იმ ღმერთს, რომელიც
კრძალავს

ხელყოფას ყველა ცოცხალის მიმართ...
ღმერთისვე ნებით ამტვრევს კაკანათს,
გამოაქვს მუჭით ქოზიდან სითბო
და ნამცეცები ტალონის პურის
ფეხებგაყინულ ეზოს ჩიტებთან,
რომ ცივ ზამთარშიც იყოს ჭიკჭიკი —
ხმები სიცოცხლის გადარჩენისა...
აი, ის არის გულთამბილველის
კარგი მოწაფე.

პოეტა იმის

ბრინჯაოს ზარებს
რა აზნაზარებს
და რწმენის გუმბათს
რა უჩენს ბზარებს?
რატომ უხმობენ
აფრები ქარებს?
ჩადრს რად იფარებს
ნაკლული მთვარე?

რაზე ლოცულობს
პატარა ციცი?
ცისა და მიწას
რა ძალა იცავს?
ეშმაკს სადა ჰყავს
დედა ან ძიძა?

თვით დიდი ღმერთი
რომელ ღმერთს ჰფიცავს?

საადრო ღრუბელს —
კოზის და სეტყვის
რა სიტყვას ეტყვის
ყანები ფეტვის?
ქვეყნად რა რჩება
სიკეთის მეტი?
რაშია ძალა
ცეცხლის და დენთის?

რა ეზიდება
ტოროლას მზისკენ?
რა აქვთ საერთო



დედას და რძის ფერს?
ხეს რად ეკვრიან
ნისლის ფთილები —
ფრთხანაზები და
ფერმიხდილები?

ნაძვს როგორ ტყივა
ნაჯახის დარტყმა,
რა უყო წისქვილს
წიფლების დარღმა
და შავი სმოგის,
ქალაქზე ფარდა

ვინ ჩამოტყვა
ქარბნების გარდა?

მოხუცს, როდესაც
იმ ქვეყნად მიდის,
რა სიმძიმე აქვს
გადასაზიდი?

ეს ყველაფერი,
ამ მიწის, იმ ცის —
არ უნდა ფიცი,
პოეტმა იცის.

სულში აღბეჭდილი კოლხური სურათები

ოდასახლი კრამიტის ქვეშ,
გვერდით ისლის ქოხი,
ტრიფოლიატის მწვანე ღობე,
ეზოც — მწვანე ნოხი,
ზედ ქუეკები ინდაურის
და კამეჩი ღობი...

საბატარძლო —
თეთრი ცირა,
წმინდა სისხლის კოლხი,
დაშხვართალობს ოთახებში,
შლის სასტუმრო ლოგინს...
ტახტზე თეთრი ჩონგურია
სულის მოსაოხი.

ყრუ კედელზე ყამა, ფილთა —
„აბრაგების თოხი“,
ბადიშების სათამაშო,
პაპის გასაპოხი...
და ისეთი უნაგირი.
ხუთი ცხენი რომ ღირს.

აივანზე ანცი სიო —
ფოცხოსა და ნოლის.
სურნელემა ოჯალეშის
და ბახუსის ბოღმის —
ორნახადი თეთრი ვაჟის,
კაცს რომ ორად მოხრის.

ალვის ხეთა გაზმორება
შესახვედრად კოხის

და ზმული ოქართეში
ხბოსმადებარ ძროხის,
შუკა-შუკა რინტუების
და ბავშვების დოლი,

ვაზე გვიმი ოწინართი
და ზედ სველი სათლი,
ბროწეული — მორთმეული
შემოდგომის კალთით
და ეს ღამე ასე წყნარი,
რომ შემოდის სათლით.

მეზობელი აყლაყუდა —
ერთი ყანწის ხათრით —
კერიასთან ზღაპრის გუდად
და ლექსებად ამ მთის.
მერე ცისკრის აბლაბუდა —
ცვარით მოსახატი.

ვარსკვლავებით სავსე ხონჩა,
მთვარეც ვერცხლის ბალთით
მოსჩანს,
როგორც დახატული
მხოლოდ ღვთიურ მადლით.

და მე როგორ არ დავბატო
სურათები მათი?!

ისევ სოხელში ჩემი ბავშვობის



ტეხურზე,
სადაც დიდი ჭყონია,
ეს ლამეც თეთრი პეპლებით მოთოვს.
ისე ვით მაშინ,
მთვარე მგონია
ჰყინტი ყველივით თეთრი და თოთო.

ძველ ნათელ ხილვებს,
როგორც მარტვილის
ლოდზე ჩუქურთმებს,
ვერ წაშლის ქამი
მანამდი,
სანამ ოქროს წანდილით
ავსებულობა
ცის თეთრი ჯამი.

ვხედავ:
ბებია წყურგილთან მიდის
და ჰიშკარისკენ უჭირავს თვალი.
მე მომშრიალებს ყანა სიშინდის
და ქარვებს მაყრის უნაბი მთვრალი.

ჩამორეკილმა ჩეგვალას მთიდან
ნახირმა
ტეხურს შემოაბლავლა.
ჩელას რქებია სანთლები წმინდა,
კვერცხს გაიჩერებს ნიკორას გავა.

მესმის —
პრიალებს ოქართეს კარი,
ნიაგი აყრის ზვინს -ნოფურჩიას".
ვედროში თეთრი ჰავლების ზარით
დეიდა წველის ლამაზ ფუჯიას.

ქრიამულია სულ სხვა ბავშვების
და სულ სხვა დარდიც მოაქვთ ვეება.

ვაგლახ,
სამოთხის წვრილი ვაშლები
მათ არ ჰკიდიათ საყურეებად.

თუმცა აკვირვებთ:
რა ჯადო-ხერხით
დულს გადადგმული ქოთანი ცხელი,
შესციციენებენ ფქვილსა და ლერლილს,
მოტანილს ბიძის გაბნეიქულ ცხენით.

ოდაში ნაზი სივრილე სუნთქავს,
ეზოში — მთვარის ფერების გამა.
ისევე ჰეიშტარი ამშვენებს სუფრას,
როგორც ყრუ კედელს თოფი და ყამა.

ხეზე ყნუინებს ბაყაყი მწვანე, —
„აი, ამინდის შეცვლის უწყება“...
ცირები ისევე ჰილოფებს წნავენ,
კრავენ აკიდოს წითელყუნწებას.

არც სამკითხაო კარტი და ყავა,
არც მოხატული თვალების უბე.
ქალაშავასთვის ოდიშის ჰავას
ამოუბურცავს ატმებით უბე.

ენთოს, თუ ჩაქრეს? —
მთვარე ორჭოფობს
გამომწყვდეული ღრუბლის ბადეში...
ბებოს გამოაქვს შუჭი კოჭობის,
როგორც პირველი ლექსი ბადიშის.

თუმცა ლებარდეს მთებში იელვა,
ელვის კბილებიც ტეხურში ჰყრია,
სიმშვიდის პური აქ არ ილევია,
არ ამოსულა შფოთი და რია.

სახურავთა მოზაიკა

სოფლის სერზე
მზესთან ერთად
შემაღლება მიყვარს:
სერიდან ჩანს
სახურავთა

უცხო მოზაიკა.
ზოგ სახლს ვერცხლის
ქუდი ხურავს,
ზოგსაც მწვანე ისლის,
ზოგს კრამიტის,

ზოგს შიფერის,
 ზოგსაც შავი ფისის.
 ერთნაირი
 მხოლოდ მზე აქვთ,
 მაგრამ საკმარისი —
 მეტ-ნაკლებად დარდი ყველას,
 სევდის ქისაც მისი.
 ვით ქარიშხლის
 მოლოდინში
 მოშრიალე ფშატი,
 ლურჯი კვამლი
 ტანის რხევით
 ბუხრებიდან აღის.
 ზოგს ამოაქვს სურნელება
 ბატენის ქორფა მწვადის,
 ზოგ ბუხართან

მშიერ ბავშვებს
 ენატრებათ მჭადიც,
 მაგრამ მაინც ყველა
 სევდა ავსებს ქისას:
 ზოგს ღვთიურის
 დარდი აქვს და
 ზოგსაც ეშმაქსა.

.....
 ღარიბ-მდიდარს
 ვასწორებო, —
 ქარო,
 თავს ნუ იკლავ,
 ველარ შეცვლი
 სახურავთა
 ამ ძველ მოზიკას.

უკვდავების, თუ იმედის წყარო...

წუხელ სიზმარში
 ცისფერ წყაროსთან,
 სადაც უკვდავთა
 ზეარსი ბუდობს,
 მე, კაცს ჩამოსულს
 სხვა სამყაროდან,
 დამხვდა კენტაგრი
 კუშტი და უნდო...

და მიწა იძრა
 ისეთნაირად,
 თითქოს ტალღები
 შედგნენ გემბანზე,
 ათრთოლდა მთვარე —
 თეთრი დაიბრა
 დასველებული
 წყაროს ემბაზით.

კენტავრს მივართვი
 შესაწირველი:
 ელვა შუბისა,
 ნაკვესი ზურის...
 და უცებ იგი
 გახდა ფრინველი —
 ქალის გულმკერდით,
 თვალებით მრუშის.

დადგა წყაროსთან
 გასაკვირველი,
 (როგორც ნიკორა
 ჩადგება ხნულში)
 კითხვით:
 რომელი კვდება პირველი
 კაცის გული,
 თუ იმედი გულში?

მე ცას ავხედე —
 კილობანს ფერთა.
 ცა იყო სიბრძნით
 განათებული.
 — რომელი კვდება?
 ორივე ერთად,
 ან ჭერ იმედი
 და მერე გული.

— ეს თუ იცოდი,
 აქ რისთვის მოდი.
 წადი, ეძებე,
 ეძებე სხვაგან
 წყალი კი არა,
 იმედის ზოდი
 და უკვდავების
 მოეჭვი ზღაპარს, —



მითხრა ფრინველმა
 ხმით იმქვეყნურით
 და გაქრა ჩემი
 ზღაპრული ხილვაც.

შემოდინდა
 ღვინით და პურით —
 იმედის ზოდნი,
 სამშობლოს დილა.

წიგნები

ჩამთვარებული წისქვილი,
 ჩამოვერცხილი ფშანი,
 ჩამთვარებული საფქვავე,
 მოტაშფანდურე წყალი...
 წისქვილში ისევ ის წვეილი,
 აქ რომ ეყრებათ გზანი...
 ბიჭი — ღიმილის რა ხეავი!
 გოგო — ქურცუკის ტანი!..
 აფსუს, ცოტა აქვთ საფქვავე,
 ცოტაც ალერსის ხანი...

თავისუფლება

მდინარეს სადღაც ექნება ფონი.
 ვეძებოთ,
 ვინძლო,
 ვიპოვოთ, მწირო.
 გაჭირდეს... ცურვით გავალწევთ, მგონი,
 არა და რაა, რომ შევეწვიროთ.

რაც უფრო გვიან გვეწვევა წვიმა,
 მით უფრო ფასობს ყოველი წვეთი...
 და ჩვენს სიცოცხლეს, ისე ვით წინათ,
 ველარ დაუსვამს სიკვდილი წერტილს.

გაღმა ნაპირზე ბობოქრობს ქარი,
 გამოღმა აქრობს ქოხებში კანდელს.
 ცოცხლობ? — გაშალე მკლავი და
 მხარი.
 კარგია — ტყვია ბოეტს არ ჰკლავდეს.

ძმამ ძმისა შესძლოს ცნობა და პოვნა
 აქეთა მხრიდან, იქითა მხრიდან.
 პატივს ვცემთ მხოლოდ სინდისის მონას
 და არა ბომონს გამოთლილს ხიდან.

როცა ნატერისხე კვირტებს დაისხამს,
 თავისუფლების ვინატროთ ხილვა,
 ცვარით გაგვბანოს ზეარში აისმა
 და მოგვალხინოს ქართულმა ხილმა.

მდინარეს სადღაც ექნება ფონი...
 ვეძებოთ,
 ვინძლო,
 ვიპოვოთ, მწირო.
 არა და უკვე დრო არის, მგონი,
 თავისუფლების რომ შევეწვიროთ.

მიწის პრივატიზება, მაგრამ ვისზე?



სულ ვამაყობდით
 ამ მიწის შვილობით,
 ქართული მიწით
 და მზის ჩქერილით.
 თავს ბევრიც ვავენთ
 ხელგაშლილობით
 და ბევრიც ვიძმეთ
 ხელგაშვერილი.

მეუა მიწისა
 გვერქვა და ვიცით —
 გეორგიანთა
 რას ნიშნავს ჯიში.
 ადგილის დედა
 ამიტომ
 მიწის,
 თუნდაც ოქროზე,
 გაყიდვას გვიშლის.

ესაი ბაღია

თუ მისჯილი გაქვს
 და კვიციებს ხედნი
 ქარაფის პირას
 უმთვარო ღამეს,
 მაშინ პოეტის
 გქონია ბედი —
 სიცოცხლის ტოლფასს
 იკვილებ რამეს.
 მაგრამ, თუ ცხენი
 გაუხედნიათ,
 ხრამში გაფრენის
 რისკიც არა ჩანს;
 მაშინ რას იზამ —
 ესეც ბედია —
 არ დაგჭირდება
 ჩანგი, ქამანჩა.

თუ მისჯილი გაქვს
 სიცოცხლე მასთან,
 ვისთანაც სუნთქვაც
 არ შეგიძლია,
 შენ დაწერ, ალბათ,
 იმ ლექსებს დასტად,
 რომლებსაც მგლების
 ყმული ჰქვია.
 მაგრამ, ვინც გიყვარს,
 თუ გძინავს მასთან
 და სუნთქვა შენი
 ღრმა და მშვეილია,
 შენი მერანი
 ქარაფებს გასცდა
 და, ალბათ, ლექსიც
 ფეხზე გკიდია.

სსსკპ-ის საბანი

(ღამით და დღით)

თავი I

ზედამხედველმა დერეფნის ლანძვე-
ბიანი კარი შიგნიდან გააღო. ციხის
უფროსი — პოლკოვნიკი, ზედამხედ-
ველობის პროკურორი, ციხის მორიგე
ოფიცერი და ციხის ექიმი პირველ სა-
კანთან შედგნენ. დერეფანში ორივე
მხარეს ერთმანეთს მისდევდა დახვრე-
ტამისჯილთა თუნუქისკარიანი თერთმე-
ტი საკანი. ერთი საკნის ადგილი დე-
რეფანში შესასვლელ ლანძვებიან კა-
რებს ეკავა. კანონის აღმსრულებელნი
ციხის უფროსის მეთაურობით ღამით
დასახვრეტად, დღისით კი დახვრე-
ტის შესაცვლელად აკითხავდნენ, თი-
თო საკანში წესით ორ-ორი ან სამ-
სამი უნდა მჯდარიყო, მაგრამ ომის
დროს იჭაურობა დახვრეტამისჯი-
ლებს ვერ იტევდა. ასე იყო ყოველი
კამპანიის დროს, წითლების მიერ სა-
ქართველოს დაპყრობის — 1921 წელს,
წითლების წინააღმდეგ აჯანყების —
1924 წელს, კოლექტივიზაციის ხანაში
და 1937 წელს, ტროცკისტობისას. მა-
შინაც კი, როცა პოლიტპატიმართა
ციხე მეტეხი იყო, დახვრეტამისჯილ
პოლიტპატიმრებს „გუბერცკის“ ანუ
ყოფილ საგუბერნიო ციხეში ათავსე-
ბდნენ. მეტეხის ციხის გაუქმების შემ-
დეგ პოლიტპატიმრები ამ ციხეში გა-
დაპყავდათ „სუკის“ შინაგანი ციხიდან.

შემდეგ გამანაწილებელ ციხეში, ამ
ციხეებიდან მოდიოდა შორეული ეტა-
პები. უწინ თუ პოლიტპატიმრებს სხვა
დახვრეტამისჯილთაგან ცალკე საკანებ-
ში სხამდნენ, ახლა აღარ არჩევდნენ,
არც კარანტინში და არც ეტაპში არ
იყვნენ ცალ-ცალკე პოლიტპატი და
ავაზაკები.

ციხის უფროსი განაგებდა დახვრე-
ტას. მისჯილი გამოჰყავდა საკნიდან,
ესწრებოდა დახვრეტას და დამარხვას.

ციხის უფროს-პოლკოვნიკს და მის
ამალას შეჰყავდა და კედელს აეყუდა სა-
ძაგელი პირისახიანი რამ არსება. მას
ქტონდა წითური, აბურძგვნილი, ხეშე-
ში თმა, ჰუტალა, ფოსოვებში ღრმად
ჩამჯდარი თვალები და წინწამოვარდნი-
ლი, მარწუხებივით ყბები. ეცვა ხაყის
სამხედრო, უსამხრეებო, საყულოგაყ-
რონჭილი ბალათი, ასევე ხაყისფერი ჩა-
ჩაბული გალიფე და სამხედრო ბა-
ტინკები. წელზე ერთყა თითბრის დი-
დი, გაკრიალებული ბალთიანი სამხედ-
რო ქამარი. ეს პიროვნება იყო პროფე-
სიონალი ქალაი. ადრე, საბჭოთა ბე-
ლისუფლების დამდეგს, დახვრეტამის-
ჯილებს ჯარო ზვრეტდა.

მორიგე ოფიცერმა და ზედამხედ-
ველმა № 1-ლი საკნის კარი გააღეს.

საკანში შეიძინი იყვნენ. წამოსხდნენ და მღუმარედ შეაკვერდნენ მსაჯულებსა და კანონის ნების აღმსრულებლებს. მხოლოდ ერთი მისჯილი არ განძრეულა — როგორც იწვა ისევ ისე დარჩა დუღაბის იატაკზე. ქვეშ ფლასი ეგო და პირისახეზე წვირაიანი პერანგი წაფარუნიანთ. ციხის უფროსმა — პოლკოვნიკმა ბოხი ხმით იკითხა:

— ამას რა დაემართა?

— წელიან კიდევ სუნთქავდა, — ჩაილაპარაკა ხელმარჯვნივ კართან მდგომმა ძვალტყავა ნამღვდლევა, — მთხოვა თვალეზი დამიხუჭეო. დერეფანში რომ ახმაურდით, სული მაშინ განუტევა. ასე ადვილია სიკვდილი, დახვრეტის მისჯა რაღად უნდა, — დაამთავრა ჩურჩულით.

— რას ლაპარაკობ? როდის მოკვდა?

— ხომ გითხარით, საიჭიოს ერთი ფეხით გაგასწროთ.

— ექიმო, გასინჯეთ!

ექიმმა მაიორმა საკანში ცალი ფეხი შეალაგა, მწოლარეს პერანგი გადახადა, ცერა და სალოკი თითით უბები გაუწია და თვალეზი ჩახედა. მაჯას პიწკად სწვდა, უკუიქცა და მაშინ მოახსენა:

— ვსხო, გოტოვი! ვსიო, გოტოვი! მაჯისცემა ხელში გამიჭრა.

— გამოიჩანეთ! — უბრძანა ციხის უფროსმა — პოლკოვნიკმა ზედამხედველებს.

ზედამხედველებმა გვამი ჯაჭურით გაათრიეს, თითქოს ერთს ხელიდან უვარდებოდა და მეორე ეშველებოდა. მაინც ბრავგანი მოადენინეს.

ეს კაცი მკვლელობაზე იჭდა, მხოლოდ ვინ მოკლა რისთვის, რა, როგორ — არ უთქვამს. უტყვი კაცი იყო. ცხადია, ძიების დროს იშვიათად ვინმე თუ იტყვის, საქმის ნამდვილი ვითარება როგორია, არც ვინმე გაკადნიერდება სხვას ჰკითხოს, შენი საქმე როგორააო. მისჯილმა შეიძლება თქვას, მაგრამ არა იმაზე მეტი, რაც საქმეშია ცნობილი. სასიკვდილო საკანში არაა

მიღებული დანაშაულზე *ლაპარაკი* და თანაგრძნობა. ყველას თავისუფლდებოდა აქვს, რაღა სხვისი უკუტყუებოდა.

ნამღვდლევა იგრძნო, რომ როცა ზედამხედველებს მკვდარი გაჰქონდათ, ხელით წაებოტინა. მან პირჯვარი გადაიწერა და ლაღაღყო: „ღმერთო, ღმერთო!“, თითქოს თვალცხადლოვ დაინახა, რომ ჰერთან ლანძვებიან პატარა სარკმელში მიცვალებულის სული ფრთხილით გაძვრა, გაიზრა, რომ სიკვდილის მოწესეთა მოსვლას შემდეგ სული ჯერ კიდევ საკანში დაფარფატებდა და ახლა-ლა გაეცალა იქაურობას. კარგია, რომ კომუნისტებს სულის არ სჯერათ, თორემ ამ პატარა სარკმელსაც ამოაქოლვინებდნო!

მზე სარკმელში არასოდეს იხედებოდა. დილით მოპირდაპირე ყრუ ედელს მკირხნით აშუქებდა. ის ლანძვებიანი პატარა სარკმელი, რომელშიც მიცვალებულის სული გაძვრა მხოლოდ სასუნთქავ ულუფას იმეტებდა. ღამე დგებოდა დღის მილეგასთან ერთად, სანამ ელექტროს მბუქტავი შუქი აანთებდა პატარა ნათურას, რკინის კარს ზემოთ, ფოსოში, რომ იჯდა. იმ დღეს კი დღის მილეგას ელექტროს შუქმა დაასწრო. როდესაც კანონის ნების აღმსრულებლები გამოეცხადნენ დახვრეტამისჯილებს, მათ ვერ გაიგეს უმაღლესი სასჯელის სისრულეში მოსაყვანად თუ სასჯელის შესაცვლელად მოვიდნენ ისინი. თითქოს დღისა და ღამის ბუნებრივი მონაცვლეობა ციხის ნებამ, შინა-განაწესმა დაიმორჩილა. რას მოასწავებდა იგი, დაგვიანებული სასჯელის შეცვლას თუ ნაადრევ დასჯას?

როცა ნაბიჯების ბგერები ღამით პირველ საკანს გასცდებოდა, იქ მსხდომნი შვებით ამოისუნთქავდნენ. ხოლო თუკი დღისით გასცდებოდა, მაშინ ყველა დიდ გაწბილებას ეძლეოდა. დღე და ღამე, სიკვდილი და სიკოცლე, არასოდეს არ იყვნენ ასე ერთად როგორც იმ დღეს. ციხის უფროსმა თითი მარ-

ცხნივ, წვირეს კასრთან წამომჯდარ შავ-
შავ ახალგაზრდას მიაშვირა და მკაც-
რად შესძახა:

- მითხარი შენი გვარი!
- ჩემი გვარია ბ-ძე!
- შენი გვარი?
- ბ-ური!
- შენი გვარი?
- ბ-ური!

— არა, არა, არა! — სამს ზედიზედ
ჰკითხა გვარი და ზედიზედ უარყოფი-
თად უპასუხა, საკნიდან არც დასახერ-
ვტად, არც შესაცვლელად გვართ
არ იძახებდენ. ერთებობდენ გვარს და
თუ არ ემთხვეოდა, შემდეგზე გადადიო-
დენ. თუკი გვარი დაემთხვეოდა, ჰკით-
ხავდენ სახელსა და მამის სახელს,
დაბადების წელსა და ადგილს, რა მუხ-
ლით იყო გასამართლებული და ვის
მიერ. ასე გაჰყავდათ სასიკვდილო საკ-
ნიდან ყველა დასახერვტაცა და შესა-
ცვლელიც. ყოველი დახვრეტამისჯი-
ლის „საქმე“ მოსკოვში სსრ კავშირის
პროკურორს ეგზავნებოდა კოლეგიაზე
განსახილველად. ზოგს უმაღლეს ზომას
ძალაში უტოვებდენ, ზოგს კი სხვადა-
სხვა ვადით პატიმრობით უცვლიდნენ.
თითქოს პატარა საკანში მორვევი დატ-
რიალდა, არავინ იცოდა ვის დაბატრო-
ბდა და ვის ხმელეთზე ცოცხალმკვდარს
გარიყავდა. ერთი ყველასათვის ცხადი
იყო, რომ ის დასახვრეტი თუ დასარჩე-
ნი იმ საკანში უნდა ყოფილიყო, რად-
გან უფროსობამ ზუსტად იცის,
წიგნის, მიხედვით, ვინ სად ზის,
არასოდეს სხვას სხვის საკანში არ ეშე-
ბენ.

საკანში პირველი რომ ამოიძახეს —
კართან ხელმარცხნივ მყოფი შავი ახ-
ალგაზრდა, 58-17²-თი იჭდა. იგი პირ-
ველად ესწრებოდა კანონის აღმსრულებ-
ელთა წვევას, თანაც ასეთ საჩოთირო
მდგომარეობაში. სამხედრო ტრიბუნა-
ლიდან პირდაპირ მიიყვანეს ციხეში.
ეგონა მაშინვე დახვრეტდენ. როცა სა-
კანში შეაგდეს და დახვრეტამისჯილები
ნახა, გაიგო, რომ ზოგი თითო თვეზე
მეტს იჭდა და იმედი მიეცა. მასუკან

არც აღარავინ მიუყვანიათ და აღარც აღ-
არავინ გაუყვანიათ, არც დასახვრეტად
და აღარც სასიკოცხლოდ. მხოლოდ ერთი
ჯარიდან შაშხანით გაქცეულა. თავიდან-
ვე ჰქონდა განზრახვა ტყისთვის მიეცა
თავი და შარავზაზე ეყაჩაღა. იგი მო-
ლაპარაკე გამოდგა და თავის თავგადა-
სავალს მოჰყვა, რას მართალსა და რას
ტყუილს. ტყეში გასულს ნათესავი
ყმაწვილი შეამხანაგებია. შეტაკებისას
ამხანაგი მოუკლავთ, თვითონ დაჭრილი
გარიდებია და მერე დაუჭერიათ. სასა-
მართლოზე დამტკიცდა, რომ შეტაკე-
ბისას მილიციელი მას მოუკლავს და
არა შეამხანაგებულ ყმაწვილს, ზოგჯერ
წამოიძახებდა მილიციელი მე არ მო-
მიკლავს, შეიძლება დაჭრით კი დაგვე-
რიო. თავს იმართლებდა, სასიმაპროს
როგორ მოვეკლავდიო.

ციხის უფროსმა-პოლკოვნიკმა ამო-
ახველა, შეყოვნდა და ძმებს დააცქერ-
და. მან უთუოდ იცოდა ერთ პოლიტი-
კურ საქმეზე ძმებს დახვრეტა რომ
ჰქონდათ მისჯილი და ერთ სასიკვდილო
საკანში ისხდნენ. ორივეს 58-10², 58-
11², 19—58 2²-ით ჰქონდათ დახვრეტა
მისჯილი. უფროსი ძმა ზეზვა კოჭლო-
ბის გამო ომში არ წაყვანათ. მშობ-
ლიურ სოფელში მასწავლებლობდა.
უმცროს, გოჩას, დაპატიმრების წელი-
წადს უნდა დაემთავრებინა უნივერსი-
ტეტი, მაგრამ ქალაქიდან გაიქცა, რად-
გან „უნივერსიტეტის ჯგუფს“ აპატიმ-
რებდენ, რომლის ერთ წევრთან კავშირი
ჰქონდა. იგი უფროს ძმას გაენდო და
ბარის სოფლიდან მთაში ავიდნენ სხვა
თანამზრახველებთან ერთად, მოაწყვეს
ამბოხება, კომუნისტები დაპატიმრეს
გომურებში, ყველა სოფელი ეპყრათ
ზამთრის განმავლობაში. გაზაფხულზე
ბარში დარჩენილმა აქტევისტმა კომუ-
ნისტებმა მილიციასთან ერთად დაამი-
რცხეს აჯანყებულები, ზოგნი დაბოცეს
და ზოგნი დაიჭირეს. ძმებს გარდა კიდევ
ორს მიესაჯა დახვრეტა და იმეამად იქ
ისხდნენ. „უნივერსიტეტის ჯგუფი,“ რომ
გაამართლეს. ძმებმა უშიშროების ში-
დაციხეში გაიგეს, ისიც რომ ოცდა-

თორმეტი მონაწილიდან ჩვიდმეტს დახვრეტა მიუსაჯეს.

— გვარი?.. მითხარი შენი გვარი!!

— ჯ-მე! — უპასუხა ხელმარჯვნივ, კუთხეში მჯდომარე თმა-წვევრ შეჭალარაგებულმა შუახნის კაცმა. მას ადრეც, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვისაც ჰქონია დახვრეტა მისჯილი. ახლა 19 წლის შემდეგაც კვლავაც დახვრეტა მიუსჯიათ, მაგრამ არა სამშობლოს გათავისუფლების სურვილისათვის, როგორც მაშინ, არამედ „7 აგვისტოს“ ბრძანებულებით — დიდ გაფლანგვაზე იმ ხანებში გახმურებულ „სახარინის“ საქმეზე სამს ჰქონდა დახვრეტა მისჯილი; ლიმონათის ქარხნის დირექტორს, ქარხნის ტექნოლოგს და მთავარ ბუღალტერს. ის ორნიც მეზობელ საქნებში იყვნენ. სასახელო წარსულის შემდეგ ასე დაბლა დაეცა. თვითონაც ნანობდა — ეუფო წარსული რომ არა, ამ დახვრეტას ან არ მომოსჯიდნენ, ან შემოიკვლიდნო. მაშინ თერამეტ დღეს მჯდარა სასიკვდილო საკანში. დღე ოცდაერთ დღედ ჩაუთვალეს. წელიწადზე მეტი გამოსვლია პატიმრობად. შემდეგ „სამეფლის“ წინაშე უარყვია ფედერალისტობა და იმ დღესვე გაუთავისუფლებიათ.

— არა! — უპასუხა ციხის უფროსმა და შემდეგზე გადავიდა. — მითხარი შენი გვარი?

მეხუთე, მდიდრული ოჯახის დედასერთა, ბანდიტობაზე იჭდა. კანონიერი ქურდი ვარო, ეამაყებოდა, ორ მასზე წლოვანებით უფროს ქურდთან ერთად გასაძარცვად თავს დასხმიან „ირანტორგის“ საწყობს. მოეკლათ საწყობის გამგე და დარაჯი დაეჭრათ. ისე ლაპარაკობდა, თითქოს მკვლელობას თავისთავზე იღებდა, ეგონა, რომ მცირეწლოვანი იყო და არ დახვრეტდნენ, რომ მამამისი დაიხსნიდა. ერთბელ ისიც თქვა, მამაჩემი უკვე მოსკოვში იქნება ჩემ დასახსნელად და ჩემ წონა ფულს დააყრისო. იქნებ მკვლელობა თავისი ძმაცაი ქურდების შიშითაც აიღო თავისთავზე.

— მე... გ..... შეილი...
ემაწვილმა.

— არა, შენ არა ხარ! — უპასუხა ციხის უფროსმა და საკანში ბოლო დახვრეტამისჯილისკენ მიიხედა, ვისთანაც გასარკვევი ჰქონდა ურთიერთობა.

ეს ის მელოტი, ხანში შესული კაცი იყო, ციხის უფროსი რომ გამოეღაპარა, „ერთი ფეხით გაგასწროთ“ რომ უთხრა და ამით გააწვილა კანონის აღმარულებლები. იგი წამოცუქდა და გრძელი ყელიდან ამოახველა, ამწლაკუნდა, სული მოითქვა, წუთიერად თვალწინ წამოუდგა სოფლის ქადაგი აკონკალი ბრანძა. როცა სოფლიდან ცოლთან ერთად გამოიბოდა, წინ გლახაკი გადაუდგა და შერისხა: „დაკმე სამება? უღალატე ჯვარს და მასკვლავს სცემ თაყვანს, წარმართთა კერპს? შენ ხარ მღვდელი? უღალატე ჭრისტეს სჯულს? ეგ მისკვლავი მოგინელეს! კრულ იყავ, კრულ!“ ქალაქში ცხოვრება გაუჭირდათ. მეგრე ბუღალტერია ისწავლა, ფოფოლიამ — მოლარეობა. დახვრეტა დიდ გაფლანგვაზე ეკონომიური კონტრაქციონულით — 58-62 მუხლით მიუსაჯეს. სამღვდლო სახელი ეფრემი, საერო კი თალაგვა ერქვა. საკანში ყველაზე ბნოვანი იყო და ყველაზე დიდხანს იჭდა. სამოც დღეში ყველა ვინც მას საკანში დახვდა, გაიყვანეს, ზოგი დახვრიტეს და ზოგს შეუნდეს. აგერ ეს, რომ მოკვდა, მას უკან იყო შემოსული, მანაც გაისწრო საიქიოს, მაგრამ სხვა გეზით. დახვრეტას წაართვა თავისთავი თუ არდახვრეტას, ჯერ არ გააშკარავებულიყო. ცხედრის ქაბანის შემდეგ მანძილი ბიჭიდან ნამღვდლევა-მდე გაიზარდა. ახლა ეს ორნი, ერთი გვაში და ერთი ცოცხალი, იყვნენ მეტოქენი. ციხის უფროსი აყვანებდა ნამღვდლევის ამოძახებას. უწყებას აკვირდებოდა. ის ზუთი სამშვიდობოს გავიდა. იგილა შერჩა განსაცდელს. სანამდე მას არ ამოიძახებდნენ, ვერც გვამის დახვრეტა-შეწყალების საქმე გაირკვეოდა. იქნებ გვამს დახვრეტამდე ერთი საათის სიცოცხლე მიიღო რჩებო-

და? თუ მას თვალსა და ხელშეა
ცხვირწინ ააცალა სიცოცხლე და
უქმად წაიღო საიქიოს? გვამი ჭერ
კედევ იწვა დერფთანში და თით-
ქოს ნეკდრეთით, აღმდგარ ნამღ-
ვლეს სიკვდილ-საცოცხლეში ეცილე-
ბოდა. გული ბაგა-ბუგით უცემდა,
უსივდებოდა და ყელში ეჩრებოდა.
ვერცერთი პატიმარი ვერ ბედავდა
იმის ნატვრას, რომ ციხის უფროსის
თითი მასზე გაჩერებულყო, რადგან
ვერ ენდობოდენ თავთავიანთ სვე-ბედს,
ყველას ეგონა, რომ აუცილებლად და-
ხვრეტა იქნებოდა მასზე მიშვერილ
სალოკ თითში, მაგრამ როცა თითი
სხვაზე გადადიოდა, დახვრეტას გადა-
რჩენილი შურით იმსჭვალეობდა, ეგ-
ონა, რომ იმ შემდეგს აუცილებლად
შეწყნარება, დახვრეტის შეცვლა ერგე-
ბოდა. არავინ იცოდა ზუსტად რა სუ-
ლი ტრიალებდა საკანში — რისხვის
თუ შეწყნარების. ძნელი გასაძლისი
ყო ნამღვდლევისთვის განკითხვის
წუთი. მან მარჯვენა ხელი იტაკზე
დააბიჯა ზეწამოსაწევად, მაგრამ წა-
მოყანთრული დარჩა. ახლა კი ყვე-
ლას ეწადა, რომ თუ ციხის უფროსს
დახვრეტის უწყება ჰქონდა ხელთ, მა-
შინ ეს უწყება გვამის ყოფილიყო.
ციხის უფროსი თავს ადგა და აიძულე-
და გვამის სახელითაც პასუხი ეგო.
ციხის უფროსმა ჭერ ცარიელ ადგ-
ილს დახედა, მერე მელოტ, ძვალ-
ტყავა კაცს, თითქოს წინასწარ სურ-
და ამოეცნო გვამსა თუ ცოცხალს
ეკუთვნოდა მოსკოვეური ქალაღი.

— შენი, შენი გვარი?!

— ჩემი გვარი... შ-შვილი!

— მორჩა. არა ბიბო!

ის-ის იყო კარი მიხურეს, რომ ნა-
მღვდლევი წამოიძვრა, თარი ბიჯი
გადადგა წვირეს კასრასკენ და ზედ
დაჭდა. ახლა ცხადი შეიქნა, რომ გვამ-
თან იყვნენ მოსულნი, მაგრამ რა-
ტომ — არავინ არ იცოდა. აღარც შე-
ცვლა მონანიებდა და აღარც დახვ-
რეტა მიუზღავდა დანაშაულის საზღა-
ურს. რა წაიღო გვამმა საიქიოს —

აუხდენელი დახვრეტა თუ ნაწყალო-
ბეჭე სიცოცხლე? ზოგჯერ დეკრეტად,
რომ სიკვდილს გადაურჩენდა, მაგრამ
რომ სიცოცხლეს ვერ ეწია. ვაქაცო-
ბად უთვლიდენ, თუ ჭალათს თავი არ
დაახვრეტინა, ხოლო სიმხდალედ —
თუ ძალა აღარ ეყო, რომ შეწყნარე-
ბამდე გაეძლო.

ციხის უფროსმა, პოლკოვნიკმა თა-
ვისი ამალით სხვა საკანებს არ მიაკით-
ხა, უკან გაბრუნდა. ჩანდა, სხვა მოსა-
ძიები აღარა ჰყავდათ. შეიქნა ყვირი-
ლი მეზობელი საკანებიდან:

— რაა, რა მოხდა?... პირველო სა-
კანო, ხმა ამოიღე!

— ზეზვა! გოჩა! ხმა გამეცით! არ
გეყურებათ? მე ვარ, ღვთისო! — იძ-
ახდნენ. საპირფარეშოსთან მეხუთე
საკანიდან. იძახდენ შეექვსედან, მბე-
თედან, ყველა საკანიდან. გვერდით, მე-
ორე საკანიდან ყოველთვის გაისმოდა
ხოლმე მორზეს ანბანის კაკუნი რო-
ცა 1-ლ საკანს აღებდნენ, მაგრამ თუ
იქიდან ვერ პასუხობდენ, მესამე სა-
კანთან იწყებდა-ხოლმე „საუბარს“,
ახლაც მოაკაკუნა, მაგრამ როცა ვერა
გაიგო-რა, ისევ მესამე საკნის კედელ-
ზე აკაკუნა ამბის გასაგებად.

— მკვდარი ვაიტანეს! — მოლო,
გოჩა ვარ, გოჩა! — კართან მივიდა
და უბასუხა.

— ჰაა... რატომ? რატომ? რატომ?

— თვითონ მოკვდა... მკვლელობაზე
იჭდა, — შ-შვილი..

— გასაყვანად არ მოსულან?

— როგორ არა, მოვიდენ და ეს
მკვდარი დახვდათ.

— რატომ უნდა გაეყვანათ?

— არ ვიცი რატომ, არ ვიცი რა-
ტომ, არ ვიცი რატომ მოვიდნენ.

— დღისა თუ ღამის განაწესით.
მოვიდენ?

— ხმა, კინტი, ნუ ლაპარაკობთ! —
იძახდნენ ზედამხედველები, ხან ერთი
და ხან მეორე, კარებზე ბრაგა-ბრუგი
ატყებენ.

სინთუმე რომ ჩამოვარდა, ნამღვდლე-

ვი კასრიდან წამოდგა და მორცხვად თავჩაღუნულმა თქვა:

— რა შექნა, ველარ მოვითმინე ღორმუცელობით ხომ არ მომსვლია. რაც მე დღე დამადგა ოპ, ოპ, ოპ, ოპ!

— რას იზამ, ამბობენ არსენა ჭორჭიაშვილმა დასაქისას ჩაისვარაო.

— რას იზამდი, მაგრამ, შე მამაც-ბონებულო, ნამეტნავად მყარალი კი იცი ულუფად ყველა ერთს არა ვკვამთ? საპირფარეოში გასვლაზედაც შენთან მეწყვილეობა არავის არ უნდა, ისე ყარხარ, — უთხრა ბიძინამ.

— რა წამართვა ამ კაცმა, რაა? დახვრეტა თუ ათი წლის სიცოცხლე, პატიმრობა. თავქვეშიდან პერანგი გამოიღე, პირისახეზე წამათარეო. პირახდილი ცუდი დასანანი! ვიქნებიო, კიდევ მითხრა, დილით ულუფა პურის მთლების შემდეგ განაცხადეთ, რომ მოვევლიო. აბა ულუფა რატომ დაიკარგოსო. მაგრამ ესენი არ შეეფეთენი..

— მაგას ანდერძი რად უნდოდა, — გამოელაპარაკა ბონდო. იგი ღამეს ტეხდა და დღე ეძინა, — ესენი მიქელ-გამბრიელის კაცები არ იყვენო ისინი აწი მოვლენ. შენ რა, იძინებ? შენ მაინც იფხიზლე, ცუდია, როცა მოვლენ და ყველას გვეძინება.

— ასეთი საშინელი განსაცდელი, მე რომ ვნახე, ბარეორს არ უნახავს, — ამოილაპარაკა ნამღვდლევემა ძილღვიძილში, — ოპ, ოპ, ოპ, ოპ! ღმერთო დიდებულო, გკოდავ! მე ღირსი ჭოჯობეთისა... კუპრისა.

დამბულობამ ყველა მოჭანცა. დახვრეტამისჯილი ისედაც ძილს ვერ ენდობა, ჩათვლემაც კი თავგანწირვაა.

— მაგას ელდა ეცა სიხარულით, იწინათგრძნო, რომ შეცვლაზე მოვიდოდნენ ვილაცას დასახვრეტად კი ამაღამ მოვლენ.

— გაჩუმდი, ნუ ყბედობ! თავს ნუ იგიყებ. ტყუილა ფიქრობ, რომ გაგათავისუფლებენ, ჯერ საბჭოთა კავშირში დასახვრეტისათვის გაგიყების გამო დახვრეტა არ შეუძვლიათ, — უთ-

ხრა ბონდოს უმცროსმა ძმამ და გვერდი იბრუნა, — დასახვრეტა უნდა გქონდეს მოსულნი.

გეგლიოთქან

— შენ რა იცი რო?

— უნდოდათ ღინმე დახვრეტაციო. ასე რომ არ მოხდა, გაწბილაც-ც, ლები წაივინენ. ხომ არ გგონია იმან გააწბილათ, რატომ შესაცვლელი მოკვდაო.

— თქვენ, ძმებს რა გიჭირთ, ერთი იძინებ და მეორე იფხიზლებ, მე ერთი ვარ, მოფხიზარი არავინ მყავს.

— ორისთვის ორმაგად ძნელია.

— მე ვიცი, რომ დასახვრეტად მოვიდნენ. ჭალათი შულგინი დავინახე, — თქვა ყმაწვილმა.

— გვარი საიდან იცი? — ჰკითხა უმცროსმა ძმამ.

— რუსთაველზე ბიჭები ლაპარაკობდენ.

ნამღვდლევემა, ჩათვლიმა თუ არა მაშინვე ჩვენება იხილა — თავისქალა ჭადაჭვარადინებული ძვლები, ისეთი ღრდი ძაბვის ელექტროდანადგარებს რომ ახატია ზოლმე: „სასიკვდილო“, — იმწამსვე მოესმა მგრგვინავი ხმა:

— შენ ხარ მკრეხელი, ქრისტეს ფეხის მკვნიტელი! მკვდარ იყავ, მკვდარი!

— ააააააა! — დაიღრიალა, წამოდგა და ხელები მალლით აღაპყრო, მერე დაიჩოქა, პირქვე დაემხო და ლაღაძყო, — დიდო ღმერთო, გვიხსენ ჩვენ კოლდვილნი!

ზედამხედველმა კვებდო ჩახსნა და ბიჯით ჟუკან დაიხია, მას არ ჰქონდა უფლება ჩაეუცქულიყო და საკანში შეეხედა, შესაძლო იყო დახვრეტამისჯილს პირისახეში რაღაც ჩაერთყა.

— რა ღრიანცვლია?! ახლავე დაწე-ქი და დაიძინე!

— პოოო, დავიძინებ, — ძილღვიძილში ამოილაპარაკა ნამღვდლევემა და სალოკი თითი მომუწულ ტუჩზე მიიღო.

თავი 2

დღე პურის ულუფის მიღებით იწყებოდა, ზამთარში — ჭათენებისას ზაფხულში კი გვიან დილით. საპირფარეოში გაყვანა ზოგჯერ წინ უსწრებდა დილის ულუფას, იმ დღესაც ასე მოხდა. საპირფარეოში ორი სასაღუნო იყო და ამიტომ ორ-ორს უშვებდნენ. მორიგეს კასრით წვირე უნდა გადაეღვარა, ასევე სხვა, სუფთა კასრით წყალი შეეტანა. ორნი მორიგვობდნენ ხოლმე, რათა მოესწროთ, თორემ ზედამხედველი დაყოვნებას არ აპატიებდა და ლანძღვა-გინებით აიკლებდა, შეეძლო უწყლოდაც დაეტოვებინა. მორიგედ დედისერთა ძველი ბიჭი იყო ნამღვლევეთან ერთად, მაგრამ იგი ხელცარიელი გავარდა და კასრები მეწყვილეს მიუტოვა.

— ჩქარა გამოდი, გამოდი მეორე! კასრები! გინდა ჩაგკეტო და აღარ გამოგვივა? — ღრიალებდა ზედამხედველი და კლიტეს თუნუქის საკნის კარს ურტყამდა.

— ნამღვლევემა ორივე კასრს დაავლო ხელი, რადგან ორივეში ხითხე იდგა ჭყამპალით გაიტანა და დერეფანში დაეღვარა.

— მარტო რატომ გამოგაქვს?!

— მე ავამშრალე.

— ჯერ აამშრალე, მერმეთ მორეცხე და ქლორი მოაყარე.

— მანდ რა მოხდა? — შეეკითხა მეორე ზედამხედველი, მესამე ზედამხედველიც ემატებოდა იმ ორს საპირფარეოში გასვლისას. ახლა ის ლანძღვებიანი კარის მიღმა კიბეების თავში იდგა.

— ჩქარა, ჩქარა გამოდი!

ნამღვლევემა კასრით წყალი გამოიტანა. ჭყამპალით საკნში შედგა, კვლავ საპირფარეოს მიაშურა! და საწვირე კასრი წამოიღო. ზედამხედველს მორჩილად უთხრა:

— ახლა ამ იატაკს მოვწმენდ.

— შენ, ეი, ბობოლას ბიჭო, აღარ გამოდიხარ! — ზედამხედველებმაც ვი-

ლაღვილაც დახვრეტამისჯილის ვინობა იცოდნენ, — გამოდი, შე ვირ-
შვილო!

ყველამ მოიშთარა საკანში ბოლოს ძმები შევიდნენ. როცა კარი მიიკეტეს, უფროსმა ძმამ თავის ადგილს მიაშურა, უმცროსი კი შეყოვნდა. ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ მიმართა:

— ლაწირაკო, ადექი ზეზე!

თითქოს წაუყრუა, მაგრამ ბოლოს მაინც უბასუხა:

— რას მაგინებ, რა გინდა? — წამოიზღაზნა.

— შე შობელძალო! ამ კაცს რატომ მიუგდე კასრი გასატანად? არცერთხელ არ მორიგვობ, — მან გამეტებით გაართყა და დასცა.

— კმარა, აღარ გაართყა, თუ კაცი ხარ, — მოეხვია გამფლანგველი „7 ფვისტოს“ დადგენილებით, რომ იყო გასამართლებული.

— ამასიქით სხვასავით იმორიგევებ, წვირეს კასრსაც გაიტან და შემოიტან კიდევაც, უყურეთ ამას, თავისი ქურდული წესებით არაფრად გვაგდებს.

ახალგაზრდა, თავმომწონე კაცია, რა მოხდა, აგერ მოხუცებმა რომ გავიტანოთ მის მაგივრად. არ უნდა გავართყა.

სულ შენი ბრალია, ამ ქურდსა და გარეწარს რომ მამობილობ!

— შეგზვდებით და ვნახოთ.

— მემუჭრები კიდევაც! სად შეგზვდებით? საიქიოს?

— სადაც იქნება, იქ, — მას ტუჩიდან სისხლი სდიოდა.

„მამობილმა“ ჩვარი წყალში დასველა და სისხლი მოჰბანა. ის იყო და ზედამხედველმა კვებდო ჩახსნა.

— მიიღეთ პურის ულუფა.

— აქა ვარ, უფროსო, — მიუგო დიდუურამ.

— ექვსნი ხართ, არა?

— დიახ, ექვსნი ვართ. წუხელ ერთი მოკვდა. არ იცი შეცვლილი ჰქონდა თუ...?



— ლაპარაკი რაც ეკუთვნოდა ის მიიღო.

იმ დღეს საკმელზე მოჩვენე ქიდი-ყურა ბონდო იყო. მან წვირიანი პირსახოცი იატაკზე გაშალა და ზედ ზედამხედველის მიწოდებული პურის ულუფები გაამწკრივა. ყოველთვის კარიდან იწყებდნენ, მარცხენა მხრიდან და საათის მიმართულებით | აგრძელებდნენ, ვისაც რა მოხვდებოდა — ყურძნა თუ გულის პური.

— ეს ოსი ზედამხედველი ჩვენზე ჩამტერებულა.

— ჩვენ რა გვაქვს ჩასამტერებელი? — ჰკითხა დიდყურას ნამღვღლემ.

— ერთი პურიდან ჩამოდის ოთხი ყუის პური და ორი გულისპური. ერთი პური გვინდა ჩვენ ექვსს. მიჯვორს და ვერ გამოვიდა, რატომ მოგვიტანე პირიქით — ორი ყუისპური და ოთხი გულისპური.

— დახვრეტამისჯილებს რაღა ჩამტერება გვინდა? — იკითხა დიდყურამ.

— რატომ არ უნდა? — თქვა უფროსმა ძმამ და განაგრძო, — მე და ჩემი ძმის გარდა თქვენ ყველა ნატამტამებდა დახვრეტამისჯილები ხართ. ჩვენ დაქურდულად ვაგვასამართლებს, თქვენი ლიად და თქვენ დახვრეტას მოქალაქეებმა ტაში დაუტყრეს.

— დიახ, დიახ ასე იყო, — დაეთანხმა ნამღვღლემ.

— მე ჯერ კიდევ ბავშვს ქაკვირვებდა გაზეთში რომ ეწერა სასამართლოს ჟრონიკა, დახვრეტას დამსწრენი ტაშით შეხვდნენო. კაცისეკლა არაა სატამისცემო, მინდოდა რომელიმე დაწესებულებაში განმეცხადებინა, არ აჯობებდა ასე დაეწერათ — დამსწრენი დიდი სინანულით შეხვდნენო? წუხილით და არა შურისსაძიებო ტაშით. ვერსად ვერ ვთქვი და ახლა აქ თქვენ გეუბნებით, თავდ დახვრეტამისჯილებს, რომელთა დახვრეტასაც ტაშისცემით შეხვდნენ.

ზედამხედველმა სათვალთვალოში შეიხედა, კვებდო ჩახსნა და შესძახა:

— მოემზადეთ ქაშისთვის!

— რა ქაში, სალაფავე-თქვა გალიზიანებულად დიდყურამ ბონდომ;

— შილა ფლავი გინდოდა?

შემდეგ მოტკბო ჩაიც დალიეს.

დიდყურა ბონდომ უმცროს ძმად გოჩას უთხრა:

— რაღა აქ დაგწყვიტე გული? ბარამ სიიქიოს, ჯოჯობეთში გეთქვა, რომ დახვრეტის განაჩენს ტაში არ უნდა დაუტყრა.

საუზმის შემდგომ სული მოითქვეს. პურის ულუფა, ფაფა და ჩაი გაპყვა საკნებს, ყველგან გაიღო კვებდოები. უფროსმა ძმამ დინჯად მიმართა:

— ლაწირაკო, ხომ გაიგე, ამას იქით იმორიგეებ, არადა აქედან დროზე აღრე გაგიტანენ. ფეხებზე გგკოლია შენი ქურდული კანონები. ხომ გეუბრება?! ამაზე ლაპარაკი აღარ იყოს!

კბელომ ჩაიხრიგინა.

— ჯამ-ქურკელი ჯადმოაწოდეთ!

ზედამხედველს თან ახლდა პატიმარი, დახვრეტამისჯილებს ულუფას რომ ურიგებდა. არასოდეს კრინტს არ ძრავდა, იქნებ მუნჯიც კი იყო.

— ეს რა ჯორის ფსელი იყო? შენ, როცა მორიგე ხარ, ყოველთვის სხე შევბი. აქი გითხარი, ყუის ულუფასაც გვაკლებ.

— რას ყბედობ, წადი, პროკურორთან მიივლე, — ბრაზით უთხრა ზედამხედველმა.

— გამიშვი და შენი მოჩივარის დედა ვატირე.

გრძელყურა ბონდო მთელი საყნის ყური და გუშანი იყო. დერეფნის მცირედი ჩქამიცი არ გამოეპარებოდა, ყველაფერს ახსნას უძებნიდა. იცოდა ვინ რომელ საყნში იჯდა, ვის რა დანაშაული ჰქონდა. ყველა ზედამხედველის სახელი ახსოვდა.

დერეფნის კარი ქღრილით გაიღო.

— ახლები მოიყვანეს, — თქვა კარზე ყურმილებულმა ბონდო დიდყურამ.

— ახალბედები შალიზიანებენ, —

თქვა „შვიდი აგვისტოს“ გამფლანგველმა.

— სამნი არიან, ერთი ჩვენ გვერდით შეიყვანეს, ერთი მეხუთეში და ერთი მეექვსეში. ერთი ჩვენთან შემოეყვანათ ახალ ამბებს გავიგებდით.

— სასიკეთოს რას გავიგებდით.

— მეხუთეში შვიდი სულია, მეექვსეში რვა.

— ბატონო ჩემო, გუებნებით სულს ნუ ამბობთ—მეთქი! — მიმართა უფროსმა ძმამ ზეზვამ, თამბაქო გააბოლა და ბოლი ხელის ქნევით გაფანტა. — სული მაშინ იქნება, როცა ღამით გაიყვანენ. მანამდე მძორია. თუ დღეს დღით გაიყვანეს მაშინაც მძორი იქნება.

— ამ ულუფას ცოტა მაწიერება მაინც ჰქონდეს, — ალაპარაკდა ნამღვდლევო, — ჭიფიტები. ორივეს ძალა სჭირდება — სიკვდილსაც და სიცოცხლესაც.

— მაჯას მაგიტომ ისინჯავ ზოლმე? ჯანმრთელობა გინდა შეინარჩუნო?

— ზეზვა, როგორ გგონია კაცი რომ მაჯას გაისინჯავს, იგი ოდესმე ღმრთის-მსახური იქნებოდა? — ჰკითხა ქირქილით ბატონმა შალვამ. — დასახვრეტად თავის დაზოგვა ვერაფერი ბედენაა ასე, ციხურად დამუშავებული კაცისთვის დასახვრეტად გასვლა უფრო ადვილია.

— ასე იქნება.

— დიახ, ზეზვა, ასეა. ძლიერი ორგანიზმი უფრო ქლიერად ტანიცდის, ჩვენ ღამით მონა-მორჩილნი გავდივართ, იშვიათად თუ ვინმე გაღიზიანდება. რამდენი ხანია ამ საკანში ვართ და მინახავს ვინმე რომ შეწინააღმდეგებოდა?

— მე სულ ორჯერ გავიგონე საპროტესტო ყვირილი, ერთხელ კინოში — „ფაშისტო, სტრულიატე სვოლოჩი-ო“ და მეორედ აქ, იმანაც ასევე იყვირა „სისხლისმსმელებო, ფაშისტებო! ჩემი აზრით, ასეთები ფრონტზე უნდა წაიყვანო დასახვრეტად.

— ფაშისტები არ არიან რო? თუმ-

ცა ყველას თავთავისი სახელი აქვს, ერთს მეორეს სახელი რატომ უნდა უწოდო, — თქვა უმცროსმა.

— ეს კაცი, ჩვენგან წუხელ რომ წავიდა... პირში ჩალა გამოავლო „ჩეკას“. ვიგრძენი, რომ ამაღა გაწილდა.

— მაგ კაცმა ჩვენც დაგვალაღატა. — თქვა საყვედურით დიდუქრამ.

— რატომ ყმაწვილო, რას ერჩა, ეგ კაცი თავისი გზით წავიდა.

— ბატონო შალვა, რაღა მათი მოსვლისას მოუწდა წასვლა? დილაზე იქნებოდა საკანში, დილით მის ულუფას მივიღებდით და მერე განვატყაბედდით მოკვდა-თქო. ამის თქმა გინდოდა ბონდო, არა? სასიკვდილო საკანში ასე შვრებიან, ეს არაა დასაძრახისი, თვითთველს ას-ასი გრამი, — უფროსმა წამოდგა და ადგილზე გააჭკვურდა — მარცხნივ და მარჯვნივ გადაიზნინა, ჩაქდა და აღიმართა.

— შეც ეგ ვთქვი.

— ამბობენ, რომ გენერალ გრიზნოვის მკვლელმა დასჯის წინ ჩაისვა-რა, — ამიტომ გმირი არ იყო? ეგ გმირობასა თუ სილაჭრეზე არ ლაპარაკობს. ველარ მოერიო ვეგეტო ნერვეზს. გმირი იმაში იყო, რომ იკისრა გენერლის მოკვლა, ამხანაგი არ გასცა. დახვრეტისას ზოგი ეხვრეტინება, მიიწევს, ვეშაპს ხახაში უძვრება. წელან ზეზვამ რომ თქვა „მესროლეთ სისხლისმსმელო ფაშისტებო!“ რა, ის უფრო გმირია იმაზე, რომელიც დრო თუ იხელთა, შეშინებული გარბის? მე ვფიქრობ, რომ ვინც გარბის ის უფრო ნორმალურ მდგომარეობაშია, როცა გესვრიან, უნდა გაიქცე, პირველი კი არანორმალური, ატაცებულ-აფეთქებული მდგომარეობაა. დასახვრეტი საქმის ჩადენა უფრო ადვილია, ვინმე სასამართლოზე განაჩენის მოსმენა. მე-სამეა სასიკვდილო საკნიდან გასვლა, მეოთხე თვით აღსასრული. წინა სამი ამ ერთ წუთამდე მოდის. ყველაფერი იმაზე ჰკიდია, თუ როგორ შივა კაცი იმ წუთამდე.

— ვინც ვარბის, ის უფრო აქტიური მგონია.

— დიხ, ბატონო შალვა... მესამე ტიპი დამავიწყდა, ესაა ის, ვინც ჰკარგავს ძალღონეს, როგორც გაქცევისას, ისე გაათრებისას. ანდა თავიდანვე არ ჰქონია გაქცევა კი არ შეიძლება ბიჭიც ვერ გადადგას. ვინ ვარბის, იქნებ უკადრისიცი ჩაიდინოს: ან იტიროს, ან ჯალათს ფეხებში ჩაუფარდეს და პატიება თხოვოს... რა ვიცით, იქნებ მაგდროს სხეულში გამოიყოფა აღმზუნება ან დამთრგუნავი ნივთიერება.

— კომუნისტებმა დაპყრობისთანავე დახვრეტა რომ მიმისაჩქეს, მაშინ ვნატრობდი გმირულად მოვმკვდარიყავ, ვინემ ლაჩრულად მეცოცხლა. მეცხედრე თათარი ალიას ვირის ყროყინი ზეციური სერაფიმების ხმად მიმჩანდა.

— ამ ლაპარაკით თითქოს სიკვდილს ვაშინაურებთ, ვითომ რა, უფრო მწველი რომ არ იყოს? — აგდებულად თქვა უმცროსმა ძმამ, მერე შალვას ჰკითხა: — როგორ გამოგიშვეს? ვიცი, რომ დახვრეტას შეგიცვლიდენ.

— სასიკვდილო საკანში ერთი თვე ვიჭექე, დღე 21 დღედ ჩამეთვალა. მერმეთ სულ გამომიშვეს... ჰოდა, თათარ ალიას ვირის საზღვრით ორთაქალაში ჩასაფლავად მიჰქონდა ცხედარი. იგი ცალთვალა და კოჭლი იყო. მაშინ ჯარი ზვრეტდა, მგონი პროფესიონალი ჯალათი არც იყო. მგონი შავნაბადას მთის მხარეს ზვრეტდნენ თათარ ალიას მეცხედრეს რატომ ეძახდნენ არ ვიცი. მაშინ დახვრეტამისჯილები უშეტესად პოლიტპატიმრები იყვნენ. აქ ექვსნი ვართ, აქედან თქვენ, ძმები ხართ პოლიტ-პატიმრები, ჩვენ ოთხნი კი ჭურდები ვართ.

— თქვენ არცერთს ჭურდის სისხლი არა გაქვთ, — დაცინვით თქვა «დედას ბიჭმა».

— ახლა ხომ ზედავთ, როგორ დავკინდნი. ვიცი, ამ მეორე დახვრეტას აღარ მაპატიებენ, თუმცა. იქნებ ასე უფრო მეპატიოს, ვინემ მაშინ, ჯერ

გაფლანგვაზე ახლა კი პოლიტკურზე რომ მჭდარიყავ.

— გამოგონია მენშევიკების დრუს ჭურდებს არ აქაჰანებდნენ? მართალი ხარ... გაიქცა და წაიქცაო ხომ გაგიგონია? რას ნიშნავს, თუ იცი? მილიციელს რომ გაატანდენ ჭურდს მილიციაში თუ ციხეში. გზაში ეტყოდა — ბიძია, გაიქეციო. მასაც ეგონა, მიშვებსო, გაიქეცოდა თუ არა, მილიციელი ესროდა. იმიტომ ამბობდნენ გაიქცა და წაიქცაო.

— ძალიანაც კარგი! აბა, ამათი ქვაჰანება შეიძლება? — ხელი მიაშვირა «დედას ბიჭსა» და «გრძელყურა ბონდოზე».

— ეიგნების საკანში ასე არ ილაპარაკებდი. აქ ყველა არიფები ხართ და... «პარაშას» ზიდვაში და ცემაში ამოგხდებოდა სული!

— გაგსრისავ შე ჭიყველა!
— უჰ, შენ რა სასიცოცხლო ხარ! — დაუღრიალა უფროსმა ძმამ.

— ვიცი მე აქედან ცოცხალი ვერ გავალ, მაგრამ შენც გაგიტანენ! — წამოდგა თუ არა გოჩა ბატონი შალვა ფეხებში ჩაუფარდა. ხელები შემოხვია, შეევედრა, პატივი მეცო. თქვენ ორივენი ვაჟაკები ხართ, ამ ჭირვეული ბავშვის ნაბოდიხლებს ნუ უსმენთო.

კარზე ზედამხედველმა დააბრაზუნა. კვებლო ჩასხნა და დიძება:

— ხოცავთ ერთმანეთს? აბა ჰე, დასცხეთ! ტყვიები დაგვეზოგება.

ყველა თავთავის ადგილზე დაჯდა, როცა ზედამხედველი წავიდა. უეცრად უფროსმა ძმამ წამოიძახა:

— პირველად იყო სიტყვა... და სიტყვამ შექმნა...

დიდყურას პირის მწლაკენი გაისმა.

— რა შექმნა სიტყვამ?

— სიტყვა, რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა სოციალური ცხოვრება. იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ინტიმი, ყველა იცხოვრებდა კერძო ცხოვრებით.

— რა პირში მიყურებ? — ჰკითხა ბონდო დიდყურამ ნამღვდლევს.

— პირში არ გიყურებ, — უპასუხა ნამღვდლევი.

— ნერწყვს რომ ყლაპავ?

— მერე შენ რა, მე თუ ნერწყვს ყლაპავ?

— ლამისაა პირში ჩამივარდე, მაქამე ჩემი სისხლეული ულუფა. ამ საკანში ყველაზე ცუდი ჩემი ადგილია, ალებენ თუ არა კარს, იმწამსვე მე მეკითხებიან, ლამითაც და ქლითაც. ან უფროს-უმცროსობით დაესხდეთ, ან, ამ საკანში დიდხანს ნაჯდომობით, ასე — მარცხნიდან მარჯვნივ.

ის სამორიგეო დღე ზედამხედველების, „დოღრიალასი“ და „გლარჯასი“ იყო. ეს ზედამხედველები სჯობდნენ სხვა ორ წყვილს. პირველს მყვირალობის გამო შეარქვეს ეს ზედმეტი სახელი. უფროსებმა გაუგეს, რომ დახვრეტამისჯილებსაგან მიჰქონდა ტანსაცმელი გასაყიდად, სანაცვლოდ თამბაქო, შაქარი და იქნებ სხვა რამაც მოჰქონდა. უღვაშებგაწყებილ ჩიაკაცს „გლარჯა“-ს ეძახდნენ ზედმეტსახელად. არტელი, რომელსაც ეს სახელი ერქვა, 1-ლი მსოფლიო ომის ინვალიდებმა ჩამოაყალიბეს და რადგან ამ არტელში თამბაქოს ნაწარმს ჰყიდნენ, ეს ძველი სახელი ერქვა. ვიღაცამ იცნო, რომ იგი ზედამხედველობამდე „გლარჯას“ თამბაქოს დუქანში ნოქრად მუშაობდა. საკნიდან საკანში მოჰქონდა ასანთი, თამბაქო თუ გასახვევი ქალაღლი. შინიდანაც მოჰქონდა თამბაქოს გასახვევი კოხტად დაჭრილი გაზეთის ქალაღლი. ყველანი სცნობდნენ მის ალუმინის დიდ სათუთუნეს, ამბობდნენ, რომ ადრე თუ გვიან მისჯილებთან აკრძალული ურთიერთობისათვის დაიჭერდნენ. როცა „დოღრიალა“ დაინახავდა მისი მეწყვილის მიერ ჩამოხსნილ კვებლოს, „ამისი დედა ვატირეო“ — აღრიალდებოდა. თითქოს პირადად არვის მიმართავდა, იგინებოდა რალაც განყენებულად. მის გინებას ბაქი-ბუქს ეძახდნენ. თუ არ ყვიროდა, მაშინ ღიღინებდა ერთხელ, როცა

მათზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ნამღვდლევი თქვა:

— ის ორნი კარგები არიან.

— მაგათში ყველაზე კარგის დედა ვატირე, — თქვა „დედას ბიჭმა“.

— მაგათში კარგი უფრო საზიზღარია, — თქვა უფროსმა ზეზეამ, ღვარძლით გაიღიმა და დაუმატა, — ქურდებსა და ავაზაკებს ჰგონიათ, რომ ციხე მათ ეკუთვნით და არა, პოლიტიკატიმრებს. ყველა პიროვნებას თავისი ციხე აქვს.

— მე იმისთვის არ ჩამეჯდარვარ, რომ დახვრეტის წინაწუთს მოვრეოდი. იმიტომ ჩავჯექი, რომ ომში წასვლა არ მინდოდა, — თქვა დიდყურა ბონდომ.

„დედას ბიჭმა“ გაიცინა:

— ჩვენ უბანში მოსულიყავ, ერთი გოგოა, როზა, რვა ბიჭი ომიდან დატოვა, ათაშანგი შეყარა.

— ეგ ამბავი საღლაც გამიგონია. — ჩაფქვრა ბატონი შალვა, — არა, წიგნში წავიკითხე.

— იმ ქალს დიდად უმოღვაწია, — თქვა უფროსმა ძმამ, — ეგ „ფუნთუშა“, ფრანგი მწერლის მოთხრობა. ერთი როსკიბი ჰყავს გამოყვანილი, რომელმაც მტრის ოფიცერებს შეჰყარა ათაშანგი. ფრანგ მამაკაცება დასცილნის: მე მტრის ოფიცერები მწყობრიდან გამოვიყვანე, თქვენ რა ფრანგები ხართ, თითო გერმანელიც კი არ მოგიკლავთო.

— ბიჭებს უნდოდათ როზა ეცემათ, მაგრამ ასე უთბრა: სანემდის სნეულელებას მოირჩენთ, ომიც მორჩება, ახლა კი რომ წაეყვანათ ომში, დაიღუპებოდითო.

— კაი ხვითო ყოფილა, — თქვა დიდყურამ.

— დიდი ყურები რატომ გაქვს, იმიტომ რომ ყურებიდან გეწეოდენ?

— იმიტომ მეწეოდენ, რომ დიდი ყურები მაქვს.

მას თავისი გართობა ჰქონდა: ციხის კედელს მიაბჯენდა შუბლსა და ცხვირს, სანაძლეოზე ყურში ხელს ჩა-

ავლებდენ და ექაჩებოდნენ, ყურიდან ხელი უხსლტებოდათ, კედელს ვერ აშორებდენ.

— როგორ გავიგე, რომ ასეთი მაგარი ყურები გქონდა? —

— ბავშვობიდან დიდი ყურები მქონდა, ყველა ასაწევად ეტანებოდა. რომ მეწეოდნენ, ხელი უხსლტებოდათ. რამდენი სანაძლეო მომიგია.

— თქვენი არ ვიცი, მე კი ამ მკვდარმა სიცოცხლე წაპართვა და არა სიკვდილი, — თქვა ნამღვდლევმა — ასე რომ, ამაღლა შესაცვლელად მოსულა.

— ნამღვდლევო, — მიმართა ბატონმა შალვამ, ეს საკანი ქრისტეს სადიდებელ ეკლესიად უნდა გაქცია. შენ კი თავად ურწმუნო ხარ. შენ კომუნისტებმა კი არა თვით ღმერთმა გაგკრიჭა. უკაცრავად, მაგრამ ასეა.

— ორივე ერთად ძნელი განსაცდელი იყო, ერთერთი ყოფილიყო და ჩანდაბას. იმან სიკვდილით სიკვდილი აიცილა, მისი გადასახდენი კი მე გადამიხდა.

— ჰოოო, — წამოიწყო დიდყურა ბონდომ, — მაგათ ქე რომ ჭალათები არიან, დახვრეტის წინ არაყს. სპირტს აძლევენ გასამრჩელოდ, ზელფასის გარდა, — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცებ — ჩუო, — ბქვა, აიკლაკნა, კარს ყური მიადო და სწრაფად შემობრუნდა, — ჩვენს კართანაა. საკნის კარი გაეღრიალდა, მერე დაკეტეს, ისევ გააღეს, ისევ დაკეტეს და წავიდნენ. კლიტე შორს აჩხაკუნდა.

— საპირფარეშოსთან ! რომ საკანია, იმას აღებენ, — თქვა დიდყურამ.

— ახლები მოჰყავთ? — იკითხა ნამღვდლევმა.

— ახლები ხომ მოიყვანეს. არა, ვილაყებებს უცვლიან, ბევრს უცვლიან, იმათ ჯგუფურზე, რომ სხედან.

— რატომ ჯგუფურზე, იქნებ რამდენიმეს შეცვლის ქალაღი ერთად მოვიდა, თქვა ეკვიანად უფროსმა ძმამ.

დერეფნის ბოლოდან დაიდრნენ, გამოიყვანეს სამი მათი ჯგუფელი.

რეს, რომ ის ვინც არ გამოიყვანეს ჯგუფში იქნებოდა. ეგ საქმეში თავაკაცად გავიდა. თვითონ მოინდომა უფროსობა და კარგადაც შეიწყო, შესაშურად პასუხობდა მსაჯულებს.

— ჩვენს კარსაც მოადგნენ, — თქვა ბონდო დიდყურამ, — ძმებო, მოემზადეთ, ბედი კარს მოგადგათ. იდიღე უფალო!

კლიტემ გაიჩხაკუნა, კარი ყურთამდე გაიღო. გამოჩნდა ციხის უფროსი და წუხანდელთან შედარებით შეთხელებული მისი ამაღლა. ციხის უფროსმა საკანში მსხდომთ თვალი მოაეღო, წამით ნამღვდლევზე დაუოვნდა. უთუოდ მასთან წუხანდელი „პაექრობა“ გაახსენდა.

— გვარი? — ჰკითხა ციხის უფროსმა „დიდყურას“.

— ბ...ძე! — უპასუხა მან.

— არა! უპასუხა ციხის უფროსმა.

— შენი გვარი?

— ბ...ური!

ციხის უფროსმა ქალაღს დახედა.

— სახელი და მამის სახელი?

— ზეზვა აღუდას ძე!

ციხის უფროსმა კვლავ დახედა ქალაღს.

უფროსი ძმა ქვეშაგების შეეკრას შეუდგა, უმცროსმა თოთქოს მექანიკურად მიბაძა.

— გამოდი! — უბრძანა ციხის უფროსმა, გამოდი, ჩქარა!

მისჯილები მიხვდნენ, რომ ორ ძმაზე ერთი შეწყნარების ქალაღი იყო მოსული. შეწყნარება უფროს ძმას ეკუთვნოდა. კარი ღია დატოვეს, ციხის უფროსმა და მისი ამაღა უცქერდნენ და ელოდნენ, თუ როდის დატოვებდა უფროსი ძმა საკანს.

— ჰოოოო, გამოვალ. — უფროსი ძმა წამოიზლაზნა. კარამდე ფეხი აეჩრია. უკან მიბრუნებას აპირებდა. შეჩერდა, რაღაცას იხსენებდა. შუბლზე ხელი მიიღო. ძმას შეხედა. მან წყნარად უთხრა:

— არაფერი არ მითხრა.

— ეს ბუმბულის ბალიში წაიღე. მე რად მინდა...

— წავიღებ, — კართან შეყოვნდა. თანაზმა იყო, რომ დროის ბორბალი უკულმა დაბრუნებულიყო და სკანის კარი ან სამუდამოდ გაჩერებულიყო. იქ მყოფი ხელისუფლების მსახურნიც მიხვდნენ ამას, მაგრამ უძლურნი იყვნენ, რომ იგიც დასახვრეტად დაეტოვებინათ. ახლა, რომ რა გასულიყო, ძალით გააგდებდნენ და ეს საქციელი იქნებოდა ბრწყინვალე.

— გამოდი, გამოდი
გოჩამ უთხრა:

— სასიკვდილო საკანში დატოვებულმა თუ დარჩენილმა ნივთმა უკან დაბრუნება იცისო, ყველა შენი კუთვნილი უნდა წაიღო.

— მოოო, ყველას წავიღებ
— ჩქარა, ჩქარა გამოდრ
შეესმა ელარუნ-ხრიგინი და ზურგს-უკან რკინის კარი ჩაიკეტა. ძლივძლივობით გადადგა ბიჭი, „აკლდამას“ რომ მოშორებოდა, სადაც უმცროსი ძმა სამუდამოდ ამოიქოლა. არ ეამბორა და არ გამოემშვიდობა ცოცხლების გამომშვიდობებით. ძმის წინაშე თავისი მომავალი სიცოცხლით დამნაშავე იყო, იმ სიცოცხლით, რომელსაც არავითარ ღირებულებას არ ანიჭებდა. ეს სიცოცხლე მათი, ძმების საერთო სიკვდილ-სიცოცხლეს გამოეყო და არაფრით სიკვდილზე უკეთესი არ იყო. ამიტომ არ ეამბორა და არც ცრემლით გამოემშვიდობა. ეს შეუურაცხყოფდა ძმის ღიდ სიკვდილს.



ლადო სულაბერიძე

სხალსოპარიანს

ქუთაისი. პირველი სიყვარული

შუამთიდან ქუთაისს გავეშურე.

ბევრ ვინმესთან მიმეჩქარებოდა მშობლიურ ქალაქში, — ნათესავებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემ მასწავლებელთან მიხეილ მახათაძესთან მიმიწევდა ზუღი.

ომის შემდეგ ბერლინში სარეპატრაციო ლაგერის კომენდანტად დამნიშნეს (ამაზე შემდეგ მექნება საუბარი). იქიდან მივწერე ბატონ მიხეილს, შენ ჩემი სულიერი მამა იყავი მეთქი, თუ ომის გზებზე დიდი სიძნელების გადალახვა შეეძელი. შენ როგამიღვივე, იმ სულმა შემაძლებინა მეთქო. პასუხიც მომწერა ბერლინში მაშინვე.

ქუთაისში, ცხაკაიას ქუჩაზე, 36 ნომერ სახლში ვცხოვრობდით. ორი ოთახი გვქონდა, რომელთა გვერდით ფართო, ზის რიკულებიანი, იასამნებიანი აივანი პროფესიონალი მებაღის მიერ კარგახნის წინათ გაშენებულ ბაღში გადიოდა. ბაღში ზღვის მარადმწვანე ბალახის გაზონები სიგრძივ გარს ევლებოდნენ ორ, ერთმანეთისაგან მოშორებით მდგარ სამოთხის ვაშლის უშმალას ხეებს, — და ზედ აივანთან მომდგარ მაგნოლიას, ზღვის ბალახის

გაზონებთან ჩამწკრივებული იყო ვარდები და სხვა ყვავილები.

ბაღის გვერდით, თითქმის შუა ეზოში მალალი, ფართოდ რტოებგაშლილ კაკლის ხე იდგა.

ამ სახლში, აივანზე, ბაღში, სამოთხის ვაშლებთან, მაგნოლიასთან, კაკლის ხესთან ჩაიქროლა ჩემი სიკაბუჯის წლებმა. ეს სახლი, ხეები და ეზოა ჩემი უნივერსიტეტი, საცა ვსწავლობდით ოჯახის. ნათესავეების, მეზობლების, თანატოლების, ხეებისა და მიწის სიყვარულს. ვსწავლობდი ყოველგვარი ლექსებისა და წიგნების გარეშე, თავისთავად, ყოველდღიურ კტოვრების მდინარებისას, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად.

ეს სწავლა კი არა, უფრო სწორად, აღმოცენება იყო ჩემს შინაგან ბუნებაში იმათი სიყვარულისა, რაიცა დავინცა აგერ ახლა ჩამოვითვალეთ.

ახლა იმ სახლში სხვანი ცხოვრობენ.

ომის დროს იქ მარტო დედაჩემი დარჩა. დაიბრკვეს ომში შვილებგაგზავნილი ქალი. ერთ ქუთაისელ ეურნალისტს თვალი დაუდგამს სახლზე, ორ ოთახში ერთი ქალიაო, შეუჩნდნენ თურმე. ომია, გასაჭირია, ერთი ოთახი უნდა დაგვითმოო, შეილები რო დაგიბ-

რუნდება, მერე დაგიბრუნებთო. ვე-
ლარ გაუძლია დედაჩემს ომის დროს
შინ შემორჩენილ კაცებისთვის, რომლ-
ებიც ქალაქის მეურნეობას მართავდ-
ნენ და ჩაუსახლებიათ ერთ ოთახში
ქურნალისტი.

ჩემი გადასახლებაში ყოფნის დროს
მეორე ოთახიც წაუგლეჯიათ, მაშაჩემ-
საც თავი აღარ აუტკივებია ამის გამო,
აღარ გაუმართავს ქალაქის მესვეურე-
ბისათვის დავა და ომი. დედაჩემიც
თბილისში გადაბარგებულა და ასე და-
იკარგა ჩემი სიჭაბუკის ნავსაყუდარი
ქუთაისში.

ახლა იმ სახლში სხვა ხალხი ცხოვ-
რობს. „სხვა ხალხის ისმის იქ ქრიამუ-
ლი“.

გადაუსხვაფერებიათ. აღარც იმდა-
გვარი ბალია, აღარც იმდაგვარი ეზო.
აივანი ოთახად გადაუკეთებიათ.

არ ვიცი, ვინ ცხოვრობს იქ.

მე მაინც ავივლი და ჩავივლი, როცა
ქუთაისში ჩავალ.

ავივლი და ჩავივლი ამ სახლთან,
შეგჩრდები, თვალს შევავლებ, ისეთს
წარმოვიდგენ, როგორიც დავტოვე და
სულს მოვითქვამ.

რვა წლის პატიმრობისას სულ ის
მედვა თვალწინ, სულ მასთან დაბრუ-
ნებას ვნატრობდი.

დავბრუნდი და სხვანი დამხვდნენ
შიგ ჩასახლებულნი.

მაგრამ მერე რა, მეც იქა ვცხოვრობ,
იმათ შეუძინევლად, რა თქმა უნდა. ჩე-
მი სული იქ არის, იქ განვაგრობ ცხო-
ვრებას პატიმრობიდან დაბრუნების
შემდეგაც აგერ უკვე რამდენიმე ათე-
ული წელია.

სულ ახლოს ძველი რეალური სას-
წავლებლის შენობაა, რომელშიც იმ-
ჟამად ჩემი შეიდწლიანი სკოლა იყო
მოთავსებული, გრძელი და ფართო დე-
რეფნებით, მაღალი ჰერითა და განიე-
რი ოთახებით. ეზოში გზის კიდესთან
ჩრდილებს აფენდა ორი ვებერთელა
მუხა. ეზოში ვთამაშობდით ფეხბურთს.
გატაცებული ვიყავი ფეხბურთით, სლა-
ვიციას შეძახდნენ შეტსახელად თანა-

გუნდელები, ქალაქის ფეხბურთელ ნა-
ვშვთა ნაკრებშიაც მოვხვდი ერთხელ.
გვერდით ჩვენი მეზობლებიც მე
ფისაშვილებისა და რუსაძეების ეზოე-
ბის გასწვრივ „დინამოს“ სტადიონი
იყო, მაღალი, ფიცრული ლობით შე-
მოზღულდული. ამ ლობეზე გადავხვდებ-
ოდით და ვთამაშობდით სტადიონზე ან
შეეჯდებოდით ზედ, როცა ფეხბურთში
შეჭიბობი იყო და გატაცებით ვუცქერ-
დით გივი კილაძის მოხდენილ თამაშს,
მისი ფეხით კარისაკენ ყუმბარასავით
გატყორცნილ ბურთს.

ჩვენი სპორტული კერპი იყო მაშინ
გივი კილაძე, ულამაზესი ჭაბუკი, ნაირ-
სახეობის სპორტსმენი: ფეხბურთელი,
კალათბურთელი, ორძელზე მოვარჯიშე,
მორბენალი და ამავე დროს პიანინოზე
ვირტუოზულად დამკვრელი.

ჩვენს ეზოს მეორე მხრიდან მეზობ-
ლებთან გამყოფი შარავნა ჩაუდოდა.
სოფლის ორღობეს ჰგავდა, კედლებზე
ბალახ-ბულახებით.

სკოლაში ამ გზით მივდიოდით. სა-
ლამობით კი შეეჯდებოდით ერთ
მხარეს აღმართულ ქვის მაღალ ყორე-
ზე, რომლის იქითაც ეზოში კალათბურ-
თის მოედანი იყო და აქ შეეცქერო-
დით გივი კილაძის ქონგლიორულ თა-
მაშს, აკრობატული ნახტომებით კა-
ლათისაკენ გატყორცნილ ბურთს.

იმ ეზოში საოცარი არქიტექტურის,
ნიკოლოზის დროინდელი ორსართული-
ანი სახლი იდგა. ბავშვობაში არ ვიცო-
დით, რა სახლი იყო. მოგვიანებით გა-
ვიგმა, ქალაქის ჩეკა ყოფილა შიგ მო-
თავსებული შინაგანი ციხითურთ.

მეთუ კლასში რო ვიყავი, ერთხელ
მოულოდნელად მეც გამომიძახეს იქ.
ჟამკავშირიდან ახალი გარიცხული ვი-
ყავი. ვიფიქრე, ალბათ ვერაა კარგად
საქმე-მეთქი, ჯერ მაშაჩემი მივიდა,
ნაცნობი მაიორი ყოფილა იქ. მოინახ-
ულა და იკითხა, რატომ ვიყავი გამო-
ძახებული.

რალაც უნდა გკითხონო, მოიტანა მა-
შაჩემმა ამბავი და მეორე დღეს მე მი-
ვდი. რალაცნაირი ბნელი დერეფნებით

მიმიყვანეს ერთ ოთახში, აღარ მახსოვს, რა ჩინის ჩეკისტი დაძვდა. მკითხა, ამას და ამას თუ იცნობო.

ორიოდე კვირის წინ ჩვენი სკოლის ორი მერვეკლასელი ბიჭი დააპატიმრეს, როგორც შემდეგ გამოირკვა, ვილაცას დაუბეზლებია. მაგათ რვეულებში ფაშისტური სვასტიკებია ჩახატულიო.

თურმე არითმეტიკის რვეულებში იქსები სვასტიკებით გამოუდიოდათ. რა თქმა უნდა, არასოდეს გაუფიქრებიათ ამის შესავსი რამ. სამწუხაროდ, აღარ მახსოვს იმათი გვარები.

ერთ-ერთი მათგანი იმ წელს კომკავშირში მივიღეთ. კომკავშირის კომიტეტის მდივანი კი მე ვიყავი. ამიტომაც დამკითხეს.

რამდენიმე თვე აწვალეს ბიჭები, მერე გამოუშვეს, მაგრამ ერთი ფილტვებით დაავადებული იყო უკვე.

ქუთაისია ჩემი პოეტური აკვანიც. მეოთხე თუ მეხუთე კლასიდან დავიწყებ ლექსების წერა.

ერთხანს მამაჩემის გარდა, არავინ იცოდა, რო ვწერდი.

მერე შემთხვევით შევხვდი ჩემ თანატოლ პოეტს გრიგოლ იმედაძეს, რომელიც საფიჩხიაზე ცხოვრობდა, ჩემ სახლთან ახლოს. აღარ მახსოვს, სად და როდის შევხვდით ერთმანეთს. ის პირველი მეგობარი იყო, რომელსაც წავეუთხებ ჩემი ლექსები. რა თქმა უნდა, მანაც წამიკითხა თავისი ლექსები. მანვე გამაცნო რამდენიმე ამხანაგი, რომელნიც აგრეთვე ლექსებს წერდნენ.

ერთხელ წიგნი მათხოვა სიმონ ხუნდაძის „ქართული ლექსი“.

მე რა თქმა უნდა, პოეტის თორიაში, არაფერი გამეგებოდა ჯერ და დიდის ყურადღებით წავიკითხე ეს წიგნი. ერთი კვირა მქონდა და წარამარა ვინებდებოდი შიგ. რასაკვირველია, ამ წიგნმა (მაშინ ქართულად ეს ერთადერთი წიგნი იყო ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის თეორიაში), ლექსის ბევრი საიდუმლო გამაცნო,

მაგრამ წერის პროცესში მე ის აღარ მახსოვდა.

— გრიშა, — ასე ვეძახიდი გრიგოლ იმედაძეს, — დაბალი, ღიმილიანი ბიჭი იყო. ტანით რო დაბალი იყო, ამას ისე განიციდიდა, თითქოს დიდი ნაკლი ჰქონდა. ხასიათით ამაყი და შეუდრეკელი, როცა ქუჩაში მასზე მაღალ ბიჭებს მიჰყვებოდა, ოდნავ წინაც მიდიოდა ხოლმე და მკლავებსა და ბეჭებს დარდიმანდულად, წინ გაწეული მკერდით მიარხევდა.

მეექვსე კლასის შემდეგ ჩვენი სასწავლებელი ყოფილი ქალთა გიმნაზიის შენობაში გადაიტანეს, რადგან რეალურ სასწავლებელში, საცა ჩვენ ვიმყოფებოდით, პედაგოგიური ინსტიტუტი გახსენეს.

ამ სასწავლებლის გვერდით, ელექტროსადგურის წინ სახლში, ქვედა სართულზე თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი გრიშას. ერთ დიდ ოთახში სასულე ორკესტრის რეპეტიციები ტარდებოდა, ამ ორკესტრში გრიშა ალტზე უკრავდა.

ქუთაისელთა ლხინსა თუ ჭირში ხშირად მინახავს ეს ორკესტრი. გრიშა პირზე მიდებულ ინსტრუმენტიდან შემომხედავდა და გამიღიმებდა. თავისი ალალი შრომით თავს ირჩენდა გრიშა.

მერე და მერე ქალაქის ახალგაზრდა დამწყებ მწერლებსაც შევეუერთდი. მწერალთა კავშირთან დამწყებ მწერალთა წრე არსებობდა და იქაც შევდგით ფეხი.

მე ლექსის დაბეჭდვის სურვილი აღრე წამეკიდა. ვაგზავნიდი ლექსებს თბილისის ჟურნალებში „ბიონერი“, „მშრომელი ქალი“, გაზეთში „ნორჩი ლენინელი“

ერთხელაც ქუთაისის ინდუსტრიული ტექნიკუმის პირველი კურსის მოსწავლემ, — შვიდწლედის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად აქ შემიყვანა მამაჩემმა, — საქალაქო გაზეთის „სტალინელის“ რედაქციას მივაადექი.

ეს იყო 1935 წლის გაზაფხული. რედაქციაში მითბრეს, ლექსი გიორ-

გი ჯიბლაძეს უნდა მიუტანო. გიორგი იმედიანად გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი იყო. მერე რედაქტორად გადაიყვანეს. გიორგი კაბინეტში არ დამხვდა. ფართო და გრძელ შუშაბანდში კედელს ავეჯუდღე და დაველოდა.

მკვეთრად დაქანებული ხის კიბეებიდან ამოვიდა მაღალი, ხმელ-ხმელი ქაბუკი, შუშაბანდში ჩემს მეტი არავინ იყო. მოვიდა ჩემთან და მკითხა, გიორგი ჯიბლაძე სად უნდა ვნახო.

ეს ქაბუკი ლადო ასათიანი აღმოჩნდა.

მეც მის ველოდები-მეთქი და გავესაუბრეთ ერთმანეთს.

ლადო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. ჟურჯურობით არ იბეჭდებოდა მისი ლექსები და, რა თქმა უნდა, არ ვიცნობდი. კარგა ხანს ველოდეთ და როცა მოვიდა, ერთად შევედით გიორგი ჯიბლაძესთან. დავუტოვეთ ლექსები. მალე დაიბეჭდა ჩვენი ლექსები გაზეთში, ორთავესი ერთ ნომერში.

ეს იყო ჩვენი პირველი პუბლიკაცია.

იმავე წელს ერთდროულად გამოქვეყნდა ჩემი ლექსები თბილისში — ჟურნალებში „პიონერი“, „მშრომელი ქალი“ და „ლიტერატურულ გაზეთში“, ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის რუბრიკით.

ამჟამად მე არ გავამახვილებ ყურადღებას ქუთათურ თანატოლ და უფროს მეგობრებზე, რომელთაც გაზეთში ჩემი ლექსების პუბლიკაციის შემდეგ დავუახლოვდი. გრიგოლ იმედიანის გარდა ესენი იყვნენ: ნიკა აგიაშვილი, შპარუხ ჩარკვიანი, ვანიონ დარასელი, სევერიან ისიანი, მიხეილ ალავიძე, ვასო ლორთქიფანიძე, ლადო ასათიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, სილოვან აბღელიანი, ზურაბ ლორთქიფანიძე. ამათზე მოგონებები ცალკე წიგნისთვის მაქვს შემონახული.

ამდროულად მხოლოდ ერთ პიროვნებაზე უნდა გავესაუბროთ. ეს არის ჩემი ქართული ვენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მიხეილ მახათაძე.

მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი ალბრის პროცესში, შემიძლია თქვამდე ვთქვა, მამობრივი ამავი დამლო ყმაწვილობიდანვე.

როგორც მოგახსენეთ, შეიდწლოდის დამთავრების შემდეგ მამაჩემმა ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შემიყვანა. აქ იყო ქართულის მასწავლებლად მიხეილ მახათაძე, თავიდანვე მომხიბლა მისმა გაკვეთილებმა.

არ ჰგავდა ჩემს აღრინდელ მასწავლებლებს, დაკანონებული, სტერეოტიპული მეთოდებით კი არა, რალაც სხვანაირი, თავისებური, მხოლოდ მისეული გააზრებით აღარებდა გაკვეთილებს. მწერლის ნაწარმოების გარჩევას იმ სიტყვებით კი არ მოჰყვებოდა, რომლებიც სახელმძღვანელოებში ეწერა, არამედ სხვანაირად, აზრსაც სხვანაირს გამოთქვამდა. არც ჩვენ გვთხოვდა, სახელმძღვანელოდან გაზეპირებული სიტყვებით გვეპასუხა. თუ რომელიმე წიგნიდან გაზეპირებულ სიტყვებით უპასუხებდა, რა თქმა უნდა, არ საყვედურობდა, კარგ ნიშნსაც უწერდა, მაგრამ ვატყობდი, და არა მარტო მე, სხვებიც ატყობდნენ, როცა რომელიმე ჩვენგანი წაკითხული ნაწარმოების შესახებ თავისებურ აზრს გამოთქვამდა, ამას მეტი ინტერესით ისმენდა, ჩაერთვებოდა კიდევ მოსწავლესთან საუბარში. ყოველი ამნაირი საუბრისას, თუ გაკვეთილის ზარი დაირეკებოდა, არ წამოვიშლებოდი. ჩვენ თვითონ ვაგრძელებდით საუბარს.

ნაწარმოების გარჩევისას ტექსტებს მოიშველიებდა, ან წაიკითხავდა, ან ზეპირად იტყოდა. საკლასო ოთახში ბუზის გაფრენას გაიგონებდით, სუნთქვა შეგვეკვრებოდა, როცა რომელიმე ლექსს კითხულობდა, — უბრალოდ, ყოველგვარი მანერისა და პათეტიკის გარეშე, ლექსის ყოველი სიტყვა ნათლად ეღერდა, გულში ჩამწვდომად. რომელიმე მეტაფორას, პოეტურ სახეს ან გამორჩეულ რითმას დიქციით, ტონით ისე გამოყოფდა, ძალაუნებურად ყუ-

თუნდაც „მერანსა“ და „განთიადს“ შეხებოდა, უფრო ღრმად ჩამახედებდა ხოლმე ამ კლასიკურ ქმნილებებში, ჩემთან უფრო სხვანაირად მსჯელობდა ამ ლექსებზედაც, ვიდრე გაკვეთილებზე.

მერეღამერე მეგობრებიც ავიყოლიე და ერთად ვესტუმრებოდით ხოლმე მიხეილს. ესენი იყვნენ: გალაკტიონ ალფაიძე, დანიელ ალიბეგაშვილი, გალაკტიონ ალფაიძე ფიზიკითა და მათემატიკით იყო გატაცებული, მაგრამ მიხეილთან საუბრებით წაქეზებული მხატვრულსა და ისტორიულ ლიტერატურასაც ხარბად დაეწაფა. ბოლოს ის გენერალ-პოლკოვნიკი გახდა, სამამულო ომის შემდეგ მოსკოვში დასახლდა, მაგრამ არასოდეს გაუწყვეტია კავშირი მასწავლებელთან. ჩვენი ლამაზი, მალაილი და სათნო მეგობარი დანიელ ალიბეგაშვილი ინჟინერი გახდა, მაგრამ მიხეილის წყალობით ჩინებული ჰუმანიტარული განათლებაც ჰქონდა.

რალა თქმა უნდა, ახალ ლექსებს ზან ზან წაფუთბავდი, ზან ტექნიკში მივუტანდი. ზარი რო დაირეკებოდა და ბავშვები საკლასო ოთახში შელაგდებოდნენ. დერეფანში დაგვდებოდდი, ფანჯარასთან მიდგებოდა და იქვე წაიკითხავდა. როცა ჩემი რომელიმე ლექსი განსაკუთრებით მოეწონებოდა, გაკვეთილზე ბავშვებს წაუკითხავდა.

იმთავითვე მაშინ გაბატონებულმა კონიუნქტურულმა თემებმა ამიყოლია. მიხეილი თემას არასოდეს დამიწუნებდა, ოღონდ არც კარგ რამეს მეტყუოდა. მხოლოდ იმას შენიშნავდა ამდაგვარ ლექსებში, თუ ხეირიანი მეტაფორა ან რითმა მოეწონებოდა. ლექსის გარეგნულ მხარეს შემოიფასებდა. მე ვერ ვხვდებოდი მის ამდაგვარ დამოკიდებულებას ჩემი ეგრეთწოდებული აქტუალური ლექსებისადმი. ახლა ხშირად გამახსენდება ეს და გული მტკივა: რატომ არ მაფრთხილებდა, რატომ არ მიშლიდა, არ ჩამავიწყებდა, მისი სიტყვა ჩემთვის კანონი იყო, მივხვდებოდი, გავიგებდი, ავტლებოდი ამ ცრუ გზას,

მომავალში აღარ გამოიტაცებდა ამგვარი ცდუნებანი, რომელთაც კარგად ჩანს უფუხადე | ხარკო.

განსვლითი

მესამე კურსზე რო გადავედი, მითხრა, ტექნიკში შენი საქმე არ არის, მე მეორე საშუალო სკოლაშიც ვასწავლი, იქ გადაგიყვან, შენთვის ეს უფრო სასარგებლო იქნებაო.

იმავე წლის სექტემბრიდან მე უკვე ქუთაისის მეორე სანიმუშო სასწავლებლის მეთე კლასის მოსწავლე ვიყავი.

ამ დროისათვის საქალაქო გაზეთში ჩემი ლექსები უკვე მრავლად იყო გამოქვეყნებული, მონაწილეობას ვღებულობდი ქუთაისის მწერალთა კავშირის მიერ გამართულ საღამოებში. ერთგვარი პოპულარობა უკვე მქონდა მობოვებულნი.

აღმათ ამის გამოც მალე სკოლის კომკავშირის მდივანდაც ამირჩიეს.

კარგადაც ვსწავლობდი.

მხოლოდ ერთი წელი ვისწავლე ამ სკოლაში, მაგრამ სულ ასე შეგონა მაშინაც და ასე მგონია ახლაც, მთელი ჩემი მოსწავლეობის პერიოდ ამ სკოლაში გამეტარებინოს.

ერთი წლის განმავლობაში ამ სკოლაში ისეთი მოვლენების წრეში აღმოვჩნდი, რომლითაც გარშემორტყმული დავრჩი სამარადისოდ. ეს მოვლენები რომანტიკულიც იყო, დრამატულიც. მაგრამ ჭერ კიდევ უკაბუჯზე ამ დამბულობამ დიდი გავლენა იქონია, — კარგადაც, ავადაც, სასიამოვნოდაც, არასასიამოვნოდაც.

კომკავშირიდან გარიცხვის ამბავი მოგახსენეთ უკვე. იმის გამო, რომ კომკავშირიდან გამრიცხეს, ფრიადოსნობის მოწმობაც არ მომცეს, ესეც გითხარით. ამასთან დაკავშირებით ერთ რამესაც გავიხსენებ:

სკოლის დამთავრების აღსანიშნავი საღამო გავმართეთ ერთი მეგობრის ოჯახში. მოვიპატიეთ მასწავლებლებიც, დიდხანს ველოდეთ დირექტორს (იგი ახალგაზრდა კაცი იყო, ჯერ კიდევ კომკავშირელი, სკოლის კომკავშირის

ორგანიზაციის წევრი. ერთ-ერთ დიდ საქალაქო კრებაზე, რომელსაც პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი კორსაველიც ესწრებოდა, კომკავშირის ქალაქკომის მდივანმა წინადადება მომცა, გამოდი კრებაზე და განაცხადე, რომ შენი დირექტორი კომკავშირის კრებებზე არ გესწრებო. მე ვუთხარი, ის ჩემი მასწავლებელია და ამგვარი საყვედური ჩემგან არ ეკადრება-მეთქი. არ გამოვედი და კრებაზე არ განცხადე ის, რაც შემომთავაზეს).

აი, ეს დირექტორი იგვიანებდა ჩვენს საღამოზე.

რამდენიმე ბიჭი წავიდა, შინ მიაკითხეს, მოგვიანებით დაბრუნდნენ და თქვეს, ასე გვითხრა, იმ სუფრასთან, საცა ხალხის მტერი არის, მე ვერ მოვალაო. ჩემზე უთქვამს აგრე.

მიხეილმა ამას რომ ყური მოჰკრა, მაშინვე მოგვიწოდა, აბა, სუფრას მივესხდეთო და სუფრის თამაღობას თვითონვე შეუდგა.

ჰო-ჰო, როგორ მომეფერა იმ საღამოს ბატონი მიხეილი!

დღემდე ძაღლის მოურჩენელ ნაკბენივით მახსოვს დირექტორის მაშინდელი სიტყვები.

ძაღლის ნაკბენიც მახსოვს იმ სკოლიდან, მაგრამ მასწავლებელთა და თანატოლთა სიყვარული და თანაგრძნობა უფრო მეტი მხვდა წილად.

მრავალთაგან ამჭერად ერთს გავიხსენებ.

ეთერი მოწონელიძე მერვე კლასის მოსწავლე იყო. თმა მკაცრად და სწორად უკან გადაეარცხნილი, ბაფთით ჰქონდა ვაკრული. არავის სკოლაში ამგვარი ვარცხნილობა არა ჰქონდა. თეთრ, ოდნავ ვარდისფერშერეულ სახეზე შინდისფერი ბაგეები სულმუდამ ღიმილით ეპობოდა. ეს ღიმილი უფრო მეტად ფართო, ცისფერი თვალებიდან ეღვრებოდა მის მაკვერალს.

მე მუდამ მისი მაკვერალი ვიყავი. თვალი მისკენ გამიბოდა, ოღონდ მაღულად, უჩუმრად, თვითონ არ უნდა შეემჩნია. მერედამერე ვატყობდი, მა-

ინც იჭერდა ჩემს მზერას. იმასაც ვატყობდი, არ წყინდა, არ ეწყვედებოდა. მე ორი კლასით წინსვლით მაშინ ეს განსხვავება საგრძნობი იყო, ახლო ურთიერთობა არა გვექონდა. მაშინ გავესაუბრე, როცა ის კომკავშირში შემოვიდა.

აღარ მახსოვს, როგორ მოვხვდი მისი დაქალის ბაბუცა რუსაძის ოჯახში, საცა ისიც იყო. ვიცნავი კლემ მასთან ტანგო. ბაბუცა ქალაქის ცენტრში, ძველი ქალთა გიმნაზიის წინ ცხოვრობდა. მერე შინ გავაცილე ეთერი, ახლოს ცხოვრობდა, თეთრ ხიდს გაღმა. ისე მივაცილე შინამდე, ხმა არ ამომილია, კრინტი არაფერზე დამიძრავს.

ვხვდებოდი, ვსაუბრობდით, ვხუმრობდით, მაგრამ რა ცეცხლიც შეკიდა, ამას ვერ ვუმხელდი. ვუმხელდი კი არა, სულ ვცდილობდი, რამენაირად არ შეემჩნია ეს, შეშინოდა, არ ვიცი რისა მეშინოდა, უკარებას არა ჰგავდა, არ გამიბოდა, არ იმალებოდა ჩემგან. მე მაინც მეშინოდა.

ერთხელ ერთი პატარა წიგნი ვიჩუქე. წიგნის ერთ გვერდზე რამდენიმე სტრიქონი ისე მომეჩვენა გამოთქმული. რაც მე მისთვის მიწოდდა შეთქვა. ხაზი გავუსვი სტრიქონებს, ქალაღით ჩავნიშნე გვერდი, მივართვი წიგნი და ძლივს ვუთხარი, ჩანისწულ გვერდზე, ხაზგასმული სტრიქონები გულდასმით წაკითხე-მეთქი.

მეორე დღეს თვითონ მაჩუქა „ტარას ბულბა“, გარეკანის შიგა და წიგნის ბოლო გვერდზე თავისი ლექსები მიუწერია, რომელთაგან შეფარვით გამოკრთოდა თანაგრძნობა. მას მერე უამრავი წიგნი, ყურნალი, გაზეთი დამეკარგა, ეს წიგნი სათუთად მაქვს შენახული. ეს ეთერმა არ იცის. წიგნი ჩემს არქივშია ახლა, ცალკე საქალაღდეში დევს ერთ წერილთან ერთად, რომელიც აგრეთვე არ წაუკითხავს ადრესატს.

აი, ისიც:

„სალამი, ეთერ!

წაიკითხე ეს პატარა ამბავი. იგი ერთმა უახლოესმა მეგობარმა მიამბო, — მისი ცხოვრების დღეთა ერთი დაუვიწყარი და საბედისწერო ფურცელია.

„მზიანი დღე იყო, ტბილი და საამო, ტოლებში ვხარობდი. უცრად შევხვდი მას. თითქოს ბინდი გადაშეკრა თვალბზე. ავირე, ტოლებს გავეთიშე. ვუტკერი მას და მინდა ასე ვუტკირო მარად. ის დღე ჩემი სიჭაბუქის ახალი ცეცხლი იყო. გულის სიმებს რალაყამ ჩამოჰკრა, დაიწყეს ქლერა და მე მინდა, მწყურია, როგორც „მოწყურებულ ირემს წყარო ანკარა“, ეს ქლერა ისმინოს მან, მან გაიგონოს მხოლოდ... მაგრამ, ვაი, რომ იგი მას არ ესმის და მე მწყავს ცეცხლი იღუმალი... ჩვენი შეხვედრა ჩემი ასეთი წვალებით დაიწყო. ყოველ ლექსს, ყოველ სიტყვას, ყოველ სიმღერას თითქოს იგი მაწერინებს, მისი შუქია ჩემი მელანი.

მაგრამ ეს სიმღერები, ეს ლექსები ისევ მე მაწვალებენ, ჩემს გულშივე რჩებიან... ეს ყმაწვილური გამბედაობის ბრალია უთუოდ.

და, აი, ერთი საბედნიერო შემთხვევა: მან წიგნი მთხოვა. მე ამ წიგნში ჩემი სული ჩავდე, ჩემი ლექსიც ჩავმალე და მივართვი მას, როგორც უბიწოება, როგორც გული. მაგრამ არ ვიცი, უთხრა თუ არა ამ წიგნმა ის, რაც მე დაეაბარე.

მაგრამ ჩემი სიჭაბუქე ამაღლდა ზეცამდე, მზეს მიესალმა, როცა მანაც მომიძღვნა წიგნი, რომელშიც მისი ხელით გაჭედული სტრიქონები ელაგა... ეს სტრიქონები გულშიაც ჩავილაგე და ის წიგნი უკვდავების გარეკანით შევფუთენი...

შემდეგ...

შემდეგ მე ყოველი მისი შემოხედვა იმედით შევიგრძენ და მღუმარედ, უმეტყველოდ მივივნიე ჩემს გულის-თქმას. არ ვიცი, რატომ, მე მჭეროდა, რომ მის გულსაც მოხვდა ჩემი გულიდან ამოვარდნილი ნაპერწყალი. რა ვიცი, როცა აღამიანს თავდავიწყების

ბურუსი აკრავს, ჰგონია, თითქოს ქვეყანა ისე ბრუნავს, როგორც ქვეყანა... ასე იყო, ასე მჭეროდა... გითხრა, რომ ახლა უფრო მეტად მჭერა.

შემდეგ...

შემდეგ ასე მოხდა:

დაეშორდით ერთმანეთს დროებით, გულით კი არა, ისე, მიძნელებდა თქმა, როგორ, რანაირად?

და ახლა ჩემი წვალება გაბეერდა, უფრო მომწყურდა მასთან ყოფნა. იქ, როცა მასთან ვიყავი, ერთი სიტყვაც არ მითქვამს იმის შესახებ, რომ მე მწყურია იგი, ის ანკარა წყარო. მზორკავდა მორიდება, ყმაწვილური გულუბრყვილობა, გაუბედაობა. ენაც კი დამებმბობდა ხოლმე ხანდახან, როცა მის გვერდით ვიყავი... ახლა კი, აქ, ასე ვფიქრობ: ნეტა მასთან ვიყო ახლოს, ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი. აღარ შემიძლია მეტის ატანა. დაე, ეწყინოს, გამეიცხოს, დამემღუროს, რა ვქნა, მისი ნებაა, მის სურვილს მე ფიანდაზად გავეგები, თუნდაც ამ სურვილმა დამწიხლოს.

და აქ ყოველი დღე ჩემი ცხოვრებისა ამ ფიქრით იწყება.

ერთხელ ჩავედი კიდევ, ვინახულე, გავიგე, გაისად აქეთ წამოსვლას აპირებს. თითქოს თქვა კიდევ, მაშინ უფრო ახლოს ვიქნებითო. არ ვიცი, თქვა თუ მომეჩვენა, მომესმა, რა ვიცი, ასე კი შევიგრძენ... ისმინოს გამჩენმა, დაე, აღსრულდეს ეს ნატვრა. რა მინდა მეტი? ოღონდაც ასე იყოს, ერთად ვიყოთ...

გუშინ ერთი მეგობარი შემხვდა, თითქოს ჩემი წყენინება უნდოდა, მიამბო: „იმასო ერთი ვინმე უნახავს იქ. მის ცეკვას მოუხიბლავსო. დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ბარათებიც მისწერესო. ის ჰაბუქი იქ ცხოვრობსო“. გამშორდა ჩემი მეგობარი და მე დავრჩი, როგორც შემოდგომაზე ფოთლებ-ჩამოცვენილი ხე. ზოლით გავხედე ამ ამბის მომტანის კვალს, მერე ჩემს გზას დავადექი და ვფიქრობდი: „მერე

რამ აქ ცუდი? შეიძლება ეს მოჰორი-
ლი ამბავი იყოს? თუნდაც ნამდვილია,
მე მაინც არ მივაქცევ ყურადღებას. მე
ვიცი, მას გული აქვს, თბილი გული,
რომლის ცეცხლითაც ჩემი გულიც
ცოცხლობს. ხომ ექნება მას ეს გული
ყოველთვის, გინდ ჩემს ახლოს იყვეს,
გინდ — სხვისა, ხომ ექნება იგივე
სითბო? და მაშასადამე, ჩემი გულიც
იცოცხლებს. იცოცხლოს ორივე გულ-
მა..."

ასეა, ჩემო მეგობარო, ამბავი. ჩემს
სიკბუტეს მან შეუწოთ ცეცხლი. არ
ვიცი, აწი რა იქნება... ჩამიჭრობს იგი
ამ ცეცხლს თუ უფრო გამიღვივებს,
დამწვავს და მის კალთაში ფერფლად
ჩამიყრის. ეს მასზეა დამოკიდებული
და მე ვიქნები ქვეყანაზე ბედნიერი ად-
ამიანი, რომლის სიმალღე არავინ იქ-
ნება...

ოი, ზეცაო, შენ დაიფარე იგი, შენ
გადურჩინე მას უბიწოება და სისპე-
ტავე. შეისმინე ეს თხოვნა შენი შეი-
ლისა, შენი მგოსნისა, შენი მეხოტბი-
სა..."

ასე დაამთავრა, ეთერ, ჩემმა გულ-
მართალმა მეგობარმა ეს ამბავი. მე
ძლიერ ავღელდი და ვერც მოვახერხე
რაიმე დამამშვიდებელი სიტყვები
მეთქვა მისთვის.

შემთხვევით ჩემ ძმას მოუხდა წა-
მოსვლა ქუთაისს მე შინდა ერთი წერი-
ლი მაინც წაიკითხო ჩემი, სახსოვრად
მაინც.

ვერავის ვენდე და აი, ჩემს ძმას
ვატან. ნაჩქარევად დავწერე და ჩემი
მეგობრის ნათქვამი სრულად ვერ
მოვიგონე. იმიტომ გწერ, რომ იქნებ
შენ მითხრა რამე დამამშვიდებელი სი-
ტყვები, რომელიც დააწყნარებდა ჩემს
საყვარელ მეგობარს. თუ ამ თხოვნას
შემისრულებ, მომწერე, გამომიგზავნე,
გადავცემ მეგობარს და ვიხსნი მას,
საბრალოს მეტად,

აბა, შენ იცი.

წერილზე მინაწერი:

ეს ბარათი შარშან მოგწერე. ძმას

გამოვატანე ქუთაისში. ვერ უნახიხარ,
უკან მომიტანა.

ერეკლელი

მას მერე სულ ჯიშეშე-მწყქმე მერე-
ჯერაც შემხედი, მაგრამ ვერ გადმოგეცო.
ახლა გადავწყვიტე, სადაც არ უნდა
გნახო, გადმოგეცე. იგი ჩემი წმინდა და
უმანკო გრძნობაა. იქნებ ჩემი ბიოგ-
რაფიაც იცნო?

წაიკითხე... წაიკითხე და თუ შენს
გულთან ახლოს მივიდეს, კიდევ წაი-
კითხე.

შემდეგ, თუ მოისურვებ, რაც რამ
დამიწერია შენზე, ყველაფერს წაგა-
კითხებ.

ოლონდ წაიკითხე... წაიკითხე და დაი-
ჯერე

ვალოდია

1939 წ. 9 მაისი.

შენიშვნა:

აღრესატამდე მაინც ვერ მიალწია ამ
წერილმა.

საცა არ მიმრეგე-მომრეგვა ომისა და
ტყვეობის გრიგალმა, ამ სიყვარულის
ფესვები ვერ ამოგლიჯა ჩემში. სატა-
ნური ძალების მფლობელობაში თით-
ქოს შეუძლებელიც იყო, შეგენარჩუ-
ნებია ამგვარი ანგელოსური გრძნობა,
მაგრამ მე შეეძელი კი არა, თვით ამ
გრძნობამ შემადლებინა, მთლად არ
დამშრეტოდა კაცური ძალები, მთლად
არ გამომფიტოდა ძვალი და ხორცი,
თავს მახსენებდა, სინანულს წამიკიდებ-
და, არ მასვენებდა სინანულის ხმები:
„ილუბები, ქრები, მიდიხარ, იკარგები
უგზო-უკვლოდ, ვაგუმხილა მაინცა, გა-
გენდო ორიოდე სიტყვითა, იმ წერილს
მაინც მიეღწია, დარჩენილიყო ისა ამ
ცოდნითა, ეფიქრა, ეწონა, ეგავიავგლახ-
ნა, იქნება იმასაც ეკიდა ეგ ცეცხლი, აბა.
რად არ გაგირბოდა, რად არ გეუცხო-
ებოდა, კომკავშირიდან რო გაგრიცხეს
და ოთახიდან გამოგაგდეს, დერეფანში
ფანჯრის რაფაზე რო ჩამოგეჭი მარ-
ტოლმარტო, კრება რომ გათავდა და შე-
ნთან არავინ მოვიდა, ის და ბაბუცა ხო
მოვიდნენ, ხო დაგიყვავეს. ხო გითა-
ნაგრძნეს, ხო ჩაკიდეხ ხელი, ჯერ ეზო-
ში ჩაგიყვანეს, მერე ქუჩაში აგიყოლი-

კოლებანი, წარმოუდგენლად გრძელი დროითა და წინაღობებითა, მართლა მტერსაც რო არ უსურვებს ადამიანის-შვილთაგანი არცარაგინ, სწორედ ისეთ-ნი.

უსაზღვროდ გაიხარა მიხეილ მახათამ, თბილისის უნივერსიტეტში გამოცდები რო ჩავაბარე და ჩამრიცხეს. სხვა მასწავლებლებმაც გაიხარეს, სჯეროდათ, ჩემი ცოდნით არ შევლახავდი მათ მიერ დაწერილ მაღალ ნიშნებს, მაგრამ ის აშინებდათ, კომკავშირიდან გარიცხული რო ვიყავი, ვთ, თუ იქაც წინ გადაეღობონ ამის გამო.

მე მართლაც იმ ზაფხულს მხოლოდ ამიტომ გავეშურე თბილისს, ვგრძნობდი, რომ უსამართლოდ გამრიცხეს, მინდოდა სამართლისათვის მიმეგნო, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში საჩივარი შევიტანე და, რაკი აქა ვარ, ბარემ უნივერსიტეტში შევიტან-მეთქი სბუთებს. თუ ჩავაბარებდი, ხო კარგი, თუ არა და სამართლიანობას რო მივაკვლევდი, ამაში რატომღაც დარწმუნებული ვიყავი.

არაფერი დამიშავებია. პირიქით, მთელი წლის განმავლობაში სხვა სკოლებიდან ჩემთან აგზავნიდნენ წარმომადგენლებს, გაეცანით, რა კარგად მუშაობენ იქ კომკავშირლები.

მართლაც ასე იყო. გულში ვფიქრობდი, ამას ხომ ყველაფერს შეისწავლიან, ჩემს საჩივარს ხო კვალდაკვალ მიჰყვებიან და, აბა, სხვას რას უნდა მიაკვლიონ-მეთქი.

ვისიმე ავი ხელი რო არ გარეულიყო ჩემს საქმეში, ჩემზე ხმა მიაწვდინეს იმჟამად ამიერკავკასიის კომკავშირის სამხარეო კომიტეტის მდივანს ეორა გიორგობიანს.

მაშინ საქვეყნოდ განთქმული ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის ცოლის უფროსი დაი ჰყავდა ცოლად ეორა გიორგობიანს. მე ამათ ოჯახში ვცხოვრობდი იმხანად. ნინო და ისიდორე გვეტაძეები ქუთაისში ჩვენი ოჯახის ახლო მეგობრები იყვნენ. მერე თბილისში გადმო-

სახლდნენ. მამაჩემმა თბილისში როცა ჩამომიყვანა, ამათთან დამტოვა ბინად.

ისიდორე ბიძამ ჩემი კომკავშირის ამბავი გაიგო, მაგას ზეალზე ეორის შევატყობინებო. ვთხოვე, ნუ შეაწუხებ, არ არის საჭირო-მეთქი. მარა ჰქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგ ჯიბჯირების ხელში მარტო, უყურადღებოდ რო. გორ დაგტოვებო.

მეორე დღესვე გაემართა სიძესთან, ეორა გიორგობიანთან მის აგარაკზე ოქროყანაში. ნახა, თხოვა, დაბრუნდა და მითხრა, ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

წელში გავიმართე და ოდნავ დამშვიდებულმა შევუდექი გამოცდებისთვის მზადებას. მაინცდამაინც თავი არ მომიკლავს სახელმძღვანელოებში კორკით. გამოცდის წინადღეს თვალს გადავავლებდი სახელმძღვანელოებს, ყოველგვარი წინამძღოლისა და პრეტეტორის გარეშე გავდიოდი გამოცდაზე და ვლებულობდი ოთხიანებსა და ხუთიანებს. მაშინ ფილოლოგიურზე არა მარტო ლიტერატურასა და ისტორიას, არამედ ფიზიკას, არითმეტიკას, რუსულსა და უცხო ენასაც ვაბარებრით.

დავდიოდი კომკავშირის ცეკაში ჩემი ამბის გასაგებად და თან ვაბარებდი გამოცდებს. როცა გამოცდები დამთავრდა, კომკავშირში უკვე აღდგენილი ვიყავი.

ასე დაებრუნდი ქუთაისში.

ეორსაველი და კომკავშირის რაიკომის მდივანი, — (გვარი აღარ მახსოვს), — უკვე ხალხის მტრებად იყვნენ შერაცხილნი და კაცმა არ იცოდა, სად გააქრეს.

მე თავალერილი დავდიოდი ქუთაისში. მიხეილ მახათამეს სკოლის დირექტორისათვის სიტყვა გადაუქრავს, რა თქმა უნდა, სამასწავლებლოში, მასწავლებლებთან ერთად, ჩვენი ხალხის მტერი მოსწავლე სულაბერიძე კომკავშირში აღდგენიათ, სულაც არ ყოფილა ხალხის მტერიო.

ერთ დღესაც ბულვართან ჩემი მეგობარი, ნარბენალი და აქლოშინებული,

მომვარდა, მაღლა შემართულ ხელში გაზეთი ეჭირა, სადა ხარ, მოვევდი შენი ძებნითო;... შემომძახა, — ჩარიცხული ხარ, ბიჭო, ჩარიცხულიო.

ჩავენდევ გაზეთს, ჩარიცხულთა შორის ჩემი გვარის ამოვიკითხე.

მყისვე შინ შევუბრუნებინე გაზეთი მიხელ მახათაძეს.

შებლზე თავის ქალის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, პატარა ღრმული აჩნდა. იმაზედაც კი გადაედებოდა ღიმილი, როცა ძალიან გაახარებდა რამე.

ბარემ აქვე მოგახსენებთ კიდევ ორიოდ სიტყვას მიხეილ მახათაძეზე.

იმავე წელს თბილისში გადავებარჯდი, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში, სტუდენტთა ქალაქში მომცეს ბინა, ერთ ოთახში ექვსი სტუდენტი ვიყავით. იმავე კორპუსში ცხოვრობდნენ აგრეთვე ჩემი მეგობრები ვლადიმერ უბილავა და იოსებ ნონეშვილი.

მშობლები ჯერ კიდევ ქუთაისში იყვნენ.

ბატონ მიხეილს წერილებს ვწერდი. ისიც გატაცებით მპასუხობდა. ლექსებს თუ გაუგებზავნიდი, დაწერილებით მომწერდა ხოლმე თავის აზრს. სათუთად ვინახავ მის წერილებს ჩემს არქივში. ჩემი წერილები კი ბატონი მიხეილის არქივში ინახება და, იმედი მაქვს, მომავალი მკვლევარი ბევრ საინტერესო ამბავს ამოიკითხავს ამ მიმოწერებიდან.

ამჯერად ერთერთს ვაჯაცნობთ ნიმუშად. ეს ბარათი მიხეილმა მომწერა საშუალო სკოლის დამთავრებიდან ოცი წლის შემდეგ:

„ძვ. ვალოდია!

სიყვარულით გადაგებხვევი, როგორც ჩემი ახალგაზრდობის მისწრაფებათა ტკბილ ნაყოფს, ჩემ უსაყვარლეს მოწაფეს, ჩემ ძვირფას მეგობარს. როგორ დამემთხვა ერთმანეთს გუშინდელ დღე და ეს წერილი. აქ გუშინ, თქვენი გამოშვების 20 წლისთავეზე, შეიკრიბნენ შენი ამხანაგები. დილით სკოლაში ვიყავით მიწვეულნი. მე ცოტა დამაგვიანდა. როცა კლასში შევედი, თითქმის მთელი შენი კლასი მერბზე

დამხვდა, იმავე ადგილებზე, რომლებზედაც 20 წლის წინააღმდეგ ვსტუდენტნი. თქვენი ხელმძღვანელი, პაპა მამუკაძე ისმენდა მოწაფეთა თვითანგარიშს სინის მიხედვით. ბოლოს სიტყვა მომცეს მე ვერ ავწერ, რა განვიცადე. ვიცი მხოლოდ, რომ ვერაფერი ვთქვი. საღამოს სკოლამ მოაწყო მათთან შეხვედრა. დავით კვიციანიც წაიკითხა შენი ლექსი, დაწერილი 20 წლის წინათ სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით. შთაბეჭდილება განუზომლად ძლიერი. მღელვარება უჩვეულო. არ ვიცი, ეს ჩემი მდგომარეობის ბრალია, თუ ყველა ასე განიცდის. მე ისევ სიტყვა მეძლევა... ისევ ვერაფერს ვამბობ... და მხოლოდ შემდეგ, საღამოს, ვახშამზე, როცა იქვე ჩემ მეზობლად, გელა იაშვილის სახლში, მაგიდებს 100 კაცამდე ვუსხედით, მე მოვახერხე ერთი თუ ორი სიტყვის თქმა, მაგრამ სადღეგრძელოები იმგვარად დალაგდა, რომ ბევრი რამ დამრჩა უთქმელი. თბილისიდან იყვნენ შოთა სვანიძე და მისი მეუღლე ლილი ტყეშელაშვილი, მესხიშვილი და ბევრი სხვა, რომელთა გვარები არ მახსოვს.

რამდენი რამ მოხდა ამ ოცი წლის მანძილზე, სამწუხაროდ, ბევრი ცუდი. თორმეტამდე ამხანაგი დაპკლებია თქვენს კოლექტივს. მათ შორის ის, რომელიც მე არასოდეს დამავიწყდება: ვახტანგ სამამუშვილი.

ბევრი ცვლილება მომხდარა თქვენს ცხოვრებაშიც: დასრულებულხართ, დაკაცებულხართ, დაქალებულხართ. ყველას სახეზე იხატებოდა ბედნიერება, სიხარული... ყველა ამაყი იყო შეგნებით, რომ რაღაცას აკეთებს თავისი ხალხის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ქუთაისს თუ შევლევოდა, ქუთაისს თუ მიატოვებდა ბატონი მიხეილი, არ მეგონა. პედაგოგიურ ინსტიტუტში დამიწყო მეშობა ლექციებს კითხულობდა. მთელი სიცოცხლე „ვეფხისტყაოსანს“. ჩაკვირკიტებდა, თავისებური დაკვირვებები ჰქონდა, აქვეყნებდა პრესაში და მიგზავნიდა თბილისში.

პოლემიკა გაუმართა ზოგ-ზოგ რუსთველოლოგს. ბევრი რამ გაიზიარეს მისი მოსაზრებისა, ბევრი — არა. წაეკიდნენ, გაცხარდნენ, გაცხარდა მიზეზილიც, არ დათმო, არ დაიხია აღიარებული მეცნიერების წინაშეც კი. გაუჭირდა ქუთაისიდან დავისა და პოლემიკის გამართვა. მთავარი პრესა თბილისში იყო, ქურნალ-გაზეთები, გამომცემლობები, ამათში შეღწევა ქუთაისში მოღვაწე რუსთველოლოგისთვის იოლი არ იყო. დისერტაციაც დაიცვა. წერილებით მეცა მიზოვდა რედაქციებში შუამავლობას, შველას, მაგრამ, აბა, მე რის მშველელი ვიყავი, რა შუამდგომლობა უნდა გამეწია, ცოტა რამ შევძელი ძალიან, იქა-აქ, მაგრამ გაიწმამებული რუსთველოლოგების წინააღმდეგ მეტი პუბლიკაცია იყო საჭირო.

სხვა გზა ვერა ნახა და დათმო ქუთაისი. გადმოსახლდა თბილისში, დაემგვიდრა. ჭერ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. თანდათან ცენტრალურ პრესას მიუახლოვდა, შესძლო ბევრი რამის გამოქვეყნება, წიგნებადაც გამოსცა რუსთველოლოგიური ნაშრომები.

დაბრუნება გადარჩენილ „ჩვენთაოგალებთან“

ტყვედყოფილი პირველ ხანებში მწერალთა კავშირს არ ვეკარებოდი. ვიკოდი, მაინცდამაინც სასურველი სტუმარი არ ვიქნებოდი, იქნებ უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა რომელიმე მათგანი.

ჭერ მეგობარი კოლეგები მოვიინახულე:

გადარჩენოდა ქერჩის აურზაურს 1942 წლის მაისში რევან მარგინი, რომელსაც იმავე წელს, თებერვალში იქ შევხვდი მოულოდნელად ქართული დივიზიის გაზეთის სტამბის წინ. ამ გაზეთში მუშაობდა, უკანდახევისას ბევრი უწვალნია, მაგრამ მიუსწრია ნაპირთან მისვლა, გამზე შეუღწევი და ასე გადარჩენილა ქერჩის წყევა-გლეჯვას.

ერთხანს სევანეთში, მშობლიურ მესტი-აში გაბიზნულა ცოლ-შვილებთან. იქვე ალექსანდრე საჭაია სტუმრულად გახდომია მძასავით თანშეზრდილი მეგობარი, ველარაფერი უშველნია, თბილისიდან ვახტანგ ჭელიძეს, პროფესორიც ჩამოუყვანია, ველარაფის ვერაფერი გაუხერხებია და გათფებულა იქვე ეს ნიბლიასავით წმინდა და ალაღამართალი კაცი და პოეტის ვახტანგ ჭელიძესთან ერთად რევანს ალექსანდრეს ცხედარი მშობლიურ ციდაში ჩამოღეს ვენებია.

ალარ დაძვდა ალექსანდრე საჭაია.

ალარ დაძვდნენ ჩემი საყვარელი მეგობრები. კოტე ნიშნიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, ლადო ბალიაური. კოტე და გიორგი ომის დროს ჩეკას დაუპატიმრებია. დაძვგრეტიათ ორივენი. ლადო ბალიაურიც გაუციმბირებით, სასჯელის ვადამ გაუღევიან განთავისუფლებულა, შინ წამოსვლამდე სანადიროდ წასულა და გაყინულ ჰაობზე დაღუპულა.

იოსებ ნონეშვილი თბილისში სამხედრო გაზეთის რედაქციაში ყოფილა გამწესებული ჭერ კიდევ სამხედრო ფარაჯა ეცვა, როცა შეძვდა. ხელი ჩამკდა, რედაქციაში წომიყვანა, შემონახული არაყი გამოიღო უჯრიდან, მომილოცა გადარჩენა.

გულგაშლილად შემომგებნენ ალექო შენგელია, გრიგოლ იმედაძე, ზურაბ ლორთქიფანიძე, შალვა ამისულაშვილი. რის ტყვეობა, რა ტყვეობაყოფილობაო, მერე რაო, ტყვეობისათვის გაგიძლიაო, მეფერენ, მელოლიავენ, ამიყოლიეს და მაჩაბლის ქუჩით მწერალთა კავშირშიაც შემიტყუეს.

ალარ დაძვდა ქურნალი „ჩვენი თაობა“. ომის დროს შეუწყვეტიათ მისი გამომცემა და, აბა, მერე ვილას ცხელოდა მისი განახლებისათვის.

მოუტრჩენელ სენს დაუბუგავს ლადო ასათიანი, ბოლოს ლექსების პატარა წიგნი „წინაპრები“ შეუღგენია, დაბეჭდილა კიდევ მთელი ტირაჟი მაგრამ ვილაცის ბრძანებით დაუჭრიათ,

აუკუწავთ, მკითხველამდე აღარ მიუღწევია წიგნს და ამის დარდასაც გადაპყობია ლადო ასათიანი.

ომიდან აღარ დაბრუნებულან მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, სევერიან ისიანი, ჩემთან ტყუპისცალივით თანშეზრდილი ვლადიმერ უბილავა, რომელიც აგრეთვე ქერჩში შემხვდა. ეს შეხვედრა აღეწერე ჩემი რომანის „ბუღუ ბედის“ პირველი წიგნის წინათქმაში.

ხევსურეთში გადაკარგულა გაბრიელ ჭაბუშაიანი, მასწავლებლობსო, მერე თქვეს, ხევსებერიასო და თბილისს აღარ ეკარებათ.

მეგობრებმა გამაბედვინეს და ლექსებიც მიმატანინეს „ლიტერატურულ გაზეთში“ გიორგი ნატროშვილთან. ცოტა ხანს თავი შეიკავა გიორგიმ, მაგრამ მაინც დაბეჭდა ჩემი ლექსები. ეს უკვე სრულ დაბრუნებას ნიშნავდა ჩემთვის. ამის შემდეგ, „მნათობშიც“ გაგზავდე ლექსის მიტანა. ეურნალში პოეზიას კონსტანტინე ჰიჭინაძე განაგებდა. მიხზო ერთ დღეს, მომიჭდა გვერდით, გულდასმით ჩემთან ერთად წაიკითხა ლექსი „ავგაროზი“, რამდენიმე შენიშვნა მომცა და ერთი რჩევაც მომაშველა. ეს ლექსი უნდა დაგბეჭდოთ და ზომ არ გერჩია, ვლადიმერის ნაცუვლად ლადოდ გადაგაკეთოთ შენი სახელით, ასე უფრო ქართულიაო. რა თქმა უნდა, მაშინვე დავეთანხმე და ასე გახდა ამ მხრივ ჩემი ნათლია ბატონი კონსტანტინე ჰიჭინაძე.

ის ლექსი დაიბეჭდა სტალინს ეხებოდა, ომში მიმავალ შვილს დედამ ყელზე ავგაროზი ჩამოჰკიდა, რომელზეც საკუთარი ხელით ამოეჭარგა „სტალინი“ და ეუბნება: „ამნაირი კაცის მადლი დედას შვილს არ დაუკარგავს“. პირიქით ხდებოდა ყველაფერი და მე მაინც ასე დავწერე. ასე წერდა ყველა, თითქმის ყველა. „რა კაცია, რა კაცია, მუხაა თუ აკაცია, სტალინია, სტალინია, სტალინია, სტალინია“, — ადრე, ქუთაისში, ასე წერდა ლადო ასათიანი. ასე წერდნენ უფროსებიც და უმცროსებიც.

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთესად დაწერდა. ყველაწარმოთემა ბოლოს ბელადს უნდა დაეწავებინებოდა. მეც ვაბუჯობიდანვე ამიყოლია ამ ცდუნებამ. ბეჭდვის სულსწრაფობა დამყვა თავიდანვე, ვერ მოვერიე ამ სულსწრაფობას, კონიუნქტურული თემები კი დიდ გასაავალში იყო, მაშინვე იბეჭდებოდა, ლექსი რომ მდარე ყოფილიყო, მაინც იბეჭდებოდა. მე კი ძალიან მინდოდა ჩემი გვარი გახმაურებულიყო პრესის ფურცლებზე. ამის გამო ბევრი ამდაგვარი ლექსი მაქვს დაწერილი. ახლა დიდად ენანობ, მაგრამ, აბა, რომელი ნაჭაბი ამოჩეხავს მათ პრესის ფურცლებიდან?!

„ავგაროზის“ შემდეგ მოხშირდა ლიტერატურულ პრესაში ჩემი ლექსების ბეჭდვა.

1947 წლის დასაწყისში ბატონმა სიმონ ჩიქოვანმა, რომელიც მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, მითხრა, განცხადება მომიტანე მწერალთა კავშირის წევრად მიღების შესახებო. მიუუტანე განცხადება და მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად.

ამ გაცხოველებულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაბმულს, მავიწყდებოდა ტყვედყოფილობა და მოულოდნელად გაციმიბირების მოლოდინიც კი, რომელსაც, რა თქმა უნდა, არავის ვუმხელდო.

ერთხელაც მწერალთა კავშირში მოეწყო ჩემი ლექსების კითხვა-განხილვა. უკვე გამოქვეყნებულ რამდენიმე ლექსთან ერთად წავიკითხე ახალი ლექსებიც. ეს ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ამის თაობაზე 1947 წლის აპრილში გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა ინფორმაცია:

„17 აპრილს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში მოეწყო პოეტ ვლადიმერ სულაბერიძის ახალი ლექსების კითხვა-განხილვა. შესავალი სიტყვით გამოვიდა შალვა ამისულაშვილი.

ვ. სულაბერიძემ წაიკითხა 30-მდე

ლექსი. ლექსებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს დამსრუტთა შორის. კითხვის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სიმონ ჩიქოვანმა, ალ. გომიაშვილმა, აკ. გაწერელიამ, ი. ვაკელმა, ერ. ასტვაცატუროვმა, გ. შატბერაშვილმა, ს. წვერავამ, ი. ნონეშვილმა, ო. კელიძემ. მათ მაღალი შეფასება მისცეს ვ. სულაბერიძის ახალ ლექსებს.

— ვ. სულაბერიძის სახით, — განაცხადა ს. ჩიქოვანმა, — ჩვენ გვყავს ერთ-ერთი მეტად საიმედო ახალგაზრდა პოეტი. მის მიერ წაკითხულმა ლექსებმა: „სანგარი“, „ელვა“, „ნარიყალას ამონათქვამი“, „სიღიდრი“, „ბოხობი“, „წვიმაში, სამგორთან,“ და სხვ. ჩემზე მოახდინეს ძალზე კარგი შთაბეჭდილება. მათში იგრძნობა ავტორის დიდი უშუალობა და სახეების სიხალე. ლექსები „სანგარი“ და „ელვა“ ნამდვილი რეალისტური ლირიკის ნიმუშებია.“

ალ. გომიაშვილმა აღნიშნა, რომ ვ. სულაბერიძის თითქმის ყველა ლექსი კომპოზიციურად კარგად არის შეკრული.

აკ. გაწერელიას აზრით, ახალგაზრდა პოეტის ლექსებს ღრმა შინაარსთან ერთად ახასიათებთ ფორმის სიხალე. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ლექსი „ღებო“.

— ვლ. სულაბერიძე, — თქვა ერ. ასტვაცატუროვმა, — საკუთარი ლირიკული ხმის მქონე პოეტია. მას ეხერხება ლექსის თემასთან თავისებური მისვლა, თემის თავისებურად გადაჭრა.

დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვეს სხვა ორატორებმაც. კამათში გამოსულმა მწერლებმა ახალგაზრდა პოეტს მიუთითეს აგრეთვე ზოგიერთ ნაკლებზეც.

ალეკო შენგელიამ შემომთავაზა, შემეღვინა ლექსების წიგნი და ჩამებარებინა გამომცემლობა „საბლიტგაშში“. ამ გამომცემლობის დირექტორი იყო ვახტანგ კელიძე და მთავარი რედაქტორი გახლდათ ალეკო შენგელია. მანამდე ლექსების წიგნი არ მქონდა გამო-

ცემული. გულდასმით შევადგინე, კრებულს დაეარქვა „ყირიმის ლექსები“ და გამომცემლობას ჩავაბარე.

1947 წელსვე ჩატარდა თბილისში ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. თათბირ-სემინარს უძღვებოდა სიმონ ჩიქოვანი რომელიც ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეც იყო, მე ვიყავი ამ კომიტეტის მდივანი.

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაზე საინტერესო მოხსენება წაკითხა სიმონ ჩიქოვანმა.

1947 წლის 21 ივნისს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა სიმონ ჩიქოვანის ხსენებული მოხსენება „ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედების საკითხები“, ეს იყო იმდროინდელი ახალგაზრდა მწერლების პირველი პროფესიული, გულდასმითი განხილვაცა და აღიარებაც ამავდროს, საერთოდ, ქართული პოეზიის პრობლემებზე საუბარიც. მანამდე ამგვარი პოეტური რუღუნებით არავის განუზილავს ახალგაზრდა მწერალთა იმეამინდელი შემოქმედება.

სიმონ ჩიქოვანი და მის მიერ ჩაყაზი წარღვანილი „დახასიათება“

მოხსენება იყო თუ იმპროვიზებული სიტყვა, სტატიები თუ საუბრები შინ, გარეთ, კაბინეტში, ფოიეში, გზაზე სიმონ ჩიქოვანისა, ეს იყო ლიტერატურაზე თავდაუიწყებით შეყვარებული კაცის ნაუბარი და ნაწერი, აზრი ნათელი და თავისებური, გამოსათქვამი სტილიცა თავისებური და ცხადი, საწუხარი თავისი, კერძოცა და საერთოც, საბალხოც, საეროცა, პოლემიკურიცა, მაგრამ პირადი გაიწიწმატება რო არასოდეს ეტყობოდა, ისეთი მოდავე-მოკამათისა, მომფერებელ-მაჭებარისა, ოღონდ მიუკერძოებელი, მარწმუნებელი საბუთებით რო წარუდგენდა მკითხველსა თუ მსმენელს.

თანატორი იყო და არც იყო თანატორი.

ლი, მასწავლებელი იყო და არც იყო მასწავლებელი, უფროსი იყო და არც იყო უფროსი, ასაკობრივადაც, თანამდებობრივადაც... ყოველნაირად, ყველანაირად... რაღაცა სხვა იყო მუდამ, არც ისა და არ ესა, თავისნაირი მხოლოდ და ამიტომაც არავისნაირი, ზნეობითაც, ცოდნითაც, პოზიციითაც, გემოვნებითაც (რომლის კამერტონიც მუდამ შეუმცდარად ეკირა ხელთ). — ხასიათითაც, პიროვნული და საზოგადოებრივი ხასიათითაც, კაცურკაცობითაც და არაკაცურკაცობითაცაო, ამას კი ვეღარ ვიტყვი, რადგან არაკაცურ კაცობრიული არა გააჩნდა რა, არც ბუნებრივი და არც საგანგებოდ მოფიქრებულ-მოქსელილი.

ასეთი პიროვნებები მართავენ სიტუაციებს.

გარს ეხვიენენ დიდი მწერლები და პიროვნებები, ჩვენი დროისა, თანმედროვენი, თანამებრძოლნიცა და ოპონენტებიც, მაგრამ მნიშვნელოვანი, წარჩინებულნი უკვე, დღეისდღეის მშვენიებანიც, ზეალისაცა, ზეგისაცა, სიცოცხლეშივე უკვე უკვდავებისა და მარადიულობის გზაზე შემდგარი გერონტი ქიქობე, პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, პოლიკარბე კაკაბაძე, გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელია, იგივე გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც ებაექრებოდა კიდეც, კი არ ებაექრებოდა, თავის აზრს გამოთქვამდა, მოდერნისტული გზა არა გალაკტიონით, არამედ ალექსანდრე შანშიაშვილით იწყებოა. გამოთქვა ეს აზრიც, მაგრამ არა იმიტომ, რომ გალაკტიონის ტალანტის, — (ნიჭიო, არასოდეს იტყოდა, ტალანტიო, თეატრსაც არ წარმოთქვამდა, ტეატრიო). — ფასი არ იყოდა სამამულო პოეზიაში, არა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგადაც იყოდა, აბა, სხვას ვის ეცოდინებოდა ისე, როგორც მან იყოდა. თავისი აზრი მოგვაწოდა, გავვიზიარა, შანშიაშვილმა დაასწრო, პირველად მის ლექსში გაიელვა ახალმა მოდერნისტულმა მიმოხვრამაო. ამით ის კი არ

დაუძალებია ჩვენთვის. შანშიაშვილი გალაკტიონზე უფრო მნიშვნელოვანია. არამც და არამც. არც შეუძლებელია პოეტი ერთმანეთისთვის, თავისი დაკვირვების ანარეკლს მოგვართ თვალი და, როგორ თუ შანშიაშვილიო, იმცხეთა ზოგიერთმა, მტრობა დასწამეს გალაკტიონისა.

სიტყვა გამექცა, იმას მოგახსენებლით, ამგვარი მწერლებისა და პიროვნებების გარემოცვაში იყო და სიტუაციის ტონს მაინც ის ქმნიდა. ამისთვის მას მწერლობის თავმჯდომარეობა სულაც არ სჭირდებოდა, თავისი პირადი ინტელექტუალური თუ კაცობრიული ღირსებებიც საკმარისი იყო, რომ მოვლენათა ცენტრში აღმოჩენილიყო მუდამ, მაგრამ იმასაც ნუ ვიტყვით, თავმჯდომარეობა არაფერ შუაში იყო. იყო, როგორ არ იყო მხოლოდ ამგვარ მწერალს ძალუძს მწერლობის წინ გაძლოლა, შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა. დისკუსიების გაჩაღება იმის გასარკვევად, რა ახალი სასიცოცხლო ძალები აღიძრა ლიტერატურაში, რა კინიშა იჩინა თავი. ეს მაშინ, როცა მოძალეებული იყო მამებლური, სახოტბო, სატაშფანდურო ნაწერ-ნააზრევენაცოდვილარი, მაგრამ მწვეანე შექიანი სამწერლო ნიმუშები. შეეცდებოდი მაღალი მხატვრული პოზიციიდან გაგეანალიზებინა ესა თუ ის ნაწარმოები, მაშინვე კონიუნქტურული ნიღბოსნები წამოგძახებდნენ: იდეურობა?! ბელადი?! ოქტომბრის რომანტიკა?! როგორ თუ საბჭოთა, კოლმეურნე დედას თვალზე ცრემლი მოადგა, როცა ქალაქში სასწავლებლად წასული შვილი მოაგონდაო?!

ამგვარ ვითარებაში ძნელი იყო გაწონასწორება ნამდვილი და ფსევდო-ლიტერატურისა, მაგრამ ბატონმა სიმონმა, როგორც მწერალმა და როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ღირსეულად გაიარა ამ ბეწვის ხიდზე.

ამის გამო ბევრჯერ იგემა სიმწარე და სამსალა, სიცოცხლის ბოლო წლებშიც ნამდვილი ლიტერატურის გამო-

ქომაგებისათვის მწარე მათრახებიც გადაკრეს, რამაც ერთგვარი ფსიქოლოგიური ტრავმაც კი მიაყენა და მის დიპტის მეტი ბიძგი მისცა ხმელი სხეულის დასათრგუნავად, მაგრამ რაინდული სული ერთი წამითაც არ შესუსტებია, ვაჟაყულად განაგრძობდა გზას ბეწვის ხიყდზე.

სიმონ ჩიქოვანზე წიგნებია დასაწერი. ერთ წიგნში ოციანი-ოცდაათიანი-ორმოციანი წლების ქართველებში მოხვედრილი სიმონ ჩიქოვანი უნდა წარმოჩინდეს.

მეორე წიგნში მარიკა და სიმონ ჩიქოვანების ამაღლებული სიყვარული უნდა აიწეროს (ოი, როგორ სჭირდება დღეს ამგვარი ოჯახისა და სიყვარულის წიგნი საქართველოს).

ერთ-ერთ წიგნში მხოლოდ იმაზე უნდა იყოს საუბარი, მარიკა და სიმონ ჩიქოვანების ოჯახი როგორ გახდა უცხოელი სტუმრებისათვის სამასპინძლო ტაძარი. ეს არ იყო ქართული კულტურის უბრალო ცნობათა ბიურო, რომელიც მაშინაც და ახლაც აურაცხელი სანოვაგით დახვავებულ სუფრასთან თავდებოდა და თავდება. ეს იყო ნამდვილი ტაძარი, საცა ათეული წლების განმავლობაში უცხოელები სწავლობდნენ და შეიცილობდნენ, ეზიარებოდნენ ქართულ კულტურას, განსაკუთრებით მდიდარ ქართულ ლიტერატურას. ამ ტაძრიდან მხოლოდ სუფრული ემოციები არ მიჰქონდათ უცხო სტუმრებს, ისინი ქვეყნისა და ხალხის კულტურისა და ყოფის მრავალმხრივი ცოდნითა და ნამდვილი მეგობრული გრძნობებით დამუხტულნი ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყნებში და ოჯახებში.

სხვა წიგნში ის უნდა ითქვას, ახალგაზრდა ლიტერატორთა თაობებთან რა ურთიერთობაც ჰქონდა სიმონ ჩიქოვანს.

ერთ წიგნშიც იმას აღწერდა კარგი მთხრობელი, როგორ ესარჩლებოდა ის იმდროინდელ ცენზორულ ვითარებაში დევნილსა და შევიწროებულ მწერლებს, მათ ღირსეულ ნაწარმოებებს, ამ წიგნს

ოთარ ჩხეიძე უფრო კარგად დასწერდა, უფრო ლაღად გვიამბობდნენ მწერლები რაფულ წყაროებზე დაყრდნობით.

ცნობილია საქვეყნოდ: სახალხოდ, ხშირად ითქვა და კვლავ და კვლავ იგონებენ, სწერენ და გადმოგვცემენ მის ურთიერთობაზე ახალგაზრდა ლიტერატორებთან. ჩემ თვალწინ რაც ხდებოდა და რისი მოწმეც მე თვითონა ვარ ომის წინაც და ომის შემდეგაც, ეს ხო ვიცი და ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, ჩემი რვა წლის გაციმბირების დროსაც როგორ განაგრძობდა თავის ჩვეულებრივ მოღვაწეობას ახალგაზრდებთან. არანაირი სასწორით არ აიწონება მისი თანაგრძნობა ორმოციანი წლების ახალგაზრდა მწერლების, ეგრეთწოდებული „ჩვენი თაობელებისადმი“.

ამ მხრივ საინტერესოა სიმონ ჩიქოვანის მიერ წარმოთქმული სიტყვა საქართველოს მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის 1948 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი № 21, ცენტრ. სახელმწ. ლიტერატურის არქივი). სხდომას ესწრებოდნენ პრეზიდიუმის წევრები: ს. ჩიქოვანი, ა. გომიაშვილი, ირ. აბაშიძე, შ. დადიანი, ი. მოსაშვილი, და მოწვეული სტუმრები: ბ. ჟღენტა, პ. ინგროყვა, კ. ჭიჭინაძე, კ. კალაძე, მ. მრეველიშვილი, შ. ალბაზიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. აგიაშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. შატბერაშვილი, ს. კლდიაშვილი, ალ. ჭეიშვილი. სხდომაზე ეურნალ „მნათობის“ შესახებ ინფორმაცია გააკეთა მთავარმა რედაქტორმა ირ. აბაშიძემ. სიმონ ჩიქოვანმა, რომელიც მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, თქვა:

„იმ ახალგაზრდა მწერლების შესახებ, რომლებიც იბეჭდებიან, აუცილებლად უნდა დაიწეროს კრიტიკული წერილები, ო. ჩხეიძის, ნ. აბაშიძის და სხვათა შესახებ. ეურნალ „მნათობმა“ უნდა გამოიჩინოს თავისი ეურნალისადმი პატრიოტიზმი და მის მიერ გამოყვანილ მწერლებს პოპულარიზაცია გაუქეთოს. სარედაქციო კოლეგიამ კრიტიკოსებს უნდა დაავალოს კრიტიკული

წერილების დაწერა და, მე დარწმუნებული ვარ, ასეთი წერილები დაიწერება. შედგეს სია იმ ავტორებისა, რომლებიც დაიბეჭდნენ და მობილიზაცი გაუყუთდეს კრიტიკოსებს მათ ნაწარმოებთა შესახებ კრიტიკული წერილების დასაწერად. მწერალთა კავშირიც არის ამაში დაინტერესებული და ეს ასწავს მის ავტორიტეტს. ავტორს მისი ნაწარმოების გამოქვეყნებისთანავე უნდა მიეცეს ჩვენი შეფასება. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ავტორების ზრდას. ჩვენ უფრო აქტიურად უნდა დავებმართოთ ახალგაზრდა მწერლებს. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენ მიერ სამწერლო ასპარეზზე გამოყვანილი ახალგაზრდები. სარედაქციო კოლეგიაში უნდა შევიყვანოთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ეხალისებათ და თავის მხვალეობად მიაჩნიათ ახალგაზრდა ავტორებს დაეხმარონ.“

თავის მოსაზრებას ახალგაზრდა მწერლების შესახებ ბატონი სიმონი უპირველეს ყოვლისა პრაქტიკულად თვითონვე ახორციელებდა. მრავალ ამდაგვარ მაგალითიდან ამჯერად ერთ-ერთს გამოვყოფ.

როგორც მოგახსენებთ, 1947 წლის 21 ივნისს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა სიმონ ჩიქოვანის მოხსენება „ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების საკითხები.“ ეს ვრცელი მოხსენება მან წაიკითხა საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე იმავე წლის 14 ივნისს, მწერალთა სასახლის სააქტო დარბაზში. მომხსენებელმა დიდი სიყვარულითა და გულისხმიერებით განიხილა თითქმის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან ახალგაზრდა მწერლის შემოქმედება. გამოთქვა დასაბუთებული და შეუმცდარი შენიშვნებიც. ეს იყო პირველი სერიოზული შეფასება იმეამინდელი ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებისა.

ბატონმა სიმონმა ჩემს შესახებ თქვა: „ვლ. სულაბერიძე სამამულო ომამდე იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზე-

თებში მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი პოეტური ხმა სამამულო ომში ძლიერ დაიწმინდა, იგი ბრძოლის ველიდან ბევრად ამაღლებული დაბრუნდა. მისი ლექსები არა მარტო სამამულო ომის თემაზე, არამედ სხვა თემაზედაც — ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მისი ლექსები „ელვა“, „სამგორი“, „მოგონება“ — კარგი ლექსებია და ნამდვილი შთაგონებით არის დაწერილი. ვ. სულაბერიძეს გააჩნია მიმზიდველი, ნაზი ინტონაცია და მისი ლექსები ჩუმი მელოდიურობით გვიზიდავენ. მათში პოეტური განცდა ცოცხლად და გააზრებულად არის გადმოცემული. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მას ბევრი ერთფეროვანი ლექსი და შინაგან გააზრებას მოკლებული სტრიქონები გააჩნია. ინტიმური ხმით შეფერადება ლექსისა კარგია, მაგრამ ამ გარეგნულმა ლირიკულმა სიტბომ არ უნდა მოგვატყუოს და ნამდვილი პოეტური აზრის და განცდის უქონლობა არ დაფაროს. ყოველ პოეტურ სიტყვას შინაგანი გააზრება უნდა ჰქონდეს. ლექსის ლირიკული ჩანაფიქრის მოყოლაც უნდა შეიძლებოდეს და იგი რიტმის და რითმის გარეშე მოთხრობით პოეტურ შთაბეჭდილებას უნდა სტოვებდეს.“

ბატონი სიმონის ამ პროფესიულმა შენიშვნამ მომავალ მუშაობაში დიდი დახმარება გამოიწვია. დღემდე სულმუდამ ვცდილობ, როგორმე ავცდე ერთფეროვნებას, რაც შეიძლება ნაკლები მქონდეს „შინაგან გააზრებას მოკლებული სტრიქონები.“ და მხოლოდ „გარეგნული ლირიკული სიტბოთი“ არ მოვატყუო ჩემი მკითხველი.

ახალგაზრდობასთან სიმონ ჩიქოვანის ურთიერთობას შთამბეჭდავად გადმოგვცემს ლადო ასათიანის წერილი, რომელიც მან 1942 წლის 24 სექტემბერს მისწერა ჟურნალში, ომში მყოფ ნიკა აგიაშვილს. გადავიკითხოთ რამდენიმე აბზაცი ამ წერილიდან:

„ეჭვი, აგიაშვილო, ასეა ეს! რამდენი კილომეტრითა ვართ ერთმანეთს დაშორებული? მომენატრე! ახლა, ალ-

ბათ, სადღაც ზღვისპირეთის მთებში იქნები შებუღებული და გერმანელ სნაიპერებს ემალები. ღმერთმანი მომენატრე. უთუოდ — შენც გენატრება ლადო ასათიანი და აქაურობაც... ჩამოდი. ჩამოდი, მაგ ძაღლთაპირ ფაშისტებს უშენოდაც მოუვლიანი...

წერილი შევწყვიტე (მწერალთა კავშირში ვწერ) სიმონ ჩიქოვანის მოსვლის გამო, რომელმაც, მოვიდა თუ არა, თუმანი მთხოვა. მივეცი თუმანი — შემთხვევით მქონდა და მერე ჩემი ზემოხსენებული „ბასიანის ბრძოლა“ წავუკითხე. გენიალურიყო, მითხრა. სიმონმა მიიღო შენი წერილი. გაავრცელა შენი ორი ხუმრობა: რადიანზე და ერთიაც კიდევ.

წერილი კიდევ შევწყვიტე. ბესო ქლენტი მოვიდა და მკითხა, რას თხზავო. მე ვუთხარი, წერილს ვწერ ნიკას-მეთქი. სად არის ნიკაო. ფრონტზე-მეთქი, მოკითხვაო და სხვა.

ახლა სიმონ ჩიქოვანი მოვიდა ისევ. თუ კაცი ხარ, გულწრფელი მოკითხვა მისწერეო, წერილის ხასიათზე არა ვარ და ჯერ ვერ ვწერო. მეც გწერ ბულწრფელ მოკითხვას.

ახლა კიდევ მოდის აგერ ვიღაც, მაგრამ ასე ვეღარ გავაგრძელებ, რადგან. შეიძლება, პიესის წერას მივეჩვიო და ხომ იცი..“

მწერალთა კავშირში ნაუცბათეგად დაწერილ ამ წერილში, რომელიც ლადოსათვის დამახასიათებელი იუმორით არის შეფერილი, სიმონ ჩიქოვანის ხასიათის რამდენიმე ასპექტი გამოსკვივის, ისეთი, რაგვარიც მას გააჩნდა ყოველდღიურ ყოფაში: ძალზე კარგად რო იცოდა ლადო ასათიანის ფულიანობა უფულობის ამბავი, მოურიდებლად თხოვა მას თუმანი, არ ჰქონდა, დასკირდა და თხოვა. მერე რა, უფროსი როა თავად? ლადო უმცროსი კია, მაგრამ მეგობარია, ტალანტია, უყვარს მისი ლექსები და ეს აძლევს ამგვარი უშუალო დამოკიდებულების უფლებას. მეორე ასპექტიც ჩანს ამ ეპიზოდში — გასკვირვებია ბატონ სიმონს, ჯიბეში თუ-

მანი არ ჰქონია. მაშინ თუმცა ომი იყო და ეს თითქოს გასაკვირი უნდა იყოს, მაგრამ მერეც, სიცოცხლის ბოლომდეც ის ზვირად აღმოჩენილა ამ მდგომარეობაში არა, არა. მე არ ვამბობ, რომ ის ლატაკი იყო, არაფრისმქონე. არა, რა თქმა უნდა, მე მხოლოდ იმის თქმა მიუნდა, რომ ის არ იყო „ფულიანი“, მიმიხვდებით, ალბათ, რას ვგულისხმობ, ის არ ფიქრობდა ამაზე, ამაზე ფიქრის თავი და დრო მას არასოდეს ჰქონდა.

მისი ხასიათის სხვა ნიშნებსაც წარმოგიჩინეს ლადოს წერილი:

როგორი უბრალოებით მიდის უმცროს კოლეგასთან ეს ერთგვარი გამოხატულებაა იმისაც, რომ ლადოსადმი პატივისცემითაა განწყობილი. არავითარ შემთხვევაში, არა და არა. გარწმუნებთ ამაში მე, ლადოს მაგივრად სხვა ვინმე დაბალი ნიჭიერების ყმაწვილი რო დახვედროდა, რაგინდარა გასაკვირი ჰქონოდა, არ თხოვდა, თუმანი მასესხეო. ლადო ასათიანს კი მოურიდებლად თხოვა, ღირსეულ კოლეგად მიაჩნდა და იმიტომ.

იქვე, იმავე ოთახში მწერალთა კავშირისა, საცა წერილის დაწერაც კი არ დააცადეს მომსვლელ-გამსვლელმა, ლადომ ახალი პოემა „ვასიანის ბრძოლა“ წაუკითხა. წარმოდგენილი მაქვს, როგორი გულისყურით მოუსმენდა, როგორ გაუხარდებოდა, აფეთქდებოდა, აწრილდებოდა, მართლა შესძახებდა, იცი, შენ, გენიალურია კაცო. გენიალურიო.

ბევრჯერ უთქვამს ბატონ სიმონს ახალგაზრდობაზე თავისი სიტყვა, საჯაროდაც, პირად საუბრებშიც, წერილობითაც. ამის საუკეთესო მაგალითია მისი წერილი ლადო ასათიანზე, რომელიც წინათქმად დაერთო პოეტის სიკვდილის წლისთავზე, 1944 წელს გამოცემულ წიგნს. ერთი წლის წინ დაქრილი, აქუნული, დაბუგული წიგნის ხელახალი გამოცემა იყო ეს წიგნი, სატანურად დაგმობილი წიგნისა და ბატონმა სიმონმა გაბედულად, თამამად, მა-

მულიშვილურად გზა დაულოცა მომავლისაკენ ამ წიგნს.

მოგვიანებით, ომის მერე, ანა კალანდაძემ რო გაიეღვა, კვლავ აღეთქდა სიმონ ჩიქოვანი, აწრიალდა, კალანტი, კაცო, ტალანტიო, გაიძახოდა წარამარა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო და იმ დღეებში მის კაბინეტში სხვა რამ თათბირი არ ტარდებოდა, ხელთ ეჭირა ანას ხელნაწერი რეკულები და კაბინეტშიაც, ფოიეშიაც, კიბეებზეც შემხედურ გერონტი ქიქოძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვას, ლეო ქიაჩელს, გიორგი ლეონიძესა და სხვებსა და სხვებს უკითხავდა, გამოთქვამდა თავის გოცებასა და აღტაცებას. გველის ლოცვო, კაცო, თუთაო, ურარტუ, წმინდა ნინოო... იცი შენ, ეს გოგო ნამდვილი ტალანტიო...

ჩაცხრა პირველი მღელვარება, დაიბეჭდა ანა კალანდაძის ლექსები, რამდენიმე თვის შემდეგ კი ოფიციალურმა კრიტიკამ კლანჭები გააკრა ახალგაზრდა პოეტი ქალის ლექსებს. რა გველის ლოცვო, რის გველის ლოცვო, რა თუთაო, რის თუთაო, რა ურარტუ, რის ურარტუო... დაახლოებით ამდაგვარად დატუქსეს ანა.

და მოთლოდნელად დაიკარგა, დაიშალა, გაუჩინრდა, ჩვენს თვალს მიეფარა ანა კალანდაძე.

შეწუხდა ბატონი სიმონი, მოიღუშა, მოიწყინა, სად არიო, რად დაიკარგაო?! მე, როგორც ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი, მიხზო თავისთან, წადიო, მოძებნეო, არაფერი მოსწიოს თავსაო.

წავედი, ვეძებე. მაგრამ ვერ ვიპოვე, ვერსად მივაკვლიე.

ამასობაში ვირის აბანოში მიკრეს თავი და აღარ ვიცი, მერე რა მოხდა.

ის კი კარგად ვიცი, ჩემ გამო საფრთხეში რო ჩავარდნილა ჩემი ვირის აბანოში ყოფნის დროს ბატონი სიმონი, ანასა და ეს ამბავი მე უკვე გავუზიარე მკითხველს გაბრიელ ჯაბუშაძე-ნურზე დაწერილ წერილში „ასეთი

იყო გაბრიელი“, რომელიც დაიბეჭდა 1987 წელს აღმანახ „ლიტერატურა“ წიგნშიაც უნდა გავახსენო, მაგრამ ეს ამბავი, ყოველთვისაც უნდა გავახსენო, უნდა იცოდეს ყველამ, იმ ავადსახსენებელ წლებშიაც რო იყვნენ რაინდები, უშიშარნი, თავგანწირულნი. აბა, ისე ხო მთლად გადავშენდებოდით, მარტო ჩეკისტები რო ყოფილიყვნენ, მარტო ერთმანეთის მჭიჭნავეები და სისხლისმწოვლები, ლაჩრები და მარიონეტები, ბელადები და მათი დამკავშირებლები?! გადავშენდებოდით, თვითონვე გადავშენდებოდით ჩვენსავე თავს, — ქვეყანას, ერს, — იმდენი ძალლი და მამაძალი გაჩნდა, გაძლიერდა, ქუქის ამოსაყოჩავად რას არ კადრულობდნენ, რა ხერხებს არ მიმართავდნენ. არც არი გასაკვირი, ჩემ თვალწინ მოხდა, ხდებოდა ეს ყველაფერი და იმიტომ ვამბობ, ადამიანები რო ასე მასიურად წახდნენ, დაეცნენ, დაჩიავდნენ, არც არის-მეთქი გასაკვირი, სახელმწიფო მანქანამ მოშალა მათი გონება, დააჯინა, დააძაბუნა შინაგანი ფიზიკური ძალები, გადაარჩინის უკანასკნელ ზღვართან მიაქუჩა ისინი, ნაპრალის პირთან, დალუპვის პირთან. და ყველა ხო ვერ გაუძლებდა, ყველა ხომ ვერ გაბედავდა ნაპრალში გადაჩხვასა და დალუპვას?!

ზოგ-ზოგი არ შეეპუა, არ შეუშინდა, ვერ გატეხეს და სწორედ ამით გადაარჩინეს ეროვნული სული.

ის, რაც სიმონ ჩიქოვანმა გააკეთა უშიშროების შინაგან ციხეში ჩემი პატიმრობის დროს, შეიძლება მცირე გამოხატულება იყოს ზემოთქმული გამბედაობისა, მაგრამ მაშინდელი მკაცრი რეჟიმის დროს ნუ გამოვეყოფთ მცირე და დიდ მოვლენებს, ქცევებს, ქმედებებს რაინდულსა და ვაჟკაცურს. ვისმე შეიძლება მცირედ მოეჩვენოს, მაგრამ, აბა, ერთი მე მკითხოს, ჩაიხედოს ჩემს გულში, ჩემი ადლით გაზომოს და ჩემი გირებით აწონოს და ამის მიხედვით განსაზღვროს, მცირე იყო თუ დიდი.

როცა ჩემი დაკითხვის ოქმები ჩამოათავა გამომძიებელმა, ერთხელაც გამომიძახა. მისი დიდი ოთახის კუთხეში სკამზე მჯდარს. წინ, პატარა მაგიდაზე დამიდო ყდებში ჩაკნძული დაკითხვის ოქმების მოზრდილი ტომი და მითხრა, გამომიება დამთავრდა, სანამ სასამართლოს გადავცემდე, ჩაიკითხე და ხელი მოაწერეო.

ოქმებს გამომძიებელი რუსულად აწარმოებდა. კი მკითხა თავიდან, ქართულად შევადგინო ოქმები თუ რუსულადო, მე იმდენად ვიყავი ტრავმირებული, ვეღარ მოვისაზრე, ვეღარ გავბედე, ქართულად-მეთქი და მივუგე როგორც გერჩიოთ-მეთქი. ისიც რუსულად შეუდგა წერას. მეკითხებოდა ქართულად, ვბასუბობდი ქართულადვე, მაგრამ ის წერდა რუსულად.

აი, ეს, რამდენიმე თვე რუსულად შედგენილი დაკითხვის ოქმები დამიდო წინ.

გადავშალე და დავიწყე ფურცელ-ფურცელ გადასინჯვა. ორი-სამი გვერდი ჩავიკითხე, რუსული ხელნაწერის კითხვა გამიჭირდა. ვიფიქრე, ამას ბოლომდე რა ჩაიკითხავს, ერთი დიდი წიგნი გამოვა-მეთქი. რაც წავიკითხე, იქიდან ნათლად ჩანდა, რასაც ვბასუბობდი, ის ჩაუწერია. ამიტომ ალაგ-ალაგ გვერდები გამოვტოვე, უბრალოდ, თვალი გადავაველე და გადავფურცლე. ჩემი ნაამბობი ეწერა ყველა ფურცელზე. თუმცა რა უნდა შეეცვალა გამომძიებელს, რასაც თავად მოვახსენებდი ბოლომე, სრულიად საკმარისი იყო ოცდამეათწლიანი პატიმრობის ჭანაჩენისათვის. შიგადაშიგ თავის მწვავე დასკვნებს უკეთებდა გამომძიებელი, რაც მაინცდამაინც არ მომწონდა, მაგრამ ამის თაობაზე მერე გიამბობთ.

ახლა მხოლოდ ერთი ქალაღის გამო მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, იმ ქალაღისა, რომელიც ჩემ წინ გაშლილ ტომში იდო, მე არ ვაცოდი და მოულოდნელად გადავაწყდი მას.

გარდა ჩემი დაკითხვის ოქმებისა, ტომში ჩაკერებული იყო სხვადასხვა

დოკუმენტები ჩემს შესახებ.

უცებ შუა ტომში წაგაწყდო ქალაღის ოფიციალურ ბლანკს, რომლის თავზე ბეჭდურად ეწერა: „საქართველოს მწერალთა კავშირი.“ ქვემოთ კი რემენტონის მანქანით ნაბეჭდი ჩემი დახასიათება ამოვიკითხე. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მწერალთა კავშირის კანცელარიის არქივში აღმოვაჩინე ამ დოკუმენტის ასლი, ახლა ვეღარ მივაგენი.

დაახლოებით ასე ეწერა დახასიათებაში:

ნუჭიერი ახალგაზრდა პოეტია ლადო სულაბერიძე, მწერალთა კავშირის წევრი, ამავე დროს საზოგადო მუშაკი, კარგი ბიჭიო, კეთილი და გულისხმიერი, თავდაბალი და მოკრძალებული, გვიყვარს და ვუყვარვართო, ამხანაგებშიც პატივისცემითაა და უფროსებიც აფასებენო, თუ რამეს დავავალებთ, კეთილსინდისიერად ასრულებსო, კარგი ბიჭია და კარგი პოეტიაო.

ქვემოთ ხელს აწერენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი და მდივანი ალექსანდრე გომიშვილი.

სულმოუთქმელად სამჯერ გადავიკითხე ეს ქალაღი. ჩემუნებურად თვალები ცრემლით ამევსო. ჭერ მოჩვენება მეგონა, კიდევ რამდენიმეჯერ გადავიკითხე, ცრემლებიც დაწვებზე ჩამომიგორდა. ვგრძნობდი, გამომძიებელს ცალი თვალი ჩემსკენ ჰქონდა მოცეცებული, მაგრამ არ მამჩნევიებდა ამას. მაგიდაზე თავდახრილი რაღაცას წერდა. მერე მოვიდა, თავს წამადგა, რა მოგივიდაო, იკითხა, დახედა გადაშლილ ტომს, მიხვდა, რა დღეშია ვიყავი, დაბრუნდა თავის საწერ მაგიდასთან. დაჯდა, უჭრიდან რაღაც ამოიღო, ოღნავ შემართა და იქიდან მითხრა, ამას იცნობო?

შევხედე. ხელში ჩემი წიგნი ეჭირა. ჩემი ლექსების წიგნი, რომლის ყდაზე ეწერა: „ყირიმის ღამეები“. ამ წიგნის გამოსვლას ვერ მოვესწარი, დაპატიმრების დღეს სტამბაში ვნახე, ტირაჟი შე-



კერილი იყო. ყდაში ჩასმა აკლდა. თავის ღრობზე ამაზეც გეტყვიტ ორიოდ სიტყვას.

თავად წარმოიდგინეთ, როგორ მემებოდა, ჩემი ლექსების პირველი წიგნი რო დაეინახე. რამდენიმე ცალი სტამბიდან გამომატანეს, ამხანაგებს დაეუბრე, ამას სინიდან ჩაუფარდა ხელთ? ლექსებს არა უშავს, კარგი ლექსებით, თქვა გამომძიებელმა, არც მანდ ჩაკრული დახასიათებაა ურიგო. წიგნი ისევე უქრაში ჩადო და წერა განაგრძო. მე აღარ გადამიფურცლავს ტომი. რატომ? რისთვის? ყოველ გვერდზე ის წერია, რის გამოც მე შეაკრად უნდა დაეინახო.

ერთადერთი ფურცელი ამ ტომში, ნათელი და ჩემი კაი კაცობის დასტური ეს დახასიათებაა, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

გამიკვირდა კიდევ, როგორ გაბედა მან ჩეკასთვის ამგვარი დახასიათება მიეცა? ხო უკვე გავრცელდებოდა ჩემი დაპატიმრების პირველი დღიდან ჩემზე ათასგვარი არასასიამოვნო მითქმა-მოთქმა? გავრცელდებულა კიდევ — ფაშისტური გაზეთის რედაქტორიო, იქ ლექსებს ბეჭდავდაო, ვლასოველიო, ესაო, ისაო... ხო მივიღოდა ეს ხმები თავმჯდომარემდეც? სიმონ ჩიქოვანმა მიინც, კაი ბიჭიო, ასეთი დახასიათება წარუღვინა ჩეკას.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, — რვა წლის მერე, — ბატონმა სიმონ ჩიქოვანმა მითხრა, იცი შენ, კაცო, კინალამ დამიჭირა რუხაძემო. ჩეკაში გამოუძახნია რუხაძეს, გაფიჭმატდაო, გაცხარდაო, ვიჯექი მის კაბინეტში და მეგონა, იქიდან ვეღარ გამოვალწვედიო, რალაც აბებს ყლაპავდა წამდაუწყემ, მოლალატესაო, მტერსაო. ასეთი დახასიათება როგორ მიეცეო. ბატონ სიმონს უბასუხნია, თუ მტერი და მოლალატეა, ეს თქვენ გეცოდინებათ, მე მაგის შესახებ არა ვიცი რაო. მე რაც ვიცი, როგორაც ვიცნობდი მაგ კაცს, ისე დაგიხასიათებო.

იჯალანა, იჯალანა და გამომეშვო. რო მოენდომებია მინისტრებს უხუცა მოუშვებდა, მოუტონებდა. კვლავ მათას-ნაირ რამეს, ამგვარ გამოსარჩლებებს, ამგვარ სიტყვებს გადაუბრუნებდნენ, თავის ნებაზე გადააყებდნენ, ამას არა, ამას გულისხმობდი ამა და ამ გამონათქვამშიო და მორჩა, გამომავოლებდნენ მე ციმბირისაკენ, კალიმისაკენ.

საბედნიეროდ არ მოხდა ეს. არ გააციმბირეს, მაგრამ საბოლოოდ, სიცოცხლის ბოლო წლებში უსულგულოდ განდევნეს, გააძევეს საზოგადოებრივი ასპარეზიდან.

და თვლებში სინათლედაშრეტილმა ბატონმა სიმონმა დასწერა სინათლედაუღვეელი, პარმონიასრულყოფილი ნაღვლიანი ლექსების წიგნი. სამწუხაროდ ეს მისი ბოლო წიგნი იყო.

დახასიათებას რო დავტყეოდი, აღარ მიგრძენია თავი იმ კაცად, როგორადაც ვებერთელა ტომში ვიყავი დახასიათებული. დავხურე ტომი, გავიფიქრე, ახლა თუ უნდათ დამხვრიტონ-მეთქი, ბოლო ფურცელზე ხელი მოვაწერე.

ასე მეგონა, მე ხელი მოვაწერე ბატონ სიმონ ჩიქოვანის დახასიათებას.

ძ მ ბ

ჩემი ძმა, შოთა სულაბერიძე ერთი წლით უმცროსია ჩემზე, დაიბადა 1921 წელს.

მორიდებული, მოკრძალებული, თავდაბალი, ენაუთქმელი, თავშეკავებული ძალზე, მაგრამ თუ გაფიცხდა, თუ გაგულისდა (უნდა იგულისხმო, რომ რალაც უკიდურესმა მიზეზმა გააგული-სა), — ახლოს ვერ გაეკარები. ეს ძალიან იშვიათად ხდება. მაგრამ როცა მოხდება, ვინც იცნობს, ყველამ იცის, რომ შოთას უნავთოდ ცეცხლი არ წაეკიდება.

ბავშვობიდანვე ერთი ისეთი ხასიათი დაჰყვა, რომელიც დედაჩემს არ მოსწონდა, ვერაფერი მოუხერხა, კერპი იყო, ჯიუტი, ამოჩემებულს ძნელად გადასაქმევივინებდი.

პატარაობისას, ჯერ კიდევ სკოლაშე-
ლი ასაკისას მამაჩემი დილით საწოლში
მკერდზე დაიჯინდა და ანგარიშს ასწავ-
ლიდა ოთხიო, ეჩინებოდა მამაჩემი.
მერე ვკითხებოდა, რამდენი იქნება, ორი
რომ გავამრავლოთ ორზეო, ხუთიო, მა-
შინვე უპასუხებდა, კარგა ხანს გაგრძე-
ლდა ასე. ვატყობდი, კი მიხვდა, რომ
ოთხია, მაგრამ გავერბდებოდა, უკან არ
დაიხვევდა, მაინც გაიძახოდა, ხუთიაო.

დედაჩემს უჭირდა მისი დაყოლიება
და ხშირად კიცხავდა, შე ჭოუტოო, მი-
აძახებდა.

მოგვიანებით, საშუალო სკოლაში მა-
თემატიკაშიც გამოჩენილი მოსწავლე
იყო. შეცხრე-მეთაე კლასებში მოსწავ-
ლეთა საქალაქო მათემატიკურ კონკურ-
სებშიც ლებულობდა მონაწილეობას,
რა თქმა უნდა, მასწავლებელი: წარ-
დგინებით, თვითონ ამგვარი ინიციატი-
ვები და თავის გამოჩენა არ უყვარდა.

საშუალო სკოლა ქუთაისში წარჩი-
ნებით დამთავრა, ფრიადოსნობის ატ-
ესტატი მიიღო. მაშინ ფრიადოსნებს
უგამოცდოდ ლებულობდნენ უმაღლეს
სასწავლებლებში. შოთამ სამედიცინო
ინსტიტუტი ისურვა, შეიტანა იქ საბუ-
თები და მიიღეს კიდევ. ბინა მისცეს
სამედიცინო ინსტიტუტის საერთო სა-
ცხოვრებელში. ამერიიდან ორივე ძმა
თბილისში ვიყავით. სამედიცინო ინს-
ტიტუტის საერთო საცხოვრებელი ახ-
ლაც იგივეა, მაგრამ იმჟამად საბურთა-
ლოს გაშლილ მინდვრებზე მის ახლო-
მახლო შიშველი გარემო იყო, იქამდე
მისვლაც ძნელი იყო, ფეხით მივდიოდი
ხოლმე ძმის სანახავად.

მომდევნო წელს მამაჩემმა ოთახი
დაგვიჭირავა მტკვრის ქუჩაზე, ნომერ
ოთხში. აქ უკვე ერთად ვცხოვრობდით.
ხანდახან ჩავიხედავდი ხოლმე მის მატ-
რიკულში, პირველი კურსის საგნები
ხუთებზე ჰქონდა ჩაბარებული.

შემოდგომაზე ხშირად მხედებოდა უნ-
ივერსიტეტში. ვეკითხებოდი, აქ რას აკ-
ეთებ-მეთქი, მპასუხობდა, ზოგი ლექცია
აქ გვიტარდებო. კი ვიცოდი, სამედი-
ცინო ინსტიტუტის სტუდენტებს რა

ლექციები სხვადასხვა ადგილებზე
უტარდებოდათ და ვიფიქრებდი, ვალბათ
უნივერსიტეტის შენობაშიც უნდა დაი-
მობილი აუდიტორიები-მეთქი.

მოგვიანებით გამოიტყდა, სამედი-
ცინო მივატოვე და ფილოლოგიურზე
გადმოვიტანე საბუთებო. გამიკვირდა.
მანამდე მაინცადამიანს არ შემძიწნეგია
ფილოლოგიით გატაცება, წიგნებს კი-
თხულობდა, მაგრამ პროფესიათ თუ
აირჩევდა ლიტერატურას, არ მეგონა.
ერთხანს ვუმაღავდით მამაჩემს: ეწყი-
ნებოდა. გახარებული იყო, შვილი ექი-
მი მეყოლებო. დარწმუნებული ვარ,
შოთა მართლაც კარგი ექიმი იქნებოდა,
შეიძლება სამედიცინო დარგის მეც-
ნიეროც.

მაგრაძე...

აი, რა მომხდარა:

სამედიცინოზე სწავლობდნენ ჩემი
კლასელებიც, საშუალო სკოლის თანა-
კლასელები. ერთერთი მათგანი გრი-
გოლია (სახელი აღარ მახსოვს). —
ერთხელ კომკავშირის კრებაზე წამომ-
დგარა და უთქვამს, შოთა სულაბერი-
ძის ძმა კომკავშირიდან გავრიცხეთო.
არ ვიცი, რატომ განაცხადა ეს, რას
ერთხოდნენ ჩემს ძმას, ან მე რას მერჩო-
და. იყვნენ ასეთები მრავლად, ოღონდ
ვისმესთვის პოლიტიკური ბრალდებები
მიეკერებინათ, ეს საამაყოდ მიაჩნდათ.
ამავე ყმაწვილმა, მე როცა გამრიცხეს,
იმ კრებაზე, ერთადერთმა განაცხადა:
ვლადიმერ სულაბერიძე სკოლაში ამო-
რალურად იქცეოდა. გოგონები და ბი-
ჭები ევროპული ცეკვების შემსწავლელ
წრეებზე დაყავდათ. მეორე ბრალდებაც
მიაყოლა წელს საპირველმაისო კედლის
გაზეთი არ გამოუშვა, განგებ ჩაშალაო.
შოთას ჩემთვის არაფერი უთქვამს,
თორემ მივიდოდი და განუუცხადებდი
სამედიცინოს კომკავშირს, მე აღდგენი-
ლი ვარ ჩემს უფლებებში-მეთქი, არა-
ფერი მითხრა, მოერიდა აყლ-მაყალს.
უფიქრია თავისთვის, აქ, ამითთან ყოფ-
ნა აღარ ღირსო, გამოუტანია ატესტატი
ინსტიტუტიდან და, როგორც ფრიადო-
სანი, კვლავ უგამოცდოდ ჩაურციხავთ



უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველ კურსზე.

ასე შეუდგა შოთა ფილოლოგიურ მოღვაწეობას უნივერსიტეტში. გულმოდგინედ რო სწავლობდა, ეს არ მაკვირვებდა, ასე იყო საშუალო სკოლაშიც, ეს მისი ხასიათი იყო, ფილოლოგიურ მეცნიერებას რო დაეწაფა, ეს მაკვირვებდა. ადრე არ ეტყობოდა საამისო მისწრაფება.

ომი გადაგვეღობა განსწავლის გზაზე. უკვე ხარფუხში ვცხოვრობდით.

1941 წლის 2 აგვისტოს შოთას სამხედრო კომისარიატის ცნობა მოუვიდა ქარში გაწვევის შესახებ. ელდა მეცა შევეშვითდი, ავწრიალდი, ჩემზე უმცროსი რო იყო, სულ უმაწვილი მეგონა, ამას ჯერ ქარში, ისიც ომში რა უნდა-მეთქი. მივუყვი კომისარიატში. შეედი კომისართან, ვუთხარი, მე ჩემ ძმაზე უფროსი ვარ, თუ გაწვევაა, ჭერ მე გამოწვიეთ-მეთქი, მეგონა ვუშველიდი მის მაგივრად მე გამოწვევდნენ, როგორც უფროსს, ის ჭერხნობით შინ დარჩებოდა. მაინც ვიყავით ასეთი გულბრყვილონი, მაინც გვჭეროდა ასეთი რამეებისა. შენ სადა ხარო, მკითხა კომისარმა. უნივერსიტეტში ვსწავლობ-მეთქი, მეორე კურსზე. ჩაიწერა კომისარმა. პო, წადი, ვნახოთო.

მეორე დღეს 3 აგვისტოს მაინც წაიყვანეს ჩემი ძმა, გადაპარსეს თმა, დედაჩემთან ერთად იქვე მახლობლად შოტოგრაფთან გადავიღეთ სურათი და გავაცილეთ შოთა ქარში.

5 აგვისტოს კი მე მომივიდა გაწვევის ცნობა. თურმე დროულად შევახსენე თავი კომისარს.

შოთა ბაქოს საარტილერიო სასწავლებელში მოხვდა, მე — თელავის სამხედრო სასწავლებელში. სანამ ფრონტზე გავგვავა ვინდნენ, ვწერდით ერთმანეთს წერილებს. მოყვარული ძმების განშორების სევდამ დამაწერიინა ეს ლექსი:

ასე გათავდა ჩვენი ბავშვობა...
მე კასპიის ზღვის ნაპირთან ვდგავარ

და ფეხთან ტალღა მეთამაწებდა,
მიუყვება თავის თავდადასავალს.
ასე გათავდა ჩვენი ბავშვობა...
კასპიის ზღვასთან მარტო ვარ ახლა
და უცხო ზევის ვარსკვლავს ვეგაურებ.
შენაც იქნება მარტოცა დგებარ
და უსმენ ახლოს მსტვენივ ბელურებს
და ჩემზე ფიქრობ იქნება შენაც.

გასრულდა ჩვენი ბავშვური ლენა,
ვმღეროდით ჩარავ ჰამაშეწობილად!
ყოველთვის ერთად გვიყვარდა ფრენა
და ასე შორ-შორ ჭერ არ ვყოფილვართ,
წერილი ჭერ არ მომიწერია.

პა, ამ წერაღის უოველ ასოდან
ჩემი ბავშვობის ცრემლი ციმციმებს,
იქნებ ვერ გნახო აწ ვერასოდეს,
არა წემხედები და არ გამოცინებ
და როგორ გავძლო. ბიჭო, უშენოდ?

მე ჩრდილოეთის ვარსკვლავს შევეყრებ
და ვიცო, შენაც დაგეკერის იგო.
ო, მიანებე თავი ბელურებს,
შეხედე იმ ცივ მნათობს ცოგოგს
და იქ ერთმანეთს ჩვენ დავინახეთ.

და მერე ქვეყნად, სადაც კი წახვალ,
შუალამისას გამოდი გარეთ,
შეხედე მნათობს და იქ მე მნახავ,
მე იქ შეგხედები საყვარელ თვალებს
და ძველებურად გამიხარდება.

ასე ვიქნებოთ ერთად ომის დროს
და ეს მეყოფა სიცოცხლის ლხინად...
თუ ღამით საღმე ტყვიამ მომისწრო,
ვარსკვლავს შევხედავ სიკვდილის წინაც.
იმამა შენი ცრემლი გაკრთება.
და შენი ცრემლის ციალში ასე
მე მივიბნებ და დაეშვიდდები...
ღამეში ვარსკვლავს შეხედე ცაზე...
რა ადრე გავხდით, ბიჭო, დიდები,
რა ადრე გაქრა ჩვენი ბავშვობა.

ეს ლექსი 1941 წელსაა დაწერილი, თელავის სამხედრო სასწავლებელში. ორივენი ცოცხლები გადავრჩით და დავბრუნდით თბილისში.

შოთამ ენერგიულად განაგრძო სწავლა უნივერსიტეტში.

მე სწავლას გული ვედარ დავედე, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში ლექციებზე დასწრებას ვგულისხმობ. ჩემ მწერალურ საქმიანობას მეტი თვალყური მივაადევნე, ცოლიც შევირთე და ორიოდვე წლის შემდეგ უშეშროების შინაგან ციხეში ამომავოფინეს თავი.

ჩემი დამატიმრებისა და გადასახლე-

ბის შემდეგ ჩემს ძმას კვლავ გაემრუდა გზები. უნივერსიტეტიც წარჩინებით დამთავრა, ვარლამ თოფურიას საყვარელი სტუდენტი იყო. მანვე შესთავაზა დარჩენილიყო უნივერსიტეტში და ენაში ემუშავა, მაგრამ გაციმბირებული ძმის პატრონს ამისი გული და თავი აღარ ჰქონდა, ხელი მიჰყო თავის პროფესიულ, მაგრამ ჩინოვნიკურ მოღვაწეობას. მოგვიანებით საგამომცემლო საქმეში ერთერთ მაღალი თანამდებობისთვისაც შეურჩევიათ, მაგრამ ცეცაში დამტკიცების დროს, დარგის ერთერთ წამყვან მუშაკს უთქვამს, მაგისი ძმა პატიმრობაში იმყოფება ამისი და ამის გამო. ეს საცმარისი აღმოჩენილა, — რაღა თქმა უნდა, საცმარისი აღმოჩნდებოდა კიდევ, — აღარ დაენიშნათ შერჩეულ თანამდებობაზე.

არ გადამიღლია მკითხველის ყურადღება ჩემ ძმაზე წვრილწვრილი თბრობით, ამას მთელი ერთი წიგნიც ვერ დაიტევს, ბავშვობა, ყრმობა, სიკვამლე, სოფელი, ქალაქი, ურთიერთობანი ერთმანეთთან, მშობლებთან, ამხანაგებთან, მეზობლებთან, ნათესავებთან, ანცობანნი, ოინები. მალული თავგადასავლები, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, რამდენი, რაგინდარა უცნაურები, საინტერესონი, უინტერესონი, კარგები, ცუდები, ერთი სიტყვით დიდი წიგნი შეივსებოდა თავგადასავლებითა, ბევრზე ბევრითა, ბანალურიცა, მოულოდნელიცა. მაგრამ ეს მერე, სხვა დროს, სხვა გარემოებისას, დაშვიდებისას, დაწყნარებისას.

ახლა, ამჟერად უფრო მშფოთვარე და ტყვილიანი მოვლენები მეძალეებიან, გულის სარქველს აწევებიათ, ამოგლეჯას ლამობენ, ადრეც უნდა ამოგეგლიჯათ, ამოხეთქილიყვნენ, ვგმანე და ვგმანე გულის სარქველი, მეშინოდა კვლავ ჩეკასი, ცეკასი, რილასი მეშინოდა?! მაინც ვერიდებოდი, ვერ ვბედავდი.

როგორც იქნა, დადგა დრო, აგზადე სარქველი გულსა და მასში მდულარე წუთისოფელს ჩემსას, აგსა, ცხარესა, მწარესა, არეულდარეულსა თავს რაც

ტყვილები და კვილები მოეყარა ქაფივითა, ის ამოვარდა, დაიშრება და იღვრება ამ ქალაღებზე უკეთესობადა გულის ძროზე დაღეკილ სხვა უფრო მშვიდობიანსა, წყნარსა და უწყინარ თავგადასავლებს არა ვძრავ ადგილიდან, გულის ძროდან, არ ვუზავებ ამ ტყვილიანებსა და ავებსა ჟერ ეს ამოვითაო, მერეც შეიძლება მათი ამომხეურება. ზღვის ფსიკერზე დაღეკილი, დაფენილი ფერადი კენჭები სად წავლენ? მოგხრბიკავ მერე და მერე, უფრო უკეთესსა და მშვიდ დროს.

ახლა კი ამ წიგნში დედის, მამის, დეიდის, ბიძის, ბიცილასი, ნათესავის, მეგობრის ბიოგრაფიებს იმ ეპიზოდებზე ვამახვილებ ყურადღებას, რომლებზედაც ჩვენი დროის ავი ქარიშხლების, ოცდაჩიდამეტისა და ომის შავი ლაქებია დაღვებოლი, გარდა ამისა ამ ნათელ და უმწიკლო ადამიანთა სახეებს იმიტომ მოვუბნობ, მათაც რო შეაცხრა ეს ავი ქარიშხალი და ამავე დროს მკითხველს ვაჩვენო, ვისთან ვიზრდებოდი, ვყალიბდებოდი, სულიერად და ზნეობრივად ვიწრთობოდი, ვსწავლობდი ზნე-ჩვეულებებს, მიწის სიყვარულს, ვეწაფებოდი წიგნებს, წინამართა სულიერი კულტურის უძვირფასეს ძეგლებს, რათა მივანიშნო-მეთქი მკითხველს, ამგვარ ადამიანებთან გაზრდილი კაცი ბუნებით შეიძლება ყოფილიყო სამშობლოს მოღალტე?

ამიტომაც ამ წიგნში ასე ძუნწად გიამბუთ ჩემ ძმაზე.

ახლა, ერთად როცა მიედივართ, ერთი ნაბიჯით უკან მომყვება ხოლმე. არ მახსოვს, წინ გაესწროს ოდნავად მაინც, გზას მითმობს გამუდმებით, სადმე რო შეედივართ, არავითარ შემთხვევაში არ გადამასწრებს, ჟერ მე გამატარებს. ამას კი არ თამაშობს, უმცროს-უფროსობის ტრადიციული წეს-ჩვეულება რო მოითხოვს, იმიტომ კი არ აკეთებს, არამედ ეს მისი საერთო ბუნების გამოსხივებაა. ასე იქცევა საერთოდ ყველასთან და ყველაფერში, ჩვენს დროში ბევრი რამ დააკლდა ამის

გამო, მაგრამ სამაგიეროდ ნორმალური ადამიანური თვისებები შერჩა.

ხშირად მომიკრავს ყური, ამით რა კარგი ძმობა აქვთო, მეზობლებშიც, მეგობრებშიც, ნათესაებებშიც, ნაცნობებშიც, შინაც, გარეთაც, ჩურჩულთაც, ჩემს ვასაგონადაც.

ვაი, რომ ძმებს შორის ამგვარი დამოკიდებულებაც გასაყვირი ვახდა ჩვენს დროში!

ლუგა დეიდა — ჩემი მამანალი

ცოლიც შევირთე.

მაინც შევირთე ცოლი.

ჩემი საიდუმლო მოლოდინი, გაციმბირების მოლოდინი ერთი წუთითაც არ მტოვებდა, მღრღნიდა სხვათა შეუმჩნევლად, მწიწქნიდა, მძიძენიდა, მაწამებდა, მაწვალებდა, ვერავინ ამჩნევდა, არ მეტყობოდა გარეგნულად. ვსაქმიანობდი, ლექსებს ვბეჭდავდი, უმწიკველად ვმეგობრობდი ამხანაგებს, სტუმრისთვის სუფრა სულმუდამ გაშლილი მქონდა, ამასაც ვახერხებდი მამაჩემის წყალობით, ვქეიფობდი, ვმღერობდი, ვვობუნჯობდი, მაგრამ შიგ, შიგნეულობაში რა ცეცხლი მეკიდა, ვერავინ ხედავდა, გულდაგულ მქონდა შენიღბული, ამიტომ დაოჯახებაზე არ მიფიქრია.

სამისო პირობებიც არ მქონდა.

ერთ ოთახში ცხოვრობდით მშობლები, მე და ჯარიდან ახლად დაბრუნებული ჩემი ძმა, რომელმაც მაშინვე უნივერსიტეტში სწავლა გააგრძელა. ოჯახის რჩენის თავიც არ მქონდა. ჩემი ლექსების ბეჭდვა კი ვახშირად, მაგრამ, აბა რა პონორარი უნდა მიმეღოსეთო, ოჯახს გასწვდენოდა! ერთი პატარა სამსახურიც აღმომიჩინა ჩემმა მეგობარმა, პოეტმა გიორგი ლეჟავამ, საავიაციო ქარხნის ოსტროვსკის სახელობის პატარა ბიბლიოთეკის გამგედ დაანიშნინა ჩემი თავი. ამ ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი დაპატიმრებამდე. ამ მცირე ხელფასითაც ოჯახს როგორ გამოვკვებავდი?!

გიორგი ლეჟავაო, ვახსენე და, ბარემ, გ. „შინათბა“ 34 5-6.

ორიოდე სიტყვა მათქმევინეთ მასზე. განა მხოლოდ სიტყვამ მოიტანა, რომ სამსახური მიშოვა, თხოვე ვინაღაც ჩემი რილა, იმას ეცა, ამას ეცა, შეაწყუნა, შეწუნდა, არა მხოლოდ ამისთვის. პიროვნება იყო, წყნარი, ჩემი მაგრამ პიროვნება, რომელთა გარეშე ზნეობრივად წმინდა და სუფთა საზოგადოება არ შენდებოდა. ჩემი მეგობარი რო არ ყოფილიყო, მე რო არ მცოდნოდა, შეიძლება არც არავის დაეწერა მასზე რამე, არ იყო ზედაპირზე ამოზიდული პიროვნება, პოეტი, მოღვაწე, საზოგადოებრივ მოვლენათა სიღრმეში არსებობდა, მოქმედებდა, გულუხვად არიგებდა ადამიანებში ღიმილსა და სიკეთეს უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, არაფერს არ მოითხოვდა სამაგიეროდ.

შუამთა ჩემი მშობლიური სოფელია საჩინოში, ქუყვიში მეზობელი სოფელია და გიორგი იქიდან იყო. ლექსებს წერდა, როგორც მოგახსენეთ, უბრალოდ ცხოვრობდა. მართლაც არავისი ბრალი არ მიუძღოდა არავის წინაშე და უბრალოდ, რო ვამბობ, იმიტომაც მოგახსენებთ, ცვირაწეულად კი არა, თავმოდრეკილად, მორიდებულად ცხოვრობდა, თავგადაკლული სტუმარმასპინძლობა იცოდა, თავად ხელმოკლე მუდამ მზად იყო, რაც კი შეეძლო, დახმარების ხელი გამოეწვდინა. საბავშვო ლექსების რამდენიმე კრებული გამოსცა ერთხელ შემომჩივლა, ორთაბახიანი საბავშვო ლექსების წიგნი შეიტანეს გეგმაში, მთხოვენ, სასწრაფოდ წარუდგინო წიგნი, არც ერთი სტრიქონი არა მაქვსო. ერთი კვირის შემდეგ მაჩვენა, თავი მოვიკალი, ღამეები ვათენე და წიგნი დავწერეო. საქალაქად ვახსენა, ლექსები წამიკითხა: გომიკვირდა, ასე უცებ ამდენი ლექსი როგორ დაწერა-მეთქი. ბავშვივით სუფთა და ალალი იყო თავად. ამიტომაც არ უჭირდა ბავშვების სიბარულისა და ტკვილების გამოთქმა. საბავშვო ლექსის გარეგნული ფორმის ძიებაშიც საკმაოდ დაოსტატებული იყო. ბავშვებზე და მათ გარემოზე დაკვირვებები-

თაც სავესე იყო მისი გონება და ალბათ ამიტომაც შესძლო, რომ გაუჭირდა, საჭირო რომ შეიქნა, სხვა ვხედავთ რომ არა ჰქონდა, დაძაბა მთელი პოეტური და ფიზიკური შესაძლებლობა და ერთ კვირაში ლექსების მთელი წიგნი დაწერა ისე, რომ სუსტ ლექსს ერთსაც რომ ვერ გამოარჩევდით მათგან. მალე გამოვიდა ის წიგნი.

ღარიბი პურ-მარილით ხან ვალაკტიონის გვერდით აღმოჩნდებოდა რომელიმე სარდაფში, ხან გიორგი ლეონიძესთან ქოსებისა ან თავად გოგლას სარდაფში, რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად, ზურაბ ლორთქიფანიძესთან ერთად ან სხვა რომელიმე მეგობართან.

ერთი სიტყვით ნაღდი სამეგობრო კაცი იყო გიორგი ლევაია.

სანამ ცოცხალი იყო, თავს გვახსენებდა, ჩვენაც მივიღტვოდით მისი კეთილი და თბილი გულისაკენ. სიკვდილის შერეულ აღარავის გვახსოვს, ეგაც ჩვენი არაადამიანური დროის ნიშანია, დროისა გამხეცებისა, გაველურობისა, გაარაკაცობისა, სულიერი გაღატაკებისა, მეგობართა და მოყვასთა სიკეთეების დაფიწყებისა. ამგვარი ფიქრების აღძვრისას და ამ წიგნის წერისას არ შეიძლებოდა გიორგი ლევაიას აზრდის არ შევხვედროდი, აი, შევხვდი, ბევრჯერ მინდოდა შევხვედარილიყავი და სულ სახვალიოდ გადამადებინა ყოველდღიური ცხოვრების გადაუღებელმა ჩხირკედელაობამ ეს სურვილი, განზრახვა და, აჰა-მეთქი, შევხვდი და კმაყოფილი ვარ ახლა, ორიოდ თბილი სიტყვით რომ წარმოგიდგინეთ.

ბევრი რამ მქონდა სათქმელი, მოსაგონარი.

ამგვარ უჩინარ და უწყინარ ადამიანებზე, ისიც პოეტებზე, უნდა ლაღად ილაპარაკო კაცმა, თუ გადარჩი და კატურკაცობა შეგრა. მთლად არ იყვნენ წამხდარი ადამიანები, იყვნენ თავისთვის მრავალნი, ცხოვრობდნენ ხელმოკლედ, მაგრამ ადამიანურად, არავის აწუხებდნენ, არავის ძარცვავდნენ, არავის წიწნდნენ და გლეჯდნენ, სუნთქავდ-

ნენ, ლეონოს სუამდნენ ნემლიანთან და მთავრებთან, მწილილეთქიანებთან და აკეთებდნენ, მუშაობდნენ, ლამბავდნენ, ძვრავდნენ, წერდნენ, ზნავდნენ და თესავდნენ, არასაც აშენებდნენ, გულახად, რუღუნებით, საქვეყნო სურვილითაც და თავისთავისთვისაც, თუ რამე შეეძლოთ ალალი ხელი მოყვასისკენ ჰქონდათ გიწვდილი.

ერთერთი ამთავარი იყო გიორგი ლევაია და ასეთი რომ იყო, ალბათ ეს შეამჩნია გიორგი ლეონიძემ, იმ შეხვედრებისას, რაც მასთან მოახერხა გიორგი ლევაიამ, იმ ჰიქა ლეონოსთან, რაც ერთად აუწყევიათ სარდაფებში და იმ ლექსებშიაც, რაც გიორგის წაუკეთებავს გოგლასთვის ამავე სარდაფებში.

ამიტომაც იყო, გიორგი ლევაიას დაკრძალვაზე დამწუხრებელი მობრძანდა გიორგი ლეონიძე, პროცესიას გამოჰყვა, საბურთალოს სასაფლაოზე ამოვიდა და სულის შემძვრელი სიტყვაც წარმოთქვა უჩინარი და უწყინარი პოეტის ნეშტთან.

ათჯერ უფრო დიდი და მაღალი მომეჩვენა მაშინ ჩვენი დროის დიდი პოეტი გიორგი ლეონიძე.

როგორც მოგახსენეთ, ოჯახს ვერ გამოვეკვებავდი-მეთქი, ერთ ოთახშიც ვერ მოვთავსდებოდი და, რაც მთავარია, დაპატიმრების მოლოდინის გამო, ცოლის შერთვას არ ვაპირებდი.

მაინც ვერ ავციდი წუთისოფლის მიერ ჩემთვის განჩინებულ ბედს.

ერთ დღეს დეიდა ლუბა გვესტუმრა ხარფუბში, დეიდა ლუბა, ლუბა თვალაყმე, დეიდაჩემის ღვიძლი დეიდაშვილი, მისი სოფელი ბაში იყო, ვანიდან რიონზე ბორანიტ გადაგვიყვანდა ხოლმე დედაჩემი, თითქმის ყოველ ზაუხულს, პირ, რა აღტაცებით შემოგვევდებოდნენ, ვებერთელა, ვრცელ ეზოში დაგვკროდით მე და ჩემი ძმა ჭუკუნიასთან ერთად, თავკუდმოგლეჯილები, დაოთხილები, ცა ქუდად არ მიგვაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

დეიდა ლუბა შემართავდა გიტარას,



მუხლებზე გაიწვენდა, მოიღვრებდა
ყელს — სულ ასე ყელმოღვრილი მღეროდა. თავს ძირს არ დახრიდა, — და რაგინდარა კაჯობანასა და ეშმაკობანას ვყოლოდით ატანილი, გავირინდებოდით. მივეუროდებოდით ოფელში გბხეითქული ბავშვები და ვესმენდით დღედა ლუბას ჭადოსნურ გალობას.

ზღაპარივით შემოიჭრა ჩემს ბავშვურ ცხოვრებაში დეიდა ლუბა და ასეთივე დარჩა მარადის, ახლაც, მიწაში კი არა წევს, ჩემს გვერდით დიდის, დვას, ზის ყელშემართული მღერის, რა გასაჭირშიაო არ გავყოფდი თავს ჩემს აგრებილ-ჩაგრებილ გზებზე, რა შორსაც არ უნდა ვყოლოდი აყვია გრივალს გატაცებული, შემომესმებოდა დროდადრო დეიდა ლუბას გალობა, მხიარული ყიყინა, შეძახილები და მიამდებოდა ჭოჭოხეთური ტყვილები.

ქუთაისში წითელა ბატონები გამიჩინსდა, ოდნავ გამიწიწმადდა ლოკინში ჩამავდო. აწრიალდა დედაჩემი, მამაჩემის ნამალევიად მამალს კუდი და ფრთები წითლად შეუღება და მწვინეყვავილას ეკლესიის ეზოში გაუშვა. კი ბატონებიო, მიაყოლა თურმე ეზოში შეფრთხილებულ მამალს.

უცებ ერთ დღეს ბაშიდან დეიდა ლუბა გვესტუმრა. დეიდა ლუბა-მეთქი. შევძახე. მომესიყვარულა, მომეფერა. საცა ფეხს შეადგამდა, სიხარული, სითბო, სინათლე, მზე შეჰქონდა ყველგან, თავმოჭრონე, ლამაზი, ტანამხვართული, კუდაპირი კი არ იყო. რო იყოდა თავისი გარეგნული პეწი და არავის ღირსებას ამის გამო რა არ შელახავდა, პირიქით, ცდილობდა არავის გამოერჩია თვისთა ღირსებათათვის სხვათაგან. სიხარული შეჰქონდა-მეთქი. საცა ფეხს შეადგამდა, სხვანაირი სიციცხლე გაშლიდა ფრთებს მაშინვე მის გარშემო, კედლები აელვარდებოდა, ქერი ამალღებოდა, აშუშპარდებოდა სტუმარ-მასპინძლობა ერთიანად.

მომეფერა. მომეყვავილა, ეს რა ლამაზი ბატონები გიბრძანდება, მოუხებ

ბატონებიო, წამოვიყვანე...
ვი მივეყვანე...
შენი ზიარება...
რომ მოველო...
დარა ვალოდით...
ტონებში...
ვი დაანებე და უფლის...
დამაბერტყავ...
დაბა, ბაშს, აბა, მისე...
ნებდომ? და ავღვტი და...
ახლა რა გუჟარდება...
ტონებს. ჩემი სქმლერა...
ვუმღერებ კლავსო...
მომიტანე...
მომიტანე გიტარარ...
ჩამოქრა სიმებს...
ლალი თითები...
ბატონებო...
ია და გარდი...
ვარდისფერ ბურჯში...
და, ხმას ვინ გაიღებდა...
გაბერბუსალებელ...
ილს გარეთ...
ლიყო, ისიც ჩაწყნარდებოდა...
რე დე...
დებოდა და ძოლოდ...
ხმის ტალღები...

სასწავლო მოხდა — სიყვარული...
და, მერაბიანი ჩაოთვით ხელით და...
მალევეინა ლუბა დეიდა...
ლაფერი შევკამე, რაც მომართა...
ღირბეველდო. ავეკმეტო...
ზღაპრები...
ააქლერა და დედაჩემი...
ჩიფჩიფებდა. შენ...
დაიკონა, რა სულზე...
ლებოდა ბავშვი...
ლოცვილ ბატონებს...
ფეხი ჩვენს...
ლოდიას შინ, დალოცვილ...
ლოს, საცა ფეხს შეადგამდა...
რადვე გასულიყოს...
გველე. ლუბა და...
მეო...

მეორე დღეს ფეხზე წამოვიდანი...
ლუბა დეიდასთან...
ათასნაირ თამაშობა...
ღამე, მანამდე...
მოიღინა...
მოდინა...
და...

მოიჩლექდა და მეც მართლა ჩემოდენა მეგონა ის. ბოლოს თბილისში გადმოსახლდა, დამკვიდრდა, ორი პატარა ოთახი ჰქონდა ვარდისუბნის ქუჩაზე. ამ პატარა ოთახებში ძლივს ეტეოდა თავად და ძმისშვილები, დისშვილები, ნათესავეების შვილები აქ გამოზარდა, დაიტია ყველანი ხან ცალცალკე, ხან ორორი, მასთან კედლების სივრცოვებს ვერ იგრძნობდი, ფართოვდებოდა კედლები, ყველანი ვეტეოდით მისი ფართო გულის გარშემო.

თბილისში სასწავლებლად რო გადმოვედი, რა თქმა უნდა მეტწილად მასთან ვიყავი, ნავთჭურაზე ცხელ მქაღს გამომიცხოვდა მისვლისთანავე, უნივერსიტეტიდან გამოვლილს, ომზევარადენილ მქადითა და ყველით, ლობიოთი და ხახვით დამანაყრებდა; დედაჩემს ქუთაისში ჩემი დარდი აღარა ჰქონდა, რაკი ლუბა დეიდას ხელთ ვიყავი.

ჯერ ერთი პატარა ოთახი ჰქონდა. მეორე, მეზობელ პატარა ოთახში ერთხელაც რომელიღაც მასწავლებელი ჩასახლდა. ლამაზი კაცი იყო, მარტოხელა, დაქვრივებული, ორი პატარა ქალ-ვაჟის ამარა. მოიხიბლებოდა, აბა, რა იქნებოდა ლუბა დეიდათი? მოიხიბლა, მოინუსხა, მოხიბლა, მონუსხა ლუბა დეიდაცა და ერთხელაც გამყოფი კედელი გასჭრეს და შეაერთეს ოთახები.

საშა თოდრიამ მაღე ჩვენც თავი შეგვაყვარა. საბჭოთა ხელისუფლებაზე გადაკრული ლაპარაკი უყვარდა, საუბარში გამოურევდა ხოლმე თითო-ორი კრიტიკულ შენიშვნას. ომის დროს დაუბატირებიათ, მოლაყბეო, მოიგავითარაკეო და ისე გაუჭრიათ, ლუბა დეიდამ მის გზასა და კვალს ველარ მიგნო. ცალად დარჩენილ ლუბა დეიდას შერჩა ღვიძლი შვილი და საშის პირველი ქორწინების ორი ქალ-ვაჟი. ბავშვები პატარები იყვნენ და ისე გაზარდა სამივენი, არავის შეუძინევია, სხვადასხვა დედის შვილები რო იყვნენ.

ოცდაჩვიდმეტის გველი ამ თავმომწონე, ანგეშვივით ქალსაც მოეხვია ყელზე და კინაღამ გაგუდა ლუბა დეიდას

ჯადოსნური ყელი, მაგრამ მთლად ვერ მოშხამა ქვეყნად სხვათაგანს მტყუარებალად გაჩენილი ამ კენჭსაღმოსაყვარელ-გული.

აი, ეს ლუბა დეიდა გვესტუმრა ერთ დღეს და, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივად დედაჩემმა გააწყო მაგიდა, მამა-ჩემიც შინ იყო და მივესხვებით სუფრას.

თავისებურად იკეკლუცა, იტკიბილსიტყვაობა ლუბა დეიდამ, ხშირხშირად მე მიცქერდა, ღვინოც დალია. მიჩიჩინა, დიდი ხარო, რამოდენა მოგვესწარიო, გვასახელე და კვლავაც გვასახელებე შენი პოეტობითაო, ნაცნობ-უცნობები მიქებენ შენს ლექსებსაო, ყოჩალი ბიჭი ხარო, რო გადარჩი ომში და დავგიბრუნდიო, ეს საწყალი დედაშენი გააცოცხლე და გაახარეო.

ნაგლეჯ-ნაგლეჯად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, წახუმრებისა და სადღეგრძელოში ენაგაკრებილობისას მიყრიდა ამ საკენეს და ვერ მივმხვდარიყავი, აგრად ჩამციებია დღეს-მეთქი, რა ჰქონდა, ასე ერთბაშად მაქებარი არ იყო დღეისდღეობამდი, აგრე გულუხვად რად მეფერებოდა, ველარ გამეგო.

თურმე მართლა საკენეი ყოფილა, თურმე განზრახვა ჰქონია წინასწარი. თურმე შეთქმული ყოფილა დედაჩემთანაც, ნიდაგი მოიშადა მთავარი სათქმელისათვის, ამის დიდი ოსტატი იყო მარად, დიპლომატი, მარა რა დიპლომატი ელჩადაც გამოდგებოდა ორ მოდავე ქვეყნის შესარიგებლად, დასაყოლიებლად. საკენეი რო იყო, ამას მერე მივხვდი, როცა მოულოდნელად, ოდნავ ღვინით შევიკვიკებულმა, მომმართა:

— შვილო, ვალია, — ასე მეძახდა შინ, — გეყოფათ კუკუმალობანას თამაში შენ და ეთერის. განა ვერ ვამჩნევ, მე რას გამომაპარებთ, ანკი რად უნდა დამიმალოთ და გამომაპაროთ? კაი გოგოა, კაი ოჯახიშვილი, ლამაზი და კობტა, როდემდე გინდათ, კამათ-ლები უგოროთ ერთმანეთს? ნარდი გინდა ახლა შენ? ამდენ ნაჯახირებ

და ნაწინწალებ კაცს, პო, პო, კაცი ხარ შენ ახლა, ბავშვი აღარა ხარ, პო-და, ოჯახი გინდა, ამდენი წვალების მე-რე თბილი ბუდე გინდა. სხვა რო არა იყოს რა, დედაშენს მიხედუე, ძლივს გა-უძლო ამდენი წელი უშენობის ჭავრს, ახლა მაინც გაახარე, ხო იცი, ამაზე უფრო ახლა მაგას არაფერი გაახარებს. ვიცი ეს მე. ისიც ვიცი, შენც რო მაგის გაახარება გინდა. ამიტომაც, ჩემო ვა-ლია, ჩავედით მე და დედაშენი ეთე-რისთან სოფელში, ვნახეთ მისი დედმა-მა. ქალიც დაგინიშნეთ და, ა, აქა ვართ ახლა. სიმონ, — მამაჩემს გაუშვირა, სავ-სე ჭიკა და შესძახა: — დავლოცოთ ნეფე-დედოფალი!

მამაჩემმა რა უბასუხა, აღარ მახ-სოვს, გაიბადრა, გაჩახჩახდა და რალ-ცა მითხრა, ღვინო გადაჰკრა.

ლუბა დეიდამ ღვინო მოსვა, ადგა, მოვიდა ჩემთან და მე, ელდანაცემი, გაშეშებული, ხმელი ჭოხივით გაჩხიკი-ნებული, ენადამბული, სმენადამბული, გადაამოცნა, გადაამეფოფრა. ვარდის ლი-მილი გადამაფარა. დედაჩემი სკამიდან გადმოიხარა, თავი მუხლებზე დამადო და შემომალაღადა, სმენადამბული კი ვიყავი, მაგრამ დედის ლალადი მაინც გავიგონე:

— მიშველე, ვალოდია, ნუ შეგეშინ-დება, ჭუჭუთია, ავერ არა ვართ მე და მამაშენი? მალე შოთიკოც დაბრუნდე-ბა და ისიც გვერდით ამოვიდგება, აბა, რავა მიგატოვებთ, შენ გენაცვალე, შე-ნი ჭირიძე. არაფერს გაგიჭირვებთ, ოღონდ შენი ოჯახი მანახე. ისე ნუ მომკლავ, კაი გოგოა, შვილო, კაი დედ-მამაც ჰყოლია ბედნიერი გამ-ყოფოთ. დედა, ღმერთმა!

ერთი წუთით სუფრას გამოვეთიშე. ჩემს მუხლებზე დამხობილი დედაჩე-მის ნამუდარევი კი მესმოდა, მაგრამ თავში სხვა ფიქრები აირდაირია, გაშე-შებული, გაჩხიკინებული, გაოგნე-ბულიც კი შემძრა ამ ფიქრებმა. თავი წამოყო ჩემმა საიდუმლომ, რომელსაც, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიაც კი ვერ გაეამხნელ, საცოდავი დედაჩემიცა

და მამაჩემიც რა დღეში ჩაცვიფრებო-დნენ, მათთვის რო შეთქვა, შეგულ-შეგ შეიძლება ციმბირისკენ, მუხლი რომ ვუ-მეთქი?! არა, არა, ეთერის წინააღმდე-გი კი არ ვიყავი, არამედ დაოჯახება არ შეიძლებოდა იმეამიერად ჩემი, რო რამე მომხდარიყო, — ხო მოხდა მერე, ხო სწორი აღმოჩნდა ჩემი ვარაუდი?! — ჩავარდებოდა გოგო უბედურ დღეში. რატომ?! რისთვის?! გატაცებული, თავდავიწყებული ტრფიალება რო ყოფილიყო ჩვენს შორის, ამისთვის თავგანწირვაც არ იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ ეს რო არ იყო?! რას ვემართლე-ბოდი მართლია ვეჭურჭურებოდი, ვე-აშიკებოდი, კომპლიმენტებით ვამკობდი, ნარდს ვეთამაშებოდი, როგორც კი ჩამოვედი თბილისში, მეორე დღეს-ვე ლუბა დეიდას მივაკითხე ვარ-დის უბნის ქუჩაზე. იქ დამხვდა ეთერი და მისი უმცროსი დაი ლენა. იქ და-სახლებულიყვენ ომის წლებში, ლუბა დეიდასთან. ლუბა დეიდას ქმარი საშა თოდრია მათი სოფლიდან, ზედაციხე-სულორიდან იყო. საშას დაპატიმრების შემდეგ ლუბა დეიდა მარტო დარჩა შვილებთან ერთად, ეგ მოგახსენეთ კი-დეცა, მაგრამ გავიმეორებ, მერე რა, სამი შვილის დედობა ქვრივი ქალისთ-ვის იმეამად, ომის დროს ოჯახრაც და ათასჯერაც სახსენებელი არ არის?! ჩა-დიოდა ხოლმე ქმრის სახლში, იქაც აღარავინ იყო, დაეპატრონა და უვლი-და იქაურობას, ცოტა სარჩო-საბადე-ბელიც მოჰყავდა კარმიდამოში. იქ გა-უცვნია ეთერის მშობლები, დაახლოვე-ბია მათ და როცა გოგოებს თბილისში წასვლა გადაუწყვეტიათ, ლუბა დეიდას თავისთან წამოუყვანია. ცხოვრობ-დნენ მასთან და სწორედ მათთან აღ-მოვიჩნდი იქ მისვლისას. კარი ჩემთვის უცხო გოგომ გამიღო, ლუბა დეიდა მინდა-მეთქი, ვუთხარი. კარში მდგარმა პასუხი კი არ გამცა, გაოცებულმა მკითხა, თქვენ ვალოდია ხართო? შე-მიპატიეთა, მეორე გოგონაც შემომეგება, აწირალდნენ, ლუბა მალე მოვაო, და-ფაცურდნენ, დატრიალდნენ, ნავთქურა-

ზე ტაფა შემოდგეს. მკადის ფეკილი აზილეს და თან მესასებრებოდნენ, ხო გადაირევა ლუბაო, გულიო, გული გადაელია ლოდინითაო, სულ თქვენზე გველაპარაკებოდაო. რა არ გვიოხრაო, ყოველ დღე თქვენი სახელი აკრია პირზეო.

ასე გავიციანი ეთერი და მერედამერე თვალზე მომტაცა. ეს კი ლუბა დეიდას აბა, როგორ გამოეპარებოდა.

მე ჩემი საიდუმლოების გამო სერიოზულად არაფერს ვაპირებდი და ამიტომაც არც ვამიფიქრებია დაოჯახება. ლუბა დეიდამ კი დედაჩემი იყო-ლია, რა თქმა უნდა, ჩემთვის სიკეთე რო უნდოდა, იმიტომ მოუწყვითათ შეთქმულება, იმ დროს, როცა ეთერი სოფელში იყო, ჩასულან მასთან, დედამისისთვის უთქვამთ, ვალოდიამ გამოგვაგზავნა. ეთერის შერთვა უნდაო, ნიშანიც გამოგვატანაო, მიუღიით მათი წინადადება და საპატარძლოსთვის ნიშანიც მიურთმევით.

ერთი წუთით სუფრას გამოვეთიშემეტი, მოგახსენეთ, ეს იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, გაგზვედი, გაქვავედი, აშლილ ფიქრებში ჩავიძირე და სასოწარკვეთილების ხმა რო არ ამომსკდა გულიდან, იმის გამო, რომ დედაჩემის თავი ჩემს მუხლებზე იდო და მისი ვედრება მესმოდა.

დედაჩემი კი ჩემთვის მარტო მშობელი არ იყო, ბავშვობიდანვე რელიგიური ბურუსით მოკულ ღეთაებად მიმაჩნდა და მუდამ მონამორჩილი ვიყავი მისი ნებასტრვილისა.

აქვითინდა დედაჩემი. ამან გამომიყვანა გაბეგებისაგან, დაეწვედი, ხელები მოვებევი, წელი წამოვათრევიანე. შეუტია ლუბა დეიდამ, კრემლები კი არა, ღვინო დალიე და ნეფე-დედოფალი დალოცეო. სავსე კიკა ხელთ შეაჩეჩა, ბედნიერი იყავი, შეილოო, თქვა დედამ და ღვინო დალია.

გახურდა და გახურდა ლუბა დეიდა, მაფრქვია და მაფრქვია თავისი, სხვისთვის რო არავისთვის შემიმჩნევია არასოდეს, ისეთი ღიმილის შუქი, მასვა

და მასვა ღვინო, სიმღერაშიც ამიყო-ლია, იმერეთში თუ ჩვენს ახლოს ჩავივლიათ, პატარა, ჩემო პატარაო მთუოხეო, მოუოხეო და აგუგუნებდა თავის ხავერდოვან ბანს მამაჩემი.

დავეოჯახდი.

ერთი წლისა და რამდენიმე თვის შემდეგ, როცა მე ოცდახუთი წლის კატორღა მქონდა მოსჯილი, ჩემ ცოლს ნება დართეს ნახვისა, გამომძიებლის ოთახში დამახვედრეს რამდენიმე თვის შეილთან ერთად.

ეტყობოდა გამომძიებელმა გვარიანად გააცნო, რისთვის ვიყავი მათთან და რატომ მომისაჯეს ამდენი წლის პატიმრობა. ორიოდე სიტყვით გავესაუბრეთ ერთმანეთს და მერე მიტხრა. თუ ამას ელოდი, მე რაღას მერჩოდო.

ცამდე მართალი იყო, რას ვერჩოდო, რას ვემართლებოდი?!

ალდგომა

ამასობაში ჩემი ძმა შოთაც დაბრუნდა ქარიდან და შეიგსო ჩვენი ოჯახი, ისევ თავი მოვიყარეთ ერთ ოთახში, ახლა უკვე ჩემი ცოლითურთ. დედაჩემი მეტწილად ქუთაისში იყო, ჭერხნობით ქუთაისს ვერ ელეოდა. მამაჩემი და მე ვუძღვებოდით ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ მხრივ დიდი შედავათი იყო ამერიკული კვერცხის ფხვნილი.

ამბობდნენ, კუს კვერცხებიო, ვებერთელა, დიდებიო, ფხვნილად აკეთებენო. გვიკვირდა, ამდენი ფხვნილი როგორა აქვთ, ანდა ამდენი კუ სად არის, სად პოულობენ, მთელი რუსეთი და საბჭოეთის რესპუბლიკები რო გამოკვებებს?! ათქვეფდი. ნამდვილ კვერცხის გულს დაემსგავსებოდა, ტაფაზე დაასხამდი და ნამდვილი ტაფამწვარივით გამოდიოდა.

ამ ფხვნილითა და ცოტ-ცოტა სხვა რამითაც მშვიერ-მწყურვალნი არ ვიყავით. მამაჩემი მარჯვე კაცი იყო, მივლინებებში დადიოდა სამსახურიდან, ტყავნედლეულის დამზადების რესპუბ-

ლიურ კანტორაში რევიზორ-ბუღალტრად მსახურობდა, ჩამოჰქონდა რაიონებიდან სურსათ-სანოვაგე. ომის შემდგომი პურის წიგნაკებისა და სხვა ამდაგვარი ვითარების პირობებში ჩვენ ჩვენ კანში ვეტეოდით.

მამაჩემი არც არასოდეს ყოფილა გატაცებული ნივთომანიითა და კომფორტომანიით, არც გამომძალველი და მექრთამე იყო, თუმცა იმეამდ საზოგადოების ეს მანკიერებანი არც მაინც დამიანც ვრცლად იყო ფეხმოდგმული. ერთხელ ერთ რაიონში რევიზორის პროცესში ერთ-ერთს შეუმჩნეველად ფული ჩაედო მის ჯიბეში. ერთი ამბავი აუტეხავს, ფული დაუბრუნებია და კინალამ ციხეში ჩაუგდია ის კაცი. ძალიან მკაცრი იყო რევიზიისას, მაგრამ მუშაკებს საშუალებასაც აძლევდა, რევიზიის პროცესშივე გამოესწორებინათ, თუ რამე ხინჯი გააჩნდით.

ასე, რომ მშვიერ-მწყურვალნი არ ვყავით, მაგრამ თავზეც არ გადაგვიდოდა უბოვრება.

1947 წლის გაზაფხულზე მამაჩემი ახმეტაში იყო რევიზიაზე. აღდგომის წინა დღეს ჯიბეები მოვიხჩრიკეთ მე და ჩემმა ძმამ, გახვრეტილი კაპიკიანიც კი არ აღმოგვაჩნდა.

სულ ორიოდ თვის მოყვანილი მყავდა ცოლი. აღდგომა დღისთვის პურის ფულიც კი არა გვქონდა.

ღილით ადრე, ექვს საათზე, ცოლი და ძმა მიჩინარენი დავტოვე შინ და წავედი მეგობართან ფულის სასესხებლად. ვინ გამხსენებოდა ამისთანა დღეში ჩავარდნილს?! რა თქმა უნდა, გიორგი ლეივა გამახსენდა, პირდაპირ მისკენ გავეშურე.

ახლანდელი ლესელიძის ქუჩაზე მამაჩემი ტრამვაი დადიოდა. გაჩერებასთან მივედი. მტკვრის ნაპირთან ადამიანები გაფაციცებით მოძრაობდნენ. დამიანტერესა, მივედი ნაპირთან, ჯერ კიდევ სანაპირო ზოლი არ იყო გაკეთებული. იქ, საცა ახლა სამასი არაგველის ობელისკი და პარკია, მაშინ მტკვრის გასწვრივ, ნაპირზე პატარა-პატარა ქობები იდგა. მივადექი ნაპირს და ვხედავ,

დიდი და პატარა დაწრეტილ და ამოვრეულ მტკვარში დგანან დღე-ღამე, ქუდებით, პატარა ბადურებიც და იქერენ. მივხვდი, ყოველწლიურად, გაზაფხულზე ზაქვისის კაშხალს წმენდნენ ხოლმე, კაშხალს გახსნიდნენ, წამოვიდოდა ტურტლიანი წყალი. მერე ჩაკეტავდნენ კაშხალს, იწყებოდა საცავში წყლის შეგუბება, ამ დროს ძველ კალაპოტში წყალი საგრძნობლად იკლებდა. ტურტლიანი წყალს თვალედაბნელებული თევზები იმდენი მოჰქონდა, შეიძლებოდა მათი ხელითაც დაჭერა.

ამას რომ მივხვდი, შევბრუნდი მაშინვე, დაწრეცი ფერდობი ავირბინე. შინ შევეარდი, ჩემი ძმა გავაღვიძე, საშინაო სამოსი გადავიცივი, სასროლი ბადე ავიღე (მამაჩემი მეზადური იყო, ბავშვობიდან მე თან დავყავდი სათევზაოდ, მერე ჩემთვისაც აქსოვინებდა ბადეს, ორი სასროლი ბადე გვქონდა შინ), — ძმას მივაძახე, ჩქარა ჩაიცივი, ორი ვედრო წამოიღე და მტკვარზე ჩამოდი-მეთქი. ბადე მხარზე გადავიკვდი, ერთი ვედრო თან წავიღე და სირბილით ჩავედი მტკვარზე. მოვიქნე ბადე და მტკაელიანი თევზებით საცხე ამოვიღე წყლიდან. ძლივს ჩავცალე ვედროში. მეორე და მესამე ამოღებაზე სალონეში ჩამძვრალი პატარა თევზები აღარც გამოჰქონდა, მხოლოდ მოზრდილებს ვყრიდი ვედროში. მალე ავაესე ვედრო. ჩემი ძმაც ჩამოვიდა. ავაესეთ კიდევ ვედრო, წაიღე, შინ აიტანე-მეთქი. მალევე დაბრუნდა. მეოთხე ვედროც ავაესე, ბადიდან თევზების გამოღებას ვერ ვასწრებდით.

უცებ თვალი ვკიდე, წყალმა გაიტყალაშუნა, კუდი მოიქნია თევზმა. მყისვე ავხვებე ნასვრეტებში თევზებგაჩხერილი ბადე და იმ ადგილისაკენ მოვიქნე, საცა ტყალაშუნი შევნიშნე. მოვხვებე ნელნელა ბადე, ნაპირთან დაბალი იყო წყალი, გამოჩნდა ვებერთელა თევზის ზურგი, არ ირხეოდა, გატრუნული მოჰყვებოდა მოხვეჭილ ბადეს. მივუშვი მაშინვე ბადე. ძმას ვუხმე, წყალში ორი მხრიდან მივუდექით, სა-

ლონეებსა და ტყვიებს ხელი ჩავაღ-
ლეთ და ასე ნაპირისაკენ წამოვახო-
ხეთ ბადე.

თევზი კუნძულივით ეგდო წყალში
და ნებანება მოგვეყვა.

ნაპირზე ისე ამოვათრიეთ, არ შენძ-
რეულა, ბადეს დაგლეჯდა, რო გაებრ-
ძოლა.

ორაგული აღმოჩნდა ალბათ არაგვს
ჩამოყოლილი ზაქვისის კაშხალის საგუ-
ბარში იმყოფებოდა, კაშხალის გახსნისას
წყალს გამოჰყვა, ტურტლიან წყალში
გარეტრანებული იყო და ამიტომაც არ
ინძრეოდა.

შინ ავწონეთ, თოთხმეტი კილოგრამი
გამოვიდა.

თევზაობას თავი მივანებეთ მე და ჩე-
მმა ძმამ, ლაყუჩებში იქით-აქეთ ხელი
ჩავავლეთ ორაგულს, ჩვენს ბედზე
კვლავ გატრუნული იყო, სავსე ვედრო-
ებითა და ამ ნადავლით შინ ავედით.

გამოცვივდნენ მეზობლები, ამდენი თე-
ვზი ერთად არც არასოდეს მენახა. აღ-
დგომა გათენდა და ამდენი ცოცხალი
თევზი გაჩნდა ეზოში, ჩემმა ცოლმა
მაშინვე მეზობლებს დაუგზავნა თევზი.

ჩვენს ოთახს წინ შესაბამისი ჰქონდა
ეზოში შემოსასვლელ კიშკრისაკენ. ზედ
პატარა მაგიდა იყო მიდგმული. ამ
მაგიდაზე დავდე ორაგული. უნდა გა-
მეფატრა და ნაწლავები მომეშორებია.
დავკარი ფანა მუცელზე და ელვასა-
ვით ასბლტა თევზი მაგიდიდან, დაიწყო
მაგიდაზე ბტუნაობა, ხელი ველარ შე-
ვაველე, ჩემი ძმაც წამომეშველა, ვერა
და ვერ მოვიგდეთ ხელთ, გვისხლტე-
ბოდა, იატაკზე გადმოვარდა, ძლივს
ავათრიეთ ისევ მაგიდაზე, იფართხალა
ასე კარგა ხანს და მერე გაიშოტა. სა-
მოცი სანტიმეტრი სიგრძის თოთხმეტი
კილოვანი ორაგული გავფატრე, გა-
მოვშიგნე და ამ დღეში რო ვარ, თვალი
ეზოს კიშკრისკენ გამექცა, კიშკარში
მამაჩემი დავინახე, შემოვიდა დატვირ-
თული, მამა-მეთქი, შეგძახე შოთიკოს,
ჩაირბინა, შეეგება; ღვინით სავსე ტიკ-
პორა გამოართვა და შესაბამისი რო-

ცა შემოვიდა მამაჩემი, გოცდა, ეს რა
თევზი დაგიჭერათო.

დილით პურის ფულს მიქონდა,
ღვთის წყალობით თევზიც უხვად, თე-
ვზების მეფის ორაგულითურთ, ღვინოც
და კახური სანოვავეც გაჩნდა, მეზობ-
ლებსაც და ჩვენაც ისეთი აღდგომა და-
გვიდგა, ღმერთმა იმდაგვარი აღდგომა
ჩემ შვილთაშვილებს გაუთენოთ.

მე და შოთიკომ ვიხმეთ ჩვენი ძმა-
კაცები და გვარიანი ჰარიარალე შემოვ-
ძახეთ იმდღეს.

გაიბადრა მამაჩემი.

პირველი წიგნი

დადგა 1948 წელი.

ჩემი ლექსების პირველი წიგნი სტა-
მბაშია.

პირველი წიგნია. „ჩვენ თაობაში“ და
სხვაგან ომამდე გამოქვეყნებული ლექ-
სები არ შემიტანია ამ წიგნში, ომამდე
არც გამომიცია კრებული, ვერც მო-
ვასწარი და არც ვიყავი მაშინ მზად
საამისოდ.

ახლა დამდგარა საამისოდ დრო. ხუმ-
რობა ხო არაა, წიგნია, შენი ლექსე-
ბის კრებული, ცალცალკე. ეურნალ-გა-
ზეთებში რო ბეჭდავ, რომელიმე ლექ-
სი თუ აღარ გამოგადგა შემდგომ, თუ
შეცდომით დაგბეჭდავს, თუ შეცდო-
მით გაუშვია რედაქტორსაც, ეს არ
არის მაინცადამაინც დიდი უბედურე-
ბა, მერე აღარ გაიმეორებ აღარსად და
მიავიწყდება კიდევ მკითხველს.

წიგნი კი სხვაა.

წიგნში დაბეჭდილი ყველა ლექსი
ერთად განაგრძობენ ცხოვრებას, პო,
პო, ცხოვრებას, რაკი მკითხველი უნდა
ამოქმედონ, ან გაახარონ, ან დაანადგ-
ლიანონ, შეუდგნენ, გაჰყვენ, აი, ეს
გზავ, აი, ეს ბილიკო, გაიმწვადონ წინ
სტრიქონები, მის ყოფაში უნდა ჩაერ-
თონ და ცხოვრებაა, აბა, რა არის?!
მკითხველთან თანაარსებობაში ერთად
მოიყრიან თავს ლექსები და იქ თუ გა-
გეპარა უღირსო, რაღას იზამ?! სად-
ლა მოუყრი თავს გავრცელებულ, მი-
მოფანტულ, ხალხში მიმოხვეულ ტირა-

ვის ცალებს, რო ამოხიო, ამოგლიჯო და მოაშორო იმ კრებულს, რომელიც ბედად არც თუ ისე უინტერესო გამოსულა?!

ამ თვალთ ავზომ-ავწონე, რაც კი შემეძლო, ეს კრებული, ზოგთაგანი ომამდელიც კი შემეძლო შემეტანა მაგრამ ისინი ჭერჯერობით განზე გადავდე, აქ სხვა განწყობილების ლექსები შეჩვენებდა, შენივთდა, შეხმატკბილდა, ომისა და ომისშემდგომი ჩემი თანატოლების გუნება-განწყობის გამოხატველი ლექსები, იმ თანატოლებისა, რომელთაც ძნელზე-ძნელი ვზები გაიარეს, სიკვდილის სარეცელზე წოლილან, გამოსხლეტიან, ზოგნი მერ გამოსხლეტიან, უწვალანიათ, უკანკალანიათ თოშში, წვიმაში, ღვარცოფში, დედა და სამშობლო, დედულეთი და მამულეთი მონატრებიან, უცნესიათ, ეს რა მოგვდიოდა, შინ რო ვიყავით, მაშინ რატომ არა ვგრძნობდით, ასე ძვირფასი რო ყოფილა მშობლიური ქერა, დედის ამოღესილი ქოთნის ლობიო, ყანა და ვაზი, მეზობელი და ნათესავი, რო მოეშორადით, ახლა აქ რო ვართ, ცხრა თუ ცხრაათასი შთის იქით, ჯანდაბაში, დასაქარგავში, მოუსავლეთშიაც რადმე, ახლალა რად გახდა ყველაფერი ეს უძვირფასესი, დაუფასებელი, თურმე მართლა სული და გული, თურმე მართლა შეუცვლელი და შეუდარებელი, როგორც ყრმობისას გვარწმუნებდნენ პოეტები. ღმერთო, გადაგვარჩინეო, ღმერთო, დაგვებრუნეო, ღმერთო, ოღონდ აქ არა, იქ მოგვკალი და იმ მიწაში შეგვიანაგეო... ასე რო მოთქვამდნენ წვიმაში, თოვაში, ღრუბლიანში, მზიანშიც კია, აი, იმ თანატოლების განწყობილებები იყო მოქცეული ამ ლექსებში და ამიტომ გავარიდე მათ ომამდელი ლექსები.

ეს წიგნი გამოდიოდა, სტამბაში იყო, ფეხის ცერებზე შემართული დავდიოდი, დავკროდი თბილისში. აღტაცებული, აღზნებული, ღვინოსა და არაყს ვსვამდი, „სელიოტკას“ ვიყიდდი, „ნარინჯოვანს“ (არაყი იყო ასეთ

იაფფასიანი),—ჩავიწყობდით ჭირში/და სადმე იაფფასიან დუქნებზე, უნდა ავტოზედგომელა სადაბლოებზე, ღრუბლებზე დედადით, გავახურებდით ერთმანეთის ქება-დიდებას, ვეჭიბრებოდით ერთმანეთს ლექსების წარმოთქმაში და მუდამ გვიკვირდა, როცა ჩვენთან აღმოჩნდებოდა მწითური, ჩაფსკენილი, საშუალო ტანის მოქეიფე ბულალტერი თუ ეკონომისტი, ჩაგვიდგებოდა შედარებით ახალგაზრდებს, ოღონდ ჩახლეჩილი ხმით სულმუდამ ჩვენგან განსხვავებულად სადღეგრძელოს იტყოდა, მერე ქართულ პოეზიაზე გააჩაღებდა საუბარს ისეთს, ეს რა მესმისო, რო გაიოცებდი და არცერთმა ჩვენთაგანმა არ ვიცოდით რო თურმე ეს პოეტი იყო, ნიკო სამადაშვილი, ის ნიკო სამადაშვილი, რომელიც ორიოდ ათწლეულის შემდეგ უმცროსმა მეგობარმა შეწერლებმა თამაზ ჩხენკელმა, არჩილ სულაკაურმა და სხვებმა გადაარჩინეს, თვით უკვე აღარ იყო ამქვეყნად, მაგრამ გადაარჩინეს მისი ასევე გამორჩეული ლექსები, ჩვენთან მალავდა, არ ამხელდა, თურმე თავისთვის წერდა და გულის ბოღმას სტრიკონებზე აწურავდა, თანატოლი მეგობრები შემოლეოდა ოცდაჩვიდმეტისა თუ წუთისოფლის ქარტებილებში, ჩვენთან კი დადგებოდა საათობით ფეხდგომელა სადაბლოებში და მყარლ „ნარინჯოვანს“ სვამდა ჩაისჭიქით.

რალა თქმა უნდა, მესტამბეებსაც, იმათაც, ვინაც იმჟამად ჩემ წიგნს ხელს შეახებდა, გამოვიტყუებდი ხოლმე სტამბიდან იქვე გვერდით სახინკლე იყო პატარა და იქ ვემაღლიერებოდი, ვეფერებოდი, მარჯვენას ვულოცავდი ვახტანგ მენთეშაშვილსა და მის მეგობრებს.

იმხანად იმავე სტამბაში სამი ომგადახდილი პოეტის მურმან ლებანიძის, თეიმურაზ ჭანგულაშვილისა და ვახტანგ გორგანელის საერთო კრებული „სალამურებიც“ იბეჭდებოდა, ესეც პირველი წიგნი იყო იმათი და ხანდახან

ერთად ვლერობდით საყვარელ მესტამ-ბებებთან.

ვახტანგ მენთეშაშვილს უნდა ვუ-მადლოდე რომ რამდენიმე ცალი გა-დარჩა ამ წიგნის ტირაჟისა. ბარემ აქვე მოგასწავნებთ ამასაც, წინ გავუსწრებ სხვა მოვლენებს, ჩემი თხოვრების თა-ნამამდევრობას იმიტომ, რომ მოვლენე-ბის ვითარებასთან დაკავშირებით შე-იძლება ველარ გაიმბოთ ეს. შეიძლება გადამავიწყდეს კიდევ, რადგან წიგნის მამონდელი ბედი, გადასახლებიდან რო დაებრუნდი, ესე იგი რვა წლის მერე, გავიგე, პრდა, რა მნიშვნელობა აქვს, მერე გაიმბოთ თუ ახლა, ახლავე ჯობს-თქო, ასე გაგიფიქრე რატომღაც და რაკი გაგიფიქრე, ბარემღა გაიმბოთ:

1955 წლის ბოლოს დაებრუნდი გა-დასახლებიდან. რა თქმა უნდა, მაინ-ტერესებდა წიგნის ბედი. ვახტანგ მენ-თეშაშვილმა მითხრა, მთელი ტირაჟი დაჭრეს და გადაყარესო, მალაზიებში არ გასულა. არც ერთი ცალი, ერთმა მეგო-ბარმა მაცნობა, საჯარო ბიბლიოთეკა-ში არის შენი წიგნი, ზმარებიდან არ ამოუღიათო. წავედი საჯაროში, კარ-ტოთეკაში მართლაც აღმოჩნდა, მოვით-ხოვე მომცეს, მივეჯექე მაგიდასთან და დავიწყე წიგნის ფურცვლა. ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა, რაც მაშინ გან-ვიცადე. წიგნი გადარჩენილია, არ დაკარ-გულა, დაჭრეს, აუწყეს, გადაყარეს, იქ-ნებ დასწვეს კიდევცა, ფერფლი ქარს გაატანეს, მაგრამ ერთი ეგზემპლარი მაინც ზო გადარჩენილა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში. გამოუტანიათ, წაუკითხავთ სხვათა და სხვათა, ფურც-ლებს აჩნია ნათითარები. მე რო კალი-მაში სულს ვლაფავდი, დაინტერესებუ-ლი მკითხველი აქ ამ წიგნს ჩასცქერო-და, კითხულობდა, ზოგს მოსწონდა, ზოგს არ მოსწონდა, ან მხოლოდ რამ-დენიმე ლექსმა მიიპყრო მისი ყურა-დლება, ერთი სიტყვით, წიგნი ცოცხ-ლობდა. არსებობდა.

ერთმა მეგობარმა ისიც მითხრა, შენ რო დაგიჭირეს, მეორე დღეს რადიო-თი გადმოსცეს შენი „ბაშირ შამბეო“.

მიტანილი მქონდა წინა დღეებში, გამ-ზადებული იყო გადმოსცემად. მწიგნინ-დელი რადიოს უფროსმა მხარს მჭამეს. კირიას ვიზა მქონდა ლექსს, ბოლოში წითელი ფანქრით მიეწერა ხუთიანი პლიუსით. ეს ვიცილი და, აი, ბედი, მე რო კავშირგამბულობის სახლის უკან უშიშროების შინაგან ციხეში ვიწრო კა-მერაში ვიყავი გამოკეტილი, იმავე კავ-შირგამბულობის შენობიდან, რომელ-შიაც ბოლო სართულებზე რადიორე-დაქცია იყო მოთავსებული, ჩემს ლექსს გადასცემდნენ, რომელიც მთელს საქარ-თველოს ესმოდა.

სამიოდე წლის შემდეგ ბათუმიდან პოეტი მამია ვარშანიძე მესტუმრა. ჩვენ ომამდე ვიცნობდით ერთმანეთს. ისიც ომნაჯაფარია, ჩემი ამავე გვერიანად ცოდნია. დაბრუნებაც გაუგია ჩემი. რამდენჯერმე შემხვდა თბილისში და მაცნობა, შენი ერთი წიგნი ჩემთან ინა-ხებოო. ერთხელაც მესტუმრა და მომი-ტანა ეს წიგნი, შავ კოლინკორის ყდაში ჩავსვა და ასეთი წარწერით მაჩუქა:

„პატ. ლადო!“

მე ეს წიგნი ჩემივე თხოვნით გამო-მიგზავნა აწ განსვენებულმა გრ. იმედა-ძემ. მე ეს წიგნი ერთი საათით წაეთ-ხული მქონდა თბილისში. როცა პირვე-ლად გამოვიდა, (გრეგოლმა გადმომცა). ბათუმში ამ წიგნს ვუკითხავდი: ჩემს მეგობრებს და ალტაცებაში მოვყავდი. ასე, რომ ბათუმელმა ჩემმა მეგობრებ-მა ჩემით გაგიცნეს. მე მომწონდა ამ ლექსების უშუალობა, ბუნებრივი, ლა-ლი მდინარება და გადაუქარბებელი ზა-ტოვანება. აი, რატომ ვუკითხავდი მათ ჩემს მეგობრებს. ეს იყო მაშინ, როცა შენ ბათიალთან ახლოს იყავი.

მამია ვარშანიძე

18.1.59 წ.

ეს ის დროა, როცა პარიზში მყოფი კაცის წიგნი აკრძალულია, იმიტომაც დაუწყეს ტირაჟი. იმიტომაც მისი შენახვა ვარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული.

მამიამ ბევრი რამ მიამბო, როგორ მალავდა ამ წიგნს. რა თქმა უნდა, ყვე-



ლასთან არ აჩენდა, უახლოეს ამხანაგებს უკითხავდა, თვითონ უკითხავდა, შინ არ გაატანდა, წაუკითხავდა თურმე და მაშინვე პერანგის უბეში ჩამალავდა. შინაც ასე საგულდაგულოდ ჰქონია მიმალული.

მამია მაშინ უბედურებაში მყოფ ქართველ პოეტს უწევდა ერთგულებას, არ შეეხუთა მოულოდნელ ხიფათს, რო ვისმეს წაესწრო მამუზლართაგანს, შეიძლება ისიც ჩემი გზით გამოექანებიათ ციმიბირისაკენ. არ დაზაფრულა და ანაკვერჩხლებულ ბუხარში არ შეუგდია პოეტის წიგნი, უბეში მალავდა, შინ მალავდა და სანდო მეგობრებს უკითხავდა, მოსწონდა ლექსები და ისე ვერ გადაძალა, რომ არავისთვის გაემხილა. პოეტი შეიძლება უკვე დაღუპულიყო, ჩემ მდგომარეობაში მყოფისთვის ეს იოლი შესაძლებელი იყო, მან არაფერი იცოდა მის შესახებ, არც იმას იმედი ჰქონდა, ოდესმე დაბრუნდებო. იჭიდან, საცა მე ვიყავი, ძალიან ცოტანი ბრუნდებოდნენ.

მამია პატრონობდა ამგვარ ბედში მყოფ პოეტს.

სხვამ ვერ შემოინახა. სხვამ ვერ გარისკა. ვახტანგ მენტეშაშვილმა ოციოდე ცალი მაჩუქა სტამბიდან, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. სალამომდე ოცივე დავარიგე, ვინც შემხვდა, ზოგთან მივედი, მოვინახე და ისე მივეცი, იმ საღამოს კი წამიყვანეს. აღარავინ დამახვედრა, არც ვსაყვედურობ არავის. ისეთი ხმები დარბეულა ჩემ შესახებ, აბა, ვინ გარისკავდა, ვინ შეინახავდა?!

საქარო ბიბლიოთეკაში შემორჩენილა და

მამია ვარშანიძეს გაურისკავს და შეუნახავს.

დაბრუნებულს ასეთი გულითადობით მომიძღვნა ეს წიგნი, ეს ერთადერთი ეგზემპლარი მთელი ტირაჟისა — 5000 ცალისა. მომიძღვნა და მაჩუქა. სათუთად ვინახავ ახლა ჩემს არქივში ამ წიგნს, რომლის ბოლო გვერდზე წერია: რედაქტორი: ალ. შენგელია.

მხატვარი: ა. კანდელაკი
გადაეცა წარმოებას 10. 2. 48 წ. ხელმოწერილია
გენერალ-მაიორი
დასაბეჭდად 25. 2. 48 წ.

10 თებერვალს წარმოებაში გადაცემული 5 თაბახიანი წიგნის მთელი ტირაჟი დაბეჭდილი და აკინძული იყო იმავე წლის 7 მარტს „კომუნისტის“ პოლიგრაფკომბინატში.

წიგნის მალაზიების თარობამდე ვეღარ მიალწია ამ წიგნმა.

პირველი დაკითხვა

როგორც მოგახსენეთ, ალტაეებულ მივდი-მოვდიოდი თბილისში.

მალე ჩემი პირველი წიგნი გამოჩნდებოდა მალაზიის თარობებზე და მალევე, აპრილის დასაწყისში პირველი შვილი შემეძინებოდა, ველოდებოდი, ძეობისათვის ვეშაადებოდი, წიგნზე ხელშეკრულება გამიფორმეს გამომცემლობაში და გამოსვლისთანავე პონორარსაც მივიღებდი, პირველ ძეობას ვიზეიმებდი ნათესავ-მეგობრებთან ხერიანად. ერთი სატყეით, მატერიალურადაც ოდნავ წელში გავიპართებოდი და ჩემს ოჯახზე ზრუნვას შევუძსუბუქებდი მამაჩემს.

ამისთვის ვზრუნავდი, ვცდილობდი გზადაგზა.

გიორგი ნატროშვილმა რამდენიმე ნარკვევის დაწერა შემომთავაზა, გამაგზავნა მივლინებაში. დავწერე ნარკვევები და გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“, ურიგო არ გამოდგა. გამომცემლობა „სახელგამშიც“ დამიბარეს, შემომთავაზეს აფხაზეთს გამგზავრება, იქ მილიონური კოლმეურნეობა არის განთიადშიო და იმაზე ოთხ თაბახამდე მხატვრული ნარკვევი დაგვიწერე, ჩვენ გამოვცემთო, სამიველინებთ თანხაც მომცეს.

ასე იყო 1948 წლის 7 მარტს.

გავიქეცი რკინიგზის სადგურში, ბილეთები ვიყიდე აფხაზეთს გასამგზავრებლად, იმ ღამით უნდა წავსულიყავი, აღარ მახსოვს ათ თუ თერთმეტ საათზე გადიოდა მატარებელი.

სტამბაში ვახტანგ მენტეშაშვილს გავუარე, წინა დღით დამპირდა, ჩემი წიგნის რამდენიმე ცალს ჩასვამდა ყდაში და მომცემდა, იმასაც დამპირდა, ას ცალს სასიგნალო ეგზემპლარებსაც გამზადებდა და გაგზავნიდა. წიგნის ტირაკი მთლიანად ჩამობეჭდილი და შეკინძული იყო, ყდაში ჩასმას ელოდებოდა მხოლოდ, ვახტანგმა ოცი ცალი გამზადებული წიგნი მომცა, დავავლე ხელი ვახტანგს და იქვე სახინჯულში შევედი, დავლოცეთ ჩემი პირველი წიგნი. სასიგნალო ეგზემპლარები უკვე გაეგზავნა, მივლინებიდან რო დაბრუნდები წიგნები უკვე მალაზიებში დაგზავნა, დამიამედა ვახტანგმა.

ფრთები შევისხი და მოვიძიე ამხანაგები, წიგნები დავურჩე მათ ჩემი ავტოგრაფებით. სალამომდე შევრჩი, ორიოდ წიგნი შემომრჩა ხელთ, დანარჩენი დავარიგე.

ახალი შეღამებული იყო, შინ რო მივედი, ცოლს ვუთხარი, მივლინებაში მივდივარ, პატარა ჩემოდანში საჭირო ჭინჭები ჩამილაგე-მეთქი. ამბავი დამახედრა, დღეს ორჯერ ორი ყმაწვილი მოვიდა, სამხედრო კომისარიატში დაგვავალეს, ესა და ეს კაცი, — შინზე თქვეს, — მოგვიყვანე, მოგვედით მაგის ძებნით, სამხედრო ბილეთები ჩამოგვართვეს, სანამ არ მოიყვანთ, არ მოგცემთ. გაიქეცი, შე კაცო, სამხედრო კომისარიატშიო.

დავბრუნდები მივლინებიდან და მერე მივალ-მეთქი, მივუგე ცოლს და საწერ მაგიდასთან მივჯექი, კალამი და ქაღალდები ჩავწყე საქაღალდეში თან წასაღებად.

უცებ შუშაბანდის კარი გაიღო, საწერი მაგიდის წინ, შუშაბანდში შემოსასვლელი კარისკენ ოთახის სქელ კედელში ფანჯარა იყო გამოჭრილი, დავინახე, ორი კაცი დაუკაყუნებლად შემოვიდა, ოთახშიც შემოდგეს ფეხი, ერთმა მაგიდასთან მჯდარს შემომძახა: სულაბერიძე თქვენა ხართ? მე ვახლავართ-მეთქი. მოგვკლეს, კაცო,

შენ გამოისობით სამხედრო კომისარიატში, მთელი დღე იქა ვართ დაკავებული, რალაცასთვის ჭერდებით მტკმოგვიყვანეთო, ჩვენ დაგვავალეს, მთელი დღე არაფერი გვიქამია, დავიბოცეთო... დავილაღეთო... მოჰყვა და მოჰყვა ქაქანს, ჭლაოდა, ხელებს იბარტყუნებდა ბარძაყებზე. რა ვიცოდი-მეთქი, ჩავურთე, ახლა მოვედი-მეთქი შინ. თუ ძმა ხარ, წამოდი, წამოდი, იქნება ჩვენ გაგვიშვან, დავწყდითო.

ეს ქაქანი და ჭაქლანი რო კარგი რამის მომასწავებელი არ იყო, ამას, რა თქმა უნდა, მივხვდი, მაგრამ სამხედრო კომისარიატში რო უნდა მივსულიყავით ჯერ, ამაში ეჭვი არ შემპარვია.

სამხედრო კომისარიატიდან ერთხელაც ვილაც მომიგზავნეს ასე, მივედი და სურათი გადამიღეს, ოცდაათი ცალი სურათი გვეჭირდებოდა და ამის ფული მე გადამახდევინეს. მაშინვე გავიფიქრე, რომ ამდენი სურათი ტყუილა არ ჰქირდებოდა, ალბათ წვავ-მეთქი მოძრაობაში, ვილაც-ვილაცებს აჩვენებენ, იცნობთ თუ არაო.

ჩემი შესწავლა რო იწყებოდა ჩემთვის აშკარა იყო. ადრევე ვიგუშანე კვლდაკვლ მღვეარი. რუსთაველზე ერთ სალამოს ნაცნობი ლიტერატორი შემხვდა, ლლიძის წყლების გვერდით რესტორან „დარიალში“ შემიპატიჟა, ენად გაიკრიფა, თითო ბოთლი ღვინო რო გვეჭონდა დალუული, გადაკრული რამეები გამოუტრია საუბარში, ტიციან ტაბიძეო, მიხეილ ჭავჭავაძეილიო... უსამართლოდაო... რამდენი რამე გადავიტანეთ ჩვენმა თაობამაო. მე არ მექაშინია ეს, არ ავყოლილვარ საუბარში, მაგრამ მოულოდნელად ენაგაკრეფილმა ოდნავ ხმას დაუწია და თქვა, ჩვენ არალეგალურად ვაყეთებთ საქმეებს, კი ბიჭები ეკრიბებიან და ძალას ეკრებთო. არ შეშისიამოვნა, შევაჩერე და მივუთხე, შე კი კაცო, მერე ამას მე რატომ მეუბნები, ტყვედყოფილსა და ომში გაძიდებულ კაცს, შევარცხვინე შენი პურ-მარილი-მეთქი, მივახალე, ავდექი და გავშორდი: გამახსენდა, მანამდეც ერთი-ორჯერ

მოულოდნელად ჩემ გვერდით აღმოჩნდებოდა ბოლშე, ხან ლუდზე შემოქცევდა, ხან მოპირდაპირედ რომ შემხვედებოდა, შებრუნდებოდა, მხარს ამიბამდა და გამომყვებოდა. იმ ღამეს „დარიალიში“ გამიზნული ანკესი გადმომიგდო.

რა თქმა უნდა, ბევრი საჭირო ცნობა გროვდებოდა ჩემ შესახებ ორგანოებში, სად ვიყავი, ვისთან, რა ვილაპარაკე, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ მაინც ვერ ვიჭერდი თადარიგს, ვერ მოვზომავდი ბოლშე სათქმელს. ხან სომთვრალეში, ხანაც აღვზნებული საუბრის დროს. საზოგადოებაში ყოფნისას მავიწყდებოდა ეს ყველაფერი და მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არც ვაქცევდი ამას.

ერთხელ კი აშკარად შევნიშნე, ორი უცნობი საგანგებოდ დამემგზავრა.

1948 წლის იანვარში მოსკოვში ტარდებოდა ახალგაზრდა მწერალთა საკავშირო თათბირი. სიმონ ჩიქოვანმა მე დამავალა, ჩავსულიყავი თათბირზე და ქართულ ახალ თაობის მწერლობაზე ისტყვა წარმომეტყვა. სასწრაფოდ დავწერე, სასწრაფოდვე გადამიტარგმნეს მწერალთა კავშირში. მამაჩემმა თავისი ნაბადოც გამატანა და დილით ადრე აეროპორტში ვიყავი. რა დღე იყო, არ მახსოვს. აეროპორტის ბუფეტში ხაში იყო. ავიღე ხაში და მაგიდას მივუჭექი. ამ დროს ბუფეტში შემოვიდა ორი ახალგაზრდა კაცი, იმათაც აიღეს ხაში და ჩემ მაგიდასთან დასხდნენ, თუმცა სხვა ცარიელი მაგიდა ბევრი იყო იქ. გამეცენენ. თითო ჭიქა არაყი დავასხმევინე მუბუფეტეს და მათაც შევთავაზე. გამოირკვა, ისინიც მოსკოვს მიფრინავდნენ. პატარა, ორ პროპელერებიანი თვითმფრინავით ჩავფრინდით სოხუმში. ერთი საათის შემდეგ გამოირკვა, რომ მოსკოვისაკენ ფრენა არ იქნებოდა, გამოგვიცხადეს, დილაშდე საცა გინდათ ღამე გაათენეთ და დილით გამოცხადდითო. მე და ჩემი ორი თანამგზავრი ქალაქს გვემგზავრეთ. ქალაქში ერთმანეთს დაემორადით. ქალაქში მე არავის ვიცნობდი მაშინ იქ მცხოვრები ხუტა ბერუ-

ლავას გარდა. მოვიძიე, ვნახე, მრმას-პინძლა გულიანად. მთელ დღე მთელად დავყავით. სალამოს სასტუმროში მივივდი. ადგილი არ იყო და ველოდებოდი, სანამ ადგილი გამონახებოდა. გვარიანად შეზარბოშებული ვიყავი. ვხედავ, სასტუმროში ჩემი ორი თანამგზავრიც შემოვიდა ორ ფორმაში გამოწყობილ ჩეკისტთან ერთად. დამინახეს, მოვიდნენ, მკითხეს, როგორა ხარო, ადგილს ველოდები-მეთქი, თუ რაზე გაგიჭირდეს, ამა და ამ ნომერში ვიქნებით და მოგვავითხო. ავიდნენ ნომერში, მერმე ისევ გამოვიდნენ და წავიდნენ სასტუმროდან. თვითმფრინავი მეორე დღესაც არ გაფრინდა. თათბირი კი სწორედ იმ დღეს იწყებოდა. ვიფიქრე, ერთ დღეს ხო არ დამთავრდებოდა, ხვალ მაინც ჩავუსწრებ-მეთქი. მაგრამ თვითმფრინავი მესამე დღესაც არ გაფრინდა. გადავწყვიტე, დავბრუნებულიყავი თბილისს. წავედი ფოსტაში, სიმონ ჩიქოვანს დეპეშა გავუგზავნე თვითმფრინავი არ გაფრინდა და თბილისს ვბრუნდები-მეთქი. ჩემმა ორმა თანამგზავრმაც თბილისს დაბრუნება ისურვეს. ჩამომშორდნენ, მაგრამ მე რო მომდევდნენ სათვალთვლოდ, ამაში ეჭვი არ შემპარვია. ღამით მატარებლით გამოვემგზავრე.

ასეა თუ ისე, ორგანოები რო მითვალთვალდნენ დაბატიმრებამდე, ეს არც გასაკვირია და არც დასაძრახი. ისინი თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ. მეც ვატყობდი-მეთქი, ჩემით რო იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ, აბა, რა უნდა მექნა?! ყოველდღიურ საქმეებს მაინც განვაგრძობდი, ლექსებს ვებუქდავდი, წიგნის გამოსვლას ველოდებოდი და ამავე დროს ჩემი საიდუმლოების ვახსნასაც მოველოდი.

და, აი, მესტუმრნენ კიდევ. სამხედრო კომისარიატო, კი, დავიჭრე, მაგრამ ორი ყმაწვილის ჯაჭღანმა დამაბეჭვა, მთელი დღე დავგააკავესო, სამხედრო ბილეთები ჩამოგვართვესო, დილიდან მშიერები ვართო... გავიფიქრე, კომისარიატში მივალთ და იქიდან პაიდა,

შიშის ხარი თავზარდამცემად აქუ
და.

ამგვარი შეშოყვანის შედეგად შიშის ხარი თავზარდამცემად აქუ და. ამგვარი შეშოყვანის შედეგად შიშის ხარი თავზარდამცემად აქუ და. ამგვარი შეშოყვანის შედეგად შიშის ხარი თავზარდამცემად აქუ და.

ამიყვანეს რომელიღაც სართულზე ერთ ოთახში მოტესა სამივე თანამგზავრო, ჯეები გამიჩხრიკეს, რად მქონდა ამოფერთხეს და თავისთან დამიტოვეს.

იმ წუთს ყველაზე სანახებლად ის გამოიბდა, რომ ჯიბეში შემომჩრა მეგობრების სია თავზარდაცემულმა და ელდანაცემმა მაინც შევძელი იმის გათვალისწინება, ამ სიას ჩეკისტები ათასნაირად რო გაიხრეკ-გამოიხრეკდნენ და ვაი, თუ რომელიმე მათგანს რამე შეაკერონ ჩემ გამო-მეთქი.

ეს გავიფიქრე მაშინვე. რადენიმე დღის წინ შწერალთა კავშირში ახალგაზრდა შწერლების თათბირი ჩავატარეთ. მე, მოგახსენეთ კიდევ ახალგაზრდა შწერალთა შორის მომუშავე კომისიის მდივანი ვიყავი, მისმა თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა მითხრა ჩიწერე, ვინ გვესწრებოთ. სპეციალური ეურნალი ჯერ კიდევ არ გვექონდა ამის სარეგისტრაციოდ. ცალკე ფურცელზე ჩიწერე გვარები, მერმე გადავიტანეთ ქურნალში.

აი, ეს სია შემომჩრა ჯიბეში, რომელიც ჩხრეკისას ჩამომართვეს.

ჩემი ვარაუდით მართალი გამოდგა: გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ არჩილ სულაკაურმა მიაშობო. იმ სიით ჩემი მეგობრები გამოუძახიოთ, — არჩილიც; სიაში იწერა, — მაგრამ საბედნიეროდ სავალალო არაფერი მომხდარა.

გამიჩხრიკეს, გამწმინდეს და მერე ერთ დღე ოთახში შემიყვანეს. ოთახში, ელახეში სწერ მამიდასთან

ორგანოს თანამშრომელი უფროსი ლეიტენანტი იქდა.

მე შესასვლელ კართან, მოპირდაპირე კუთხეში სკამზე დამსვენეს. ცოტა ხანს ორთავე ვდუმდით.

მერე მან თავი შემართა, გამომხედა და მკითხა:

„რა გვარი ხართ?“

„სულაბერიძე-მეთქო.“

„რა გქვიათ?“

„ვლადიმერი-მეთქი.“

„მამის საბელიო?“

„სიმონი-მეთქი.“

„დაბადების წელი?“

„1919-მეთქი.“

თავი ჩაქინდრა. ერთხანს ხმა არ გაუღია. მერე თქვა:

„ვლადიმერ, მე ორგანოს გამომძიებელი უფროსი ლეიტენანტი, გვარად თოფურია ვარო. თუ იცით, რისთვის მოგიყვანეს აქაო?“

„არა-მეთქი.“ — ხმადაბლა ვუბასაუბე.

„აბა, ყური დამიგდეთო, — მომმართო, — თქვენ ტყვეობაში გერმანელებთან თანამშრომლობდით, ბრალი გედებათ სისხლის სამართლის კოდექსის 58—1ბ მუხლით, რომელიც გულისხმობს სამშობლოს ღალატს.“

ენა ჩამივარდა, ნერწყვი გამიშრა, ტანში გამცხრილა, მივხვდი, რომ რალაც იცოან. მაგრამ ამისთანა უსაშველო ბრალდება უცებ შემცხეთა, ჭერ არაფერი მოაშენია ამითვის და უკვე განუსაზღვრავთ ბრალდების რანგი.

ადვილად მიმიხედვებით, მაშინდელ ჩეკაში როგორი მოსასმენი იქნებოდა ამგვარი ბრალდება... სამშობლოს ღალატითო, რეტი დამესხა. მიხვდა გამომძიებელი ამას და განაგრძო:

ახლა მოკლედ მიამბეთ თქვენი თავგადასავალიო.

თავგადასავალიო.

თავგადასავალიო.

ავლულულად, ავბურტყუნდი, სუნთქვა შევკოდა. სიმართლის თქმა მაინც ვერ გავბედე, ვგრძობდი, სიმართლე რო მეთქვა, დიდი რისხვა დამატყდებოდა თავს, ალბათ შინაგანი ხმა

მკარნახობდა, უცებ არა ცოტაც თავი შეიკავე. ცხელ გულზე-ეჩინევი, რას დაგმართებენ, ჯერ ისე ჩხუბი ჩხუბი შეთხზე, რაც მოიგონე, მაშინ, ფრონტის ხაზზე, პირველად რო შეეჩეხე ჩეკისტებს, იქაურ, ფრონტელ ჩეკისტებს, იმათ „სმერტს“ ეძახდნენ რუსულად. „სმერტ შპიონაჟო“, მთელი ფრონტის ხაზს რო მოსდევენენ, შეტივაზე გადასულ არმიებს უკან მიჰყვებოდნენ, თუ საეჭვო ვისმეს წააწყვდებოდნენ, ცაპ, ხელს წაავლებდნენ, ვინა ხარ, რა ხარ, აბა, ჩქარა გადმოყავით, ან იქვე მიახვრეტდნენ, ან გაძიძენ-გამოძიძენიდნენ. არმიებს ამდაგვარად ზურგს უშაგრებდნენ.

მეც შევეჩეხე ამათ პირველ დღეებში და, აბა, როგორ გამებედა, გერმანელების ბატალიონში ვიყავი-მეთქი? ტანისამოსი გამოცვლილი მქონდა, ძველმანი ძონძები მეცვა. შუბლზე კო არ მეწერა, ტანისამოსი ერთ პოლონელს გავუცვალე-მეთქი. დაზაფრულმა ისლა მოვახერხე, მომეგონებია, პოზნანში, — პოლონეთის ქალაქია, — ციხეში ვიყავი და წითელმა არმიამ იქიდან გამათავისუფლა-მეთქი. ციხეში რატომ იჯექო, ეგაც მკითხეს, ამასაც იმპროვიზებული პასუხი გავეცო, ტყვეობიდან ერთ სოფელში ბაუერთან, — გერმანელ ფერმერთან. — მიმამაგრეს, იმასთან ვმუშაობდი, ერთხელაც ამითვალწუნა, არ ვიცო რატომ, ამითვალწუნა და გასაქანი აღარ მომცა, ბოლოს პოლიცია გამოიძაბა, ჩემი თავი ჩააბარა და ასე ამოგყავი თავი ციხეში-მეთქი.

მაშინვე გამიკვირდა, იმ წუთსავე, სანამ ჩემს მონათხრობს იწერდნენ, რამ მომაგონებინა ეს ლეგენდა, წინასწარ არ მიფიქრია ამაზე, მერეც მიკვირდა, ბევრჯერ გამამეორებინეს, და მიკვირდა, რამ მომაფიქრებინა აგრე უცებ ეს ლეგენდა?! გაჭირება მიჩვენე და გაჭეკვას გიჩვენებო. დასტური დასტური!

იქვე, როცა ეს ლეგენდა ჩაიწერეს, რა თქმა უნდა, ისიც ჩაინიშნეს. 1942 წლის 18 მაისს ქერჩთან მძიმედ დაჭრილი ტყვედ რო ჩავუფარდი გერმანე-

ლებს, ისიცა, მერე რომელ ბანაკებში ვიყავი. არ წამყიდებიან, არ გამოშვიდებიან, არ ვუწამებთვიართ, არ ჩამკირკიტებიან, ჩაიწერეს, ზელი მომაწერინეს, ვიფიქრე, დამიჭერეს-მეთქი და მათ ცხელ გულს ასე გადავურჩი.

იგივე ლეგენდა ამოვლერღე აქაც, თბილისის ჩეკას გამომძიებელთან, როცა მკითხა, შენი თავგადასავალი შრამბეო.

„აღა გამომძიებელი, გაიარ-გამოიარა. ბოლომდე მშვიდად მომისმინა წარბი არ შეუბრია. ჩემსკენ ზურგშექცეულმა ფანჯარაში გაიხედა, მერე შემობრუნდა, ფანჯრის რაფას თეძოებით მიეყრდნო და მითბრა:

„მე ყველაფერი ვიცი, ისიც ვიცი, შენ მიერ შეთხზული ლეგენდა რაა, მოეშვი ახლა მაგას, რის ბაუერი, რა ბაუერი, შენ ისა თქვი, ქართულ ბატალიონში რო მსახურობდიო.“

მთლად ჩამივარდა ენა. ვერა და ვერ ვბედავდი სიმართლის თქმას.

გამომძიებელმა განაგრძო:

„ისიც გაიხსენე, ერთ სოფელში პარტიზანელი რო დაიჭირეო.“

ესეც იცოდნენ, შიშმა სულ გამომათავყვანა, გამომაჩერჩეტა, დავიბენი, აზრის ძაფი ამებურდა, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა რა მეპასუხნა. თავგზააზნეული იმასლა ვფიქრობდი, ეს ყველაფერი რო ვლიარო, რა ვთქვა, ჰო-მეთქი, მართალია ყველაფერი-მეთქი, ამო, ჩეკისტებს, რომელთა შესახებაც ბავშვობიდან გაუგონარი სიმკაცრის ამბები მესმის, რაღა გადაურჩება-მეთქი?! ზო ვიცოდი, უდანაშაულო ხალხი გააქრეს და მე რა წითელ კვერცხს მომიგორებდნენ?!

აღარ მახსოვს, რამდენხანს ვიყავი ასე თავჩაბრილი ამ გაწამაწიაში. ვერ დავიწყე, გადაამეკეტა საღერღელი, წამს, ჰა, ჟანაბას-მეთქი, გავიფიქრებდი, მაგრამ იმავე წამს ენას მუცელში ჩამიგდებდა რაღაც წამს, მაინც იმ ლეგენდაზე დავდგები-მეთქი, გამკრავდა თავში, ამ დროსაც ენა წამერთმეოდა. ვიჭექი და მუნჯებულდი.

გამომძიებელიც იჭდა თავის წაგიდასთან. არ ლელავდა, არ მშფუთავდა, არ იღრინებოდა. მივეკრძა მსმდვც, ყველაფერი ცოდნია და რას მელოლია-ვება, მელრიტნება, დასცხოს ერთი მუშტები მაგიდაზე, აღრიოდეს, აქოთქოდეს, იქნება ენა ამოვიდგა, მეტი შიშისა და ზაფრისაგან საღერღელი ამეშალოს და თავიდან მოვიშორო ის სათქმელი, რომელსაც სულერთია მაინც მათქმევიწებენ. რაკი ამათაც სუყველაფერი სცოდნიათ-მეთქი.

გამომძიებელი კი მომაჩერდა და ზმადებლა მომმართა:

„თავს ნუ გაიწვალებ, ზომზედავჩვენ ბევრი რამ ვიცი, ისე აქ არ მოგიყვანდით, ახლა აზრი არა აქვს მოკბამოკბვას. გაწამებენ, გატანჯავენ და ბოლოს მაინც, რაც ჩვენ ვიცი, იმას კი არა, რაც ჯერჯერობით არ ვიცი, იმასაც იტყვი, რაკი აქ მოგიყვანეს, იმის იმედი ნუ გექნება, თავს დაიძერენ, გირჩევ, თავს ნუ გაიწვალებო.“

ეს ისე რბილად, მშვიდად, ლმობიერად მითბრა, თითქოს ჩეკაში არც ვყოფილიყავი. გაგაწამებთო და გაგტანჯავთო კი არა გაგაწამებენ, გაგტანჯავენო, თავად არა, ვიღაც სხვები, ავები, დაუნდობლები, სატანისმიერები, თავად მხოლოდ მჩრეველია, კეთილისმოსურნე შენი, თავზარდაცემულს და დაზაფრულ-დაშინებულს თითქოს ვინმე ახლობელი მირჩევდა, ზრუნავდა ჩემზე.

ბავშვობიდან თანდაყოლილი შიში უცებ ჩამიცხრა, გამომძიებელმა რო ასე დამიყვავა. ჩემდაუნებურად წამით გავიფიქრე, მართლაც რაღა აზრი აქვს, რაკი ყველაფერი ცოდნიათ, მაინც დამაფრქვევინებენ, ჟანდაბას, რაც მოსახდენია, მოხდეს. წამით ისიც გამახსენდა, ომიდან რო დავბრუნდი, რამდენიმე თვის მერე სამედიკო კომისარიატში გამომიძახეს, სურათები გადამიღეს, ოცდაათი ცალი ჭირდებოთო, მითბრა ფოტოგრაფმა და ფულიც გადამიხდევინა. რა საჭირო იყო ოცდაათი ცალი? მაშინვე ცულად მენიშნა ეს,

მაგრამ მერე დამერე, რაც დრო გადიოდა, გადაამეფიწყდა, აღარც კი გამხსენებია. აი, ახლა გამიელვა თავში, იმ სურათებით იკვლევდნენ ალბათ ჩემს ასავალ-დასავალს, ქექეს, ქექეს, ჩხრიკეს, ჩხრიკეს და, აჰა, მიუკვლევით კიდევ და ორი წლის შემდეგ, აგერ, აქ გამიცხადა ახლა გამომძიებელმა მათივე ნაკვლევ-ნაძიები.

ეს რო გავიფიქრე, არც ვაცეი, არც ვაცხელე და თავჩაღუნულმა ხმადაბლავთქვი, ჰო-მეთქი.

ისე ვთქვი, თითქოს ვცდილობდი, გამომძიებელს არ გავგონა, მაგრამ უურდაცქვეტილი, აბა, ამას როგორ არ გაიგონებდნენ და იმანაც თავისი მაგიდიდან ხმადაბლადვე გადმომძახა, შე კაცო, ასე არ ჯობიაო.

თქვა ეს თუ არა, კარი გაიღო, რომელიღაც კაპიტანი შემოიჭრა, გამომძიებელი წამოდგა, კაპიტანმა უხეშად მიახალა, რაო, გამოტყდა თუ არაო? გამომძიებელმა მშვიდად უპასუხა, ყველაფერი რიგზეაო.

კაპიტანი შემობრუნდა, გაცეცხლებული მოვარდა ჩემთან, თავს წამადგა და დამჩხავლა, იარალი, იარალი სადა გაქვს დამალულიო?! ვერ მიხვდვი, რას მეკითხებოდა, მაგრამ მაინც ამოვღერლე, რა იარალი-მეთქი?! თქვი, სადა გაქვს, თორემ თუ აღმოვაჩინე, დედას გიტრიებო, დამძახა გავეშებულმა და აგრევე გაცეცხლებული გავარდა ოთახიდან.

აი, ჩეკისტი, ნამდვილი ჩეკისტი, ისეთი, როგორიც წარმოდგენილი მქონდა ხალხში გავრცელებული თქმულებებისა და ლეგენდების მიხედვით. გააჟვავლებენ, გაგტანჯავენო, გამომძიებელმა რო გამაფრთხილა, ამაზე ამბობდა, ალბათ. გავიფიქრე, რა მეშველება ამის ხელში თუ ჩავვარდი? ეს გამომძიებელი, რომელიც, აგერ, ჩემ წინ მაგიდასთან ზის და რომელმაც უკვე წამომაცდენია, ჰო, ქვეყნის დამქცევი მე ვარ-მეთქი, კაპიტანთან შედარებით ანგელოზივით ჩანს. ეგაც გავიფიქრე, რაკი წამომცდა, ჰოთქო, ყველაფერს ვ. „მნათობი“ № 5-6.

დაწვრილებით ჩამოვკაკლავ, ოღონდ ამის მეტს ნურავის გამაყარებენ. უკაპიტანისნაირი აქ რამდენი უნდა იყოს. ეს კაცი ქე მაინც არ ჭლავის, არ ჩხავის.

ჩემი საგამომძიებლო განყოფილების უფროსის მოადგილეაო, თქვა ისევ მშვიდად და წყნარად გამომძიებელმა და დაუმატა, შენ რო წამოგიყვანეს, მაშინვე მივედიოთ თქვენთან, გავჩხრიკეთ ოთახი, ასეთია წესი და რიგი, კარგი ძმა გყოლია, თავშეკავებულად ამშვიდებდა დედაშენსა და შენს ცოლსაო.

იმ წუთში ისე ვიყავი დაზაფრული, ამ ცნობიდან მხოლოდ ის აზრი გამომვიტანე, რომ ჩემიანებმა უკვე იციან, სადა ვარ, საბრალონი-მეთქი. გულში კი გავივლე, მაგრამ მთელი სიმწვავე ამ ჩხრეკისა მაშინვე ვერ აღვიქვი. მერე დამერე, ციხეში ყოფნისას, გამომძიების მსვლელობისას, უფრო ნათლად დამიდგა თვალწინ, რა ორომტრიალი შეიქნებოდა ჩემს სახლში, კაპიტანი რო ფეხს შეადგამდა. ჩემი ცოლი ფეხმძიმედ იყო, თავში იღვა, ოციოდე დღის შემდეგ უნდა ემშობიარა. ჩეკისტებს რაკი კარგად შეუსწავლიათ ჩემი საქმე, უეჭველია, ესეც ეცოდინებოდათ. ცოტაც ეცლიათ, ამ ოჯახტორებს, ხო არ ვიმალებოდი, ხო არსად გავბრბოდი, ომიდან დაბრუნების შემდეგ ორი წელი ვიყავი თბილისში, სულ მითვალთვალვებდნენ და კარგად ხედავდნენ, რო არსად გამქცევი არ ვიყავი. ერთი-ორი კვირა ეცლიათ, მოიმშობიარებდა და მერე წავეყვანეთ. ხო შეიძლებოდა ჩხრეკის დროს კაპიტნის შემხედვარეს ჩემს ცოლს ისეთი ელდა სცემოდა, რომ მუცელი მოშლოდა? კი, ბატონო, მე ძალი და მამაძალი ვარ და, ჰაი-და, ამ ქვეყნიდან, მაგრამ ის ერთი ბავშვი ხო მაინც გაჩნდებოდა, მიემატებოდა ქვეყანას, ჩემი ცოლო-მადლი ხო არ გამოყვებოდა დედის საშოდან? რო დაღუპულიყო საშოშივე, ხო დააკლდებოდა ქვეყანას ერთი ადამიანი?! მერე ჩავევლოთ ჩემთვის ხელი და ექნათ, რაც მოესურვებოდათ.

ამგვარი ეთიკური ნორმები ჩეკოსლავაკისათვის არ არსებობდა.

გამომძიებელმა კალმისტარი მოიმარჯვა, რაკი დამიყოლია და პო მათქმევინა, ალბათ გაიფიქრა, ალარ გადათქვამსო, კაბიტანი გავიდა თუ არა, ოთახიდან, მაშინვე მითხრა, აბა, შიამზე ახლა, რაც თავს გადაგზდაო.

თავგადასაყალიო.

თავგადასაყალიო.

ნელნელა და სვენებსვენებით ვუამბებ ტყვედ ჩავარდნის დღიდან პარტიზანულთან შეხვედრამდე ჩემი თავგადასაყალიო. გამომძიებელი მისმენდა და იწერდა, არ მაჩერებდა, შიგადაშიგ არაფერს მეკითხებოდა, ორიოდ კითხვით პარტიზანულთან შეხვედრის ამბავი უფრო დამაზუსტებინა.

მერე დაკითხვის ოქმი მომიტანა, წაიკითხე და ხელი მოაწერეო.

წაფიკითხე და ხელი მოვაწერე.

საბანი

გამომიყვანა თუ არა გამომძიებლის კაბინეტიდან, ზედამხედველმა მიბრძანა, ხელები უკან შემოიწვევ და იარეო.

გრძელი დერეფანი გავიარეთ, ვიარეთ და ვიარეთ, ხან კიბეზე ჩავდიოდით, ვიწრო დერეფნებით ხან მარცხნივ ვუხვევდით, ხან მარჯვნივ, მერე ისევ კიბეები, მერე ისევ მიხვეულ-მოხვეული დერეფნები. ალარ მახსოვს, რაზე ვფიქრობდი, ან ვფიქრობდი რამეზე თუ არა, გავაზე მქონდა ხელები შემოწყობილი და მივდიოდი. ეს კი კარგად მახსოვს: მეჩვენებოდა, თითქოს ჯოჯოხეთის ხერელებით მივექანებოდი სულ ქვემოთ და ქვემოთ

ბოლოს შემიყვანეს ერთ ოთახში, გამხადეს ტანისამოსი, გაჩხრიკეს, მიმბარუნეს, მომბარუნეს, მათვლიერეს გულდაგულ, შემოსეს იქაური სამოსელით. რაც ჩამომართვეს, ჩაიწერეს, ხელი მოაწერიან და შემადეს ვიწრო კარადაში, კარი მომიხურეს და ჩაკეტეს. კარადა წამოყუდებულ კუბოს ჰგავდა. მკლავს ვერ მოხრი, ვერ ჩაიმუხლებ, ვერ მიბარუნდები და შობ-

რუნდები, კარი ზედ ცხვირზე გაქვს მოდებული.

სული შემეხუთა, მაგრამ ვეღარ მილია. ვიდექი ამ წამოყუდებულ კუბოში და ველოდი, როდის გამიხსენებდნენ. დახატულსა და შიშვეპყრობილს თავში გამოელვა, ზომ არ დამთავრდამეთქი ყველაფერი?!

იმათი ხმები მესმოდა. მიდიოდნენ, მოდიოდნენ, გადასძახებდნენ, გადმოსძახებდნენ, ჩაივლიდნენ, ჩამოივლიდნენ და მე არავის ვახსოვდი. ვიდექი გაშტრინკული აყუდებულ კუბოში, სულისტქმა მიკირდა, პატარა ნასერტიკი არსად ჰქონდა ამ -ჯოჯოხეთის თაროს, რომ მცირეოდენი პერი და სინათლის სხივი შემოჭრილიყო.

დროის შეგრძნება დავკარგე, ველარ ვვარაუდობდი, რა დრო გადიოდა, — ნახევარი, ერთი, ორი საათი თუ საერთოდ შეჩერდა დროის მსვლელობა. მუხლები მეკვეთებოდა. რამდენადაც შეიძლებოდა, ჩავიხარე, ზურგით უკანა კედელს მივეყუდე, ოდნავ წინ გაწეული მუხლები კარს მივაბჯინე.

უცებ კარი გაიღო, მიბჯინილ მუხლებს საყრდენი რო გამოეცალა, წინ გადავიზნიქე, კინალამ პირქვე დავეცი იატაკზე, ამდენხანს ბნელში მყოფს სინათლე ისე მეძგერა, თითქოს მისი ფიზიკური შეხებაც ვიგრძენი.

ზედამხედველმა წინ გამიგდო, ხელები უკან, წელზე შემოიდგო, მითხრა მრისხანედ და კვლავ კარგა ხანს მატარა ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ დერეფნებით, ჩაქანებული კიბეებით.

ბოლოს შემაჩერა, გასაღების ჩხაკუნჩხაკუნით გამოაღო რკინის კარი და ვიწრო ოთახში შემავლო. კარი მიიხურა და ჩაკეტა.

იქით-აქით კედლებზე მიდგმულია ორი საწოლი. მათ შორის ძლივს გაივლი. ერთ საწოლზე გაშლილია ქვეშაგებელი. მეორეზე აკეცილი, მრგვალად დაგრანული ლეიბი დევს. კართან კედელზე მიდგმულია პატარა მაგიდა. მაგიდის გვერდით, კუთხეში დაბალი, თიხის ფართო ქოთანია. კარის მოპირ-

დაპირე კედელზე მალა გამოჭრილია ვიწრო სარკმელი, რომელსაც გარედან, რკინის გისოსებს იქით ამოფარებული აქვს ოდნავ გადახრილი რკინის ფარი.

ღეიზაუფენელ საწოლზე ჩამოვჯექი. აქ რა გამაძლებინებს-მეთქი, გავიფიქრე წამით და მერე კუნძივით ვეგდე საწოლზე, სანამ კარი არ გაიღო და საკანში არ შემოვიდა ზორბა, თავგადაბოტრილი, მრგვალი პირისახის ახალგაზრდა კაცი, გამარჯობა შენო, რიხიანად მომამბა და გაშლილ საწოლზე ჩამოჯდა.

გამაცნო თავი. სამ დღეს იყო ჩემთან, მერე გაიყვანეს და აღარსად შემხვედრია. ამიტომ მისი სახელი და გვარი აღარ მახსოვს. ბორჯომელი ვარო, მითხრა. ტყვედ ჩავარდნილა ქერჩში, გერმანელებთან ქართულ ლეგიონში ყოფილა. ომის შემდეგ შინ ჩამობრუნებულა, რაიონის ჩეკაში არ დაუშალავენ, ლეგიონერი რო იყო, მაგრამ კარგა ხანს არ დაუპატიმრებიათ. რამდენიმეჯერ გამოუძახნიათ, დაუკითხავთ და ისევ შინ დაუბრუნებიათ.

ახლა ამოაყოფინეს თავი ციხეში. მკითხა, რატომ დაგიჭირესო. ტყვედ ვიყავი-მეთქი. მხოლოდ ტყვეობისთვის არ დაგიჭერდნენ, თუ ლეგიონში ხარ ნამყოფი, გირჩევენ, არ დამალო, გაგაწვალებენ, ტყავს გაგაძრობენ, შეიძლება ფრჩხილებიც დაგაძრონ და მაინც გათქმევენებენო.

მე უკვე აღარ მჭირდებოდა ამგვარი რჩევა. გამომძიებელს უკვე განვუცხადე ჩემი თავგადასავლის მთავარი მომენტები. ამას კი ვუსმინე მხოლოდ და რატომღაც თავი შევიკავე, ვერ მივინდე, ვერ გავუმხილე, არ ვიცო, რატომ. შეიძლება ვიწრო საკანმა რო გამოგნა, იმიტომ. ოდნავი შვება კი ვიგრძენი ერთი კაცისათვისაც კი სულსშემბუთავ საკანში მეორე კაციც რო მომიჯდა გვერდით, გამესაუბრა, ეს უკვე, როგორც თვითონა თქვა, სამი თვეა აქ იმყოფება. მაშასადამე გაუძლია, სული არ შეხუთვია. მე რაღა ჭანდაბა დამემართება?! შევეგუეები ალბათ მეც.

მხოლოდ ამაზე ფიქრობდი და ჩე-

მი თანამოსახლის რჩევა-დარჩევას მაინცადაშინე დიდ ყურადღებამ არ ვაქცევდი. ხანდახან რაღაც-რაღაცას შეკითხებოდა, უფრო სადაურობისა და ვინაობის გამოსარკვევად. მე ვპასუხობდი, მაგრამ იქით არაფერს ვეკითხებოდი. ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. მალე გამიშინაურდა. ხშირად სიგარეტს ვეწეოდი, თავად არ ყოფილა მწეველი, მაგრამ მე არ მიშლიდა. ბოლი ვერ ასწრებდა ვიწრო სარკმლიდან გაკრეფას, გარს გვეხვია და ჩემს თანამოინახეს სუნთქვას უშლიდა, არ იმჩნევდა, არ მაგრძობინებდა. მამხნევებდა კიდევც, არ დაშინდე, ბევრი რამისთვის ვაგვიძლია და ამასც გავუძლოთ, კაცს ბევრი ტანჯვის ატანა შეძლება, ამის გამოცდილება ომში და ტყვეობაში ნამყოფს გვარიანად გაქნებაო.

ბურიბა და ყველით გამიმასპინძლდა. ის ღამე თეთრად გავათენე.

ქვემოდან გამუდმებით ისმოდა სროლის ხმა, — თოფისა და პისტოლეტების ბათქაბუთქი. ნაშუალამევს, მოგვიანებით, ხანგამოშვებით კაცის ან ქალის წივილ-კვილი მოაწყდებოდა ხოლმე სარკმელს.

მე რატომღაც ამეკვიპა ; ფიქრი: „დახვრეტა კია შეცვლილი ოცდაბუთი წლის პატიმრობით, მაგრამ ამათსას რას გაიგებ, შეიძლება უფრო მძიმე დამნაშავეებს ზოგზოგს არ ინდობენ?! მძიმე დანაშაულად შეჩვენებოდა, პარტიზანელი რო მყავდა დაჭერილი.

ეს ფიქრი ვერა და ვერ მოვიშორე. სამი თვის შემდეგ მომისაჭეს კიდევ ოცდაბუთი წლის პატიმრობა. ამის მერეც რამდენიმე თვეს შინაგან ციხეში მყოფიყუტეს. სროლის ხმა განუწყვეტლივ ისმოდა ქვემოდან. ღამით თავს წავდებდი თუ არა დასაძინებლად, რამდენჯერაც ტყვია გაიტყავუნებდა, იმდენჯერვე ბზიკივით ეს ფიქრი მკბენდა. არავის ვუმხეღდი, გულშივე ვაბშობდი, მაგრამ თავიდან ვერ მოვიშორე. ერთხელ ჩემთან მყოფ ყორეს ცინცაძეს გავუმხილე. ჩაიცინა, ბელი ჩაიჭ-

ნია და მომახლა, მოგვლია ერთი, და-
ხვრეტა კი გერჩიოს ოცდახუთი წლის
კატორღას, მარა კომუნისტები ახლაც
მაგასაც არ გაღირსებენო.

პირველი ღამე კი თეთრად გავათენე
საქანში. ვახი.. ვახი.. ვახი.. — ყურებს
მიხვრეტდა ტყვიების ჰანანი.

სამი დღის შემდეგ ჩემი პირველი
თანამოსაყენ გაიყვანეს და მერე აღარ-
სად შემხვედრია.

რამდენიმე დღე მარტო ვიყავი.

მერეც რამდენიმეჯერ დაგრჩი საქან-
ში მარტო, ერთხელაც ორი დღით და-
სახვრეტთა საქანშიც მაყურყურტეს, რო-
მელსაც სარკმელიც კი არა აქვს, ზა-
ფხული იყო და კინაღამ დავიხუტე, მა-
გრამ ისე აღარ გავუტანჯივარ მარტო
ყოფნას, როგორც მაშინ, პირველ დღე-
ებში.

დაკითხვის ოქმები

ჩემი დაკითხვის ოქმებმა ერთი მოზ-
რდილი ტომი შეადგინა. მასში ნაბიჯ-
ნაბიჯ აღწერილია ჩემი ასავალ-დასავა-
ლი, ყმაწვილობიდან დაწყებული საქან-
ში გამოკეტვამდე.

პირველი დაკითხვის შემდეგ ორი-
ოდე კვირა საქანში ვიყავი გამოკეტული,
დაკითხვაზე არ გავუყვანივართ.

ბოლოს მიმიყვანეს ერთ დიდ ოთახ-
ში, მაგიდასთან უფროსი ლეიტენანტი
იჯდა. ქარვა ხანს ყურადღება არ მო-
უქცევია, რაღაცას წერდა. მერე შე-
მოხედდა, მითხრა, ამიერიდან თქვენი
საქმე შე უნდა ვაწარმოო, გვარი და
სახელიც გამაცნო თავისი. გულწრფე-
ლი აღიარებამ და სხვა ამგვარი რამით
დამმოძღვრა. მკითხა, ქართულად თუ
რუსულად წარვმართოთ დაკითხვო,
ისიც დაუმატა, უმჯობესია, რუსულა-
დო, მე ამის განსჯის თავი არა მქონდა.
მართლაც არა მქონდა ამის თავი, ისე
ვიყავი გაბრუნებული ჩეკისტებთან შე-
ხვედრით, ვერ ავწონ-დავწონე, ვერ
გავითვალისწინე, ჩემი ჩიქორთული
რუსულით რო ვერ შევძლებდი რიგი-
ანად პასუხის გაცემას. არც ის ვიცო,
ახლაც ვერ ამიხსნია ის, რატომ ამო-

ვლერღე, როგორც გენებოთ-მეთქი.
კაცი მეკითხებოდა, რომელ ენაზე გინ-
და ვისაუბროთ, ქართულად თუ რუ-
სულადო და მე ვუპასუხე, როგორც
გენებოთ-მეთქი. ხო ვიცოდი ჩემი რუ-
სულის აშბავი, შესაძლებლობა? კით-
ხით კი ვკითხულობდი, ბევრი რუსი
კლასიკოსისა და უცხო მწერალთა რუ-
სულად თარგმნილი ნაწარმოები უკვე
მქონდა წაკითხული, მაგრამ თავისუ-
ფლად აზროვნებასა და ლაპარაკს რუ-
სულად ვერ ვახერხებდი. ლექსიკურად
საკმაოდ მარაგიანი ვიყავი, მაგრამ ვე-
რაფერი მოვუხერხე ამ ენის გრამატი-
კულ ფორმებს, განსაკუთრებით სქესი
მიზორკავდა ენას, ჯარში ოცეულის მე-
თაური ვიყავი და ჩემეული რუსულის
გამო უხერხულ დღეში გვარდებოდი
ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, რო-
ცა უფროს მეთაურებთან მქონდა საქ-
მე.

ჰოდა, ახლაც ვერ ამიხსნია, რატომ
ვუთხარი გამომძიებელს, როგორც გე-
ნებოთ-მეთქი?

რატომ არ ვუთხარი, ქართულად-
თქო? ხო მომცა არჩევის უფლება, ხო
არ დაუეჩინია, მაინცდამაინც რუსულა-
დო? რომც დაეეჩინებია, მეთქვა, იმ-
დენი რუსული არ ვიცო, მიჭირს რუ-
სულად ლაპარაკი, „ვინა ი მიჩ“ კი
მაქვს წაკითხული, გვარიანად გავიგე
კიდევ ამ წიგნის აკვარტი, მაგრამ, აი,
ლაპარაკი კი მიჭირს და ქართულად წა-
რმართეთ-მეთქი დაკითხვები.

ისე, ზოზონით კი ამოვლერღე, რო-
გორც გენებოთ-მეთქი, შეიძლება მი-
ხვდა გამომძიებელი, შეიძლება მიხვდა,
მაინცდამაინც ღირსეულად რო არ
ვიყავი აღტურვილი პუშკინის ენით და
იქნება ამიტომაც წამომეშველა, თუ გი-
ნდა, ქართულად ვისაუბროთ, ოღონდ
ოქმს რუსულად შევადგენო.. მყისვე
გულს მომეშვა და ვუპასუხე, კი, ბა-
ტონო-მეთქი.

ვერც ის გავითვალისწინე, დაკით-
ხვის ოქმზე ხელი რო მომეწერა, ხელ-
ნაწერის წაკითხვა ხო გამიჭირდებოდა
და სანახევროდ გაუგებარი დამრჩებო-

და, რა ეწერა ოქმში. მართლაც ასე მოხდა. ვერ ვკითხულობდი მის ნაწერს და დაკითხვით თავგაბეზრებული, — ოღონდაც მალე გავსულიყავი გამომძიებლის ოთახიდან, — ზერელედ თვალს გადავაველებდი ხელნაწერ ქალღმრთულს და ბოლოში ხელს ვაწერდი. რის წაკითხვასაც ვასწრებდი და ვახერხებდი, ზედმეტად არაფერი მეჩვენებოდა, რასაც ვპასუხობდი, იმას სწერდა. რამდენიმე ფრაზა რო ასეთი იყო, სხვებშიც ეკვი აღარ მეპარებოდა. ხანდახან გამომძიებელი თავისებურ დასკვნებს უკეთებდა ჩემს ნაამბობს, მაგრამ აღარ ვაძლევდი დიდ მნიშვნელობას, თავად რასაც ვალიარებდი, იმაზე მეტი რა უნდა ყოფილიყო? ამიტომაც ასე გულუბრყვილოდ მივენდებოდი გამომძიებლის ნაწერს და უყოყმანოდ ვაწერდი ხელს დაკითხვის ყველა ოქმს.

ქართულად რო ყოფილიყო შედგენილი, რა თქმა უნდა, სტრიქონ-სტრიქონ ჩავიკითხავდი.

ამგვარი ბედოვლათობა ბევრჯერ სანახებლად გამზდომია.

ასეა შედგენილი ჩემი დაკითხვის ოქმები.

ძირითადად ჩემს ნაამბობს ასახავს იგი, გზამკვლევის მიერ ზოგიერთი დასკვნა კი არის გამუქებული-მეთქი. მაგალითად, როცა მკითხა, ვლადიმერო-ვოლინსკის ლაგერში გაზეთები თუ მოჰქონდათ და შენ თუ კითხულობდი, მე ვუპასუხე, გამოაქრავდნენ რუსი ემიგრანტების გაზეთს „რუსკოე სლოვოს“ და როცა სტენდს ჩავუვლიდი, თვალს შევაველებდი-მეთქი. გამომძიებელმა ჩემს ამ ჩვენებას აგრერიგი დასკვნა გაუკეთა, ასე მოექცა ვლადიმერ სულაბერიძე ფაშისტური აგიტაციის გავლენის სფეროში. სინამდვილეში, შიმშილით დაოსებული, — (ვლადიმერო-ვოლინსკის ტყვეთა ლაგერს სიკვდილის ლაგერი ერქვა), — რუსულ გაზეთში მხოლოდ ინფორმაციულ ცნობებს თუ მივაქცევდი ყურადღებას და ისინიც სწრაფადვე იფანტებოდნენ შიმშილისა-

გან დაუძლურებული ჩემი გონებიდან. მერედა რუსული გაზეთის თუნდაც ორიოდ სააგიტაციო სიტყვა რომ გერე მოაქცევდა შიმშილით, სიცივით, ცემატყვებით, ყოველნაირად გათელილ და სიკვდილის პირას მისულ ქართველ ტყვეს ფაშისტური აგიტაციის გავლენის სფეროში?!

მაგრამ ამგვარ გამუქებულ დასკვნებსაც ჩემთვის მაინცდამაინც დიდი ზიანი არ მოუყენებიათ. ესენიც რო არ გაეკეთებინა გამომძიებელს, ჩემგანვე მიწოდებული ცნობები ჩემი ასავალ-დასავლისა მაინც საკმარისი იყო საგანგებო სამხედრო სამეულისათვის, რათა მოესაჯათ ოცდახუთი წლის კატორღა.

მე კვალდაკვალ არ გავყვები დაკითხვის ოქმებს. ამ წიგნისათვის ზოგიერთ ეპიზოდს გამოვეყოფ მხოლოდ. მით უფრო, ბევრი მათგანი უკვე აღწერე რომანში „ბუღუ ბედია“. რა თქმა უნდა, რომანში ბუღუ ბედიას თავგადასაყალია მოთხრობილი, მაგრამ მკითხველთა დიდი უმრავლესობა მეუბნება, წავეკითხე შენი თავგადასაყალიო. ასე მიიჩნევს მათ, რომანის მხატვრული სახისა და ჩემი ბედი გააერთმნიშვნელოვანეს.

მართლაც ასეა. რომანის ჩანართებში ხშირად მივმართავ მკითხველს, მე და ბუღუ ბედია ერთად ვიყავით და ამიტომაც ძალიან ჰგავს ჩვენი თავგადასაყლები ერთმანეთს. ჩემი დაკითხვის ოქმებს რო კვალდაკვალ მივყვებ, რომანში აღწერილი ამბების განმეორება მომიხდება. ამით კი ძალიან გადაიტვირთება ეს წიგნი. გადაიტვირთება, გამრავალსიტყვიანდება, გადამქანცება მკითხველი და, ვაი იმ წიგნს, გადამშლელს და ჩამკირკიტებელს რო დაღლის, დააოსებს, შუამდგე, ძლივს მილასლასდება დაქაჩული თვლები და მერე შიგ ჩააფურთხებს, ფუ, დამწერი გაგიწყდესო, იტყვის და სანაგვე ყუთისკენ მოისვრის. შეიძლება სანაგვე ყუთისაკენ არ გაიმეტოს, მაინც წიგნია, შეიძლება ასე გაიფიქროს

თავისთვის, იქნება სხვას გამოადგეს, სხვა არ გადაიღალოს, გაუძლოს გადატვირთვასაც, გამრავალსიტყვიანებასაც, იქნება ეს მე ვარ სუსტი, სულსწრაფი, მხოლოდ ამბების მსვლელობაში ინტერესებს, ჩქარა მინდა გავიგო, ბოლოს რა ხდება წიგნში, ამიტომ წიგნის სხვაიშხარეს, სხვა ღირსებას ვერ ვუღრმავდები. ვერა ვგრძობ და ამაღაც ვერ ვეხება ვაჭიანურებულ-გამრავალსიტყვიანებული. ყველა მკითხველი ხომ არ არის ფიცი და აყვია?! არიან ასეთი მკითხველებიც, წიგნს კი არ გადასდებს ბრალს, თავისავე თავს დააბრალებს უმწიფობასა და უძლურებას და თითქოსდა გამაბზურებელ წიგნს სანაგვე ყუთში კი არ მოისერის, დახურავს, კითხვას თავს მიანებებს და თაროზე შემოდებს.

ბევრჯერ, ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, ამგვარად თაროზე შემოდებულ წიგნს ვინმე რო ხელს შეახებს, გადამოსის, პირველი გვერდის პირველ სტრიქონს თვალს გადაევნებს და, ჰოი, საკვირველებავ, ბოლომდე ისე ჩაჰყვება, რომ სულსაც არ მოითქვამს. ყოფილა ასე ბევრჯერ, ბევრჯერაც იქნება ხვალ, ზეგ, მანუგ.

წიგნებსაც თავიანთი ბედისწერა აქვთ. მე მაინც გვერდს ავუვლი. აღარ გავიმეორებ ამ წიგნში იმას, რაც ბუდუ ბუდიასთან დაკავშირებით ვიამბეთ რომანში.

მე და ბუდუ ბუდიას ერთიდაიგივე ქართველი დაგვატყდა თავს, ერთნაირად, ერთსადაიმავე დროს, გვერდი-გვერდ მყოფნი ვეშებოდით ამ ქართველებს და ამიტომ დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ, თუ მაინცდამაინც ამ წიგნშიაც მოესურვება ადრეული ამბების გაცნობა, თვალი შეავლოს ბუდუ ბუდიას თავგადასავალს ვლადიმერო-ვოლინსკის ტყვეთა ლაგერამდე ჰილდასა და ალიონას დახვრეტამდე, ჯარში წასვლას, ომში მოხვედრას, ტყვედ ჩავარდნას, ტყვეთა ლაგერებიდან ლაგერებამდე ლონწიალსა და თრევას, შიმშილთან ბრძოლასა და დავიდარებას, — ამას ყველაფერს თვალი

შეავლოს რომანში, იქვე ჩემი ჩანარებიც უამბობს ზოგ რამეს, უნდა ჩანთვალოს, რომ ეს ყველაფერი ისევეაა, როგორც რომანშია აღწერილი. ოღონდ ახლა ეს ყველაფერი ამჭრად ჩემი საბრალდებო დასკვნისთვისაა საჭირო და არა ბუდუ ბუდიას დასადასაშაულებლად.

გამომძიებელმა დაბადების თარიღის გამოკითხვით დაიწყო თავისი საქმე, ბავშვობისა და ყრმობის ამბებიც მომაგონებინა. განსაკუთრებით დაწვრილებით გამომკითხა, საშუალო სკოლის დამთავრებისას რატომ გამრიცხეს კომკავშირიდან. მე, რა თქმა უნდა, მოსწავლეობის პერიოდის განხილვისას ამ მომენტს გვერდი ავუარე, მაგრამ გამომძიებელმა თვითონვე ჩართო ჩვენს საუბარში ეს საკითხი. რაკი ეგაც იცოდა, არც მე მეფიცო-მტკიცებოდა, არამეთქი ამის დამალვას რალა აზრი ჰქონდა, როცა თავიდანვე ისიც განვატყავდი. პარტიზანებთან შეტაკებაც მომიხდა-მეთქი.

ზოგ სხვა რამესაც გვერდს ვუვლიდი, უნიშვნელოს ჩემი საბრალდებო დასკვნისათვის რო არაფერი ღირებულემა ჰქონდა, ისეთებს. მინდოდა ეს კითხვა-პასუხები მალე დამთავრებულიყო, ჩეკას ჰერქვეშ ძალიან მძიმეა გამომძიებელთან ამგვარი საუბრები. ამიტომაც ზოგ რამეს გვერდს ვუშლიდი, მოკლე-მოკლედ ვპასუხობდი შეკითხვებს, მაგრამ გამომძიებელი საშველს არ მაძლევდა, თითქოს მიმიხვდა, ჩქარა რო მინდოდა განვთავისუფლებულიყავი მისი კლანჭებიდან, რო არ მსიამოვნებდა ამგვარი დიალოგები მის კაბინეტში, საცა ის ფართო მაგიდასთან იჯდა და მე მოშორებით კუთხეში ტაბურეტზე ვიყავი მიკრუნჩხული. აქედანვე მაჩვენებდა, გულწრფელი ვყოფილიყავი, არაფერი გამომჩინებდა, თითქოს მაფრთხილებდა, ციცი, შე ეშმაკო, შენა, ბრიყვი ხო არა გგონივარ, შენ გამაცურებ? ქვესკნელში რაა, ის ვიცი, მარა მე მინდა შენ თავადვე გა-

მიმხილო, მიტხრა, ცოდვები გამხელილი ჯობიათ.

მეც ვფქვავდი და ვფქვავდი ჩემს საფქვავს.

ამიტომაც იყო ალბათ, არა მცემდნენ, არა მჭიჯნდნენ, რკინისა და რეზინის ჯოხებს არ მიბრაგუნებდნენ შიშველ ზურგზე, ცხვირიდან ძმარს არ მადენდნენ, ბოთლზე არ მაჭენდნენ, ფრჩხილებს არ მაძრობდნენ.

მაგრამ მაინც აუტანელი იყო გაუთავებელი დაკითხვები. სულს მოვიტყვამდი, გამოძიებლის ოთახიდან საკანში რომ დაებრუნდებოდი. ამ ჯოჯობეთის სოროშიც კი უკეთ ვგრძნობდი თავს, ვიდრე გამოძიებლის ფართო, სინათლით და ჰაერით სავსე კაბინეტში.

გულის გამაწვრილებელი შეკითხვები ზურგზე გადაკრულ შოლტებზე მძიმე მჩჩვენებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოძიებელი შენთვის არასასიამოვნო მოსაგონარზე ისე ჩაგაკვივებოდა დაწვრილწვრილებული, დაცალკეებულის, დანაწევრებული კითხვებით, რომ მართლაც გაიფიქრებდი, მოდი, კაცო, გამაშიშვლე, ცხელი შანთებით დამრუჯე და დამსერე, ოღონდ მაგ კითხვებისაგან მიხსენიო.

დაკითხვის ამგვარმა ტაქტმა მართლაც იმოქმედა. მერე და მერე მე თვითონვე ვცდილობდი დასმულ კითხვებზე ისე შეპასუხება, რომ შიგ ჩასაკვებებელი წვრილწვრილი კითხვები აღარ წამოჭროდა გამოძიებელს. თავადვე ვცდილობდი აღარაფერი გამომჩინოდა, საამბოში სრულყოფილად შეთქვა. ხანდახან გამომდიოდა ეს, ხშირ შემთხვევაში კი გამოძიებელი მთრგუნავდა თავისი პროფესიული სიჭიუტით.

დაკითხვის ოქმში მთავარ შეკითხვას რასაც ვპასუხობდი, იმას სწერდა. ამ მთავარი შეკითხვის გამოსაძიებლად დასმულ დამხმარე, ჩართულ შეკითხვების პასუხებს არ აფიქსირებდა. მარჯვენა ფეხი გადაადგი და ისე მივუახლოვდი ამასა და ამასა, როცა ვიტყვოდი, მაშინვე შემაჩერებდა, შე კა-

ცო, მარჯვენა ფეხი რო გადაადგი, მერე მარცხენათიც ხო გადაადგილდებოდი, აი, ის მარცხენა რო გადაადგი მაშინ რას მიუახლოვდიო, ამით დაინტერესდებოდა.

აი, ეს იყო გულისგამაწვრილებელი, ამით გრთუნავდა, ამით გნუსხავდა, ასეთი ჩართული კითხვები კი არ ელეოდა, დაუსრულებლად გრძელდებოდა, სულ მიკვირდა, ვინ კარანახობს, ვინ ჩააგონებს ამ კითხვებს, საიდან უჩნდება თავში, ან როგორ ასწრებს მათ მოაზრებას?! მათი წინასწარ შემუშავება, ჩამოყალიბება, გათვალისწინება ხო არ შეიძლება, შეუძლებელია აღრევე დააგროვო, თავში ჩაილაგ-ჩაიფინო ამისთანები, ან თუნდაც ქალაღმერთი ჩამოიწერო. რა იცი კაცი ყველა თავისებურია, ვინ რას გიპასუხებს, ვინ რას წამოროშავს, ვინ რას წაიყუბედებს? არანაირ წინასწარმეტყველს არ ძალუძს ეს გაიგოს, ამოხსნას. რა თქმა უნდა, არც ჩემი გამოძიებელი ჰგავდა ამგვარ საგანგებო ღვთაებრივსა თუ სატანურ არსებას.

ამიტომაც მიკვირდა მისი მოულოდნელი კითხვები, რომელთაც ბზიკებით მომაყრიდა ხოლმე.

როგორც მოგახსენეთ, დაწვრილებით აღარ აღვწერ, როგორ წამიყვანეს ჭარში, როგორ ჩავალწიე ქერჩში, როგორ ჩამაბარეს წინა ხაზზე ოცეული ახლადგამომცხვარ ლეიტენანტს, ცალკე საზღვაო ბრიგადის, — იმეამად სახმელეთო, — მეზღვაურებში მოვხვდი და არ არის ძნელი წარმოსადგენი, რა დღეში ჩავვარდებოდი, გაველურებულ მეზღვაურებთან შეხვედრისას, ორმოცდაათიდან თორმეტიღა რო დარჩენილიყო მხოლოდ. არც იმაზე გავამახვილებ ყურადღებას. მესამე დღესვე ფრონტის წინა ხაზიდან, ლამით მესამე ეშელონში რო გადმოიყვანეს ოქმში გაღეული ბრიგადა, რათა ცოცხალი ძალებით შეეგსოთ. ღმერთო ჩემო, რა დღეში ჩავვარდი! ორმოცი უთოფო ჭარისკაცი გამომიგზავნეს ოცეულის შესავსებად, თან ბრძანება მოაყოლეს,

სასწრაფოდ შეაიარაღეო, ღამით წინა ხაზიდან დაღუპულთა თოფები და ტყვიამრტყვევები გამოათრეოთ, გაარემონტეთ და სასწრაფოდ აღჭურვეოცე-ულიო. ოცეული კი შეგეიარაღე ამდაგვარად, მაგრამ სანამ თოფის სროლას ვასწავლიდი, უცებ გერმანელებმა ჩვენი თავდაცვის ხაზი გამოარღვიეს და მაშინვე აირ-დაირია ყველაფერი. აღარც უკანდახევის დღე-ღამეებზე გიამბობთ, საემაოდ დაწერილებით აღწერე ეს ამბები რომანის მეორე წიგნში. რა თქმა უნდა, იგივე წერია დაკითხვის ოქმებშიც.

ამჯერად მხოლოდ ტყვედჩავარდნის ღამეზე მინდა გიამბოთ.

ეს ამბავი გამომძიებელსაც დაწერილებით მოვახსენე, ისევე ჩაწერა ოქმში. როგორაც მოვახსენე. ვუმტკიცე და ვუმტკიცე, აი, ასეთი ბიჭი ვარ, ჩემი ნებით კი არ გაეიქეცი გერმანელებთან. არამედ ბრძოლებში ჩაბმული, დაჭრილი! დასაბიჩრებულო, უკან მეტი გასაქცევი რო აღარსად სჩანდა, ზღვამ გადაგვიღობა უკანდასახევი სახმელეთო გზები, გემები და ნაევები კი არაფერ მოგვაშველა და ამ ვითარებაში ჩავვუარდი-მეთქი გერმანელებს ხელთ. ბევრჯერ იყო შემთხვევები, ბუჩქებს, ბორცვებს მოვფარებოდი და ასე შევევრთებოდი იერიშზე მოწყვეტილ გერმანელებს. ჩვენი არმიის რიგები ისე იყო აგრებილ-დაგრებილი, მიფშენილ-მოფშენილი, დაწეწილ-დაჩეჩქვილი, ცალკეული ჯარისკაცისთვის არავის ეცალა. ბევრმა ისარგებლა ამით და თავს უშველა. ხელებაწეულს თუ დაგინახავდნენ, გერმანელები არას გერჩოდნენ, პირიქით თეთრ ნაჭერს შემოგახვევდნენ მკლავზე და პოლიციელად ჩაგრიცხავდნენ.

უკანდახევის მეექვსე დღეს, ღამით ერთ მიწურში შევისვენეთ. წაძინებოდა. თვალი რო გავახილე, მიწურში აღარავინ იყო, წასულან, გზა გაუგრძელებიათ, ზღვისკენ მიეჩქარებოდათ, იქნებ იქ გემები დაგვხვდეს და გაღმა გადაგვატორონო. მე აღარავის გავხსე-

ნებვიარ, არც გაახსენდებოდი ვინმეს. არჩილს ჰგონებია, რაკეცველანო-და-იძრნენ მიწურიდან, მტკუნად მხვევებოდი. ვერ წარმოიდგინა, მძინარე იქ რო დავრჩებოდი. თავი რო მარტოკა დავიგულე, ხო შემეძლო, დავრჩენილიყავი იმავე მიწურში, დილით გერმანელები გადაივილიდნენ იქაურობას, მერე თავს გამოვყოფდი მიწურიდან, ხელებს მალა ავწევდი და გათავდებოდა ყველაფერი, ომიც, წაწალიც, ტყვიებთან შეხლა-შემოხლაც.

არა, ეს არ გავაკეთე.

გულგახეთქილი წამოგვარდი და დავდევენე წასულებს, ძლივს წამოვეწიეთ მათ, დაეტუქსე არჩილი. რატომ არ გამაღვიძეთო, ჩაიბურღლუნა, აგრე მკვდარივით რამ დაგაძინაო, მეგონა მოგვეცებოდიო.

ტყვედ ჩავარდნის ამბავი აღწერილი მაქვს რომანში, ერთერთ ჩანართში გიამბეთ ის. არჩილ მღებრიშვილი ამ ჩანართში ღირსეულად გამოკვეთილი, ჩემი დაკითხვის ოქმშიაც ასე სახიერად არის ჩაწერილ არჩილის თავგანწირული შემართება. ის რო არ ყოფილიყო, შეიძლება ახლა ეს წიგნიც არ დაწერილიყო, არც ესა და არც სხვა წიგნები, რაც დღემდე დამიწერია. გათავდებოდა იმ ღამეს ყველაფერი და აღარ გაგრძელდებოდა ჩემი მომდევნო ტანჯვები, რის აღწერასაც ახლა ამ წიგნში ვლამობ.

არჩილისნაირმა ქართველებმა გადაარჩინეს დღემდე ჩვენი ეროვნული სული.

ამიტომაც მინდა ამ წიგნში განსაკუთრებული ადგილი მივუჩინო არჩილ მღებრიშვილს. რომანში მას მხატვრული ფუნქცია დავაკისრე და ზოგს შეიძლება არც ეგონოს რეალურად არსებული პიროვნება. იყო, რეალურად იყო ჩემს გვერდით არჩილი. იმან გადაარჩინა. იმან გადაარჩინა იმ ღამეს ბუდუ ბედია. ბუდუ ბედიაც მხატვრული სახეა რომანში, მაგრამ ახლა ბარემ გამოგიტყდებით, მისი პროტოტიპი მე გახლავართ. მე ვიყავი ის ბუდუ ბედია,

რომელიც იმ დამეს არჩილმა სიკვდილს გამოსტაცა. ბრძულებიდან.

რაილა ეს ამბავი აღწერილი მიქეს რომანში, გადმოვიტან აქაც, ამ წიგნშიაც გადმოვიტან იმ ჩანართს და დავარქმევთ არჩილ მღებრიშვილს. ნუ მიწყენ, მკითხველო, აქაც რო გადმოვწერე რომანში ჩაქსოვილი ეს ეპიზოდი. მეშინია დაკითხვის ოქმის ასლმა არ გაფერმკრთალოს არჩილის სახე.

არჩილ მღებრიშვილი

აქაც გაუჭირდა ბუღუ ბედიას იმდამინდელი ამბის გადმოცემა. იმიტომ კი არა, რომ არ ახსოვს, დაავიწყდა, ძალიან კარგადაც ახსოვს, არც არასოდეს დაავიწყდება. მართალია უკუნი დამე იყო, გარშემო არაფერი ჩანდა, მანათობელი ტყვიების ცეცხლოვანი ზოლები დასრიალებდნენ და დახეთქილი ნაღმების ჩინჩხლები იფრქვეოდა, მაგრამ არჩილს, გენადისა და ალიონას მაინც არჩევდა სინებლეში. ერთმანეთს არ დაშორებიან, ეძახდნენ ერთმანეთს, ხმით ზომავდნენ ერთურთს შორის მანძილს.

ალიონა კი ზედ ბუღუზე იყო ატრული. კი არ ჩამოკიდებია, არიქა, მიშველე, მეტი აღარ შემიძლიაო, პირიქით, ნუ გეშინია, წინ, წინო, უკნიდან მიმდევარი შეუძახებდა ხოლმე ბუღუს და ხანდახან ხელს მხოლოდ იმიტომ შეახებდა, არ ჩამოვშორდეო.

იმ დროს მეც იქ გახლდით ამიტომ ბუღუს ნაამბობს ჩემი თვალით ნახულსაც შევეუზავებ, თორემ მართლაც, ბუღუს თქმისა არ იყოს, იმდამინდელი ამბავი რომ შესძლო და ისე აღწერო, როგორც ნამდვილად იყო, ძნელად თუ ვინმე დაიჭერებს.

ეს არ იყო ბრძოლა.

ეს იყო სასაქლაოზე შერეკილი ბრბოს ბოცვა-ქლეტა.

როცა პოდპოლკოვნიკმა ილრიალა, წინ, წინო, ისე სწრაფად გადაედო ეს ღრიალი ფერდობზე გაწოლილ ქარისკაცთა და მეთაურთა ლაშქარს, როგორც ღრუბლიან ცაზე გრგვინვა გრგვი-

ნვას მიედევნება. მაშინვე ერთბაშად წამოიშალა ყველა, პოდპოლკოვნიკი და მაიორიც წინ გაიჭრნენ მისი მეთაურები შემართეს და მომყევითო, დაიქუხეს.

ილრიალა თუ არა ბრბომ, გერმანელების მხრიდან ყველანაირმა იარაღმა დაიჭეკა.

ბრძოლა არ იყო-მეთქი, მოგახსენეთ, ორთაბრძოლა არ იყო.

მოწინააღმდეგის ცეცხლი გველმტლა. ჩვენ კი მხოლოდ თოფების ამარა ვიყავით და ბევრ ჩვენთაგანს ტყვიაც აღარ ჰქონდა. ვისაც ტყვიები შემორჩა, მტრისკენ ვერც კი მიელერებინა თოფი, რადგან წინ უწყსრიგოდ გაფანტული ჩვენებოვე ელობებოდათ, ამიტომ იერიშის გუგუნის გასაძლიერებლად ალალებდად ცისკენ ისროდნენ.

ერთობლივი ღრიალი კი მართლაც ველური და შემაზრზენი იყო, ბრბომ დაუნდობელ ცეცხლში შემყო თავი. პოდპოლკოვნიკი და მაიორი წინ მიუძლოდნენ ლაშქარს. აგორდა ფერდობზე სასოწარკვეთილი ადამიანების ვეებერთელა ლავა და იმას ცდილობდა მხოლოდ, როგორმე გაძრომოდა, გასხლტომოდა გერმანელების სიმაგრეებს. ეცემოდნენ გზადაგზა. ზოგნი უხმოდ აკედებოდნენ ფერდობს, ზოგნი მძიმედ დაჭრილნი ეყარნენ და შემზარავად ზმუოდნენ, ან შველას ითხოვდნენ. გარბოდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც ჭერჭერობით მტრის ტყვიები არ ეკარებოდათ.

არა, არ ებრძოდნენ ისინი ჯოჯოხეთური ცეცხლის ფარს იქით მყოფ გერმანელებს. ამისი არც საშუალება ჰქონდათ და აღარც ძალა შერჩენოდათ. ვინც ჭერ კიდევ ცოცხალი იყო, გარბოდა თავგანწირულად, რათა გერმანელების ბლინდაეებს გადავლებოდა. ვინც გააღწევდა, ის მიიტანდა ამ სასაქლაოს ამბავს ზღვის ნაპირზე მომლოდინე, დიდ მიწაზე გადაამყვან ნავებთან.

მაგრამ ვინ, ვინ გააღწევდა ამ ჯოჯოხეთიდან?

როცა ხალხის გნისი და იარაღების ბუზბუზი ჩაწყწინარდა, ოდნავ ინათა კი-

დეც. ცხადად გამოჩნდა, რა სოდომი დატრიალებულიყო ხრიკ ბორცვებსა და ფერდობებზე.

ადამიანთა ნამდვილი სასაკლავო გამართულიყო ღამით.

ბუღუ ბედია გარბოდა. ხან წინ, ხან უკან, ხანაც მარჯვნივ თუ მარცხნივ ნალმები სკდებოდა. ტყვიები ხოშაკა-ლასავით დასრიალებდნენ ბნელში. მანათობელი ტყვიები კი განუწყვეტლივ სერავდნენ და ბზარავდნენ სიბნელის ფარდას. ყურთანაც ბზიკებივით ჩაიჭუჭუნებდნენ ხოლმე. ვილაც უსულოდ ეცემოდა. ვილაც დაქრილი, შიშველეთო, გაჰქოდა.

ბუღუ ბედიამ ერთხელ თვალის მოჰკრა, გენადიმ როგორ დაითრია მის გვერდით ქოშინ-ქოშინით მიმდევარი ალიონა, ხო ვითხარი, ზურგში ამომიდექი და ისე მომყვებითო, დაუბუზუნა სულმეხუთულ გოგოს, მართლაც ზურგსუკან ამოიფარა კიდეც, მაგრამ კვლავ დაუსხლტა ალიონა გენადის და ბუღუ ბედიას მიჰყვა მხარდამხარ.

ბუღუმ ამას თვალის მოჰკრა მხოლოდ, თვითონ კი იმაზე ფიქრობდა, არჩილი არ ჩანთქას კუნაპეტმა ღამემ და არ დამეკარგოსო. ხანდახან შემოსძახებდა კიდეც არჩილი, ბუღუო, აქა ვარ, აქა ვარო, მიაყვირებდა ბუღუც და მიაჩრდებდა მის ახლოს ღველფსა და ნაცარს, ცეცხლსა და ლავას.

არავის ებრძოდა ბუღუ ბედია. პირისპირაც რო შემოხვედროდა მტერი, მაშინაც კი ვერ შეერკინებოდა, რადგან იარაღი არ ჰქონდა. ბრმად მიჰყვებოდა ბრბოს ტალღებს და არც შეჩერდებოდა, რომ უეცრად ყბაზე რაღაც არ მოხვედროდა. იგრძნო თუ არა ეს, მყისვე შეჩერდა და პირიდან ორი ღრძილის კბილი გადმოუცივდა. რატომღაც თავზარი დაეცა, ტყვილი არ უგრძვნია, მაგრამ კბილები რო გადმოაფურთხა, მან დასცა თავზარი, რაღაც რომ მოხვდა ეს კი იგრძნო, ჰოდა, აბა, სხვა რა უნდა მოხვედროდა, კბილები სხვას რას უნდა ამოეთხარა, თუ არა ტყვიას ან ნალმის ნამსხვრევს? ან აზრმა გაუ-

ელვა თუ არა თავში. შეჩერდა, გარს მიმოიხედა. ამდენხანს სულ გვერდით-გვერდ მიმდევარი ალიონა სადღაც გაჰქრალიყო. ზაფრადაცემულმა გარშემო ატეხილ ზათქსა და ზარ-ზურში დაიყვინრა:

— არჩილ!

გახლეჩილ ყბაზე ხელი მიიღო და ვერ მოიხზრა, მიწაზე რო გაწოლილიყო. ტყვიების და ყუმბარის ნამსხვრევები დაშლიგინობდნენ მის გარშემო, სულ ახლო-ახლო, ის კი წამით შეჩერდა, დგას და ყბიდან ჩამონადენი სისხლი გიმნასტურის სახელოში მიუძვრება იდაყვისაყენ. კიდეც შეჰყვინრა:

— არჩილ!

ერთი წუთით სასწაული რომ მომხდარიყო, ეს სურათი გაქვეყნებულიყო და ვინმეს გარედან დაენახა, იფიქრებდა, ეს ბიჭი ხომ არ გაგიჟდა, ამ ცოდვამადლის სატანურ ჯგუფეთაობის დროს ვის უხმობს, ან რად უხმობს?!

ახლა ძმა რომ ძმავ, ისიც არ უნდა მოაბრუნო. რაც მოგივა, მოგივა. ის ცოტათი წინ წასულია, გაქრილია წინ, იქნებ გააღწიოს კიდეც ამ ჭოჭობეთიდან, იქნებ ერთი ნაბიჯიღა აკლია იქნებ ჰა და ჰა, ერთი ნაბიჯიღა და იქ არის, იმ ნავმისადგომთან. შენ კი დაგიბრუნია პირი და უკან უხმობ, შენთან მობრუნდეს. მერედა, შემობრუნებულს შენთან მოსვლამდე, ვინ იცის, რამდენი ტყვია და ყუმბარის ნამსხვრევი გადაელობება. მოაღწევს კია შენამდე?! ანდა სანამ ის შენთან მოვიდოდეს, შენ ასე ფეხზე მდგომი გაძლებ? სულ ასე ყურის ბიბილოსთან ჩაგიბუზულიებს ტყვიები?!

მაგრამ იმ წუთს ამის გაფიქრების უნარი არა ჰქონდა ბუღუ ბედიას. იმაჟამად ვინც ყველაზე ახლობლად მიაჩნდა, უნებურად იმას დაუძახა. ერთადერთი ხვესი ახლა მისთვის არჩილი იყო. თუ გაგიგონებდა ამ სეტყვა-ზრიალში, მხოლოდდამხოლოდ ის, თორემ სხვას ვისკლავდა შენი ჭავრი. ალიონას ნამდვილად რაღაც მოუვიდა, თორემ ეს ხო აქვე იყო, გვერდით, უსიკვდილოდ

წაეშველებოდა, მაგრამ რომ არ ჩანს?! არც გენადი მიატოვებდა, მაგრამ გენადის სახელი არ წამოუძახებია ბუდუს, თუმცა ალბათ არც ის არის აბლომანლო, თორემ უპატრონოდ როგორ მიატოვებდა?!

არჩილი კი, მაშინ, როცა ბუდუ ბედის ხმას მოჰკრა ყური, ათიოდე ნაბიჯით წინ გარბოდა. ამ ველურ ღრიანცელში გაიგონა თავისი სახელი, ბუდუს ძახილი და კი არ შეჩერებულა, ციბრუტივით შემობრუნდა, ქოშინ-ქოშინით რამდენიმე ნაბიჯი უკან გადმოდგა და კვლავ მოესმა მეგობრის ძახილი.

აქ კი მართლა შევჩერდეთ ერთი წამით, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ამ სურათთან თბრობა შევაჩეროთ. ამიტომაც ჩავერიე ბუდუს ნაამბობში. ცოტა უფრო სულმოუთქმელად და გულისანად შევაველოთ თვალი ამ მოვლენას, ამ სურათს.

ამ ქცევაში უდიდესი ადამიანური ხასიათია გამოსხივებული.

აქ ადამიანი ღმერთთან არის მიანლოებული მოყვასთან ურთიერთობაში.

ამგვარი საქციელი ალამაზებს ადამიანს საერთოდ.

ბრბო რო გეგონებოდა ველური, გონწასული, ყოველგვარ ადამიანურ იდეალისაგან დაცლილი, თურმე არც ასეთი ყოფილა სასაკლაოზე შერეკილი ჭარისკაცების ეს ლაშქარი, შიგადაშიგ კაცურკაცური მოვალეობანიც არ გადავიწყნიათ და ხანდახან სიცოცხლის ფასადაც კი ერთმანეთს მიშველენინ. ალბათ ბევრმა მათგანმა ისიც გაიფიქრა, აქ უაზრო ძღვეთა ატეხილი, სჯობს სადმე თავი შევაფარო, ცოცხალი მაინც გადავრჩეო, მაგრამ დაჰკრილი კაცის, — სულერთია ნაცნობი იყო თუ უცნობი, — კენესას არ გადააღაჭა, ფეხქვეშ არ ამოიღო სისხლში გათხვრილი კაცის კენესა და გმინვა, არ გასრისა, არ გათელა იგი, თავის გადარჩენის ფიქრი მყისვე მოიშორა, უბედურებაში მყოფ თანამებრძოლს მიეშველა.

რა თქმა უნდა, ყველა ვერ შეძლებდა ამას. ბევრი ილაჩრებდა, აბადღადივდა კენესას და მუდგანას თხროლს ამოუფარებოდა, მიიშვლებოდა. შეიძლება ამნაირებიც ვერ გაამტყუნო, ყველა ხომ ბუნებით გაბედული და რისკიანი არ არის, დაიბნა, დაფრთხა ამ უწყსრიგო და უაზრო ხოცვა-კლევტაში.

არჩილი ფეხზე მდგარ ბუდუს, რომელსაც მიწაზე გაწოლაც ვერ მოესაზრებინა, მიეჭრა, ხელი წაავლო და ძირს დასცა, ბუდუ ბედიამ მაშინვე მეორე ხელს ბარბაყზე იტაცა, მწარედ ამოიგმინა.

დაცემისას არჩილიც გააჟწრა თედოზე ყუმბარის ნამსხვრევმა.

ვისაც შეუძლია ცხადად წარმოიდგინოს ის ჭარ-ცეცხლი, რაც ჩვენს ირგვლივ ბობოქრობდა, არჩილის ქცევა უმაღლეს პოეტურ გზნებად წარმოესახება. მძა ან მამა რომ ყოფილიყო ბუდუ ბედისი, გასაკვირი არა იქნებოდა რა. არჩილი არც მძა იყო და არც მამა, მოიქცა კი ისე, როგორც ისინი უნდა მოქცეულიყვნენ.

მაშასადამე იმ სასაკლაოზე გონწართმეულ ბრბოში ადამიანური ძალები მაინც ამოძრავდნენ. გაწამებულმა ადამიანებმა თავიანთი ადამიანური საქმე უშიშრად, სიცოცხლის ფასად, მოურიდეტლად აკეთეს და აღსარულეს კიდევ თვითონაც დაზარალდნენ, მაგრამ მოყვასისადმი ერთგულების ვალი მაინც მოიხადეს.

ამ შემთხვევაში მათ აღარც კი აბსოვდათ საერთო, საზოგადო მოვალეობა მოვალეობა ჭარისკაცისა, შეთაურთა ბრძანება. ეს ყველაფერი იმეამად ბრბოსთვის აღარ არსებობდა. იმ წარღვნაში მხოლოდ ერთი თვისება გაბაზვილდა — მოყვასს უჭირს და უშველე. რა თქმა უნდა, ყველა ვერ შეძლებს ამას, მაგრამ იყვენენ არჩილი და მისი მსგავსი ადამიანები, რომელთაც მოაზერხეს ეს საოცრებანი.

არჩილმა კარგა ხანს ახობა მიწაზე ბუდუ ბედი. მერე პატარა თხრილში

ჩააწვინა, პერანგი შემოახია ტანზე. დაკუნა გრძელ-გრძელ ზოლებად, ჯერ ყბა გადაუხვია ბუდუს, მერე ბარძაყი. ბუდუ გმინავდა და გრძნობდა, ღონე რო ეცლებოდა. თბრილში მუცლით გაწოლილმა არჩილმა ზურგზე მოიგდო ის და თბრილდათბრილ გაბოხდა.

— მომხვიე, ბიჭო, ხელები მაგრაღ.— ასძახა ბუდუს.

— გამიშვი, კაცო, მე თვითონ წამოვბოხდები. — ძალა მოიკრიბა ბუდუმ, მოისურვა გაენთავისუფლებინა ძმაკაცი, მაგრამ არჩილმა მაგრაღ წამოიზიდა მკლავებით და განაგრძო ბოხვა.

— საით მიბოხავ, არჩილ?! — ბუდუ ისე იყო გაწამებული, მისთვის სულერთი უნდა ყოფილიყო ახლა, საით მიბოხავდა არჩილი და სწორედაც ასე უბასუხა არჩილმა:

— შენთვის სულერთი არაა?!

განსჯის თავი მართლაც არ ჰქონდა ბუდუს, არც გამოკიდებია, სულერთი როგორაა, გონებაწართმეული კი არა ვარ უფრო დიდ გასაქირში რომ არ ჩავევარდეთ, იმიტომ გეკითხებითო. პირდაპირ ჰასუხს თავი აარიდა და ეს უთხრა:

— გერმანელებისკენ ხო არ მიიწივ?!

— მე მგონი, ზღვასთან გაგვიყვანს ეს თბრილი.

— რა იცი?

— დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ დაღმა ჩაქანებულია და ვნახოთ, იქნება ზღვასთან გაგვიყვანოს.

— კაცო, აღარ ისვრიან, არ გიყუარება?

— რა უნდა მეყუარებოდეს?!

— სროლის ხმა რო აღარ ისმის.

არჩილი შეჩერდა.

ახალა შეამჩნია, რომ გარშემო სიჩუმე გამეფებულიყო. დაღლილმა სული მოითქვა. ბუდუ თვითონ გადაუტოვრდა ზურგიდან. არჩილმა ახალა იგრძნო ტკივილი თეძოზე, წამოჯდა, შარვალი ჩაიწვია კისხლით მოსვროდა თეძო. ყუმბარის ნამსხვრევს ისე გაესერა რბილი, ძვალს ვერ მიწვდენია. პერან-

გის ნახევები გადააბა ერთმანეთს, კრილობაზე გადაიჭირა.

თავი ასწია, გაიფიქრა ^{დაკუნა} შემთხვევით გავიხედ-გამოვიხედოო. მაშინვე, გაოცებულმა თქვა:

— მგონი გათენებულა კიდეცა.

ეს თქვა თუ არა, მყისვე შემოდან ორი ავტომატმოღერებული გერმანელი წაადგათ თავს. ყვირილ-ყვირილით, ქოქოთითა და ავტომატების აქნევი-დაქნევით. ეს ისე მოულოდნელი იყო ორთავესათვის, გაფიქრებაც ვერაფრისა შესძლეს. არჩილი წამოდგა, ბუდუს თბრილის კედელზე ხელებმიბჭენილი წამოიმართა. (მოგვიანებით, როცა ტყვეთა ბანაკში იყვნენ და ეს ამბავი მოიგონეს, არჩილმა უთხრა, რა მარჯვედ მოიქცევი, შენ თვითონ რომ არ წამომდგარიყავი, შეიძლება ავტომატებით იქვე ჩაეკალითო). თბრილს ზემოთ მოქცეული არჩილი ბუდუს დასწვდა და თბრილიდან ამოიყვანა.

გერმანელები ქაქანებდნენ, ელაოდნენ, ჩქარა, ჩქარაო, გაიძახოდნენ, ბუდუმ ეს სიტყვებიც გაარჩია — ლორებო, ლორებოო. ავტომატის ლულებს განზე იშვერდნენ.

არჩილმა ავტომატის ლულებს თვალი გააყოლა.

მოშორებით ჩვენი უიარაღო ქარისკაცები შეჭვფუფულიყო.

მიხვდა არჩილი, გერმანელები იქითკენ რო მიუთითებდნენ.

— კიდეც კარგი, თბრილში რო არ ჩაგვხოცეს ამ ოქახქორებმა. — ჩაიბუზღუნა არჩილმა, წელზე ხელი მოხვია ბუდუს და შეჭვფუფულ ქარისკაცებისაკენ გაემართნენ.

გვარიანად მოთენებელიყო.

რა ცოდვა-მადლიც დატრიალებულიყო ღამით ფერდობებზე, ახლა ნათლად გამოჩნდა.

ყველაფერი შორჩა...

გათავდა...

ეს უკვე ტყვეობაა.

ბუდუ ბედიასა და არჩილს ადრე ტყვეობაზე კოშმარული წარმოდგენა ჰქონდათ. წაკითხულისა ან ნაამბობის

მიხედვით შეექმნათ ეს წარმოდგენა. ფიქრითაც არ გაუფიქრებიათ არასოდეს, რომ ოდესმე თავდაც ჩავარდებოდნენ ამ დღეში. ახლა ისე უცრად, მოულოდნელად მოხდა ეს ყველაფერი, არც კი ჰგონიათ, რომ მართლა ასეა.

თხრილში მყოფთ გერმანელი მეავტომატეები მოჩვენებებივით წაადგნენ თავს. ახლა შეჭურბულ თანამებრძოლებსკენ რომ მიდიან, გაოგნებულთ ორთავეს ერთმა აზრმა ერთდროულად გაუელვათ თავში — შადლობა ღმერთს, თხრილში მყოფნი რა არ დაგვცხრილეს ავტომატებით. ბუდუმ ასედაც გაიფიქრა, არჩილი რომ არ წამოშველებოდა, ისე რომ ყოფილიყო დაჭრილი, თხრილიდან ამობობლება არ შეძლებოდა, გერმანელები არ დაინდობდნენ, თხრილში სულიერს აღარ დატოვებდნენ.

თხრილიდან ამოჰხედეს თუ არა თავს წამდგარ ავტომატმოღერებულ გერმანელებს, იმწამსვე ორთავემ გაიფიქრა, ტყვიებს დაგვაცრიანო. „ლოუს, ლოუსო“, როცა დაიყვირეს, გაუკვირდათ, ამ თხრილში არ ჯობდა, რალა მიანიცადამაინც ზემოთ უნდა დაგვბოცონო. არჩილმა ისიც კი გაიფიქრა, გვესროლებთ ბარემ, თქვე შობელქაღლებო.

არა, არც მერე ესროლეს. თხრილიდან ზემოთ ამობლებულმა ბუდუმ გუნებაში გაივლო, ალბათ ამათთანაც არიან ღვთისნიერი ადამიანებიო.

არჩილმა ფეხი წადგა თუ არა შეჯგუფებულ ჯარისკაცებისაკენ, ესლა დაასვენა, ეგ არის ტყვედ ჩავვიგდეს ხელთაო. რაკი ასე დაასვენა, გაუკვირდა კიდევ, ასე იოლად რომ ხდებოდა ეს პროცესი. ტყვედ ჩავარდნის ისეთი კომმარული სურათი ჰქონდა წარმოდგენილი, თავად ჩავარდნილს ამ მდგომარეობაში შედარებით იოლად მოეჩვენა ტყვეობა.

ბუდუს, რა თქმა უნდა, ჭრილობები აწუხებდა, მაგრამ ცდილობდა მთელი სიმძიმით არ დასწოლოდა მხარზე არ-

ჩილს, დაჭრილ ფეხსაც მონდრამებით ადგადა მიწაზე. არჩილი პირიქით, წელზე მოხვეული ხელით თავისკენ იზიდავდა ბუდუს, უმსუბუქებდა სიარულს, ისიც არ ავიწყდებოდა, რომ უკან ავტომატმომარჯვებული გერმანელები დარჩნენ. არ მიუხედნია მათყენ. არ იცის, მოჰყვებიან თუ თხრილთან დგანან ისეც. ეს სულერთია. ხო მათ უკან არიან და რას მოიმოქმედებენ, ღმერთმა იცის.

თან იმაზე ფიქრობენ, რომ ეს უკვე ტყვეობაა, ნაღდი ტყვეობა.

ბრძოლები ჩამცხრაღია, იარაღს არავინ აქუხებს, ავტომატიანი გერმანელები თავს წაადგნენ. ტყვეობაა ეს, აბა რა არის?!

ამ ფიქრებით შეპყრობილნი ვეღარც კი ამჩნევენ, მიწაზე დაყრილ მკვდრებსა და დაჭრილ-დასახიჩრებულთა შორის რა მიდიან, გვერდსაც კი არ უვლიან და ამას ყურადღებას არ აქცევენ.

მთელი ამოდენა ფერდობი რომ მოფენილია მკვდრებითა და დაჭრილებით, ამას ისინი მერე შეამჩნევენ, როცა ცოცხლად დარჩენილ, ერთად შეჯგუფებულ თავიასიანებთან მივლენ, ოდნავ სულს მოითქვამენ და გარემოს თვალს მოავლებენ.

ახლა კი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორმე იქ, იმ ერთად შეჭურბულ ხალხთან მიიღწიონ.

მცირე ჩანართი

დაკითხვის ოქმშიც ზუსტად ასეა ჩაწერილი ჩემი და არჩილის ტყვედ ჩავარდნის ეპიზოდი. რომანში შეიძლება მეტი მხატვრული ფეროვნება მიეცა ამ ეპიზოდს, დაკითხვისას კი უფრო მშრალად მაქვს მოთხრობილი, მაგრამ ორივეგან დეტალები ზედმიწევნით სწორად არის აღწერილი. მეორე განსხვავება მათ შორის ისღაა, რომ ერთგან ბუდუ ბედიას მხატვრული სახეა აღწერილი, დაკითხვის ოქმში კი ბუდუ ბედიას ნიღაბი მოხსნი-

ლი მაქვს. ჩეკას გამოძიებელთან ნილბის შენარჩუნება ვერ მოვახერხე, აღარც მომისურვებია, რაკი თავიდანვე გამომტყუეს და მთავარი მათქმევიცაა.

ნილბის შენარჩუნება იმიტომაც აღარ მიცდია, რომ მინდოდა არჩილისთვის აქ მაინც მიმეზღო საკადრისი, გამომეჩინა მისი თავგანწირულობა მოყვასისადმი. ეს კი მჭეროდა, რომ ჩემი დაკითხვის ოქმი აღარსად დაიკარგებოდა, ჩეკამ გულდაგულ იცის ამგვარი საბუთების შენახვა და ამ დოკუმენტში ისტორიისათვის, მომავალი თაობებისათვის შენახული იქნებოდა არჩილის კეთილი და გამირული სახე.

მორალური გამირობა, ზნეობრივად გამირობა არა მარტო გამარჯვებისას, საერთო მარცხის პროცესშიაც შეიძლება ჩაიდინოს კაცმა.

ვინ იცის, — გავიფიქრე ეგაძე, — იქნება ცოცხალია? იქნება აქაც, ჩეკაშიაც ამოაყოფინონ თავი, დაბრუნების შემდეგ ბევრი ვეძებე, მაგრამ ვეღარსად მივაგენი. მე კი ვერ მივაგენი, მაგრამ ხო შეიძლებოდა დაბრუნებულიყო ჩეკა ხო ეცოდინება, სად არის, ამათ რა დაემალებათ? ჰოდა, იმასაც რომ აქ ამოაყოფინონ თავი, ჩემი ჩვენება ერთგვარად წაადგება. უკან დახვევისა და ტყვედ ჩავარდნის ეპიზოდებს ქაინც მოეფინება ნათელი, ორი კაცი რაილა ერთნაირად აჩვენებს გამოძიებას ამ ეპიზოდებს, ჩეკისტებს ეპვი აღარ შეეპარებათ.

ტყვედ ჩავარდნის ეპიზოდს კი ჩემი ბრალდებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ასე ჩავთვალე მე და ამიტომაც ასე დაწვრილებით, გამოწვლილებით, ნაბიჯ-ნაბიჯ, წამ-წამ, წუთ-წუთ რა და როგორ მოხდა იმ ღამეს, წარმოიდგინეთ, ერთგვარი აზარტითაც კი მოვეუბნებ გამოძიებელს. თითქოს ქვეტექსტებით ვანიშნებდი მას, ხო ხედავრა ბიჭები ვიყავით მე და არჩილი, ჩვენი სურვილით კი არ ჩავვარდნი-

ვართ ტყვედ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით და სხვა ვერაფერი გვქონდა.

თუ ამაში დარწმუნდებოდა გამოძიება, — ვფიქრობდი მაშინ, — სამშობლოს ლალატის ბრალდება გადაძეტიებული იქნებოდა.

ამის შემდეგ ტყვეობაში რაც მოხდა, დანაშაული კი იყო, მაგრამ ლალატის რანგში ასული ბრალდება აღარ უნდა ყოფილიყო. თვრობითა და წლობით ნაშიმშილევი ყმაწვილი კაცი თავის გადასარჩენად მცდარ ნაბიჯს თუ გადადგამდა, ყველანაირ მართლმსაჯულებას ოდნავადაც მაინც მომტყუებლური თვლით უნდა შეეხებოდა... შიშვლით გაძვალტყავებული, გასავათებულნი, დაუძულურებული, სიკვდილის პირს მიმდგარი ყმაწვილი კაცი მოკლებულია განსჯისა და მოვლენათა გათვალისწინების უნარს. გონიერების სხივი მას გაღებული აქვს და ვეღარ აწონ-დაწონა, რა სჯობს, ასე უაზროდ სიკვდილი თუ თავის ცოცხლად გადაარჩენა? ამის განსაზღვრა მით უფრო გაუჭირდა იმ ყმაწვილს, განსაკუთრებით ქართველს. რომელიც ძალიან კრულ ქვეყანაში ცხოვრობდა და სამშობლოს მცნებაზე ლოზუნგებით კი ჰქონდა თავი გამოკედილი, მაგრამ გულითა და სულით არ იყო მინდობილი სამშობლოს ამგვარ ლოზუნგებიან მცნებას. ამიტომაც შინაგანად არ იყო განწყობილი ამგვარი სამშობლოსადმი თავის განწირვის იდეისათვის.

გარდა ამისა ტყვეობა სახელმწიფოსაგან აღიარებული იყო, როგორც სამშობლოს ლალატი. ეს ბავშვობიდან ჩაგვესმოდა. სულ ამას ჩავგვიჩინებდნენ. არც არავის გვინახავს ფინეთის ომიდან დაბრუნებული ტყვეები. წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოების წევრიც არ იყო ის საერთო ქვეყანა, ვისთვისაც თავი უნდა გაგვეწირა.

დაკითხვისას კინალამ ვუთხარი გა-

მომძიებელს, შე დალოცვილო, რო შემომძახი, მოლალატე, მოლალატო, მე ჩემი სამშობლოსთვის, საქართველოსთვის არ მილალატნია, ხო დავბრუნდი ჩემს სამშობლოში? მოლალატედ რო მეგრძნო თავი დავბრუნდებოდი? რომელი მოლალატე დაბრუნებია თავისი ნებით სამშობლოს? ან თავს მოიკლავს ან სხვა ქვეყანას შეაფარებს თავს. რაც ტყვეობაში მე ჩავიდინე, ეს ლალატო, ფიცის გატეხვა და სამხედრო დანაშაული კი არის, მაგრამ ვისი ლალატია, ვისი ფიცის გატეხვა? თუ ამგვარ მოლალატედ და ფიცისმტეხავად ჩავითვლები, ეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიის მიმართ. საბჭოთა ხელისუფლება წითელი არმია კი სხვანაირი სამშობლოს მცნებას გამოხატავს, ჩემი ღვიძლი სამშობლო კი საქართველოა, ჰოდა, მის მოლალატედ ნუ ჩამთვლი, ჩასწერე მაგ ოქმში, საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიის მოლალატეათჱ.

კინალამ ვუთხარი-მეთქი ასე გამომძიებელს, გავიფიქრე წამეულად. გავიანზრე, დიდი აწონ-დაწონვა არ დამკირვებია, სხაპასხუპით მივაყრიდი ასე, მაგრამ ეს ახრი კბილებთან შემჩიერდა, კრიკა შემეყრა, ვერ გავბედე.

ბავშვობიდანვე გაბედულებიისა და ჩისკის გუნება ჩაკლული იყო ჩემში. საერთო შიშისგან? არ ვიცი. ერთხელ გავბედე ბავშვობისას, ცურვა კარგად არ შეხერხებოდა, ქუთაისში. თეთრ ხილთან, ჩემი მეგობრები რიონში გადაეშვნენ, მეც გადავბტი, მაგრამ ჩქერმა დამითრია და შუა რიონისკენ მექაჩებოდა, მეგობრები წამომეშველნენ და გამომათრიეს ნაპირზე.

იქნება ეს შიში ველარ დავძლიე მთელი ცხოვრება?

შეიძლება სულაც ასეთი ბუნებისა გავჩნდი ამქვეყნად. ასეთი ვიყავი ბავშვობისას, ჟარშიაც ტყვეობაშიაც, დაკოთხვის დროსაც.

ახლაც ასეთი ვარ.

მე მაინც ვერიდები გაბედულებისა და რისკის ცეცხლს. არჩილისათვის გაბედულებასა და რისკი ბუნებრივი ნიჭი იყო. ალბათ ეს შეამჩნია ჩვენი ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა და თავის ადიუტანტად იმიტომაც აიყვანა უმცროსი ლეიტენანტი. განუწყვეტილვ შტაბსა და ჩასანგრებულ ნაწილებს შორის დაქროდა თავისი ცხენით, არ ებუებოდა ნაღმების ღმუილსა და ფეთქებას, თვითმფრინავიც გამოკიდებია, მაგრამ ვერას აკლებდა. ასე რო დაწინაწალობდა სანგრებიდან სანგრებისაკენ, ამიტომაც იყო, მეც მომინახულებდა ხოლმე ხშირ-ხშირად. არჩილს ბრიგადაში კინალამ ტყვიანუკარება შეარქვეს, ტყვიანუკარებააო, გაიძახოდა თავად ბრიგადის მეთაურიც.

რისკიანი და ტყვიანუკარება რო არ ყოფილიყო არჩილი, ჩემსკენ გამოქრილს რალა გადაარჩენდა ანდა მე რალა გადამარჩენდა იმ საბედისწერო ლამეს?

ეგაც დაწერილებით მოვახსენე გამომძიებელს, მხარში როგორ შემიღვა თავად დაჭრილი არჩილი ტყვედ ჩავარდნის დღიდანვე, როგორ მატარა ფეხდაფეხ ფეოდოსიამდე. ის რო არა, მე ფეხით სიარულს ვერ შევძლებდი და ამნაირებს გერმანელები გზაზე დაცემულთ სულიერებს არ ტოვებდნენ, იქვე ავტომატით ცხრილავდნენ.

ორი თვის შემდეგ ფეოდოსიის ტყვეთა ლაგერიდანაც ფეხით წაგვიყვანეს, მე ჭრილობა ოდნავ მოშუშებული მქონდა, მაგრამ სიარული მაინც მიჭირდა, ამიტომაც არჩილი არ მომშორებია, რკინიგზის რომელიღაც სადგურამდე ასე მივალწიეთ.

აქ კი მართლაც თავზარი დამეცა: არჩილს გამყარეს. დაჭრილები ეშელონში ჩაგვსვეს, არჩილის ნატყვიარი მძიმე ჭრილობად არ ჩათვალეს, ხელი ჩაავლეს და ტყვეთა იმ კოლონას შეუერთეს, რომელსაც გზა ფეხით უნდა განეგრძო.

სანამ ვაგონში შემავდებდნენ, კისერმოღრეცილი არჩილს გავუყურებდი შორიდან.

დავკარგე არჩილი.

დავკარგე იმედი. მეგონა ვეღარ გავუძლებდი უარჩილოდ ტყვეობაში მომავალ ტანჯვა-წვალებას.

ჩემი დაკითხვის ოქმში დაწვრილებით არის ჩაწერილი, რაც არჩილთან განშორების შემდეგ თავს გადაამხდა. ამჟერად ამ წიგნში თავს აღარ შევაწყენ მკითხველს იმ ამბების აღწერით, რაც ტყვეთა ლაგერებში შემემთხვა. ნაამბობია, მოთხრობილია, წიგნებშიაც, ჟურნალებშიაც, გაზეთებშიაც, ზეპირადაც, წარმოდგენილია დოკუმენტებიც, წერილობითი, ნივთიერი, თვითმხილველთა, ნატყვევარების მიერაც. ჭავჭავიანიცა, ვაუგონარცა, ქართუცა, ლადაც, სომხურადაც, სხვათა მიერაც.

ამიტომაც, ჩემო ამ მხრივაც საკმარად გაცნობიერებულ მოკითხველს აღარ გადაგლი ჯოჯობებურად ნაამბობითა და ნათხრობითა.

კიდევ იმიტომაც აღარ გადაგლი, რომა ჩემს რომანში უხვად მოგაწოდებულ ბედებს, ანუ ჩემს თავზე დაზავებულ კვირებს და ჭურბებს ტყვეთა ლაგერებში. ამ ჭირ-ჭურბების გადატანა ძალიან გამიჭირდა უარჩილოდ, თუმცა მერედამერე გამომიჩნდნენ ერთგული ამხანაგებიც, ძველებიც, ომამდელიც, უნივერსიტეტელები, თელავის სამხედრო სკოლელები. ამ მხრივ განსაკუთრებული სითბოთი მინდა ჩემ წიგნში მოვიხსენიო ნიკო ტატიშვილი, პეტრე ლორთქიფანიძე, გრიგოლ ბერძენიშვილი, ერასტი რობაქიძე.

დაკითხვის ოქმშიც ღირსეულად დავხასიათე ისინი.

□ ბაბრძელები იქნება □

დღიშედი

ილიკო ცინკარიშვილი დაიბადა 1916 წელს აგვისტოში, სოფელ ზემო აღვანში. დაწვეებით კლასებში სწავლობდა თავის სოფელში, საშუალო სკოლა დაამთავრა თელავში, რის შემდეგ შევიდა თბილისის ზოივეტერინარულ ინსტიტუტში, ინსტიტუტი დაამთავრა 1940 წელს, პარალელურად სწავლობდა ქუთაისის პედინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1941 წელს. არ უშუაშავია. დაიწყო იმ. ამ დროს ღებრში იყო სამხედრო შტაბი, რომლის უფროსი იყო უფროსი ლეიტენანტი ილიკო ცინკარიშვილი, რომელსაც ახტორის ფაკულტეტი ჰქონდა დაამთავრებულა. სამხედრო სამხედრო შტაბს ევალებოდა გასული „სამხედრო“ წინააღმდეგ ბრძოლა. ილიკო ცინკარიშვილმა 1942 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს — „სამანს“ („საქართველოს აჯანყებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალიტები“) (აღამ ბობლიაშვილის შერქმეული სახელწოდება) შეუერთდა ილიკო ცინკარიშვილი, რომელიც გახდა „სამანის“ მეთაური და რომელიც, სამანელებს მთაში ავტომატები აუტანა...

1943 წლის მარტში მთავრობამ გახუდების უმრავლესობა შეირჩია. მათ შორის ილიკო ცინკარიშვილი, ალექსი ცინკარიშვილი და სხვები...

1943 წელს ილიკო ცინკარიშვილის თბილისიდან შინსახკომის მოადგილისგან ზემო აღვანში წერილი მოუყვდა. შინსახკომის მოადგილე სახიფათო ილიკოს, გამოცხადებულაუო მასთან, როგორც ადამ ბობლიაშვილის დედაშვილი. რათა შეამდგომლობა გაეწია, ადამ ბობლიაშვილთან და მიხეილ (ფანცულა) იმედაძესთან, შესარჩებლად, რადგან მათ თელავის უშიშროებიდან გაგზავნილ შუამავლებს მტკიცე უარის უთხარს შერჩებაზე: „მოსამდენი მოხდესო“.

ილიკო ცინკარიშვილი თბილისში უშიშროებაში გამოცხადდა 1943 წელს, 17 მარტს. იგი დაასატირეს, ბოლო 1943 წლის 15 მარტს თუშეთში, თორღვასთან ერთი ავტომატიდან გახ-

როლილმა ტყვეებმა სამი ვაჟი დასცა ძარს: ფანცულა იმედაძე, ადამ ბობლიაშვილი და დევიანო თავებრიძე (ამირანძიძე).

„ხემა ოქვა: ცუდის პირი რას მიწამდა, ტარი ხეში რამ არ ეჩარბო...“

1943 წლის ოქტომბერში კი თბილისში დაბრუნეს: ილიკო ცინკარიშვილი, არჩილ კიკოშვილი, გიორგი ქაიძე, გიორგი იდიძე, ირაკლი გარსევანიძე, ირაკლი არინდაული, რომლებიც ღამის პირველ საათზე გამოძახებისას ხომღერიტ გავიდნენ საყინდან, ბოლო კარს იქით წინააღმდეგობის გაწევა სცადეს...

ილიკო ცინკარიშვილის დღიურები დაწერილია მთაში — 1943 წლის პირველი იანვრიდან 21 იანვრის ჩათვლით. მოცულობით ერთი პატარა ბლოკნოტი. პირველ გვერდზე დაწერილია ილიკოს ღექსი „არავც“. სამანელები მტრსახედლები მოიხსენიებიან: ზეზვა, ჭურბა, ვიტიკა, კობიო...

ამ ჩანწერებს მკითხველი განწირულთა გოდებას თუ დაარქმევს. გაუსაძლისი უოფა, მკაცრი წაოარი, ადამიანური პარობების უქონლობა, სიკვდილის მოლოდინი, მრავალნაირი მიფათი, მაგრამ არც ერთი სიტყვა ჩავილას...

ღიზნ მახვანბიშვილი

არავც

მორბობს, მოშუის არაგვი,
თან მოაქვს არეშარო,
მისს შესყეფს ღვართქიფიანი:
— მითხარ, რით გამომწარო.
შენ, კორდო, ღაზითიანო,
ზეკით რომ დავცქერს მთავარო,
ან გადავლახავ ერთთან,
ან ამოქციე მხარო.
ან შენ ვინა ხარ, ვეცაკო,
ჩუმად რომ მომეპარო,
ჩემი ზვირთების მიწოდობი
მითხარ, ვინ გაეხარო?
— აუ, არაგვი, რას ქავრობ,

რა ქაფი გადმოღვარეო,
 თუ ლაჩხად შეგხვდებ, ჩაბანსა
 სამარე გამოთარეო,
 გამოტილდეს ეს ცხენი,
 თუ შენ ვერ გადაღვარეო,
 შეიქნას მგლხსა ვაშაში,
 ყორანთა გისახარო,
 თუ ორ შებრძოლვით აქედან
 ვერ ენახო ბჭით მხარეო,
 სოჭკვა ეს ვეცაოცმა გულდად,
 მკვრდი შეაგდო წყალში,
 ცხენი მიცურაფს, მიიბრძვის,
 კით ნაეი მძვინვარ ზღვაში,
 მხედარ ნაბირს გავიდა,
 უკან მოხედა არავისა,
 და მერე თვალს მოავლო
 წყალგაღმა კლდოვან ალაგსა,
 იქ საღ კლდეს ვიწრო ბილიკი
 გზად მიდიოდა ზვეული
 და იქვე დიდი ლოდები
 ევარნენ წამოქცეულნი,
 თქმულება არი, ამ ალაგს,
 უწინა ფლობდა გველიო,
 და შიშით ძრწოდა მისგანა
 აქ გამვლულ-გამომვლელიო.

1948 წ.

1. იანვარი

დილის 7 საათი იქნება. სახეზე მოხვედრილმა ცივმა წვეთებმა გამაღვიძა და წამოვხტი. ჩემთან ერთად წამოდგნენ ყველა ჩემი ამხანაგები. ჩვენს თვალს წინ იდგა დაბლითა სართულიდან ამოსული კობიო და მოგვილოცა სულ ყველას ახალი წელი. გვისურვა ჯანმრთელად მრავალ ამ დღეს მოსწრება, მაგრამ არა ამ დგომარეობაში ყოფნით. ჩვენი ეს ურთიერთისადმი მილოცვა იყო მხოლოდ სიტყვიერი, ჭიქაში არც ერთ ჩვენგანს არ ჩავვიხედავს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ სულ მალე ამოვა აღმოსავლეთიდან ჩვენი მზე და გავვიონათებს ბნელეთს. ახალი წლის აღსანიშნავად ჩვენს ქობშიაც გაიმართა ფუსფუსი სადილის მოსამზადებლად. ხმის უმრავლესობით გადავწყვიტეთ ხინკლის მოხვევა და სამუშაო განაწილდა იმის მიხედვით, თუ ვის რა უფრო ეხერხებოდა. სადილობის შემდეგ გავედი პოსტზე, სადაც დავყავი ორ სათს, ამ ხნის განმავლობაში არაფე-

რი მომხდარა. მეტად მშვენიერი მზანი და თბილი დღე, ვერც კი მოეფიქრებეს კაცი, თუ თოვაროც ზიჯლიოთიქანა საღამო ხანია. ქობის წინ ვართ მოგროვილნი და ესაუბრობთ ზოგად საკითხებზე. უცაბედად მოგვესმა თვითმფრინავის ხმა და ყველამ ერთბაშად ყურები ცქვიტა: რადგან ეს ხმა ჩვენს სმენას ეუცხოვა და დაიწყეთ მალე ყურება. სულ მოკლე ხანში ჩვენს სმენას თვალებშიც დაუდასტურეს და თვითმფრინავი გერმანელების აღმოჩნდა. სიხარულისაგან ქუდები ყველამ მიწას დაანარცხეს. ეს დღე ასე დამთავრდა და 7 საათზე ისევ პოსტზე მიმიწია ორი საათით.

2. იანვარი

დილის 4 საათზე გავედი პოსტზე. მშვენიერი მოწმენდილი იანვრის დილაა. იანვარი მაინც თავისას არ იშლის, ღამით სუსხავს ყველაფერს და გარეთ მყოფ კაცს ყურებს უწითლებს. სიცივისგან შეწუხებულმა ავანთე ცეცხლი. მივეჯდები დროგამოშვებით, თუმცა ესეც მხოლოდ ცალმხრივად მათბობს. ვზივარ ქვაზე და ვფიქრობ ჩემს ბედზე, აწმყოზე და მომავალზე. აწმყოსი თითქმის კმაყოფილი ვარ, ჭერ მარტო ბუნებასთან ყოფნა რად ღირს, გამოხვალ გათენებისას და აგერ, დაიწყებენ მრავალნიანნი ფრინველნი ელურტულს, თითქო ესაუბრებიან ერთიმეორეს. აი, პატარა გულყვითელი ჩიტი გადახტა ტოტიდან ტოტზე, მრფრინდა მეორეც და დაიწყეს გულამოსკენით ჭიკჭიკი, ეგებებიან განთიადს. ხეებიც თავისებურად შრიალებენ, თითქოს ამათაც უხარიათ მზის ამოსვლა, მაგრამ ჩემთვის კი ეს პირიქით ხდება. ჩვენ დაღამებას შევხართ, ისე, როგორც ნადირი ტყისა. ჩვენთვის ბნელი ღამე იმდენად ძვირფასია, რამდენადაც გლეხკაცისათვის კარგი სამუშაო დღე. იაგო, მირზა და შალვა გავგზავნეთ სანადიროდ. ცოტა თავმომწონე ბიჭები არიან და იმედს დიდს გვაძლე-



ვდნენ, ვნახოთ, რას იზამენ. წუხელ არ მოსულან, ვფიქრობ, რომ ნანადირევს ერევიან. პირობის თანახმად კი ცარიელების დაბრუნება არ შეიძლება. სალამოს 7 საათზე ისევ პოსტზე ვარ და ვფიქრობ: თუ გამოჩნდა მტერი, ტყვია არ აცდება.

• იანვარი

დილის 7 საათია. მოკამკამებული ცა სუსხავს ყველაფერს. გამოვედი პოსტზე, მივათვალ-მოვათვალიერე ადგილები და ჩამოვყექე ხავსით დაფარულ ქვაზე და დავიწყე აღმოსავლეთით ყურება. გამოიტაცა ერთმა მშვენიერმა სურათმა: თითქმის მიღებული ნამგალა მთვარე გამოჩნდა ჯერ ხეებს შორის და მერე სულ ამოკურდა მაღლა, გადმოხედა მიდამოს, გაანათა ოდნავ ბუნება და შემდეგ მზის ამოსვლასთან ერთად ისიც თანდათან ქრებოდა. ამოვიდა მზე და სრულიად გაქრა. მთვარის ბედი თითქოს ჩვენს ბედს დაუვკავშირე, ჩვენც მთვარის მსგავსად მივიშალებით ხოლმე მზის ამოსვლის დროს.

პოსტზე ყოფნის დროს არაფერი მომხდარა. შემცვალა ჭმუხამ და მითხრა, რომ „ლოქო“ ჩობლებს ვეღარ ერევა და აქ ამოსვლა დაიზარა, მე გამომგზავნა თავისი რიგის დროსო.

იავო, მირზა და შალვა — „მონადირეები“ — მოვიდნენ ხელების ქნევით. ეს ვაჟკაცები ნადირს როგორ მოკლავდნენ! შალვა გაიჭედა თურმე ერთ კლდეში, ვეღარც იკით მიდის, ვეღარც აქეთ და ჩამოჭდა, დაიწყო თოფის დაშლა. შიშისგან ვაზნა, რომელიც ძირში ჰქონდა, ვერ ამოულია და იფეთქა თურმე, ჩვენ კი გვეგონა, ნადირს ესროლესო. შემდეგ გაუხვევია პაპიროსი და ეუბნება იავოს: თამბაქო ჩამიყარეო. აუტეხია იავოს სიცილი და უთქვამს: ჩვენ კარგი მონადირეები ვართო, და უიმედოდ დაბრუნებულან უკან.

სალამოს 7 საათზე ისევ პოსტი.

• იანვარი

დილის 7 საათზე გამოვედი პოსტზე. ისევ მოკამკამებული ცაა და ვარსკვლავები ისევ თავისებურად კიაფობენ. სუსხავს ყველაფერს. დავანთე ცეცხლი და ჩამოვყექე დახავსებულ ქვაზე, გამოიტაცა ფიქრთა კოცონმა და დაველონდი: რაწაირია კაცის ბედი, რა თავგანწირვით, რა მონდომებით ვმუშაობდით ამ რამდენიმე თვის წინ მე და „კასუმა“. დაქპროლა უცაბედად ზენა ქარმა და მე აგერ, აქ გადმომტყორცნა, თითქოს ბედნიერად ვგრძნობ თავს, საწყალი კასუმა კი ჩავარდა მუხთალი მტრის ხელში. ვინ იცის, რამდენი ტანჯვა-ვაება გამოიარა მათ ხელში, ვიცი იმის შეუდრეკელი ბუნება, მახსოვს მისგან უკანასკნელი სიტყვებიც: „იმისთანა მომენტში ენას მუცელში ჩავეიგდებო.“ ის მართლაც ასე მოიქცეოდა, ძაღლები კი თავისას არ მოიწლიდნენ და საბოლოოდ ვინ იცის, მათ ხელში რა მოელის. არა უშავს, ჩვენ მაინც მომავლით ვცოცხლობთ. ჩვენში ამ მომენტს განხეთქილება არ შეუტანია, არამედ — სიმტკიცე. ჩვენ უფრო მაგრად დავიარაზმენით და უფრო მაგრადაც დავარტყამთ მტერს საბოლოო გამარჯვებამდე.

• იანვარი

დილის 7 საათზე გამოვედი პოსტზე. საანამ საგუშაგოს მივალწევდი, კარგა გავოფლიანდი და კარგადაც დავიღალე. დათვალიერების შემდეგ ჩამოვყექე თითქოს არეულია ცა, ემუქრება რაღაცას. მოულოდნელად! ჭაჩენილმა სინათლემ შემაქრთო და ავიხედე. მოდის კუდიანი ვარსკვლავი და იმოტელას ანათებს, როგორც ორასსანთლიანი ნათურა. ამ ვარსკვლავმა გამახსენა ხალხში ძველთაგანვე დარჩენილი თქმულება—კუდიანი ვარსკვლავი აღგილობრივი მთავრობის გამოცვლის ნიშანიაო. და არ ვიცი, რას მოგვი-

ტანს, ეს კი ვიცი, რომ ხალხის თქმუ-
ლება პრაქტიკულია ხოლმე.

8 იანვარი

დილის 7 საათზე გამოვედი პოსტზე.
ამინდი ძალზე ცუდია და მრავალფე-
